

ტირანტი ბრანელის საფლავზე

ოდეს საფლავზე მზე ყაყაჩოს სულს შეგვავედრებს,
ვის მზერას ვატანთ მარტოსული პოეტის ცხედრებს?
ცახცაჩით დნება სანთლის ალზე ტრემლები სევდის
მგოსნის ადრეულ სამარესთან მზე სტკივა მერმისს...

თუ ვიდილს არ ვუმხელთ წამებისას როს დაიკვნესე,
დროს ვფქვავედი წუხელ, არ მჩვევია წუხილი ესე
წაუკითხავი, ნაწვიმარო ექო დაისტა,
Memento mori-ს მელოდია ჩვენში დაინთქა...

და ვდგავართ როგორც სარანგები უწყვიდიადონი
ლექსის წყურვილით ანაგები არმაგვედონი
ისე იმქვრევა არმალანი ამ საწუთროთა,
პოეტი სიკვდილს თუ ამარცხებს, სიცოცხლით სცოდავს!
იკა ქადაგიძე
12.05.2019.

ისინდი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№8

ისინდი

ლიტერატურული ჟურნალი

№8

2019

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)

რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)

ბონდო არველაძე

ნინო ბაქანიძე

აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)

მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)

დალი კახიანი

ერეკლე სალღიანი (საპატიო წევრი)

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ბადრი პატაშური

მარსიანი

გიორგი შიშნიაშვილი

გიგი ხორნაული (საპატიო წევრი)

რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი: ნინა ყდა – ფოტოს ავტორი გიორგი შიშნიაშვილი.

უკანა ყდის მხატვარი რეზო ემელიანე ადამია

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

შინაარსი

| | |
|---|----|
| რედაქტორის წინათქმა | 5 |
| კრიტიკა | |
| იკა ქადაგიძე – ვივა ცენზურას..... | 7 |
| ნოველა | |
| ციცი გურიელი – უნაპირო ნაპირი | 14 |
| ეროვნულ ფასეულობათა სადარაჯოზე | |
| ნანა კოტეტიშვილი – ალექსანდრე ხახანაშვილის პიროვნება..... | 21 |
| პოეზია | |
| ბადრი პატაშური – ლექსები | 23 |
| უცხოელები საქართველოდან | |
| მზია გალდავაძე – არტურ გუნდაკარ ფონზუტნერი | 25 |
| ერთი ლექსის გაელვება | |
| შალვა ბაკურაძე – ანკეოსის არგონავტიკა..... | 29 |
| პუბლიცისტიკა | |
| დალი კახიანი – საქართველო ყველასია..... | 30 |
| პროზა | |
| ნინო ბაქანიძე – სახიფათო თამაშები ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანისა..... | 33 |
| თარგმანი-რეცენზია | |
| რუსუდან ჭანტურიშვილი – გალაკტიონის „ეფემერა“ და „ლურჯა ცხენები“ პაოლა ურუმაძის რუსულ თარგმანებში | 39 |
| ღირსსახსოვარნი | |
| ვახტანგ ბახტაძე – სპეციალურად შურნალი „ისინდისათვის“ | 41 |
| ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა | |
| ჯემალ მესრიშვილი – რუბრიკა - ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა..... | 46 |

| | |
|---|----|
| ინტერნეტსპექტრი შორენა გაბელაშვილი – პოეზია | 52 |
| თარგმანი დალილა ბედიანიძე – კვიცი | 54 |
| ემიგრანტული ჩანაწერები ნინო მარგველაშვილი – *** | 56 |
| კრიტიკა მარსიანი – პოეზიის დიდი დევენილობა | 58 |
| მოსაგონარი იკა ქადაგიძე – თემურ ქორიძის მოსაგონარი ერეკლე საღლიანი – თემურ ქორიძის ხსოვნას..... | 65 |
| ესეისტიკა თეიმურაზ ნადარეიშვილი – სულის ფოტოგრაფიები..... | 67 |

რედაქტორის წინათქმა

ყველაზე მეტძოლი ეროვნული ჟურნალის დაარსებისას სწორედ იმ მარადიული იდე-
ალებით ვხელმძღვანელობდი, რაც გლობალიზმით დაუძღურებულმა კაცობრიობამ ბო-
ლოს და ბოლოს ირწმუნა. მსოფლიოს მონინავე თუ ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებში
თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ძალისხმევა და ბრძოლისუნარიანობა თვალმისაცე-
მად იზრდება. ეს გარემოება მოწმობს, რომ ყველგან, სადაც ადამიანს ფასეული ღირე-
ბულებები შეუქმნია, ეროვნული კულტურის განვითარებასა და დაცვას განსაკუთრებული
მნიშვნელობა ეკისრება.

ეროვნული კულტურა მსოფლიო განვითარების ინტერიერში გამორჩეული მახასი-
ათებლებით ეწერება; ის, რაც სხვას განაცვიფრებს და მიახვედრებს, რომ საუკუნეთა
განმავლობაში უძველესი ტრადიციების მქონე საქართველოს ურთულესი გეოპოლიტიკუ-
რი პირობების მიუხედავად ძალა აღმოაჩნდა კაცობრიობის საგანძურში საკუთარი, ყვე-
ლასგან განსხვავებული, უაღრესად ფასეული და დაუვინყარი წვლილი შეეტანა. აქედან
გამომდინარე, „ისინდი“ თანამედროვე სამწერლო ასპარეზზე კვლავ უწყევ პოზიციას ინ-
არჩუნებს, რაც ეროვნული ენერჯის განახლებასა და გაძლიერებას ემსახურება. მკითხ-
ველთა ინტერესისა და მხარდაჭერის ზრდის პარალელურად ნომენკლატურის სივრცეს-
თან ურთიერთობა კვლავ დაძაბულია; სამწუხაროდ ამ მოცემულობის გათვალისწინებით
ჯერჯერობით ვერ განხორციელდა ეროვნული ბიბლიოთეკისთვის შეთავაზებული ჩვენი
პროექტი, რომელიც „მივიწყებულების“ რუბრიკის მეშვეობით უსამართლოდ მიჩქმალულ
ეროვნულ მწერალთა შემოქმედების აქტიურ პოპულარიზაციას უფრო მასშტაბურ ჭრილ-
ში გეგმავდა. „ისინდში“ ეს რუბრიკა ღირსსახსოვარნის სახელწოდებით შემოვიღეთ, რაც
საშუალებას გვაძლევს ამაგდარ, მივიწყებულ მამულიშვილთა ღირსეული საქმეები პუბ-
ლიკას შეძლებისდაგვარად გავაცნოთ. ეს „დეტალი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ
საქართველოში ეროვნული ინტერესების გასატარებლად ერთსულოვან ქმედებას კვლავ
გადაულახავი დაბრკოლებები ელობება, თუმცა ქვეყნის საჭირობოროტო საკითხების წინ
წამოწევა და მიუკერძოებლად ასახვა ჩვენი ჟურნალის უცვლელ პრიორიტეტად რჩე-
ბა. საექვო კონგლომერატის პარპაშის პირობებში ნამდვილი კულტურის გადასარჩენად
ინტელიგენციის სწორი სამოქმედო პროგრამა აუცილებელია. ჩვენი ჟურნალის ყველა
ნომერი ამ საპატიო მიზანს თანმიმდევრულად ახორციელებს და დამოუკიდებელი სარე-
დაქციო პოლიტიკის მეშვეობით ალებულ გეზს განუხრელად ინარჩუნებს.

„ისინდი, როგორც სინდისის სიმბოლო“ ეს სახელწოდება მოწმობს, რომ წიგნიერმა
საზოგადოებამ ჩვენ დიდი ნდობა გამოგვიცხადა, რის გასამართლებლადაც ძალ-ღონეს
არასდროს ვიშურებთ. მხარდამჭერთა შორის განსაკუთრებულ მადლობას ძირძველი
კუთხე – აჭარა იმსახურებს, რომელიც ჩვენს ქმედებას მუდამ დადებით კონტექტში
აღიქვამს და სათანადოდ ეხმაურება. მხურვალე მადლობა ცნობილ მწერალს ქალბატონ
გენრიეტა ქუთათელაძეს ჩვენი ჟურნალის აქტიური პოპულარიზაციისთვის და გაბედულ
და კომპეტენტურ ჟურნალისტს, ბატონ ლაშა ხომერიკს, რომელმაც გაზეთ „აჭარაში“
ძალზე საინტერესო და მიუკერძოებელი ინტერვიუ- რეცენზიები გამოაქვეყნა. ძალა ერ-
თობაშია ნიშნავს, თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად გამართულ უშეღავათო ბრძოლა-

ში საქართველოს ყველა კუთხე სრულფასოვნად მონანილებდეს.

ეროვნული ჟურნალის მეშვეობით უცხოეთში ემიგრირებულ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა ფრიად მნიშვნელოვანია; ძალზე სასიხარულოა, რომ შესანიშნავ ქველმოქმედ მანდილოსნებს (მათ ისინდის“ გარკვეული ნომრები შეიძინეს): მარინა ხუჭუასა და ნინო მარგველაშვილს ქ-ნი ნანა ობოლაძე შეემატა, რომელმაც ჩვენი ჟურნალი საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებს მიანოდა. მხურვალე მადლობა ამ უანგარო ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულს საქმით ამტკიცებენ. „ამ სასურველი პრეცედენტით „ისინდის“ ისტორიაში კიდევ ერთი დაუვინყარი ფურცელი ჩაიწერა.

ეროვნული იდეოლოგიის შესამუშავებლად უაღრესად საჭირობოროტო და გადამწყვეტი საკითხია საზოგადოების სწორი ინფორმირება. ამ მხრივ ჩვენი ჯიბის ტელევიზიები საგრძნობლად სცოდავენ; ამიტომ არასახარბიელო ფონზე კარგ პრეცედენტს ყოველთვის გამორჩეული როლი აკისრია. ამ თვალსაზრისით ტელეკომპანია „ობიექტივი“ გამოირჩევა, რომელიც ეროვნულად მოაზროვნე მწერლებს ტრიბუნას დაუბრკოლებლად უთმობს. ცნობილი მწერლის, ორატორისა და საზოგადო მოღვაწის, ერეკლე სალიანის ღრმაშინაარსიანი გადაცემები ამის ნათელი მაგალითია, სადაც „ისინდის“ საქმიანობას ყოველთვის პროფესიული გულისხმიერებითაა წარმოჩენილი. დიდი მადლობა მათ მყარი მხარდაჭერისთვის.

მხურვალე მადლობა შესანიშნავ ჟურნალისტს ციცი გურიელს, რომელმაც დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში არაჩვეულებრივი გადაცემა ჩაწერა, რაც ნიშნავს, რომ ყველაფრის მიუხედავად თავსუფალი სივრცე არსებობს, სადაც ეროვნულ სიტყვას არ ზღუდავენ...

და ბოლოს, უკეთესი მომავლისა და სასიკეთო ძვრების საპირწონედ (ამის შესახებ შემდეგ ნომერში გიამბობთ) ყველაზე მეტრძოლი და ეროვნული ჟურნალი „ისინდი“ კვლავ უდრეკად დგას ეროვნული მწერლობის სადარაჯოზე და სამშობლოს გულშემატკივარ საზოგადოებას არაერთ მნიშვნელოვან სასიკეთო სიახლეს სთავაზობს.

ჩვენი დევიზი: წინ ისინდი! მუდამ ძალაშია!

2.10.2019.

იკა ქადაგიძე

ჰიპა ცენზურას!

ზოგჯერ ხდება, შენთან ერთად სამწერლო ასპარეზზე გამოსულ კოლეგასთან დამაკავშირებელი გზადიდი ხნის მანძილზე არ გადაიკვეთება. მოკლედ, ზოგადი ნაცნობობის მიღმა წინ ვერ წაინევი. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. არადა, საქმეში ჩაუხედავი ადამიანების გულუბრყვილი რწმენის თანახმად ერთ სივრცეში მეზობლობა შეხების წერტილის აღმოსაცენებლად საესებით საკმარისია; რადგან სტერეოტიპებს ყოველთვის უნდობლად ვეკიდები, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ეს მყარად ჩაშენებული წარმოდგენები დაუყოვნებლივ შურს იძიებენ და ინტუიციისკენ გადახრას არ მპატიობენ. ინტუიცია ავტონომიური მონაპოვარია და ზედაპირულ რეფლექსებს ისევე გაურბის, როგორც ამირანი- თავსმოხვეულ ბორკილს. მოკლედ, ეს შესავალი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური შინაარსის ესეს დასაგემოვნებლად განგვანყოფს, თუმცა ფაქტების აჯანყებას რომ არ ვემსხვერპლო, კალამს დროულად დავიურვებ და კვლავ ძველ ნაცნობს მივუბრუნდები, რომელსაც საგანგებოდ არასდროს შევხვედრივარ. მას მეგობართან სტუმრობისას თუ გადავეყრები, ისიც იმ მარტივი მიზეზის გამოისობით, რომ იქ მისი ოფიციალური სამსახურია და ძალიანაც რომ უნდოდეს, თავის კაბინეტისკენ მიმავალი გვერდს ვერ ამივლის. ამ შემთხვევითი შეხვედრების მიუხედავად, ერთხელ მან გულითადი მისალმების შემდეგ ძლიერ ცნობისწადილს ვერ გაუძლო და იმჟამად გახმაურებულ ინციდენტზე სიტყვა ჩამომიგდო. კერძოდ, ცოცხალი წიგნების პროექტის კურატორის, მარიამ ნიკლაურის სახელი ასხენა, რომელიც ჩემმა შეკითხვამ: ნომენკლატურულ ვოიაჟებში ანტიეროვნულ მწერლებთან ერთად ეროვნული სულისკვეთების პოეტები რატომ დამოგზაურობდნენ, იმდენად ააფორიაქა, საკუთარ გვერდზე ჩემ წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი წამოიწყო; ცოტაც დააკლდა, ბომბების გვირაბის გათხრა და ამ თანამედროვე პროლეტმწერლების შესაშინებლად კონტრევოლუციური მავნებლობა დამწამა. ამასაც არ დასჯერდა, ვილაცის მიერ აგორებული ბინძური პროვოკაცია მე მომანერა და როდესაც სხვებმა სიმართლეზე თვალი აუხილეს, მოვლენების ამგვარი შემობრუნებით ფრად განაწყენებულს არც სინანული გამოუმჟღავნებია და არც ბოდიში მოუხდია, რადგან ამათი კლანის თანახმად ცილისწამება დანაშაულად არ მიიჩნევა და არც ფულის სუნი უდის, რომ სათავისოდ გადაადნონ. (ცოცხალი წიგნების პროექტს ეძღვნება ჩემი ვრცელი წერილი, რომელიც ფაქტიურად ორი წლის მანძილზე გააჩერეს...)

ამ შეხლა-შემოხლით შენუხებულმა ნაცნობმა თანამოკალმემ ფრთხილად დასძინა, ვერაფრით დავიჯერე, რაც მოგანერეს, მაგ ადამიანებს კარგად ვიცნობ, ყველაფერზე მიდიან და ვინც დაუპირისპირდება, არ ინდობენ, ზურგს გავლენიანი კლანი უმაგრებთ, მოკლედ, სახიფათო კატეგორიას განეკუთვნებიან და საკმაოდ რისკავ, როდესაც მათ ამხელ, გამბედაობას



გიქებ, მაგრამ თან გარიდებს გირჩევო. მოსაუბრის გულწრფელი ტონი მოწმობდა, არ თამაშობდა. ამას ინტუიტიურად ყოველთვის ხვდები, (ისევ ეს სიტყვა ამოტივტივდა!) იგი გულახდილად გამომიტყდა, რომ ნიკლაურთან თვითონაც უსიამოვნება მოსვლოდა, ეს უკანასკნელი მის კომპეტენციაში ხისტად იჭრებოდა და საუკეთესო მთარგმნელს ასწავლიდა რა მოემოქმედა, რაც პროფესიულ მეკობრეობას უტოლდებდა. მოკლედ, გირკვა, ამ ნიადაგზე აგორებული კამათი სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ნიკლაურმაც მასზე გაცილებით ცნობილი „მეტოქის“ გასანეიტრალებლად თავის კლანს უხმო და ვირტუალური ბატალია ჩვეული სცენარით გაჩაღდა. სწორედ ამ დროს ქ-ნი საბავშვო მწერლის წერტილოვანი და ბინძური თავდასხმებით გაბეზრებულმა საგანგებო წერილი მოვამზადე, სადაც ეს ეროვნული მწერლობის მგზნებარე ქირისუფალი ნომენკლატურის აღიარებულ ფავორიტს პ. შამუგიას აღმატებით დითირამბებს აღუეღუნდა და მსჯელობის პროცესში იმგვარ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობას ავლენდა, ამკარად ეტყობოდა, კლანის დავალებას ასრულებდა და პირადი გამორჩენის გამო შავს თეთრად ასალებდა. ამ სამარცხვინო აღიანისის თაობაზე ფაქტები თავად მეტყველებდნენ და მეც საშუალება მომეცა უპატიოსნო კოლეგის სამარცხვინო ნააზრევი სწორედ ფაქტების მეშვეობით წარმომეჩინა. ბუნებრივია, ამის შესახებ კოლეგას ვუამბე, მაშინვე მთხოვა სტატია მისთვისაც მიმენოდებინა, რადგან ინტერნეტსივრცეში გადატვირთული რიცხოვნების გამო ვერ დამიმატებდა. რა დასამალია და ძველი ნაცნობის კეთილგანწყობა მეამა. გიორგი ლობჯინიძე სამწერლო სივრცეში საკმაოდ წონიანი ფიგურაა და მეც ხსენებული წერილი, სოციალურ ქსელში ბომბივით რომ აფეთქდა და ცხოველი აუიოტაჟი გამოიწვია(შამუგიას მამამ „სანაქებო შვილის“ გამოაშკარავებისთვის საერთო ნაცნობის პირით დიდი სიმპატია და მხარდაჭერა შემოითვალა, რამაც სულო ცოდვილო და გამაკვირვა...) დაინტერ-

ესეულ კოლეგას ოპერატიულად მივანოდე. მასხოვს, ალტაცებულმა „აფერუმ, დედაკაცო! „ბაში-აჩუკის“ რომანიდან ამოსხლეტილი ფრაზა აღმოსავლური ხატოვნებით რომ შეამკო და მითხრა, ამიერიდან რასაც დანერ, თუ არ დამზარდები, ნამაკითხეო. მწერლისთვის იმაზე სასურველი მოცემულობა არ არსებობს, როდესაც პროფესიონალიზმით გამორჩეული კოლეგა მის ნააზრევს ინტერესით ეცნობა, საგანგებოდ ელის და არც ქათინაურს აკლებს. ამიტომ გიორგის ჩემს შემოქმედებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად ჯერჯერობით ბოლო კრიტიკულ-ესეისტური კრებული „ძირს ომერტა!“ (2014) ვუსახსოვრე. ნიგნში უახლესი ლიტერატურული მოვლენები ფაქტების მიხედვითაა გაანალიზებული. ვალში არც თვითონ დამრჩა და თანამედროვე სპარსული პოეზიის საკმაოდ ვრცელი ანთოლოგია მისახსოვრა, თავისი მრავალწლიანი შრომის მნიშვნელოვანი ნაყოფი; მის ნააზრევს ყოველთვის ყურადღებით ვეცნობი და მიხარია, რომ ახალგაზრდული ასაკიდანვე პირველხარისხოვან მთარმნელად ჩამოყალიბებული ამ სფეროში სტაბილურ წარმატებას ინარჩუნებს. მისი წყალობით არარაერთი შესანიშნავი თარგმანი გაგვაჩნია; ამ მხრივ გიორგის არც ილბალმა უგანა და ფავორიტთა რიცხვში ძალდაუტანებლად ჩაენერა. ამდენი უნიჭოს დაუმსახურებელი აღზევების ფონზე ნამდვილი პროფესიონალის აღიარება და დაფასება გაიმედებს, რომ ქვეყანა ჩალით არ არის დახურული და ჯილდო თუ პრემია ზოგჯერ სამართლიანად გაიცემა. მოკლედ, ჩემსა და გიორგი ლობჯანიძეს შორის მეტად საინტერესო და ორიგინალური – „იატაკქეშა“, დაუფეგმაღი ურთიერთობა გაიბა: ინტერნეტში გახმაურებულ პოსტებს ბეჭდური სახით ვანვლიდი და ღირსეულ მწერალთა და მხარდამჭერთა კომენტარებით გამხნეებულნი, ამ წონიანი კოლეგის ქათინაურებს ცალკე ვისმენდი. ჩემი კრიტიკული პათოსი მისთვის აღმოჩენად იქცა, რადგან იქ, სადაც მას ბეჭდავდნენ, მე არაფერი მესაქმებოდა და პირიქით. ერთადერთი შეხების ნერტილი როსტომ ჩხეიძის ჟურნალი: „ჩვენი მწერლობა“ გახლდათ, სადაც დიდი ხნის წინ ჩემი ლექსები დაპირების მიუხედავად არ გამოქვეყნდა. გიორგი იმჟამად პოეზიის განყოფილებას განაგებდა, თუმცა ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ჟურნალის ამინდს როსტომი ქმნიდა, მისი ნებართვის გარეშე იქ ბუზიც ვერ შეფრინდებოდა. ამიტომ გიორგისა და მაკა ჯოხაძის დარცხვენილ ღიმილს გაგებით ვეკიდებოდი, აღარ იცოდნენ ჩემთვის მარადიული დანაპირების შეუსრულებლობა როგორ აეხსნათ. აკი გიორგის ვუთხარი კიდევ, რომ პუბლიცისტიკითა და პროზით გამორჩეულ ჟურნალში პოეზია საკმაოდ მოიკოჭლებდა. მართალი ხარო, დამეთანხმა. ჟურნალიდან ჩემი ლექსები რომ წამოვიღე, მესიამოვნა, ამ სცენას გიორგი და ქალბატონი მაკა რომ არ შეესწრნენ. არ მიყვარს, როცა თანამშრომლებს ძალაუნებურად უფროსს უპირისპირებ, მე პროვოკატორი კი არა, ავტორი ვიყავი, რომელიც წლების შემდეგ მიხვდა, რომ მას აქ არასდროს დაბეჭდავდნენ და დამამცირებელ ლოდინს ბოლო მოუღო, ეს იყო და ეს. გიორგის ხელახლა მაშინ შევხვდი, სააკაშვილის ზონდერებმა „ომეგა“ რომ

დაარბიეს და საპროტესტო აქციაზე მიმავალ როსტომს, (გიორგი და დრამატურგი ირაკლი სამსონაძე იქ დამხვდნენ) სპეცრაზმელების მიერ დანიოკებულ რედაქციაში მივაკითხე. როსტომმა მანქანაში ჩაგვსხა და სააკაშვილის ოდიოზური რეჟიმის წინააღმდეგ გამართულ პირველ საპროტესტო აქციაზე გაგვაქანა, სადაც მისი მომხრეების უმრავლესობა არ გამოცხადდა. ვინც წლების მანძილზე რედაქციის პრივილეგიებითა და ჰონორარებით სულს ითქვამდა და სახელს ცალკე იხვეჭდა, ბუჩქებში შეყუჟულიყო და სერიისმაყურებლის როლს მორგებული მოვლენების შემდგომ განვითარებას თვალყურს გულგრილად ადევნებდა. ეს სხვა თემაა და ჩემს მხარდაჭერას არავის ვამადლი. იქ სასტიკი რეჟიმის მიერ დაჩაგრული მწერლისა და გამომცემლის გასამხნეველად მივედი, იმის მიუხედავად, რომ დიდად არ მწყალობდნენ და მყარი ერთგულების გამოვლენის სანაცვლოდ არც ფავორიტებში ვირიცხებოდი და არანაირი ჟანრის ნაწარმოებს ჯიუტად არ მიბეჭდავდნენ. გიორგი ლობჯანიძე როსტომთან მუშაობდა და მეგობრობდა; მას შემდეგ ერთმანეთს შემთხვევით და კანტი-კუნტად ვხვდებოდი; მისი სახელის ზრდის პარალელურად მე წინ წაწევა დიდი ძალისხმევით ფასად მიჯდებოდა, რადგან მკვეთრი ეროვნული პოზიციის პატრონს არც ლიბერასტები მწყალობდნენ და არც პატრიოტები. ამ უკანასკნელთ მხოლოდ გლადიატორად ვჭირდებოდი და „მუქთი მეგრძოლის“ სტატუსს ჯიუტად მაჩვენებდნენ. როდესაც იმ წესებს არ ემორჩილები, რაც წინსვლისთვის აუცილებელია, წუნწინი თვალთმაქცობის ტოლფასია; ნელან ამიტომ ვთქვი, რომ ერთ სარბიელზე ყოფნა მსგავს ხვედრს როდი ნიშნავს. გააჩნია, ვინ რა გზას ირჩევს. მე თავიდანვე დამოუკიდებლობისკენ ავიღე გეზი და ამის საზღაურს ძალუმად ვიძიდი. გიორგი ლობჯანიძე წინდახედულობის წყალობით თავიდანვე ელიტაში გაერია, ჯილდოც ძალუმად შეირგო და არც ჯეროვანი გავლენა დაკლებია. რაც მართალია, ლიბერასტების ბომონდსა და ეროვნული მწერლობის გავლენიან მესვეურებთან მეგობრობას თავს ყოველთვის საუცხოოდ ართმევდა; მე მსგავსი დიპლომატიის ანბანს ამკარად ვერ ვფლობ და შესაბამის შედეგსაც მოკრძალებით ვჯერდები. მოკლედ, სად მსოფლიოში მოგზაური ელიტის ნებეირის ტრიუმფალური ვოიაჟები და სად ულტრანაციონალური აზროვნების მწერლის ადგილობრივი წარმატებები, გლობალური დათბობის ფონზე მოსაყოლადაც რომ არ ღირს. ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც ერთხელ „ლიტ. გაზეთში“ მისი პოემის სტრიქონები ამოვიკითხე: „მამუგია არც ღმერთია და არც ჰომოსექსუალი.“ ეს ფრაზა მრავლისმეტყველია და მწერლის პოზიციას დაუფარავად ამჟღავნებს. როგორც ნაწარმოების შინაარსიდან ირკვევა, სტუდენტობის წლები ორივეს სტუდენტალაქის სიდუხჭირეში გაუტარებია და პოეტის რემარკა იმ ადამიანებისთვის ერთგვარ გაფრთხილებასავით ჟღერს, რომლებიც სანამ მრავალჭირგამოვლილ მგოსნებს ჯვარზე გააკრავდნენ, ხელმოკლეობის კურსი ჯერ თავად გაეცლოთ; წონიანი სიბრძნეა (ეჭვგარეშეა, აღმოსავლური), თუმცა არა მგონია ეს უცვლელი სპეკულირების საგნად გა-

მოდგეს, მით უფრო, როდესაც ორივე პოეტმა უსახსრობას თავი წარმატებით დააღწია და ამას მხოლოდ გამორჩეულ ნიჭსა და ლამაზ თვალებს არ უნდა უმადლოდნენ, რამეთუ მსოფლიო ხელოვნების ისტორია არაერთი გენიალური შემოქმედის ტრაგიკული ბიოგრაფიის მოწმეა, რომელთაც მაღალი ტალანტი სიღარიბის დაძლევის საპირწონედ, სიცოცხლის დათმობის ფასად დაუსვეს. დედამინის დალაშქრვა არ სჭირდება ამის ცოდნას; მაღლობა ღმერთს, წიგნების კითხვა ჯერ კიდევ არ აუკრძალავთ, არც ბიბლიოთეკები გაუუქმებიათ(მათი გადაიარაღება ცალკე თემა).

მოკლედ, მან იცოდა, რომ ნაუკითხავს არაფერს ვტოვებ, ამიტომ ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც თქვენი მონა-მორჩილის მორიგი, აკრძალული სტატია დააგემოვნა, ჩემი შემართებით განიარაღებულმა ალაღად მითხრა, თუ გინდა, გამაკრიტიკეო. გამეცინა, რადგან ნებადართულს ვერც კრიტიკას ვიტან და ვერც სხვა სახის დირექტივებს. გულმა თუ არ გამინია, ხელს ვერაფერს ვახლებ. ჩემთვის პუბლიცისტიკაც შთაგონებაა, სადაც ფაქტების შეუვალლობის მიუხედავად სიმშრალე მაინც არ ისადგურებს; ასეა, როცა პოეტი-კრიტიკოსი შთაგონებით ქმნის და ორ, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ საწყისს ერთმანეთს ძალდაუტანებლად უხამებს. ეს უკვე სტილის თვისება და საიდუმლოებაა, რომელიც „სხვაზე არ გაიცვლება“; გასაკვირია, გიორგი ლობჯანიძე, შესანიშნავი მთარგმნელი და პოეტი ამას ვერ მიმხვდარიყო; ღრმავარაუდნად წერო, შეუნიღავი კეთილგანწყობით ამიტომ მიმეორებდა. აბა რა რჯიდა ჩემისთანა მოუწვევლებელი მეამბოხის მისამართით სახიფათო კომპლიმენტები წინდაუხედავად ებნია?! ჩვენ ხომ ერთმანეთს შემთხვევით ვხვდებოდით და რაიმე წინასწარგამიზნული კლანური ინტერესი არ გვაკავშირებდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, დროდადრო მისი კეთილმოსურნეობა მეხამუშებოდა, იმის მიუხედავად, რომ საუბრების დროს პიროვნული სიმპათიის მუხტის ნაკლებობა არ იგრძნობოდა, არასდროს მაინც ვხვდებოდა, რომ ის საპირისპირო ბანაკში იმყოფებოდა და მე, ამ „მოუწვევლებელ ნაციონალისტს“, რომელიც მის ბომონდელ ძმაბიჭებს: იათაშვილს, შამუგასა და დანარჩენ მაღალანაზღაურებად გრაფომანებსა და ქართველთმოძულეებს თანმიმდევრულად ვაკრიტიკებდი, წესით უნდა გამრიდებოდა. სხვაგვარად ამ სასიამოვნო ურთიერთობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ის კი ჩემი მწვავე წერილებით აღტაცებას ვერ ფარავდა და მორიგ ნაღმს გაფაციცებით ელოდა. ერთია, როცა კოლეგები ერთმანეთის ნააზრევს მხატვრული მაჩვენებლის მიხედვით საზღვრავენ და აფასებენ. ყოველგვარი წინხისგან თავისუფალ სივრცეში ჩვენს თანხმიერებას არავინ არღვევდა და ამიტომ ძალიან მსიამოვნებდა, რომ ესოდენ მაღალი რანგის პროფესიონალი ჩემს სტილს უშურველად აქებდა, (ისე არ გამიგოთ, რომ მის გარდა სხვა ჩინებული პროფესიონალები ამის თაობაზე ავბედითად დუმდნენ...) თუმცა უხილავი ხმა იქედნურად ჩამძახოდა, რომ მსოფლმხედველობრივი უფსკრული ჩვენ შორის დამოკლეს მახვილივით აღმართულიყო და ადრე

თუ გვიან, თავს აუცილებლად შეგვახსენებდა; ჯერჯერობით ამ ბენვის ხიდზე გავლა არ გავკძნელებია, რაც სტერეოტიპებზე გამძლე კოლეგიალური პატივისცემით აიხსნება. როდესაც შენ გამორჩეული მწერლისა და თანატოლის შემოქმედებას იზმებისა და კლანებისგან დამოუკიდებლად, მხატვრულ ჭრილში აღიქვამ, სალი ურთიერთობა სახეზეა. ორმხრივი აღიარებისა და კეთილგანწყობის მუხტი შინაგან დაძაბულობას ანელებს. იმ პერიოდში „ლიტ, გაზეთის“ რედაქციაში წერილი გავგზავნე. აღმოჩნდა, რომ გაზეთის რედაქტორი გიორგი ლობჯანიძის გულითადი მეგობარი იყო და ერთხელაც კვლავ შემთხვევით რომ შემხვდა (რაც მართალია, ეს უნებლიე შეხვედრები ხალასი სიხარულისა და წრფელი საუბრების გამო ძალიან კარგად მქონდა დაცდილი), ამ თემაზე სიტყვა ჩამოვუგდე. ჩემი ეჭვი გულახდილად გავუზიარე: რადგან ეს გაზეთი კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამოდის, არა მგონია ირაკლი ჯავახიძემ აქ დამბეჭდოს-მეთქი. ჩემი ეჭვი გააქარწყლა, დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერალს დიხაც უფლება აქვს სამინისტრო გააკრიტიკოს და ნაკლოვანებებზე მიუთითოსო; თან გამამხნევა, ძალიან თბილად დასძინა, შენისთანა ღრმავარაუდნად და სერიოზულ ავტორს რედაქტორი გვერდს ვერ აუვლის, დამიჯერე, ასე მოხდებაო და როდესაც მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, კეთილი ღიმილით დაამატა, ხომ ხედავ, არ ვცდებოდიო. „ჩვენი მწერლობის“ დახურვის შემდეგ ეროვნულ მწერლებს სამოქმედო ასპარეზი პრაქტიკულად დაგვეხმო და „ლიტ. გაზეთში“ ახალი პუბლიკაციის გამოქვეყნება, რომელიც სხვა ბეჭდვით ორგანოსთან შედარებით ზომიერ მიმართულებას ინარჩუნებდა (აქ ეროვნულებსაც ბეჭდავდნენ და ნომენკლატურასაც მაშინ, როდესაც „ახალი საუნჯე“ და „არილი“ ლიბერასტების ბუდედ ქცეულიყო), ნებისმიერი შემოქმედისთვის აქტიურობის მაჩვენებელს უდრიდა. კოლეგებისა და მკითხველების მხრიდან მომდინარე გამოხმაურებამ ეს დაადასტურა; უამრავი ქათინაურის შემდეგ საქმეს გაორკეცებული ენერგიით ვუტიე; რაც მთავარია, გაუჩერებლად ვწერდი და პარალელურად ინტერნეტსივრცეში სოლიდური და გემოვნებიანი პუბლიკის შექმნისა და გაფართოების მხრივ საგრძნობ წარმატებას მივაღწიე. ამასობაში ჟურნალმა „აფრამი“, რომლის მორიგე რედაქტორი ცნობილი კრიტიკოსი და მთარგმნელი ლევან ბრეგაძე იყო, მარსიანის ძალზე მნიშვნელოვანი, მწვავე, ვრცელი სტატია დაბეჭდა, რომელიც ჩემი ბოლო კრიტიკული კრებულის“ ძირს ომერტას!“ შეფასებასთან ერთად წლების წინ გამართულ ცხარე საგაზეთო პოლემიკას ფართო კონტექსტში აანალიზებდა და მკითხველს თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შესახებ მრავალმხრივ დაკვირვებას, ობიექტურ შეფასებასა და მაღალპროფესიულ დასკვნებს სთავაზობდა. სიმართლე რომ ითქვას, ამ მძაფრი სტატიის დასტამბვის იმედი არ მქონდა და როდესაც მარსიანმა ეს სასიხარული სიახლე მაცნობა, არ დავიჯერე; ჩემი წიგნი ხომ ყველა რედაქტორისთვის დიდი გამოწვევაა, რადგან შუალედურ პოზიციას არავის უტოვებს: აქ მუდამ ფაქტებზე დამყარებული

სიმართლეა ასახული, რაც არცერთ მხარეს აძალევეს ხელს და უცებ, „აფრა“, თავისი ღირებული მხატვრული დონისა და არც თუ თვალშისაცემი ეროვნული პრიორიტეტების გამომხატველი ბექდვითი ორგანო, ესოდენ გაბედულ და სტერეოტიპების შემმუსრავ წერილს ოფიციალურად გზას უხსნიდა! ეს მართლაც უიშვიათესი პრეცედენტი მოწმობდა, რომ მამალმერთივით უხილავ პლანში გადასული ცენზურა პოზიციას თმობდა, თუკი ბერკეტი მიუკერძოებლად მოაზროვნე კრიტიკოსს ხელთ ეპყრა; აქვე აღსანიშნავია, რომ ერთი წლით ადრე იმავე წურნალში ლევან ბრეგაძის უშუალო მონაწილეობით (იგი მაშინაც მორიგე რედაქტორი გახლდათ) მარსიანის სხვა, ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანმა პუბლიკაციამ იხილა დღის სინათლე, სადაც არც მეტი, არც ნაკლები-ჩემი პოეზიის აღმატებითი შეფასება ავტორის გენიალობას ხაზს ოფიციალურად უსვამდა. სიმართლე რომ ითქვას, არც ამ რეცენზიის დაბეჭდვის მჯეროდა, სანამ „აფრა“ არ გამოვიდა და ზემოთდასახელებული წერილი საკუთარი თვალთ არ ვიხილე (ეს წერილი სახელწოდებით „ნატიფ ენიგმათა მქსოველი“ თავდაპირველად გიორგი კეკელიძის მიერ დაარსებულ ლიბ. ჯი-ზე 2011 წელს ელექტრონული სახით განთავსდა, ხოლო მოგვიანებით მცირედ სახეცვლილი ჩემი ახალი პოეტური კრებულის „ქვიშის გალაქტიკის“ (2017) წინასიტყვაობად გამოქვეყნდა.); „კავკასიურ სახლში“ მასალის ჩასასწორებლად მისულ ბ-ნ ლევან ბრეგაძესთან (იმ დროს მეც იქ ვიმყოფებოდი და ცნობილი კრიტიკოსის საქმიან ვიზიტს შემთხვევით შევესწარი) გამართული დიალოგიდან გაირკვა, რომ ის მარსიანის, როგორც კრიტიკოსის გამორჩეულ ნიჭს უაღრესად აფასებდა და მის ინტუიციასა და აზროვნების სტილს ანგარიშს უწევდა. „აფრაში“ დასტამბულმა სტატიამ ეს დაადასტურა. მოკლედ, თავი სიზმარში მეგონა, რადგან მოვლენები ისე წაენყო, სოლიდურ წურნალებსა და გაზეთში ჩემ შესახებ გამოსული მნიშვნელოვანი რეცენზიებით ლამის რეკორდი დავამყარე, ფორტუნა თვალშისაცემად მწყალობდა და მასთან ვერც ყოვლისშემძლე ცენზორმა აუშვა ჭირვეული აფრები! ეს ხომ ორლობის დონისა და საეჭვო დილეთანტების მიერ ნაჩქარევად გამოცემული მორიგი კრებული არ იყო, არამედ მთელი წლის მანძილზე საგულდაგულოდ მომზადებული სერიოზული წურნალი გახლდათ, რომელსაც უცხოელი ქველმოქმედი აფინანსებდა და როგორც ჩანს, ადგილობრივ ცენზორებს ხელიდან ამ მიზეზით დაუსხლტა; მთავარი რედაქტორის (ნაირა გელაშვილისა) და მორიგე რედაქტორის მიერ გამოვლენილმა კეთილგანწყობამ (არ გამოვრიცხავ, რომ ამის მიზეზი მარსიანი იყო და მე მხოლოდ, როგორც ორივე წერილის მთავარ პერსონას, გვერდს ვერ ამივლიდნენ) ჯეროვანი შედეგი გამოიღო და რაც აკრძალული წერილების დაუბეჭდაობით მიღებულმა მწარე გამოცდილებამ გულისტკივილი მარგუნა, ამჯერად აქ გამომჟღავნებულმა კეთილმა ნებამ ესოდენ სასიხარულოდ გადასწონა. გიორგი ლობჯანიძესთან ამ ილბლიან პერიოდზე არასდროს მისაუბრია, თუმცა წესით, როგორც „აფრის“ ინტენსიურ მკითხველსა და

„კავკასიური სახლის“ აღმოსავლური განყოფილების ხელმძღვანელს წურნალის შინაარსი უნდა სცოდნოდა, თუნდაც იმის გამო, რომ „აფრა“ წელიწადში ერთხელ გამოდის და გიორგის აქ მორიგე რედაქტორად არაერთხელ უმუშავია. როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ჩვენ ინტერნეტში აფეთქებულმა ყუმბარმტყორცნებმა შეგვაკავშირა და როდესაც მორიგი აღმამფოთებელი ფაქტი-კულტურის სამინისტროს მიერ აჭარაში 1959 წლიდან გამომავალი წურნალის „ჭოროხის“ გაჩერება ახალი სტატიის მეშვეობით „ეროვნული წურნალის ხვედრი თანამედროვე საქართველოში“ გავაპროტესტე, (ჩემი სტატია ინტერნეტში საკუთარ გვერდზე განვათავსე) მან მთხოვა თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგად ტენდენციებზე საგანგებო სტატია დამეწერა. მოულოდნელმა შემოთავაზებამ ორმაგი განცდა აღმიძრა. გამოტყუილად ვაღიარებ, სიხარულწარევმა შფოთმა დამრია ხელი. ის ფაქტი, რომ შეკვეთას პრაქტიკულად არასდროს ვასრულებ, დასახელებული თემის აქტუალობამ და კოლეგისადმი პატივისცემამ დასძლია: პოეზიის გარდა აქტუალური თემები კრიტიკული ანალიზის ჭრილში მიმოვიხილე და გიორგის გამოცდილმა თვალმა სწორედ ეს ჯერჯერობით „შეუსწავლელი“ უბანი მონიშნა და პირდაპირ საქმიანად მთხოვა უახლეს პოეზიაზე საკუთარი შეხედულებები წერილობით ჩამომეყალიბებინა.

– ეს გამოწვევაა! – ღიმილით შევესიტყვე

პრაქტიკულად ყველა პოეტს გადამკიდებ! მწერლები და კრიტიკოსები ისედაც დიდი ხანია მერჩიან, – ხელები არტისტულად გავეშალე

– შენ და შიში? – თვალბში გაოცება ჩაუდგა

– შიში არაფერ შუაშია. პოეტების გადამტერების გარდა უფრო სერიოზული მიზეზი მამუხრუჭებს, – ფიქრიანად დავძინე

– რა? – მჟღერ ხმაში მოუთმენლობა შეეპარა

ამკარად არ ელოდა, თუ შევყოყმანდებოდი, მან ხომ ჩემი კრიტიკული წერილების შიგთავსი უკვე სათანადოდ იცოდა და ისიც მშვენივრად მოესხენებოდა, რომ ექსტრემალების მსგავსად განსაკუთრებით სახიფათო თემებს დაუფიქრებლად ვეტანებოდი.

– ცენზურა. დაკვეთით არასდროს ვწერ, რადგან ეს ფაქტორი თავისუფლების ხარისხს ზღუდავს. შენ, როგორც რედაქტორი, იძულებული იქნები, რაც არ მოგეწონება, ამოიღო, ამით კი წერილი დაზარალდება. ჩემი სტილი მაქსიმალურ სიმძაფრეზეა ორიენტირებული, ამიტომ ფაქტებს ვერავის ხათრით ვერც შეცვლი და ვერც დავამახინჯებ, – პატიოსნად გავაფრთხილე

ახალი მოცემულობა სხვაგვარი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებდა; იმასაც ვხვდებოდი, მას რომ ჩემი მორიგი ყუმბარა უცვლელად გაეშვა, სხვები ამას არ დაანებებდნენ. ზემდგომ ცენზორებს სწორედ ეს ავალათ და არ მიწოდდა ხალასი ურთიერთობა მოულოდნელი მეჩჩის გამო ამღვრეულიყო; ეჭვიც არ მეპარებოდა, მას კეთილი ზრახვა ამოძრავებდა, როდესაც ჩემი პუბლიცისტიკის გაცნობისთანავე იდეა დაეზადა „აფრაში“ დავებეჭდე, რაც მანამდე აქ არავის შემოუთავაზებია, იმის მიუხედავად, რომ „კავკასიური

სახლის“ ორბიტაზე ზუსტად ოცი წლის წინ გამოეჩნდა და მისი დიასახლისის კეთილი ნებით აქ 1997 წლიდან 2000წლამდე, სანამ შენობა ახლანდელ იერ-სახეს მიიღებდა, ახალგაზრდული სალონის, „დიაოხის“ ეგიდით თავყრილობებს ინტენსიურად ვმართავდი. დროის მდინარებამ ცხადყო, აქ ჩემისთანა ეროვნული პოეტის ადგილი არ იყო; ეს ვიცოდი და არც არავინ შემინუხებია, გინდა თუ არა, შემამჩნიეთ, დამასაქმეთ ან დამაფასეთ-მეთქი. და უცებ, გიორგის ინიციატივამ ჟურნალში ჩემს წერილს დღის სინათლე ეხილა, მრავალმხრივ ამაღელვა. როდესაც კოლეგა შენს წარმოჩენას ცდილობს, საქმე საშაროდ არ უნდა გაუხადო. არადა, ეს მოცემულობა მყარად მაქვს დაცდილი; მე ხომ იმგვარ „საშიშ“ თემებზე ვწერ, რასაც სხვები არ ახმაურებენ და ამიტომ კონფორმისტებისა და ათასი ჯურისა თუ მიმართულების მწერლისა და კლანური დავგუფებების რისხვასა და გალიზიანებას ვინეგ ხალხისა და პატიოსანი თანამოკალმეებისგან განსხვავებით, რომლებიც მწერლობის გასაჯანსაღებლად მიმართულ ჩემს მრავალწლიან ბრძოლას სათანადო გაგებით ეკიდებიან. თურმე რაოდენ უტყუარია გამოთქმა, რომ „სიმართლეს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და ცოტა დამცველი.“ სამწუხაროდ, ლიტერატურულ ჯუნგლებში ამ გზაზე სიარული იმდენად სარისკოა, ამის აღწერას ტომეულეები არ ეყოფა. ჩემი პუბლიცისტიკა ზუსტად ამ უსასტიკეს ჭიდილს ასახავს, რომელსაც ყურმოკვრით კი არ ვიცნობ, არამედ, ამ უშელავათო ბრძოლაში აქტიურად ვმონაწილეობ და რაც თავს გადამხდენია, ფაქტების მეშვეობით გადმოვცემ. გიორგი ლობჯანიძემ ეს იცოდა; მანამდე საქმის კურსში რომც არ ყოფილიყო, ინტერნეტში გაგრძელებული ომების ამსახველ ქრონიკას პირადად ეცნობოდა და თვალნათლივ ხედავდა კონფორმისტებთან უწყვეტ ბრძოლებს რომ ვანარმოებდი. ჩვენ შორის გამართული დიალოგი პრელუდიაა ვით გაისმა; დავმშვიდდი, რადგან მან აღქმითქვა, რომ რედაქტორის ფუნქციის გათვალისწინებით წერილს უცვლელად, უმცირესი ჩასწორებების გარეშე დაბეჭდავდა. დანაპირებით გამხნეებული საქმეს შევუდექი; იანვრის თვეში სტატია „აფრაში“ უნდა გადაემეგზავნა და იმის მიუხედავად, რომ იმჟამად უკვე ახალი პოეტური კრებულის გამაღებულ სამზადისზე გადავერთე, სტატია დროულად დავასრულე და შეთანხმებისამებრ მორიგე რედაქტორის იმეილზე გადავამისამართე. იმჟამად გიორგი ლობჯანიძე დამასკოში რომელიღაც კონფერენციაზე მიიწვიეს; როგორც კი ჩამოვალ, სტატიას დავაგემოვნებო, წასვლის წინ დამიბარა. ამასობაში „ლიტ, გაზეთში“ ჩემი ლექსებიც გამოქვეყნდა, რისთვისაც ირაკლი ჯავახაძეს მადლობა გადავუხადე. სატელეფონო საუბრის დროს მორიგი მასალის გაგზავნაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ეს წერილიც ვუხსენე. იგი უმალ დაინტერესდა და მთხოვა, მისთვის სტატია მიმეწოდებინა, თუმცა უარზე დავდექი: არ მინდოდა გიორგი ლობჯანიძის დაუკითხავად პუბლიკაცია თუნდაც მისი მეგობრისთვის მიმეწოდებინა. ეს რედაქციული წესისა და ზოგადად ეთიკის დარღვევად მივიჩნიე. ი. ჯავახაძე შემპირდა, რომ ამ ამბავს საიდუმლოდ შეინ-

ახავდა, მაგრამ სიტყვა არ გადავთქვი; მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ლობჯანიძემ მისალმებისთანავე მითხრა: -შენი წერილი წავიკითხე. ძალიან კარგი სტატიაა. ამის შესახებ როსტომ ჩხეიძეს ვუთხარი (ადრე მითხრა, რომ მწერლებიდან მხოლოდ როსტომთან და ირაკლი ჯავახაძესთან მეგობრობს) ბუნებრივია, ამან ძალიან გამახარა. დავრწმუნდი, რომ მორიგე რედაქტორი პირობას არ დაარღვევდა და ესოდენ მწვავე პუბლიკაციას, რომელიც მის მეგობრებს: იათაშვილს, შამუგასასა და მათ დოსტებს ფაქტების მეშვეობით მწვავედ აკრიტიკებდა, „აფრაში“ დაუბრკოლებლად გამოქვეყნებდა. ამ განაცხადს მარსიანიც შეესწრო. მას ჩემზე მეტად ეეჭვებოდა, რომ ამ შინაარსის სტატიას „კავკასიური სახლის“ ეგიდით მწვანე შუქს აუნთებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, პარადოქსების ზონაში უშიშრად შევბიჯეთ და ილბლის გამოისობითა და ცენზურის სავალალოდ ამის სანინალმდეგო არაფერი გექონდა. რადგან გიორგიმ წერილი ასე შეაქო; მეტიც მისი ღირსება როსტომის ყურამდე მიიტანა, ამ გარემოებით ვისარგებლე და ვამცნე: სტატიას ბარემ ირაკლი ჯავახაძეს წავაკითხებ, თუ არ გააპროტესტებ-მეთქი; მოკლედ, ვუამბე მანამდე მისი ძმაკაცი როგორ გავანბილე; გაეცინა და შენ მართლა საოცარი ვინმე ხარ, ეთიკას ასე რომ იცავო, დასძინა. ცალკე თემა „ლიტ. გაზეთის“ რედაქტორმა ამ პუბლიკაციის შემდეგ ჩემთან ურთიერთობის პოლიტიკა ტექნიკურად როგორ გაამკაცრა; უსიტყვოდ გავუგე, ის კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამომავალ გაზეთს ხელმძღვანელობს და ამ სივრცეში საერთოდ რომ გამაჭაჭანა, ესეც დიდ რამედ ღირდა! წინასწარ გავაფრთხილე, მშობლიური სამინისტრო რამდენჯერ გავუკრიტიკე და ამიტომ არ დავადაწამაულებდი თუკი აქ ჩემსას აღარაფერს დასტამბავდა; ფაქტია, საგანგებო დირექტივა ექნებოდა, ურჩების პოპულარიზაცია არ უზრუნველყო და პროტესტანტები არც ჰმონორარებით გაენებივრებინა. მან ინსტრუქციას ორჯერ გადაუხვია, რაც სხვათა შორის, არც ისე ადვილია. მე არც მისი ახლობელი ვარ და არც თუნდაც შორეული ნაცნობი. კარგ ავტორად თავისით გამამწესა, რადგან მისთვის არანაირი პრეტენზია არ წამიყენებია, არაფერზე გამოვდავებვიარ და ავხირობივარ; სამწერლო პროცესებზე იმდენად უშუალოდ ვსაუბრობდით, დაუფარავად გამანდო, რომ თავნება მწერლებისგან სიცოცხლეგაბეზრებულს ხშირად ათასი ხუმტურის გათვალისწინება უხდება; მე არჩეულ გზას არასდროს ვლაღატობ და ბოლო-ბოლო ჩემ გამო სამსახურს ვერ გამოეთხოვებოდა; რაც მართალია, გრანელზე დაწერილი სტატია და ლექსები იმდენად ოპერატიულად გამოიქვეყნა, მისი მისამართით მადლიერების გარდა საყვედური რომ დამცდენოდა, უპირველესად საკუთარი თავისადმი პატივისცემას დაეკარგავდი. ახალმა წერილმა იგი საბოლოოდ მიახვედრა, რა მოურჯულეველ მეამბოხეს გადაჰყროდა(მანამდე ჯავახაძეს „ძირს ომერტა!“ ვუსახსოვრე, თუმცა ვეჭვობ უდროობის გამო ჩემს წიგნს გასცნობოდა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ კრებული გულდასმით წაკითხა და შესაბამისი დასკვნა სწორედ მაშინ გამოეტანდა; ჩემისთანა პროტესტანტ-

ისგან თავი რაც შეიძლება შორს დაეჭირა); მოკლედ, უხილავი ცენზურა კვლავ ფენიქსისებრ აღდგა და ჩემს გაკონტროლებას უხამუროდ ცდილობდა. ვერაფერი ბედენაა, ამის გამო ადამიანები, თუნდაც რედაქტორები მოიმედურო, მაგრამ სიმართლის დაცვას თავისი საზღაური ახლავს და გინდა ლი მასტერსის ლექსის სტრიქონები გაიმეორე ტირან რედაქტორებზე, გინდა მათ გამოსააშკარავებლად ახალი ჰიმნი ჩააბულბულე, არსებულ მოცემულობას ძვრას ვერ უყოფ. ჩვენში დარჩეს, საქმე სადარდებლად არ გამხდომია: გიორგი ლობჯანიძის სიტყვას ვენდობოდი. აკი დანამდვილებით დამარწმუნა, რომ სტატიის შინაარსში არ ჩაერეოდა; უფრო მეტიც, წერილი იმდენად მოენონა, თავისი ალტაცება როსტომ ჩხეიძეს გაუზიარა; ეგებ სტატია ნაკითხა კიდევ; მოგვიანებით, ამავე სახლის ერთმა გულისხმიერმა და ფრიად ერუდირებულმა მთარგმნელმა მიაბო(მას ჩემთან ხანგრძლივი, ინტელექტუალური საუბრები ძალიან იზიდავს: არაჩვეულებრივი მთხრობელი და კოლორიტული ფიგურაა, რის გამოც სიამოვნებით ვუგაგებ ხოლმე ყურს), თურმე გიორგი და კავკასიური სახლის დიასახლისი კმაყოფილები როგორ იცინოდნენ და იკას ეს რა დაუნერია თანამედროვე პოეტებზე, თავი რომ მოაქვთ, როგორ გაუკრიტიკებიაო, თურმე ალტაცებას ვერ მალავდნენ; აქვე დასძინდა მათ აზრს ვეთანხმები, ეგენი სადაური პოეტები არიან, კარგია, რომ სიმართლე არ შეალამაზეო. ბუნებრივია ამგვარი რეზონანსიდან გამომდინარე წერილის დაბეჭდვას მოუთმენლად ველოდი. და აი, მისის მეორე კვირის დასაწყისში ალელეებულმა მარსიანმა მამცნო, რომ მისთვის გიორგი ლობჯანიძეს ჩემი მობილურის ნომერი უთხოვია; შენუხებულმა დააზუსტა: წერილთან დაკავშირებით პრობლემებია, მოკლედ, ამ სტატიას ვერ გაუშვებო. ამ ფაქტით შემფოთებულ მარსიანს უთქვამს ყველაფერი უშუალოდ გაარკვიეთ, მე აქ შუამავლობას ნუ დამაკისრებთ, უხერხულიაო. გაოცება დამეუფლა. მარსიანი ჩემზე მეტად ნერვიულობდა, ამასობაში გიორგიმ დამიძახა და მე მის კაბინეტს საკმაოდ უხალისოდ მივაშურე. ადამიანის სახის გამომეტყველება არ გამომეპარება. მაშინვე მივხვდი, გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად შინაგანად აფორიაქებულს საუბრის დანწყება უძინელდებოდა.

– ეს რა დაგინერია! ამას „აფრა“ ვერ გაუშვებს. ჯერ ერთი მე სერიოზულ მწერლად აღგიქვამ და შენ აქ პოეტებს ლანძღავ, – ეს რომ მითხრა, მივხვდი, ქარი საიდან უბერავდა

მღელვარების მიუხედავად ცდილობდა ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა

გამელიმა. გამოცდილი თანამოსაუბრის დიპლომატიას მუდამ გაგებით ვეკიდები, თუმცა აქ ამ ტერმინის პროვოკაციული ხსენება სიმართლეს არ შეესაბამებოდა; როგორ შეიძლება იათაშვილი, მით უფრო შამუგია გალანძლო მათ ენაზე?! მაშინ თავადაც იმნაირი უნდა იყო და ანალოგიურ უცენზურო ლექსიკას ფლობდე და იყენებდე. მე კი ამგვარ ხელმოსაჭიდს არავის ვუტოვებ, რაც შეუმჩნეველი არც მტერს რჩება და არც – მოყვარეს. პირიქით, ზოგიერთი კოლეგა იმასაც მსაყ-

ვედურობს, რომ ანტილიტერატურის უხამს წარმომადგენლებს ძალზე დახვეწილად ვაკრიტიკებ და უცებ ეს ტერმინი „ლანძღვა“ მურმანის ეკალივით სახიფათოდ ამოიზარდა. ცხადია, გიორგი ლობჯანიძე გალმა გამოდავების სტრატეგიას დაეყრდნო; ადრინდელი შეფასება მთლიანად უარყო თუ უკან წაიღო და აქეთ მომედავა, ამ კდემამოსილ ჯენტლმენებს აუგი როგორ ვკადრე; ამავდროულად ძალიან მიყვარხარო, სირბილენარევი დაჟინებით მიმტკიცებდა. გამეცინა. ქართული სიყვარულის პერიპეტიებს იმდენად საუცხოოდ ვწვდები, ვერც წონიანი ფიგურა ან გავლენიანი პოლიტიკოსი შემიცვლის შეხედულებას და ვერც ჭირ-ვარამში მრავალგზის გამოცდილი უახლოესი მეგობარი. თურმე პრინციპულად არ მეთანხმებოდა, როდესაც ეს პავეტები მაკულატურის სტომაქს უყოყმანოდ გადავულოცე.

შენთან კამათს არ ვგეგმავ, რადგან მათზე საპირისპირო შეხედულება გამაჩნია. ჩემ თვალში ისინი პოეტები არ არიან, ამიტომ ჩემს გადარწმუნებას ამაოდ ეცდები. სად ვლანძღავ? უზრდელურს არაფერს ვაკადრებ. თუნდაც ერთი მაგალითი მომიყვანე, რომ პიროვნულად ვამცირებ და კი ბატონო, გავჩუმდები. საზოგადოებას უდიერად თვითონ ექცევიან და ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, –!

– ჩემმა სიმშვიდემ მასზე სათანადოდ იმოქმედა. ამავდროულად ორივე მშვენივრად ვაცნობიერებდით, რომ ლიმიტნარევი ტონი საჩოთირო ვითარებას კულტურულად განმუხტავდა. მივხვდი, ცენზურის კლანჭებში მოხვედრილს შავი დღე ადგა; ჩემი განაწყენება ნამდვილად არ უნდოდა, მაგრამ უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა;

– მე რომ გაგელანძღე, ამაზე თვალს დავხუჭავდი, მაგრამ სწორად გამიგე, პრინციპულად არ გეთანხმები, შამუგია ძალიან ნიჭიერი პოეტია, – კვლავ განაგრძო

ეს შენი აზრია. მე სხვაგვარად ვფიქრობ. შამუგია კი არა, მიქელანჯელო და გალაკტიონი დაუყენებიათ ეჭვქვეშ, ამაზე ნულარ ვიდავებთ. ერთს გკითხავ: ეს წერილი როცა წაიკითხე, მახსოვს როგორ მოგენონა; ძალიან კარგი სტატიააო მარსიანის თანდასწრებით მაშინვე მომახარე. ოთხი თვის შემდეგ რა შეიცვალა? ახლა აღმოაჩინე, აქ რა ეწერა? – გულწრფელად მაინტერესებდა თავსატეხად გარდაქმნილ სიმართლეს თუ გამიმხელდა

– მონიტორზე სხვანაირად წავიკითხე, – უხერხულად შეიმშუშნა

ამჯერად გულიანად გამეცინა.

– ეს რა, კურიოზია? – სიცლით ჩავურთე მონიტორზე სხვა ტექსტი იყო აკრეფილი და თაბახზე შინაარსი შეიცვალა? მეცნიერული ფანტასტიკის ჟანრზე ხომ არ ვმსჯელობთ. ეს ცენზურაა. გულის სიღრმეში ვხვდებოდი, ასეთ მწვავე წერილს აქ რომ არ დაბეჭდავდნენ. მხოლოდ ეს თავიდანვე უნდა მცოდნოდა. აკი გაგაფრთხილე და შენ აღმიტყვი, რომ რედაქტორის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე სტატიას დაუბრკოლებლად და ჩაუსწორებლად გამოაქვეყნებდი. შენ სიტყვა მომეცი! – აუღელვებლად შევახსენე

გალიმებულ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა და

ხმადაბლა შენიშნა:

– ხომ გესმის, ეს სტატია აქ რომ გავიდეს, ისინი მთელ კავკასიურ სახლზე იერიშს მოიტანენ. დაგვაბრალებენ, რომ ჩვენ მათ ვებრძვით და შენი სტატიის მეშვეობით საჯაროდ ვაკრიტიკებთ. ნივნივაძე ხომ არ ხარ! - ვითომ მეხუმრა

ჯიქურ დავაცქერდი. უდაოდ იცოდა, ნივნივაძე-ეს სწორედ ავციობისა და უპრინციპობისთვის რომ დაუფიქრებდა; ეს პოლიემიკა „ძირს ომერტაში!“ ფაქტებითაა გადმოცემული და უცებ, ამ მუხანათი კარიერისთვის თანდაყოლილი უხამსობა წარბეჭედრულად მომანერა! ეს უსამართლო, პროვოკაციული ელფერით დანიშნული რეპლიკა ყურს მიღმა გავუშვი, არ გავბრაზებულვარ; მივხვდი, ჩემთან საქმე რომ დაიჭირა, ამის გამო გვარნიანად შეაჯანჯლარეს და ამ ფრაზით ჩემზე ირიბად შურს იძიებდა.

– მონიტორზე სხვა რამ ეწერა არა?! - კვლავ თემას დაუბრუნდი და განვარძლე-საქართველოში სიტყვის დამოუკიდებლობა რომ არ არსებობს, ამჯერადაც დადასტურდა. დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასე რომ იყოს, განსხვავებული პოზიციის გამომხატველ სტატიას თუნდაც სარედაქციო მინანქრით გაუშვებდით! აი, ცენზურის თავი სად მარხია! – მიუკიბ-მოუკიბავად ვაჯახე

– ჩემი ჟურნალი რომ იყოს, მსოფლმხედველობრივი სხვაობის მიუხედავად ამ წერილს მაინც დავბეჭდავდი, - მიმივდ ამოთქვა

– გასაგებია, – იმ ტონით მივუგე, მიხვდა, ზღაპრების კარგა ხანია აღარ მჯეროდა – სტატია უკან დამიბრუნე. მალე ჩემს ჟურნალში გავა; ამონაბეჭდი რაში გჭირდება,-

– არა, წერილი ჩემთან დარჩება, – ფურცლები ფრთხილად წამოკრიფა

– როგორც გენებოს, – სახეზე კვლავ ღიმილი დამთამაშებდა ცენზურის მრავალმრიან საცეცხებზე გამალებით ვფიქრობდი; აქამდე მონიტორის თემა არსად შემხვედრია; ამგვარ ვერსიას ფანტასტიკის ფანრის ნაწარმოებში (დღეს მოდურად ფენტეზის რომ უწოდებენ) არსად გადავყრივარ...

– ახლა მეც მომდგებიან და ჯვარზე გამაკრავენ. ერთი სირიელი მწერალი ქალის რომანი ვთარგმნე; აღმოსავლური ტრადიციების სასტიკი კრიტიკაა, თანაც ძალიან თამამად და ძალიან უხამსად; ვიცი, ჩამქოლავენ!- უცბად ახალ თემას გაუხსნა სადინარი

– მე არ ჩაგქოლავ, ნუ გეშინია. ისე, რა თავზეხელაღებული ქალები ჰყოლიათ. მაინც ამით რას ამტკიცებენ?- მივხვდი, ეს საკითხი გარკვეული მიზნით წამოჭრა. გარეგნული თავაზიანობის მიუხედავად დაძაბულობის მუხტს განელება არ ეწერა; ცნობისმოყვარეობამ დამრია ხელი; ამ თემას შემთხვევით წინ არ წამოსწევდა; ეგებ ქვეტექსტი ირიბ გაფრთხილებას შეიცავდა

– ჰო. მაგრები არიან. ეს ორმოცდათ წელს გადაშორებული ძალიან მომხიბლავი, კლიმაქსიანი ქალია. ამით პოპულარობის მოხვეჭას ცდილობს. ჩამქოლავენ!- ხმაზე მხიარულება დაეტყო

– უხამსობის გარდა ტექსტს მხატვრული ღირებულება გააჩნია? – გამახსენდა, ეს ჩვენი ბომონდები სწორედ ამგვარ ავტორებს ინტენსიურად რომ ეტანებიან და თარგმნიან; მათ შორის ამ ფემინისტ აღმოსავლელ ქალებს პიდაპირ წითელ კოჭებს უგორებენ; სხვა თუ არაფერი, ამ სკანდალური თემების უწყვეტი სპეკულირებით მსუყე პრემიების კვალდაკვალ სასურველი საზღვარგარეთული ვოიაჟები და სარეკლამო პანელ-შეხვედრები (ლიტერატურულ თავყრილობებს ასე თვითონ უწოდებენ), ისევე როგორც ევროპულ წიგნის ბაზრობებზე მონაწილეობა გარანტირებული აქვთ. ამიტომ ჩვენი სვეცკი მწერალი მანდილოსნები თვითონაც ამ ვითომდაჯანყებულ აღმოსავლელ ჩადრიან პანტერებს ბაძვენ, მოურიდებლად ბილსიტყვაობენ და სექსის კულტს მამაკაცებზე უცენზუროდ ამკვიდრებენ; ძველი გამოთქმისა არ იყოს, „ქალმა თუ აინყვიტა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააბამსო“ რა დროს აგვიხდა! სულმნათ წინაპრებს რას გამოაპარებდა კაცი...

– მაღალმხატვრული ლიტერატურაა, – უყომბანოდ მომიგო-

– ისევე, როგორც შამუგასი ან მისი რომელიმე დობილ-ძმობილის ნაწლები. ანაზდად „ლიტ. გაზეთში“ გამოქვეყნებული მისი ერთ-ერთი ლექსის გამომწვევი სტრიქონი გამახსენდა: „შამუგია არც ღმერთია და არც ჰომოსექსუალი...“ – გულში გავიფიქრე, ხმამალა სულ სხვა რამ ვუთხარი-

– მაგ აღმოსავლელ ქალებს უმართლებთ; იღბალი დაჰყვათ. აგერ, შენისთანა მთარგმნელი მაგათ ნაწარმოებებს ოპერატიულად აქართულებს. მე რომ ასე დავწერო, დავიჯერო, ცნობილი სირიელი მწერალი ეგრევე აიტაცებს და მისი პოპულარიზაციით თავს შეინუხებს? აქ, საქართველოში ვერ გამოიქვეყნებია მართალი წერილი, ცენზურა იმ დონეზე აკონტროლებს ყველაფერს და უცხოეთში უანგაროდ ვინ გამაპიარებს? ეროვნული მსოფლმხედველობის მქონე ქართველ ქალებს მაგის ბედი ვინ მოგვცა! – სარკასტულ ღიმილს ველარაფერი მოუხერხე

რაც მართალია, აქ მან პასუხი ველარ გამცა და თუ რატომ, მკითხველი ამას უთუოდ თავისით მიხვდება.

ფაქტების დამახინჯება რომ არ დამნამონ, უახლეს ამბავს გაცნობებთ: მწვავე წერილის ნაცვლად „აფრაში“ სხვა სტატიას მიბეჭდავენ, სადაც რეკლამის – მსოფლიოს ყველაზე ვერაგი და ძლევამოსილი მბრძანებლის შესახებ უცხოელი მწერლების ნააზრევიდან ამოზიდულ ნაწყვეტებს ერთმანეთს ვუდარებ და სათანადოდ ვახარისხებ. ამასობაში გიორგი ლობჯანიძე კულტურის სამინისტროს მიერ შერჩეულ 29 ფავორიტთან ერთად ევროპის დასალაშქრად ფრანკფურტის წიგნების ბაზრობაზე მიემგზავრება. რა თქმა უნდა შამუგია, დეისაძე, ტურაშვილ- იათაშვილი და დანარჩენი ამფსონები ამაღლად ახლავს. დიახ, რეკლამა ცენზურის მბრძანებელიცაა ამავდროულად და ვისაც ეს მოცემულობა არ დავინყვებია, ადრე თუ გვიან ცენზურას პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებს...

ედღვნება ყველა ემიგრანტს დიდი სიყვარულით! ახალი ნოველა ჩემებო!!!

ციცი გურიელი

უნაპირო ნაპირი

(ნოველა)

ულამაზესი, მაგრამ მაინც არასასურველი ქალაქი, უცხო ხალხის გაუგებარი ენით, ნაძალადევი აუტანლობით შენუხებული სმენა - ვიდრე გახედვინამდე. გულისტკივილით ჩარჩენილი შეგონებების - „ნადი, ნადიო!...“ ზიზი...“

თვითმფრინავის ტრაპზე ფეხშედგმული, ერთიანად სინანულად ქცეული, გამწარებული ფორიაქით აპყურებდა ცას. უნდოდა დაემახსოვრებინა.

გაფიქრებამ - „ცა ყველგან ცაა!“ - თითქოს სიმშვიდე დაუბრუნა - იქაც ეს ცა დახვდება! უკან მოხედვის ეშინოდა, თითქოს მიტოვებული ბავშვობის ველიდან ეძახდნენ ნაზამთრალი გრძნობები... იმის შიშმა, რომ ვაითუ, ბოლო წუთებში ემტყუნათ ნერვებს - დედა გაახსენა...

ოოო... როგორ ჭირდებოდა ახლა, როგორ შეეხიზნებოდა დასამშვიდებლად, გასათბობად... თავის დაკარგვამდე გზააბნეულს საკუთარი სურვილით უნდა მოეძებნა ის ლურსმნები, უსამშობლოდ ჯვარცმულს რომ ჩაესობოდნენ მონატრების მწარე ტკივილებად და უკვე ხედავდა უსიყვარულოდ ამომშრალ, გვალვისგან დაბზარულ მიწასავით გადამსკდარ გულს...

ფრანგი მოხუცის მოსაველელად ჩასული, სენის მარცხენა სანაპიროზე, მონპარნასის ძველ რაიონში, პარიზის სამხრეთით ერთ ძველებური ყაიდის სახლში დაბინავდა. მუსიე კრისტოფი განათლებული, მარტოხელა ფრანგი აღმოჩნდა, რომელიც სორბონის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ფრანგულ ლიტერატურაში.

ოთხსართულიანი სახლის ზედა სართულზე ცხოვრობდნენ. სახლი მანსარდით მთავრდებოდა. ძალიან მოსწონდა ფართე და არაჩვეულებრივი რიკულებით მორთული კიბე. სისუფთავით ბრწყინავდა სადარბაზო, ულამაზესი მოზაიკის იატაკი ხომ ჰოლიდანვე ატყვევებდა მომსვლელებს. მუსიე კრისტოფმა მარიკას მანსარდის ოთახი მიუჩინა საცხოვრებლად, სადაც ძველებური, როკოკო-ბაროკოს სტილში ჩაკოკოროჭინებული სანოლი იდგა. ბარხატის უნაზეს, ხაოიან ფარდებზე ჭაობისფერი მწვანე ირხეოდა. მანსარდის ილუმინატორივით მრგვალი ფანჯარა და ოთახის კარი - პატარა და კოხტა აივანზე გადიოდა და მონპარნასის პროსპექტს გადააპყურებდა.

მონპარნასის პარიზის უძველესი რაიონია სენის მარცხენა სანაპიროზე. ამ უბანში იმთავითვე ხელოვან ხალხს უცხოვრია და ბერძნული მითოლოგიით - მონპარნასი - „მუზების სამყოფელი“ - დაურქმევიათ.

მარიკას, მუსიე კრისტოფის ლმობიერ და მამა-შვილურ იდილიაში უნევდა ცხოვრება. ამ უაღრესად კულტურულ და მშვიდ ფრანგს სახლის უკან ბაღში უყვარდა ჯდომა. ბაღი, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ხეების დამსახურებით - საკმაოდ ჩრდილიანი იყო. თვითონ იქვე, მუსიე კრისტოფის გვერდით საქანელა-სავარ-



ძელში უყვარდა მოკალათება. აპყურებდა ცას და რწევა-რწევით ფიქრობდა ხორციელ წუთისოველზე... პარიზული ცა ახსენებდა ქართულ ცას, თითქოს უფრო ლაჟვარდისფერს, უფრო მაღალს და განსაკუთრებულს... უსახლო იყო მისთვის ეს სახლი, უსიხარულო სიხარულით უხაროდა, უიმედო იმედი ვერ ათბობდა და უაპრილო აპრილებში ვერ შეიგრძნობდა გაზაფხულებს და არ უნდოდა ცხოვრება ჯოჯოხეთისთვის შეედარებინა... მუსიე კრისტოფი - ეს პატიოსანი ადამიანი არ აძლევდა ასე ფიქრის საშუალებას. უქმეებში გამოინკაპებოდა საუცხოო გემოვნებით ამორჩეულ ტანსაცმელში და როგორც წესი, - მარიკაც ჩაცმულ-დაბზარული, ხელკავით მიჰყვებოდა სასეირნოდ.

უყვარდა პარიზის ქუჩებში სეირნობა ბატონ კრისტოფს, უყვებოდა გოგოს ისტორიაზე, რომ პარიზის უძველესი სახელი „ლუტეცია“ იყო, „La ville lumier“ - ანუ სინათლის ქალაქი, რომელიც სენის ნაპირებზე გაეშენებინათ. მარიკა გადააპყურებდა სენას და უკვე მერამდენე - მრავლისმეტყველი სიჩუმით ამოვსებული წელიწადებით ცდილობდა აღმოეჩინა მისი მსგავსება მტკვართან, მაგრამ თითქოს ვერ მოედინებოდა, ვერ მოდუღუნებდა, ვერ ყვებოდა ისტორიად ქცეულ წარსულის ამბებს მტკვარივით... მერე თავისდაუნებურად, ხმამაღლა დასცდებოდა ლოცვასავით ნათქვამი - ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი საქართველოო!... კრისტოფი გაკვირვებული და წარბანეული შეხედავდა, ჭაღარა თმებზე ლილისფერძარღვებიან და ყავისფერლაქებიან ხელს გადაისმევდა და ეტყოდა: - აბა, ჩემო გოგონი, ქართული სულის ნაწილო! წამო, წავიდეთ - ჩამავალი მზის ალისფერი თმების განწინილი ცეცხლოვანების ფონზე მოვინახულოთ ეიფელიო!... და გასწევდნენ არქიტექტორ გუსტავ ეიფელის ლითონის კოშკისკენ, რომელიც პარიზის დიდებულ სიმბოლოდ მოიაზრებოდა.

სამშობლოს მტანჯველი მონატრება და გაუსაძლისი სურვილი - ქართველებთან ურთიერთობისა, აიძულებდა გაფაციცებული დაკვირვებოდა მოსიერნე ტურისტულ ჯგუფებს, სმენა ეძაბებოდა - ეგებ ქართულისთვის მოეკრა ყური... სეირნობიდან ვახშმად ბრუნდებოდნენ. მერე მუსიე კრისტოფი მსუბუქად ივანშმებდა, ძილი ნებისას უსურვებდა და საძინებელში შეიკეტებოდა. მერე თავადაც ღამის ფიქრების გრძნეულებში იკარგებოდა. მანსარდის ილუმინატორივით მრგვალი ფანჯრიდან გაჰყურებდა პარიზულ ღამეს, ფრანგულ მთვარეს - ხან ვერცხლისწყალივით მბრწყინავს და ხან კიდევ ჩანეულ ღამფასავით მბჟუტავს... დიდხანს არ ეკარებოდა ძილი. სინანულის ფერდობებზე აცრემლებული სევდით მოცურავდა დაურწყლებელი მონატრება, ფიქრები ატარებდა სამშობლოში, ამოგზაურებდა ბავშვობაში - ყველაზე ძვირფას და ულამაზეს სამყაროში. ერთმა ღამემ სოფელი და ბუბიასეული ეზო გაახსენა, დიდ მუხაზე ბუ ცხოვრობდა, რომელსაც ფეფო დაარქვა სახელად. მერე იმ ბუმ სამი პანია სასაცილო ბუქნაჭო გამოჩეკა და იმათაც დაარქვა სახელები - ბუკა, ბიბი და ბუბი! რამდენჯერ გამოუყვანია ბებია შუალამისას ბუების სანახავად - ისტდნენ და კუსავდნენ ყვითელ თვალებს ღუნღუნებში, ღაბუბი!...

...ეეჰ! შორს დარჩა ბავშვობა - მრავლისდამტევი ფილოსოფიური ფენომენი. იმ სამყაროსხელა გრძნობების არსებობა, რომლის ყველა ნაფიქრ-ნაგრძნობი ისევ ბავშვობისკენ გექაჩება, იქაური სისუფთავე გენატრება... მაშინდელი გრძნობების სისათუთე, სინალასე გკიდია გულის ავგაროზად და სადაც არ უნდა იყო, შენთანაა, შენშია... გაცოცხლებს და მზესავით გათბობს შიგნიდან, წყალივით გირწყულებს ნანატრ-ნაოცნებარს და სულში მომავლის იმედს გიხალისებს...

მუსიე კრისტოფი გრძნობდა ახალგაზრდა ქალის სულიერ წუხილს და ცდილობდა ყოფა შეემსუბუქებინა მისთვის - ასეირნებდა პარიზში და საფრანგეთის ქალაქებში ამოგზაურებდა, შვილივით უვლიდა და გვერდიდან არ იცილებდა. მარიკას უკვირდა მუსიე კრისტოფის უსაზღვრო სიყვარული ყველაფერი ქართულისადმი, განცვიფრებული კრძალვით შეჰყურებდა ამ ულამაზესი სულის ადამიანში უსაშველო დარდის სიდარბაისლეს და უამრავ კითხვის ნიშანს აწყდებოდა პირისპირ, ისევ აფიქრებდა ბედისწერის ამოუხსნელობა...

ერთხელაც, როცა ულამაზეს პროსპექტ „ელისეს მინდვრებზე“ — „La Champs Elises“-ე (რომელიც „ტრიუმფალური თალიდან“ „თანხმობის მოედნამდე“-ა გადაჭიმული და თავიდან ბოლომდე ულამაზესი პარკი-ბაღია) შემოდგომის ერთ-ერთ თბილ საღამოს სეირნობისას ახლდა მუსიე კრისტოფს, მოხუცი დაილაღა და ორივენი ჩამოსდნენ... ლამპიონების შუქზე კეკლუცობდა ელისეს მინდვრები, ყველაზე დიდი და ცნობილი გამზირი, რომლის სახელწოდებაც მოდიოდა აგრეთვე ბერძნული მითოლოგიიდან - საიქიოში, სადაც სათნო სულები ბინადრობენ - ელისეს მინდვრები ჰქვიაო - აუხსნა მუსიე კრისტოფმა.

ისხდნენ გარინდებულები. შემოდგომის თბილ საღამოსთან ერთად ჩაფიქრებულები. კრისტოფი დიდი ხანია ფიქრობდა მოეყოლა გოგონასთვის ისტორია, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი რამ განაპირობა მის ცხოვრებაში...

თრთოლვამეპარული, გაბზარული ხმით დაინყო მოყოლა იმის, რომ მარიკა მესამე ქართველი ქალი იყო მის ცხოვრებაში. ისინი, არა უბრალოდ ქალები, არამედ პიროვნებები იყვნენ, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეყოლება გულში და რომ საპატიო და განსაკუთრებული ადგილი ექნებათ მიჩენილი მის სულიერებაში, ვიდრე ცოცხალია.

...მაშინ კრისტოფის ოჯახი ჩრდილო-საფრანგეთში ცხოვრობდა - დედა, მამა და ბებია. იდგა 1970 წელი. ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი, საპორტო ქალაქ ჰავრში ბაბუის დანატოვარი ბიზნესით - გემთსამენით აგრძელებდნენ ბაბუის გზას და საქმეს. უყვარდათ მოგზაურობა და ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს საქართველოს ტურისტულად სწვეოდნენ. თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავებულებს ყოველი დღე დაკავებულ-განერილი მარშრუტებით ჰქონდათ დაგეგმილი. ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიას, ქალაქებს. მაშინ კრისტოფს კოლეჯი უკვე დამთავრებული ჰქონდა და სორბონისთვის ემზადებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც უცხოელების ავტობუსი მცხეთაში სვეტიცხოველს მიადგა. კრისტოფი აღფრთოვანებული იყო ტაძრის დიდებულებით, მაგრამ ჩამორჩა ჯგუფს და იქვე, ეზოში ტირიფის ქვეშ მდგარ სკამზე ფარატინა, ქერათმიან გოგონას მიუჯდა გვერდით, რომელსაც მისდა გასაოცრად ფრანგულის სახელმძღვანელო ეჭირა ხელში, გამოლაპარაკების სურვილი და - „Bonjour!“ - ერთად ნამოვიდა მისგან, გაცოცხლებმა გოგონამ გაკვირვება-დამორცხვებით შეხედა ფრანგ, ცოცხალ ფრანგ ბიჭს და მის გაცნობითი ხასიათის კითხვებს დაბნეული პასუხობდა, იმდენად რამდენადაც ფრანგულში წარჩინებული იყო, არ გასჭირვებია პასუხები. ამ დროს შეამჩნიეს რა ჯგუფში კრისტოფის არყოფნა, გიდი ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ. მაშინ აკრძალული იყო ნებისმიერ უცხოელთან გამოლაპარაკება, კრისტოფმა გიდს აუხსნა სიტუაცია, იქვე დადებულ რვეულს მისწვდა, მისამართი და აუცილებლად მომწერეო წერილი! - დაუტოვა, გადაეხვია, უცერემონიოდ ლოყაზე აკოცა და გიდს გაჰყვა... ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

ტაძრიდან გამოსულს ის გოგონა აღარ დახვედრიათ, არც იმის იმედი ჰქონდა დიდად, რომ ის ფერიასავით ქართველი გოგო მისწერდა წერილს...

ტური მალე დამთავრდა. საფრანგეთში დაბრუნებული კრისტოფი ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. ყოველ დღე საფოსტო ყუთს მოუსვენრად ათვალთვლებდა და სულ თვალწინ ედგა ფარატინა გოგონა, უსაშველო სიცისფრით ანთებული ფახულა თვალებით.

ერთი თვის თავზე ესტუმრა საქართველოდან ნანატრი გზავნილი. მთელმა ქუჩამ გაიგო მისი სინარულის მიზეზი, წერილიდან გოგონა იტყობინებოდა, რომ ფრანგულის მასწავლებლის უშუალო ჩართულობით, რომელმაც ასევე იცოდა ტაძრის ეზოში მომხდარი ამბავი - ყოველთვის გამოუგზავნიდა წერილებს.

ასე დაინყო მათი რომანტიკული საფოსტო ურთიერთობა. წერილები ნელ-ნელა იცვებოდნენ სათუთი გრძნობების თბილი სისადავით... გადამფრენი ფრინველებივით დაფრინავდნენ წერილები აქეთ-იქით,

სიშორე სულაც არ უშლიდათ ხელს წაეღოთ და წამოეღოთ პატრონების ცხოვრებისეული ისტორიები, სასიამოვნო ფრაგმენტები, ფოტოები და ბავშვური სინაზით საცხე წერილები.

კრისტოფი თანდათან ალაპარაკდა სიყვარულზე და ვიდრე გოგონა საშუალო სკოლას დაამთავრებდა, ოჯახმა გადაწყვიტა ვიზა გაეგზავნათ და გოგონა საჩქოლოს სტატუსით ჩამოეყვანათ... მაგრამ კრისტოფმა დღემდე არ იცის რა მოხდა... ამოდ ელოდა პასუხებს, წერდა და წერდა, თითქმის ყოველ მეორე დღეს აგზავნიდა დაზღვეულ წერილებს, მაგრამ... პასუხი არა და არ ჩანდა... სულ თვალწინ ედგა საოცრად წყლიანი, თბილი ლაჟვარდისფერით საცხე თვალეები, თეთრი პირისახე და გრძელი, მზებუდარა ჩალისფერი თმები... ძალიან დიდხანს ბალიშის ქვეშ ამოდებული ფოტოთი იძინებდა... მერე უკვე წერილებთან, საკუთარ გულისტკივილთან, უცნაურ სიყვარულთან და იმედგაცრუებასთან ერთად პატარა ყუთში გამოკეტა და შეინახა...

მუსიე კრისტოფმა ამოიხრა, მოჭუტული თვალეებით გახედა ჩამავალი მზის მენამულისფერ სხივებს და - აბა, ახლა გაუდგეთ გზას სახლისკენო! - უთხრა გოგონას - მეორე ქალზე შემდეგში მოგიყვებიო...

ელისე მინდვრებიდან ვიდრე მონპარნასის რაიონამდე ჩუმად იმგზავრეს, სევდით საცხე იჯდა მონატრებისგან და უდიდეს, პასუხგაუცემელ ცხოვრების კითხვის ნიშანთან ერთად დათრგუნული კაცი...

ბალის ბინდ-ბუნდით, ღვიის ბუჩქებიდან აქა-იქ გამომზირალი ციციანთელების ნათებით შეეგებათ იმ საღამოს მათ მოლოდინში გაყურსული სახლი...

მარიკას ქვეცნობიერს არ ასვენებდა წრიალა ფიქრი - ვინ უნდა ყოფილიყო ის „მეორე“ ქართველი ქალი კრისტოფის ცხოვრებიდან, რომელსაც უკვე მეთერთმეტე წელი მამასავით შეჰყურებდა...

კრისტოფის მეუღლე - მადამ შარლოტა, მუსიე კრისტოფზე რამდენიმე წლით უფროსი ყოფილა. მათი ქორწინება უფრო ვალდებულებას ჰგავდა თურმე, ვიდრე სიყვარულით შექმნილ ოჯახს. უშვილობით დასევდიანებულ-დატანჯული დედად გახდომის უსაშველო ნატვრას გაენამებინა. ჯანმრთელობითაც ვერ ყოფილა რიგზე. ხშირად ნოლილა სხვადასხვა ჩივილებით კლინიკებში. ქორწინებიდან რამდენიმე წელიწადში გარდაცვლილა მადამ შარლოტა, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაუკრძალავთ ერთ წყნარ და ღრუბლიან დღეს, შემოდგომის მქრქალი მზესავით იცხოვრაო - ცივად და უსიყვარულოდ...

მარიკას თავიდანვე გაულო შარლოტას გარდერობის კარები - თუ რამე მოირგო და მოიხდინო, შენთვის მიჩუქებიაო... გარდერობი საცხე იყო გემოვნებით შეკერილი კაბებით, ცნობილი კუჭურიების სამკერვალო სალონების ექსკლუზივებით... ვერ მოესწრო მადამ შარლოტას, - ნახევარზე მეტი ჩაუცემელი იყო...

...ეჰ! უცნაური და სიურპრიზებით საცხე ყოფილა ცხოვრება, არავინ იცის, რას მოუტანს ადამიანს, საით წაიყვანს და ვისი ცხოვრების მოზიარეს გახდის...

მარიკასაც არ სწყალობდა სიცოცხლე. მთელი ცხოვრება უკან რჩებოდა, უპატრონო ბავშვივით სისაწყლო

ცხოვრობდა მასში, უკიდევანო სამყაროს ერთი უმნიშვნელო წერტილი იყო და მისი გულისგულიდან წამოსული სიცოცხლე არარაობად ჩანდა ყველას თვალში, მის გარშემო მოხმაურე ცხოვრება უმოწყალოდ აბეჩავებდა და სრესდა, ჯვარზე აკრავდა უპატრონობის ლურსმნებით... ყველა დანარჩენზე უკეთ იცოდა ადამიანური ღირებულებების ფასი, არავის უნდოდა მისი წერტილივით არსებობის შემჩნევა, ვერავინ გრძნობდა, რომ სუნთქავდა და გრძნობებით საცხე იყო...

იმ ლურსმნების ფასიც იცოდა - წვეთ-წვეთად რომ წრიტავდა სისხლისგან და თვალსა და ხელს შუა უპირებდა სიცოცხლის გაქრობას...

გულზე ხელი მიიღო. შიგნით, სულში - იმ ტკივილს მიეფერაო თითქოს...

შემოდგომის პირი იყო. უხდებოდა პარიზს შემოდგომისფერი. ულამაზესი პეიზაჟები, ძველი და ახალი უბნების განსაკუთრებულად აღსანიშნავი ხედები, პარიზული კაფეები, ნეოკლასიკური არქიტექტურა, სენაზე გადებული ხიდები, საუკუნეებში ნისლისფრად გამქრეული ამბები და ლეგენდები სიამოვნებდა, თვალსა და გულს უხარებდა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, არაფრით შეედრებოდა მის სულში დაობლებული ოშკის გოდებას, მთაწმინდის სევდას და ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის სიდიადეს...

...თუმცა მას არ მიუტოვებია ისინი... მიტოვებაა, როცა ნებაყოფლობით უარს ამბობ ენაზე, მიწა-წყალზე, ძვირფასი ადამიანების საფლავებზე, ბავშვობის იმ მოგონებებზე, რომლებიც გულის ერთი კუნჭულის ნამცეცა ზანდუკში აბრეშუმის უნაზეს და ფერად ლენტებად გიწყევია... როდესაც არაფრად აღარ გიღირს ის ურთიერთობები, რომლებიც სიყვარულით, ბედნიერებით, სითბოთი და სიხარულით გავსებდნენ...

მიტოვება და იძულება სხვადასხვაა... მადლობა ღმერთს, რომ იძულებით გადმოხვეწილებს ამ ღვთაებრივ ადამიანთან - მუსიე კრისტოფთან მოუწია შეხვედრა, რომელიც მარიკას გარეშე ფეხს არ დგამდა არსად - ყველგან მარიკას იახლებდა, ერთადერთი - არასოდეს ყოფილა მარიკა პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, მადამ შარლოტას საფლავის მოსანახულებლად - მარტო მიდიოდა ხოლმე მუსიე კრისტოფი...

ეს სასაფლაო, მსოფლიოში ცნობილი სასაფლაოა იმით, რომ დაუარსებია ნაპოლეონ ბონაპარტეს. მას აღმოსავლეთით ვენსენის ტყე და დასავლეთით ბულონის ტყეები ეკვრის... თავად სასაფლაოს სახელი თურმე ლუი XIV-ის პირადი მღვდლის - მამა ფრანსუა დე ლა შეზისგან მომდინარეობს. ეს სასაფლაო მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ უდიდესი ბიოგრაფიის ადამიანები არიან დაკრძალული. მაგალითად, პოეტი გიომ აპოლინერი, მწერალი-რომანისტი - ონორე დე ბალზაკი, კომედიოგრაფი - მოლიერი და სხვა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე...

ეს შემოდგომა განსაკუთრებული გამოდგა. მუსიე კრისტოფმა თან იახლა მარიკაც, დილიდანვე გავიდნენ სახლიდან. კრისტოფმა მოკრძალებული თაიგული შეიძინა და როცა უკვე თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ საფლავთან იდგნენ, შეამჩნია - როგორ უთრთოდა მუსიე კრისტოფს მხრები ლაბადის ქვეშ. მერე

თავი უღი მადამ შარლოტას საფლავის მოწყვნილი ფოტოს ქვეშ დადო, მარიკა ხელკავით გამოაბრუნა და ფეხით გაუყენენ ცენტრალური შემოსასვლელისკენ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კრისტოფმა აღნიშნა, რომ მოვიდა დრო, მის ცხოვრებაში მეორე ქართველი ქალის ამბავი რომ გაეგო მარიკას. ამოიოხრა და გააგრძელა მოყოლა, თუ როგორ გაიცნო „ის“ სორბონაში სწავლების დროს, რომელიც საოცრად ჰგავდა ლურჯი თვალებით, ქერა თმებით და სინაზით, მის პირველ და ჭეშმარიტ სიყვარულს საქართველოს ტაძრის ეზოდან. კრისტოფი ამ დროისთვის უკვე შარლოტაზე იყო დაქორწინებული. გაიგო თუ არა ქართული წარმოშობის ქალის შესახებ, თავისდაუნებურად საშინელი ლტოლვა გაუჩნდა, მაშინ შარლოტა კლინიკებში ინვა და მათი სასიყვარულო ურთიერთობების მონმე ყოფილა ის საძინებელი, რომელიც ახლა მარიკას ოთახად მოიაზრებოდა. ორ წელს გასტანა ვნებით ალტკინებული წყვილის ფარულმა შეხვედრებმა, მერე შარლოტას გარდაცვალებით ნერვებშერყეულ კრისტოფთან გადავიდა ქალი საცხოვრებლად. მოსამსახურეები „მადამ ნატალი“-თი მიმართავდნენ. ნატალის უნდოდა ოფიციალურ ჩარჩოებში მოექცია მათი ურთიერთობა, მაგრამ კრისტოფი ყოველთვის თავს არიდებდა ამ თემას.

ნატალი მისი ცხოვრებიდან უცებ გაუჩინარდა. სამსახურიდან მოსულს კომოდის თავზე დატოვილმა მოკლე, მშრალმა და ცივმა ბარათმა ამცნო - „კრისტოფ! მე შენ არ გიყვარვარ, ეს უკვე დიდი ხანია ვიგრძენი... ვერასდროს მიპოვი, ნურც ძებნით შეინუხებ თავს, მაგრამ უნდა იცოდე - მუცლით შენ შვილს ვატარებ... დაე, ყველაფერი ისე დარჩეს როგორცაა, მე სამშობლოში მივემგზავრები... მშვიდობით!“

წერილმა უარყოფითად იმოქმედა მასზე, მაგრამ ვერკი ამოეხსნა გულის სიღრმეში გაჩენილი შვების მიზეზი... და საერთოდ, დღემდე ისე მოვიდა, რომ სულ მარტოა, თითქოს არც უცხოვრია, სიზმრად ხშირად ნახულობს ერთი და იგივეს - მიცურავს, მიცურავს უსასრულოდ, თითქოს ხედავს კიდეც ნანატრ ნაპირს... აი, დაღლილ-დაქანცული მიუახლოვდება კიდეც და... უნაპიროა ის იმედის ნაპირი, ისევე თავდაუზოგავი შემართებით მიაპობს მხარულით, ისევე უნაპირო ნაპირთან მიჰყავს თავდავინყებულ ლტოლვას გადარჩენისა...

პერ-ლაშეზის სასაფლაოდან გამოსულები ტაქსიში ჩასხდნენ. შუადღემდე ჯერ შორი იყო... მძლოლი ჩაფიქრებული მამაკაცისგან განკარგულებას ელოდა, გარინდებული კრისტოფი თითქოს ძილიდან გამოარკვიესო - მუხლზე დაირტყა ხელი და ომახიანად ამოიძახა:

- ლევილი, ბატონო ჩემო, ლევილში მივდივართ! მარიკას ეს არც გაჰკვირვებია, მიჩვეული იყო მის უცაბედ გადაწყვეტილებებს. გაეღიმა და ის დღე გაახსენდა, პირველად რომ უთხრა მუსიე კრისტოფმა - ნავიდეთ ლევილის მამულში, ქართველებთან! აქვეა, პარიზთან ახლოს, ქართველი ემიგრანტების სოფელიაო! ძალიან ბევრი ქართველია იქ დაკრძალული, ქართული სული ტრიალებს, მიყვარს იქაურობაო!...

რამდენჯერმე ასტუმრა ლევილს, იქ წმინდა ნინოს სახელობის ქართველების მიერ აშენებულ ეკლესიაში

დაასწრო ქართულად ჩატარებულ წირვა-ლოცვას, ქართველი ემიგრანტების მიერ შექმნილ ხუთ ჰექტარ მიწაზე აშენებული იყო სასახლე - რომელიც ქართველების დამხვედრ სოფლად გადაიქცა. ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ სამშობლოსგან დაუტირებელი მამულიშვილები. აქვეა პატარა სოფელი - ლევილ-სიურ-ორჟი, სადაც ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ინახებოდა ერის საგანძური, რომელიც 1921 წელს გავიდა საქართველოდან.

ეკლესიაში წირვა ჯერ არ დამთავრებულიყო... მრევლს შეერივნენ, ბედნიერი მზერა ჰქონდა მუსიე კრისტოფს, უხაროდა ქართულ ხატებთან სანთლის დანთება, ცრემლი სდიოდა და უჩუმრად იმშრალებდა თვალებს... მარიკას არასდროს ენახა ასეთი მუსიე კრისტოფი, დაპატარავებული, ერთიანად სინანულად, ტკივილად და იმედად ქცეული...

ლოცვით გახედნილი, ცოდვიანი სურვილები დატოვა მარიკამ ეკლესიაში... თითქოს ხედავდა ფერნაცვალ ქართულ ტაძრებს, მათი უხმო ზარების სიჩუმე უტკივდა გულს, უმანძილო სიახლოვე ათბობდა სულს და აღარ უკვირდა მუსიე კრისტოფის სიყვარული, ინტერესი და განსაკუთრებული მოწინებით მიდგომა ყველაფერი ქართულისადმი.

ის დღე იყო და ის დღე, მუსიე კრისტოფი თითქოს დამუნჯდაო, არაფერი ახალისებდა, ზამთრის ბაღზე შეყვარებული იქით აღარც კი იყურებოდა.

საახალწლო სამზადისში იყო პარიზი. პატარძალივით მორთულ-მოკაზმული დედაქალაქი აურიამულეულ-გადაბრდღვიალებული ემზადებოდა ახალი წლის შესახვედრად. მარიკა სახლს აკობტავებდა, რთავდა და სანოვაცეს ეზიდებოდა... იმ საღამოს მუსიე კრისტოფმა იხმო და უთხრა, რომ არაბუნებრივად, უცნაურად გრძნობდა თავს, შეუძლოდ იყო და აწყლიანებული თვალებით სთხოვა: თუ რამე მომივა, ჩემი ადვოკატი მოიყვანე, კომოდის უჯრაში წერილია, ერთად გახსენითო!...

სინანულით გულშეკუმშულს შეებრალა უშვილო, უძირო, ეული კაცი...

მეორე დღით კი მარიკას საძინებელში შეაღწია ყვირილმა - კრისტოფი უხმობდა. ლოგინიდან წამოფრენილი გზადაგზა ჩაცმით მისკდა კრისტოფის საძინებელს. ერთიანად ოფლში მცურავი, აკანკალებული და ბავშვივით შეშინებული უყვებოდა თუ როგორ დამთავრდა მისი ტანჯვა, რომ მთელი ღამე ისევე ცურავდა, ისევე ვერ პოულობდა ნაპირს, ბოლოს კი, რომ ეგონა მღვრიე და ბლანტი მდინარე ფსკერისკენ ნაიღებდა, ბოლოჯერ მოკრეფილი ძალებით ისევე გაცურა საოცნებო ნაპირისკენ შიშით და იმედით - ეგებ ამ ჯერზე მაინც დახვედროდა ნაპირი, დასრულებოდა ტანჯვა... მიაღწია კიდეც და უკვე ძალაგამოცლილი, იმედგადაწურული და ქანცგანწყვტილი ხედავს ვილაცის ღონიერ მაჯას, საშველად გამოწვდილს და ისიც გადარჩენის იმედით მსხნელის მაჯას ჩაფრენილი ნაპირზე აღმოჩნდა... მშველელი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც ახლობელივით ჩახეუტა და შავად მორიალე მდინარის ნაპირს მოაშორა...

კრისტოფი ყვებოდა და ემოციებით დაცვარულ შუბლს მალ-მალე ინმენდდა, ახლა კი ნამდვილად კარგად

იქნება ყველაფერიო!... გამოცოცხლდა, ისაუზმა და ბალ-შიც კი ჩავიდა სასეირნოდ...

პარიზული ზამთრის თეთრ სასწაულებად იდგნენ და-თოვლილი ხეები. თითქოს მაჯლაჯუნებისგან გათავისუფლდაო, ღრმად სუნთქავდა, გრძნობდა როგორ ჩასდიოდა უხილავ ყინვის კრისტალებთან ერთად ფილტვებში ჰაერი. ამ დროს საქმეებით გართულ მარიკას მთავარი შემოსასვლელის ზარმა უხმო. უზარმაზარი ვიტრაჟიანი კარი გამოალო და იქ სიცივისგან ერთიანად ანითლებული, ახალგაზრდა ჩემოდნიანი კაცი დახვდა, რომელიც დანჯღრული ფრანგულით კრისტოფს კითხულობდა. მარიკას გაახსენდა პირველი დღეები, როცა თვითონაც ასე ლაპარაკობდა და სტუმარს ჰოლოში შეუძღვა. ღიმილით შესთავაზა - დაბრძანდით! ბაღში სეირნობს და ახლავე დაუძახებო! - და მუსიე კრისტოფთან გაიქცა.

კრისტოფი გაკვირვებული მოჰყვებოდა მარიკას. მის დანახვაზე ახალგაზრდა კაცი აწრიალდა, პალტოს გულის ვიბიდან წერილი ამოიღო, ბონჟურ მუსიე და წერილი ერთად მიაგება კრისტოფს.

მარიკა ხედავდა, როგორ უთრთოდა ფურცელი თითებში გაფითრებულ კრისტოფს, მერე მან მიძიმედ ასწია წყლიანი ლურჯი თვალები და მარიკას გადასცა - ნაიკითხო! თვითონ კი გაშტერებული მიაჩერდა ჩემოდნიანს. მარიკამ სულმოუთქმელად ჩაიკითხა ძალიან მოკლე და მშრალი წერილი - „არ ვნანობ არაფერს! ეს შენი შვილია, მისი დაჟინებული თხოვნით - გაეცნო მამა - ვაგზავნი შენთან! ნატალი“

ერთიანად ჟრუანტელად ქცეული მარიკა შეჰყურებდა, როგორ ჩაეხუტა კრისტოფი ახალგაზრდა კაცს და ქართულად უთხრა:

- გამარჯობა, შვილო, რა გქვია?

- ჟან-კლოდი, მამა!

- ოო! და იცი ვისი სახელი დაურქმევია დედაშენს შენთვის?

- როგორ არა, მამა, ჩემი ბაბუის!

კრისტოფს გული ბედნიერებისგან ყელში ამოსდიოდა.

- ჰო, რაც მართალია, მართალია, ამ შემთხვევაში არაფერი შეშლია ნატალის!... - მერე მარიკას მიუბრუნდა:

- ჩემო საყვარელო, აი, ჩემი უნაპირო ნაპირი, ეს ისაა, ვინც ხელი გამომიწოდა... მაინც ჰქონია აზრი ჩემს ცხოვრებას!...

ბედნიერებისგან ბრწყინავდა სახლი. საზეიმოდ გამლილ სუფრასთან მოილხინეს, ქართული სიმღერები დააგუგუნეს... გვიანობამდე გამოდიოდა სახლიდან ბედნიერების და სიხარულის ხმები...

უთენია დაიწყო სადილაო ფუსფუსი მარიკამ. მალე გემრიელი საუზმის და ყავის სასიამოვნო არომატი აივსო სახლი... ჟან-კლოდიც მორიდებით შემოუერთდა, თითქმის არ მიძინიაო წუხელ... საოცარი აღფრთოვანებით უყვებოდა, როგორ დაითანხმა ბოლოს და ბოლოს დედა, როგორ ნატრობდა მამამისის გაცნობას და ბედნიერი იყო იმით, რომ აუცილებლად ჩაიყვანდა საქართველოში!...

მუსიე კრისტოფი ჯერ არ ჩანდა. გვიან დაიძინა - იძინოსო!... მერე მარიკამ ჟან-კლოდი გააგზავნა, გაუხარდება შენი „დილამშვიდობისა“-თი რომ დაეწყება დღეო!

სამზარეულოში მოლილინე მარიკას მეხვიით დაეცა ზედა სართულიდან წამოსული არაადამიანური ღრიალის განწირული ექო, ძლივს მიიტანა ფეხები კრისტოფის საძინებლამდე. კარებშივე გააშეშა მარადისობის უცნაურმა სურნელმა...

ჟან-კლოდი მამის უსულო სხეულს გულზე დამხობოდა და ღმუილით დასტიროდა გარდაცვლილ მშობელში ოცნებას, სიყვარულს, იმ უბედნიერეს გრძნობას, სულ ახლახან შეცნობილს, მამა-შვილობა რომ ჰქვია...

თითქოს სამყარომ შეწყვიტაო არსებობა, დრო გაჩერდა და ჰაერიდან ჟანგბადი ამოტუმბესო... მარიკას გულწრფელი ქვითინი ერთვოდა ჟან-კლოდის ზმუილს...

...მერე უკვე შარლოტას გვერდით, პერ-ლაშეზის სასაფლაოს ზამთრით გაყინულ მიწას როცა მიაბარეს და ყველა წავიდ-წამოვიდა, მარიკამ სთხოვა მუსიე კრისტოფის მეგობარ ადვოკატს, ნაეკითხა ის წერილი კომოდის უჯრიდან, რომელიც იტყობინებოდა - „ჩემო ძვირფასო მარიკა! ვგრძნობ, დიდი დღე აღარ მიწერია... შენ ჩემს ცხოვრებაში სიმშვიდე შემოიტანე, შვილივით გიყურებდი, უსაზღვროდ ერთგული და მშრომელი, პატიოსანი და თბილი გოგო ხარ, ღმერთმა შვილი არ მალირსა, როცა გარდავიცვლები, გაიგებ, რომ მთელი ჩემი ქონება შენს სახელზეა უკვე გადმოფორმებული - გჩუქნი, როგორც შვილობილს. თუ როდისმე ნატალისგან ჩემმა შვილმა მოგაკითხოს, შენი ნებაა - როგორც გულმა და შენმა სუფთა სინდისმა გიკარნახოს, მე ეჭვი არც აქ მეპარება, ვენდობი შენს კეთილსინდისიერებას და კიდევ - საქართველოში როცა ჩახვიდე, მიპოვე ჩემი ბავშვობის თილისმა, გადაეცი, რომ არასოდეს ვყოფილვარ მის გარეშე... ნეტავ რა გზებით ატარა ცხოვრებამ? დიდი სიყვარულით და პატივისცემით მუსიე კრისტოფ გასომი“.

მარიკა ერთიანად სინანულად ქცეული დაჰყურებდა უკანასკნელ წერილს...

...მერე მოხდა ის, რაც უეჭველად უნდა მომხდარიყო, რა თქმა უნდა, არ გაუცრუა იმედი გარდაცვლილ მამობილს და ჟან-კლოდი ნახევარი ქონების ოფიციალური მფლობელი გახდა...

პარიზი ახალ წელს ხვდებოდა მხიარული და ხმაურიანი ფოიერვერკებით...

კრისტოფის დაობლებულ, მგლოვიარე სახლში აღარ აუნთიათ სადღესასწაულო სანთლები...

მარიკა და ჟან-კლოდი, რომლებიც ერთ დიდ, საერთო ტკივილს დაეახლოვებინა, მუსიე კრისტოფის უკანასკნელი სურვილის განსახორციელებლად -- სახლში ისევ გაგრძელებულიყო სიცოცხლე -- მთელი შეგნებით იყვნენ მზად! პარიზული ახალი წლის ღამე კი თავისი ბრწყინვალე დიდებულებით ორივეს შეახსენებდა, რომ ღირსეული გაგრძელება უნდა ჰქონოდა მტანჯველი უნაპირობის უკვე მათი ცხოვრების ნაპირად ქცეულ უდიდეს ფილოსოფიას.

ალექსანდრე ხახანაშვილის პიროვნება

„უკვდავი იქნება იგი, ვინც საკუთარის სისხლით შესძლებს ხალხს ძნელი სავალი გზა შეუშუბუქოს.“
ალ. ხახანაშვილი

XIX საუკუნის 90-იანი წლები მძიმე დრო იყო საქართველოსთვის. თუმცა რომელი პერიოდი უნდა ავიღოთ საქართველოს ცხოვრებიდან, რომ მძიმე არ ყოფილიყო. მაგრამ ახლა მოყვრულად მოსული მტერი იდგა ჩვენ პირისპირ... ეს უფრო სავალალო გამოდგა ქართველებისთვის. სრული განადგურება ელოდა ქართულ თვითმყოფადობასა და კულტურას. ვის უნდა ეპოვა თავის თავში ძალა, რომ აღემაღლებინა ხმა, ვინ უნდა დაპირისპირებოდა ამას... ინტელიგენცია – გონიერი, ზნეობრივი ძალა ერისა, რომელიც ყოველთვის საზოგადოებრივს პიროვნულზე მაღლა უნდა აყენებდეს. ინტელიგენცია – ერის სახე, ერის სულის გადამრჩენი და აღმზევველი. მაგრამ, თუ ეს ყოველთვის ასე არ არის, მაშინ იმ ერს გადარჩენა არ უწერია...


ალექსანდრე ხახანაშვილი ერთ-ერთი იმათგანი, იმ ინტელიგენტთაგანი იყო, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს მთელი სიმძიმე იმ პერიოდისა. ზვარაკად შეენიღნენ თავიანთი ქვეყნის ხვალისდელ დღეს, მაგრამ ქართული სული მაინც გადაარჩინეს, ქართული კულტურა დაიცვეს და ჩვენამდე მოიტანეს. მძიმე იყო მათი ცხოვრება. დიდი ხნით უხდებოდათ სამშობლოს დატოვება, რათა შორს გაეტანათ თავისი ქვეყნის სახელი, უცხოელებისთვის გაეცნოთ ჩვენი პატარა საქართველოს დიდი კულტურა. ამისათვის საჭირო იყო დიდი განათლება და ენების ცოდნა. და ისინიც, დღედაღამ შრომაში ჩაფლულნი, სიცოცხლის ფასად ასრულებდნენ ამ მისიას. ალექსანდრე ხახანაშვილმაც მთელი ცხოვრება რუსეთში გაატარა. უმაღლესი განათლება იქ მიიღო და იქვე დარჩა.

მაშინ ბევრმა არ იცოდა, რომ ქართველი ერი თავისი უძველესი ისტორიით ერთ-ერთი კულტურული ერია მსოფლიოში. ამას მტკიცებულად განიცდიდა ალექსანდრე ხახანაშვილი. გასაკეთებელი ბევრი იყო. სამეცნიერო სამუშაოსთან ერთად საჭირო იყო ყოველგვარ ეროვნულ ფასეულობათა მოძიება და გამოცემა: ეს იყო ქართული ხელნაწერები თუ ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ნიმუშები, ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალა, თუ უცხოეთში მიმობნეული ჩვენი ეროვნული საუნჯე.

მან მეცნიერების ყველა დარგში თქვა თავისი სიტყვა და მნიშვნელოვანი ნაშრომები დაგვიტოვა. ისტორია, ფილოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, არქეოლოგია – იყო მისი კვლევის სფერო.

ალექსანდრე ხახანაშვილი კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში – ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც

ქართული ენის კათედრა თვითონვე დააარსა. ქართული საზოგადოებრიობა ალტაცებით შეხვდა მის მიერ მოსკოვში კიდევ ერთი ქართველოლოგიური ცენტრის დაარსებას. „მართლა ღირსშესანიშნავია ეს ნაბიჯი და პირველი მაგალითია საიმედო ჩვენი დაქვეითებული ცხოვრებისა.



ჩვენ შენს შრომას ვაფასებთ და თანაგიგრძნობთ. დარწმუნებული იყავი შენს აუარებელს შრომაში. გაუმარჯოს შენს შრომას და შენს ლექციებს. ამასთანავე გისურვებ შეგექმნას გამოჩენილი სკოლა ქართველთ მეცნიერებისა მოსკოვში.” /ივანე ელიაშვილი/.

ის პარალელურად სხვადასხვა გიმნაზიაში რუსებს ასწავლიდა რუსულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას. მოსკოვის I და II, ლ. ფ. რუცესკაიას და ნ. პ. შჩეპოტევის ქალთა გიმნაზიებში. სამაგალითო და გულმოდგინე შრომისათვის იგი დაჯილდოებული იყო წმინდა ანას III ხარისხის, და წმინდა სტანისლავის II ხარისხის ორდენებით.

ალექსანდრე ხახანაშვილი ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი დიდ სამეცნიერო საქმიანობაში იყო ჩართული. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგში იმდენი შრომა აქვს დანერგილი, რომ თითქმის დაუჯერებელია, როდის უნდა მოესწრო ამდენის გაკეთება. მუშა ფუტკარივით დაფუსფუსებდა თავის გამოსაკვლევ მასალებს. ყველაფერი, რაც ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს ეკუთვნოდა, თავისი კვლევის საგნად აქცია.

იშვიათი მუყაითობა, შრომისმოყვარეობა და განსაკუთრებული სიყვარული წიგნისა მას ბავშვობიდან დაჰყვა. წარმოშობით გორიდან იყო, ძველი ქალაქიდან ქართული ყოფითა და ტრადიციებით. აქ დაიბადა, აქ აიღვა ფეხი ამ ქალაქის მადლით ცხებულმა ადამიანმა. იგი ნამდვილი ქართული ოჯახიდან იყო, ისეთი ოჯახიდან, როგორებმაც შემოგვინახა საქართველო. მამამისი, დეკანოზი სოლომონი გამორჩეული თვისებების მქონე დიდი პედაგოგი იყო.

ალექსანდრე ხახანაშვილმა საშვილიშვილო საქმე გააკეთა. მან პირველმა შეადგინა ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული კურსი და გამოსცა ოთხ ტომად რუსულ ენაზე, „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები.“ „Очерки по истории грузинской словесности“. მან საშუალება მისცა რუს მკითხველს, გასცნობოდა ჩვენს ლიტერ-

ატურულ მემკვიდრეობას. აქ წარმოდგენილია მასალა უძველესი დროიდან XIX საუკუნის გასულამდე. „ამ წიგნის საშუალებით ევროპის მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ ქართველი ერი მართლაც ღირსშესანიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, მისი მდიდარი ლიტერატურით, ხუროთმოძღვრებით, საერო პოეზიის ნიმუშებით.“ /გიორგი წერეთელი/

მან შეადგინა აგრეთვე პოპულარული წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ ფრანგულ ენაზე პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის. ეს წიგნი მოუთხრობდა უცხოელ მკითხველს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე. ამ წიგნში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობოდა ქართულ კულტურასა და მწერლობას. ყურნალმა „კვალმა“ გამოაქვეყნა ფრანგული გაზეთის „ლა რეფორმის“ შემდეგი ცნობა: „ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ერთი მეტად საინტერესო თხზულება საქართველოს ისტორიისა, გეოგრაფიისა და ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურული ნაწილი ეკუთვნის პროფ. ა. ხახანოვს, რომელიც გვაცნობებს ისეთ რამეებს, რის არსებობას ამიერკავკასიის პროვინციებში სრულიად არ მოველოდით“-ო.

ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვის სხვადასხვა საზოგადოების წევრი იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობდა იგი არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებებთან. მათი დავალებით იგი ზაფხულობით ჩამოდიოდა საქართველოში. აღმოსავლეთი და დასავლეთი, მთა და ბარი ფეხით ჰქონდა შემოვლილი. სად არ შეხვდებოდა მეცნიერს: თბილისსა თუ ქუთაისში, გელათის, მარტვილის, სიონის მონასტრებში, ზაქათალასა თუ ნალკაში, სვანეთში თუ სხვაგან. წიგნსაცავებსა და ბიბლიოთეკებში ეძებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს. რამდენჯერმე საზღვარგარეთაც იყო ქართული ხელნაწერების მოსაძიებლად – საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში.

განსაკუთრებულია ალ. ხახანაშვილის ღვაწლი ქართული სახარებების ხელნაწერების შესწავლის საქმეში. დაწყებული 1904 წლიდან, მან გამოიკვლია სახარების ათეულზე მეტი ხელნაწერი IX-XII სს, შვიდი წლის განმავლობაში კი – ორმოცდაათზე მეტი. ალ. ხახანაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ადიშის სახარების (897 წ.) კვლევის საქმეში. მის გამოცემას კი სამწუხაროდ ვეღარ მოესწრო.

არქივმა შემოინახა ათონის მთაზე მისი მოგზაურობის ამსახველი მასალები. 1902 წ. მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ იგი მიავლინა ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ. ალექსანდრე ხახანაშვილმა მიაკვლია თოთხმეტ პერგამენტის მანუსკრიპტს, რომლებიც არ იყო შეტანილი კატალოგში. მათ შორის მეტად ფასეულია X საუკუნის სანოტო ნიშნებიანი ხელნაწერი. ათონზე მოგზაურობის შემდეგ მან გამოსცა იქ დაცული რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი.

ათონზე მოგზაურობა მისი დიდი ხნის ოცნება

იყო. მას კარგად ესმოდა ათონის ივერიის მონასტრის როლი ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში, სურდა იქ შემორჩენილი ხელნაწერების აღწერა და გამოცემა. მან მართლაც მიაკვლია რამდენიმე საინტერესო ხელნაწერს და გამოსცა. ალ. ხახანაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ უჩვეულო გარემოს, რაც იქ დახვდა. იგი გააოცა ათონის მთის სილამაზემ, გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ბერ-მონაზონთა თავისებურმა ყოფამ და იმ იდუმალეობამ, რომელიც გამეფებულა ათონის მთელ ტერიტორიაზე.

ალ. ხახანაშვილმა განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა ათონელ ბერებთან, იგი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი თანამოზიარე გახდა. მეცნიერი თანაუგრძნობდა მათ, ასრულებდა ბერების ყოველგვარ თხოვნას და ცდილობდა, როგორმე შეემსუბუქებინა მათი მძიმე მდგომარეობა. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ყოველგვარი ეროვნული ტკივილი მის სულში პოულობდა გამოძახილს. ათონელი ბერები ყოველგვარ გასაჭირს მას შესწიოდნენ და მისი დიდი იმედი ჰქონდათ. ათონელთა ყველაზე დიდი პრობლემა ბერძნებთან უთანხმოება იყო. ბერძნები ავიწროებდნენ ქართველ ბერებს. „ჩვენს ჯვარცმას გაუნანილებთ თქვენს მეგობრებს რუსთა და ქართველთა... გვევდრებით ყურადღების მოქცევას, რათა არა დაჰკარგონ ათონის მონასტერი ქართველთა – მათი წინაპრების სისხლით დათხეული და აღშენებული მრავალ მოღვაწეთ მამათ-პაპათა.“

ის ბევრს ეცადა, როგორმე შეემსუბუქებინა მათი მდგომარეობა. ამ საკითხზე წერილიც კი დაბეჭდა. მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა თავისი მოკრძალებული ინტელიგენტური ბუნების გამო.

მან ორიენტალისტთა ჟენევის მე-10 საერთაშორისო კონგრესზე ფრანგულ ენაზე წაიკითხა მოხსენება: „უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე“. მოხსენების მიზანი იყო, გაერკვია, თუ რა კულტურულ-ეკონომიკური გავლენა იქონიეს საქართველოზე მისმა მეზობელმა ქვეყნებმა – ბიზანტიამ, სპარსეთმა, არაბეთმა და რუსეთმა. მოხსენებამ უჩვეულო ინტერესი გამოიწვია და გადაეცა კონგრესის სარედაქციო კომისიას დასაბეჭდად.

ალ. ხახანაშვილი უამრავი წერილის ავტორია, რომელთაც ის ათავსებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პერიოდიკაში. მისი სტატიების გადაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მხოლოდ ამ კაცზე იყო დამოკიდებული მისი ქვეყნის ავ-კარგის მოგვარება. იგი მტკიცედ იდგა სამშობლოს სადარაჯოზე. უთქვამთ: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი ძენი წარმოუშვია, ვისაც ცხოვრების მიზნად დაუსახავს თავისი ხალხის ჭირ-ვარამის, როგორც პირადი ტკივილის გათავისება. ქართველი ერი იმ ხალხთა რიცხვშია. მას ყოველთვის ებადებოდა სასახელო შვილნი, რომელთაც მიჰქონდათ თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.“ (-სოფრომ მგალობლიშვილი)

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი მხარე უნდა ავიღოთ, რომ ალ. ხახანაშვილს არ ეზრუნოს, არ დაინტერესებულყოფს: იყო ეს ნიჭიერი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა, უმაღლეს სასწავლებელში ქალებისათვის სტიპენდიის დანიშვნა, შოთა რუსთაველის ძეგლის აგება, გორის ციხის სავალალო მდგომარეობა, თუ სხვა რამ.

იგი თავის აღსაზრდელებს ასე მოძღვრავდა: „ელემენტი ბედნიერებისა ის არის, რომ იპოვო საქმე, შენი სულის შესაფერისი... ცოდნა და განვითარება - აი, ბედნიერების მთავარი ელემენტები და თუ დადგება ძნელბედობის ჟამი, მწუხარება, მისგან დაფარვის საშუალებას გვაძლევს მხოლოდ საინტერესო, საყვარელი საქმე“.

მღელვარე და მოუსვენარი გახლდათ ალ. ხახანაშვილის ცხოვრება. სხვანაირად მას არ შეეძლო, იმდენი გახლდათ საბრძოლო და გასაკეთებელი. მიუხედავად ასეთი შრომისა, იგი მაინც ახერხებდა, შორს მყოფსაც, სამშობლო ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებით ეცხოვრა.

ალ. ხახანაშვილი საქართველოს „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრი იყო. საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი დიდად აფასებდა მის ნაღვანს. ალ. ხახანაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ილია ჭავჭავაძე, საზოგადოების თავმჯდომარე, პატივს სცემდა მის თავდაუზოგავ შრომას ყოველივე ეროვნულის სასიკეთოდ. ამიტომ ხშირად მიმართავდა სხვადასხვა თხოვნით, იქნებოდა ეს დიდი მეცნიერის - დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა, თუ თბილისის პედაგოგიურ კურსებზე ლექციების წაკითხვა. „საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და საზოგადოდ ყოველის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის...“ ამავსე საზოგადოებისა და ქართული ენის მასწავლებლების თხოვნით ალ. ხახანაშვილმა შეადგინა სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის, წერა-კითხვის საზოგადოებამ კი გამოსცა: - „ქართული სიტყვიერების ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის გასულამდე.“ და „ქართული ლიტერატურის ისტორია“ /XIX ს-ის/.“ ეს წიგნები წარმოადგენდა ერთადერთ სახელმძღვანელოს ქართულ სასწავლებლებში. ამ წიგნებზე აღიზარდა ქართული კულტურის მოღვაწეთა მრავალი თაობა.

ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული “ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის” წევრი იყო. ის ყველგან თავის სიტყვას ამბობდა. ყურადღებით უსმენდნენ ღვანლმოსილ მეცნიერს. ამ წრეში გაერთიანებული იყო მოსკოვში მცხოვრები ყველა ქართველი. სხდომებს ხშირად თავმჯდომარეობდა ალ. ხახანაშვილი. იგი დიდი ავტორი იყო ქართული კულტურისა რუსეთში. მისი

ინიციატივით და მატერიალური შემწევობით შეიქმნა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელთა საზოგადოება:“ აქ გაერთიანებული იყვნენ არა მარტო სტუდენტები, არამედ მოსკოვში მყოფი სხვა ქართველებიც. ალ. ხახანაშვილი იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარე. ეს საზოგადოებაც მიზნად ისახავდა რუსი ხალხისთვის გაეცნო საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა.

გზა, რომელიც გაიარა ალექსანდრე ხახანაშვილი, მონამებრივი იყო. მისი ცხოვრება ბრძოლას ჰგავდა, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებით. „სამწუხაროა მხოლოდ, რომ ასე ძნელია გზის გაკვლევა, ბრძოლა და ამდენი ძალების დახარჯვა ნიადაგის მოსამზადებლად. რამდენი სამწუხარო ამბავი გადავიტანე ამ დროის განმავლობაში,“ - ვკითხულობთ მის დღიურში. „ერთადერთი იდეა - სამშობლოს სამსახური მაძლევს ენერჯიას და მარწმუნებს ჩემი არსებობის აუცილებლობაში. ეს გრძნობა მათობს, მამხნეებს და მაძლევს ძალას მძიმე ცხოვრების გზაზე.“

ალექსანდრე ხახანაშვილს არასოდეს უკან არ დაუხევია. იგი ღრმა რწმენით, დიდი შემართებით მიჰყვებოდა დაწყებულ საქმეს, რისთვისაც მას დიდად ემადლიერებოდნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: - „ეგ ერთი კაცი გვყვეხარ მანდ, მივარდნილი სხვის ქვეყანაში და დაუღალავად შრომობ... მოღვაწეობა დიდი „საღმართო ვალია“, ვინძლო გაამართლო ჩვენი ნდობა და იმედები.“ /ია კარგარეთელი/. ამ საღმართო ვალისათვის მას არასოდეს უღალატია.

ალექსანდრე ხახანაშვილი თავისი პიროვნული თვისებებით ნამდვილი ინტელიგენტი იყო: მართალი, მოკრძალებული, კაცთმოყვარე, მგრძობიარე, უპრეტენზიო, უბრალო... გარეგნობა, საქციელი და სიტყვა-პასუხიც ინტელიგენტური ჰქონდა. მთელი თავისი სულიერი სამყარო სახეზე ჰქონდა გამოხატული, მაღალი იყო, გამხდარი, მშვიდი ბაასი იცოდა თურმე, საოცრად ტკბილი ხმა ჰქონდა. „კერძო შინაურულს ლაპარაკში მამის კილო მოსდევდა, ხშირად იუმორს და ოხუნჯობას გამოურევდა ხოლმე... ნათესაობა ძალიან უყვარდა... დასასვენებლად რომ ჩამოდიოდა სამშობლოში /მაგრამ როდის ისვენებდა ნეტა! ყველა ნათესავს ჩამოუვლიდა, თითო ღამეს მაინც გაათევდა ყველასთან./სოფრომ მაგალობლიშვილი./

იგი ბუნებით რომანტიკოსი იყო. მას ახალგაზრდობიდან განსაკუთრებულად უყვარდა რომანტიკული, ელეგიური პოეზია. ის აღტაცებული იყო ჟუკოვსკით, შემდეგ ნადსონით. თვითონაც წერდა ლექსებს, თარგმნიდა პუშკინს, გოეთეს.

ჩვენამდე მოღწეული მისი დღიურებიდან ჩვენ თვალწინ იკვეთება ცხოვრებაზე ღრმად ჩაფიქრებული, სევდიანი კაცის სახე. ეს უსაზღვრო სევდა გასდევს მთელ მის ცხოვრებას, სევდა, გამონეწეული სამშობლოზე ფიქრით, ხანდახან - თავისი ცხოვრე-

ბის წარუმატებლობითაც. „ბედი არ მწყალობს, ხანდისხან – თითქმის უფრო ხშირად – ცდას, მუყაითობას არ აქვს შესაფერისი დაფასება, საჭიროა ბედი გწყალობდეს. რა არის ბედი? ბედი არის მოულოდნელი ბედნიერება, საქმის კეთილად დაბოლოება, როცა იმედგადაწყვეტილი ხარ... „ხანდისხან საჭიროა, ფრიად საჭიროა, რომ გყავდეს ვინმე შენი გულის შესაფერისი, შენი სევდა გაუზიარო, შენი ნალველი, გულის დამთუთქავი დარდი, გაგიადვილოს, გაგაიმედოვნოს, მოგცეს ხელი ამ საშინელ და ცუდად მავალ ცხოვრებაში...“ და კიდევ - „არ შემიძლია დავინახო – მწუხარე ადამიანი, რომ გული არ შემეიტოვდეს, არ ავლელდე, არ შევწუხებდე იმისი უბედურებითა... არ შემეძლო დამენახა მუშა ძონძებში გახვეული, ოთხად მოკაკული მთანმინდის მთაზე წამოკიდებული, რომ ცრემლი არ ჩამომვარდნოდეს და არ მენატრა შეძლება, რომ საწყლისთვის ლუკმა გამეყო. არ შემიძლია ავიტანო უსამართლობა, უღმერთოდ, უსვინდისოდ ქცევა.“ შემდეგ - „გაგიკვირდებათ, რომ გითხრათ, რამდენი კაცი იწერს მთელს საქართველოში „ივერიას“-148. დიახ. ამდენია ჩვენში მკითხველი, ცოტად თუ ბევრად ყურის მადვენებელი ლიტერატურისა, მისი შემწე, -დამხმარებელი მატერიალურად, მაგრამ რამდენი ყვირილია, პატრიოტი გყავსო. განა ამის შემდეგ /ბევრჯერაც სხვაში შევნიშნეთ/ შეიძლება ისინი კაცად ვიცნოთ? - ჩხავანა კატები, ერთის მთქმელნი და მეორის, მის წინააღმდეგის მოქმედნი... ეტყობა, არ არის ჩვენში გავრცელებული განათლება, არ ღვივის ჩვენს გულში პატრიოტული გრძნობა, არ არის ძალა გამომალვიძებელი, გზაზედ დამყენებელი...”

ასეთი მძიმე სულიერი განწყობილების დროს ალექსანდრე ხახანაშვილს მანუგეშებლად თავისი საყვარელი დების ხატი ედგა თვალწინ.

„ძვირფასო ძმაო საშა!

დიდად გმადლობ, რომ წიგნი მაჩუქე და უფრო იმის მადლობელი ვარ, რომ მომიგონე და წერილი მომწერე. ღრუბლიანი დღე რომ მზით გაშუქდება და ბუნება გაცოცხლდება, შენი წერილიც იმგვარად გამიშუქებს და გამომიცოცხლებს ხოლმე ჩემს დაღრუბლულს სიცოცხლეს. წერილებს იმიტომ არ გწერ, რომ მეშინიან არ შეგანუხო. გრძნობიერი კაცი ხარ და ვიცი ჩემ დარდასაც გულს მოიხვედრებ... ამ გაზაფხულზედ ეგებ მოხვიდე და შენი ნახვით გამახარო... შენ გენაცვალე შენ თავს გაუფრთხილდი, ამოდენა ხალხის სანთელი შენა ხარ, შენს მეტი იმედი და ნუგეში მე და ჩემს შვილებს არავინა გყავს. რათა ხარ გენაცვალე, შეუძლოდ, რა გაქვს სანაღვლო. შენ ისეთი ბედნიერი კაცი ხარ, რომ მთელი ქვეყანა შენ დაგნატრის...

შენი მოსიყვარულე და დარო, 1898 წელი.”

„უძვირფასესო დაო დარო! შენი წერილი და გოზინაყი მურაბით მივიღე, არ ვიცი, რითი გადავიხ-

დი. ჩემგნით არა მოგაგონდება რა და შენ იმოდენი პატივისცემა მიგიძღვის ჩემთან, რომ ჩემს სიცოცხლეში ვერ გადავიხდი... კუშეტკა-ტახტი მზად არის. ხალიჩა ჩამოვკიდე, ჯერჯერობით ორი მუთაქა და ერთი ბალიში გავტენე ზღვის ბალახით. ძალიან დაამშვენა ჩემი ოთახი ხალიჩამ და მუთაქებმა. ყოველ წამს შევყურებ და ვსიამოვნებ, სამშობლო მაგონდება და შინაური ცხოვრება!..

ალექსანდრე

თვითონ ალექსანდრე ხახანაშვილმა ასე შეაჯამა თავისი საქმიანობა:

„ვმუშაობდი რა სიყვარულით და სრული უანგარობით, არ ველოდი არავისგან არც ჯილდოს, არც წახალისებას, პირიქით, გადავიტანე ბევრი გასაჭირი და უსიამოვნება პირებისაგან, რომელნიც უნდა გვერდში ამომდგომოდნენ და გავემხნეებინე...“.

გადმოგვცემენ, რომ სიკვდილის წინ მისი ნატვრა მხოლოდ ეს იყო: „წამიყვანეთ სამშობლოში, ერთხელ კიდევ ჩამაყლაპეთ მისი ჰაერი“. აკაკი წერეთელმა ალექსანდრე ხახანაშვილისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სიტყვაში თქვა: „...იმას ბედმა არგუნა უცხოეთში ყოფნა, საიდანაც მთელი მისი ჭკუა-გონებით შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა სამშობლოს, სდნებოდა სანთელივით მისი გულისთვის და შორიდან უნათებდა. და მარტო ეს რომ არ დააჯერა, შეზღუდა თავისი პირადი ცხოვრება იმ განზრახვით, რომ თავის ოფლითა და შრომით მონაგარი რამე დაეტოვებინა ქართველებისათვის საშვილიშვილოდ. ამგვარი მკვდარი არ მოკვდება, სანამ ქართველობა არ მოისპობა. ამგვარ სიკვდილს უწოდებდა რუსთაველი „სახელოვანს“...

ალექსანდრე ხახანაშვილის მსგავსად, ბევრმა გაიარა ასეთი მონამებრივი ცხოვრების გზა. იმ დროს, როდესაც დათრგუნული იყო ეროვნული გრძნობა, ამ ხალხის ცხოვრება და მოღვაწეობა გმირობად უნდა ჩაითვალოს. ისინი უხმაუროდ ცხოვრობდნენ და თავიანთი საქმიანობით, თავდაუზოგავი შრომისუნარიანობით აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობას და სწორედ მათი დამსახურებაა ქართული სულის გადარჩენა.

დღეს, XX საუკუნის 90-იანი წლების გადასახედიდან, ასეთი ადამიანების ცხოვრებას სხვა მნიშვნელობა მიეცა. ნამდვილი გმირობაა კაცურ კაცად დარჩე, როცა ირგვლივ ყველაფერი აბრუნდება. ასე იყო მაშინაც... მაგრამ მაინც გაიტანა თავი ქართველმა. დღეს თუ რამე ქართული შემოგვრჩა, იმ ადამიანების დამსახურებაა. მათ თავიანთი სიცოცხლის ფასად გადაგვირჩინეს ჩვენი ენა, კულტურა, მამული, სარწმუნოება. ჩვენ მხოლოდ მისი გაფრთხილება გვჭირდებოდა... გაფრთხილება და გაგრძელება... ეს გვიანდერძეს... ამ იმედით წავიდნენ ამ ქვეყნიდან...

დანერილია ეროვნული ხელისუფლების დამსობის დროს

ბადრი პატაშური

მეფე – ბანკროტი

ისევ მარტო ვარ და ისევ ბნელა,
სადღაც ჩემს ახლოს გაჰკივის ქოტი,
ასე თანდათან და ნელა-ნელა,
მეფე ვიყავ და გავხდი ბანკროტი;

როგორ მეძებდნენ ქალთა თვალები,
ვეჯიბრებოდი როცა გოლიათს,
აღმართს მივეყვები წვალეზ-წვალეზით
და მკერდით მიმაქვს მელანქოლია.

ვჩერედეები გზაზე, ბნელა და ცივა,
ვერ ავიტანე ეშმაკ ეშვები,
ვერ შევიძელი ყოფნა არწივად,
ფრთამოტეხილი ციდან ვეშვები...

ისევ მარტო ვარ და ისევ ბნელა,
სადღაც ჩემს ახლოს გაჰკივის ქოტი,
ასე თანდათან და ნელა-ნელა,
მეფე ვიყავ და გავხდი ბანკროტი.

სავლა აპოქისა

გავცქერ ამ ჭალებს, მინდვრებს და ტყეებს,
ვიგონებ ტანჯვით ნალამებ დღეებს,
სიჭაბუკიდან მომყოლ სახეებს
და გამახევეებს;

სახის დანახვა ერთი ქალისა,
სიტყვაც რომ არ მაღირსა,
ის ხილი იყო უცხო ბალისა,
და ახლა გახდა სხვისა და სხვისა...

მქონდა ოცნება, მქონდა მიზანი,
ახლა ცხოვრების მქვია ხიზანი,
სრულად დამეხში კარნი ცისანი,
რაც გაგიცანი...

იყო ძველი დრო, დაშნა და ხმალი
მარჯვენის მოჭრა, ხელი გამხმარი,
დეულში გასვლა, არვინ დამხმარე,
მოგებულს ხოტბა, წამგებს – სამარე.

ახლა სხვაგვარი დადგა დროება
გაჰქრა ქალწულთა ის სათნოება,
გამეფდა რაღაც უცხო ზნეობა,
ერთსახეობა, ერთსახეობა...



ალარც ქალი ჩანს, მშვიდი და სათნო,
ალარც ვაჟკაცი საქმეში სანდო,
აბა, ეს ლექსი ვილას გავანდო,
მე ამას ვდარდობ...

ვინ ვარ არ ვიცი, რა მინდა ქვეყნად,
შენ მომეც ფიცი, მეც ჩვილს ვბედავ
და თუ ჩემს გზასაც ზვაფი ჩაჰკეტავს,
გთხოვ ღვთისმშობელო, მიშველე დედავ...

დიდი გაბრიელის საპირისპიროდ

*„მე რომ სათრობი მუდამდღე მაქვენდეს
ალბათ ალარც კი მოგისურვებდი“
გაბრიელ ჯაბუშანური*

რომ მყოლებოდი ყოველდღე გვერდით,
სასმელს ალარც კი გავიხსენებდი,
არ მოვექარგავდი ჩემს დღეებს სევდით,
ბნელ ღამეს შენით გავითენებდი.

მხოლოდ ხანდისხან შევესვამდი ღვინოს,
რომ სხვა ქვეყნიდან შენთვის მეგზირა,
როს გადუფრენდი შენ საარაგვოს,
შემოგხედავდი მაშინ ტემზიდან.

რომ მყოლებოდი ყოველდღე გვერდით,
მოვიმდურები ალბათ ძმაბიჭებს,
სალამოს ერთად ვისეირნებდით,
და შეგვიწყობდა მთვარეც ნაბიჯებს.

მაგრამ რადგანაც სხვისი ხარ, შორს ხარ,
მედუქნეთაგან მერგო ქილიკი,
ამ უდაბნოდან ეგ მთა არ მოჩანს,
თოვლმა დაჰფარა შენი ბილიკი.

ბრმა მოლოდინით ოდნავ მოვბერდი,
და მოთარეშე ტალღებს მივნივდი,
რომ მყოლებოდი ყოველდღე გვერდით
სასმელს მართლაც არ გავიხსენებდი...

აპოქის სავლა

მე ვერ ვამტყუნებ ადამიანებს,
გვერდზე გახედვის დრო რომ არ რჩებათ,
რყვნილი ეპოქა ტატამი არის
და ციურ გრძნობის გადასარჩენად;

ტრადიციათა გადასარჩენად,
რომ არ ვკარგავდეთ პაპებთან კავშირს,
მინავლულ სანთელთ წარმოსაჩენად
ფეთქავს პოეტის და გული ბავშვის...

გადაგვარების, გარყვნის მოსურნე,
მსურს დავამარცხო უხანჯლოდ, კალმით,
მარსის ხანაში ვუსმენ მეზურნეს,
მე აქ ვდგავარ და სხვაგვარ არ ძალმიძს...

ხშირად დღეობაც ისე ჩაივლის,
რომ ნაღდ ქეიფით არვინ ქეიფობს,
ხალხურ სიმღერის ხმა არ გაისმის,
ერთი წამართვი პლანის კაიფო...

უნიგნურობამ გადაგვიარა,
ბატონობს ბოლმა, რამ შეგაჩვენა,
მე თანავუგრძნობ ადამიანებს
ღმერთის შეცნობის დრო რომ არ რჩებათ...

* * *

ვერცდროს მოგდრიკონ ქვესკნელის ძალთა,
„სულით ობოლი“, მარტო შთენილი,
მაღალი უფლის გეფარვდეს კალთა,
იყავ სიკეთით წარმოჩენილი...

კეთილ ქმნადობით გადარჩენილი,
პირნათელ ჭვრეტდე კაცთა და ქალთა,
სიმართლის გამო მარტო შთენილი,
მართალი იყავ მაღალ უფალთან...

ნიაჲ - ქალი

მოდის ქალი და მოსდევს ნიავი,
მოდის ნიავი, მოჰყვება ქალი,
ორივეს ისე ჰგვანან ერთმანეთს,
რომ ვერ ანსხვავებს მათ კაცის თვალი.

ქალს ნიავივით მხრები აქვს თხელი,
ნიაჲს ქალივით სუნთქვა აქვს ნაზი,
ორივე სამყაროს მაცოცხლებელი,
შემომეყარენ, გაჰფანტეს ბრაზი.

ირგვლივ კი ასფალტს ასდის ალმური
და კანტიკუნტად მიმოდის ხალხი,
იმ ნიაჲ-ქალმა გადაკალმული,
წარბებით ახსნა ბნელ ქუჩას თალხი.

შემოვტრიალდი, გავყურებ ქუჩას,
ქუჩას, რომელსაც ბოლო არ უჩანს,
მიეფერება კუთხეში ქალი,
ნიავიც მისდევს ვით მეგობარი.

მე დამენყრილი და დათოფილი,
მილიონიან ქალაქის მტვერში,
თვალს ვახელ, როგორც ახალშობილი
და გული მიგრძნობს, რომ არ ვარ ლეში...


დაჰკვირებისხარ, თუკი ძმობილო,
როცა ჩაივლის ლამაზი ქალი,
მას საოცარი ახლავს სურნელი,
და უკან მისდევ სხვა ნიაჲქარი.

ისევე როგორც კლდეებში ჯიხვებს
შურთხი აცილებთ ძმა-მეგობარი,
ჩვენს წყნარ ქუჩებში ნელწვილ ასულებს

მადონა და დამსხვრეული მიქელანჯელო

ოცნების მტვრისგან შევქმენ შედევი
და ავედევენი მის პროფილს ქარში
გავკვეთე ზღვები თუ მთათა ტვერი,
მე ამ ძიებით სისხლისგან დავშრი;

ვინც გავაღმერთე, მან დამაღონა,
ნეტავ რად მსურდი სულო მტანჯველო,
შენ - გაფრენილი მზისკენ მადონა,
მე - დამსხვრეული მიქელანჯელო...



არტურ ბუნდაკარ ფონ ზუტენარი (1850-1902)

ავსტრიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1876-1885 წწ. მეულესთან, ბერტა ფონ ზუტენართან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. არტურ ზუტენარმა თითქმის მთელი თავისი შემოქმედება საქართველოსა და კავკასიის თემას მიუძღვნა; დაწერილი აქვს რომანები: „აჭარლები“, „შამილი“, „კავკასიის შვილები“ და სხვ. იონა მეუნარგასთან ერთად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ფრანგულიდან გერმანულ ენაზე. გამოაქვეყნა ლიტერატურული წერილების სერია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. გარდა ამისა, არტურ ზუტენარი თანამშრომლობდა იმ დროისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ავსტრიულ გაზეთთან „Neue Freie Presse“, რომელშიც 1877 წლის აგვისტოში დაიბეჭდა მისი ორი სტატია საქართველოს შესახებ.

ცნობები ტრანსკავკასიიდან¹ („N. Fr. Pr.“-ის² ორიგინალი კორესპონდენცია)

(აფხაზთა მეთაური დატუსაღებულია. - აფხაზეთში განთავსებული საჯარისო ნაწილები მძიმე მდგომარეობაშია. - თურქთა დაპირებები. - სამოხელეო ბიუროკრატია აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. - თურქი ჯარისკაცები. - ჯვაროსანთა შთამომავლები. - განვევა. - სერვიტუტი კავკასიაში. - სანგვინიკოსი პოლიტიკოსები. - წითელი დეპუტები. - გენერალ ოკლობოვის³ შტაბი ქუთაისში. - საფრანგეთის ვიცე-კონსული. - საქორთა ავსტრო-უნგრეთის საკონსულოს გახსნა.)

ქუთაისი, ივლისი უკვე რამდენიმე დღეა, აქაური ციხის კედლებში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პერსონა ჰყავთ გამოწყვდიული. ვგულისხმობ აფხაზ ამბოხებულთა წინამძღოლს, გვარად მარშანიას⁴, რომელსაც ამ

სატუსალოში გასამართლება ელის. საეჭვოა, განაჩენის აღსრულება გასაჯაროვდეს, რადგან ადგილობრივთა ერთი ნაწილიც ცოტა არ იყოს ალექსე-ბულია და შესაძლოა საზოგადოდ მშვიდი ქუთაისშიც კი გაჩნდეს ამბოხის საფრთხე. უფრო სავარაუდოა, რომ მარშანიას შეუმჩნეველად გააპარებენ აქედან, ისე, როგორც ეს რუსებს საერთოდ სჩვევიათ და მას უხმაუროდ, ზედმეტი მოწმეების გარეშე ჩამოახრჩობენ.

აფხაზეთში უკიდურესად გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს და სულ უფრო დაუნდობელ ხასიათს იღებს. ვითარება ძალიან მოგვაგონებს ამერიკის პირველი პიონერების შეტაკებებს მკვიდრ ინდიელებთან; მათი მოწოდებებიც კარგად გვახსენდება: „შცაღპ უმ შცაღპ!“.

აქაურების ლოზუნგი კი ასეთია: „თავი თავის წილ!“ რუსული ჯარების მდგომარეობა აფხაზეთში უაღრესად რთული და სახიფათოა, რადგან აფხაზები, როგორც წესი, ხშირფოთლოვან ხეებზე იმალებიან და დიდი სიმაღლეებიდან იღებენ მიზანში მტერს, თანაც საუცხოო თოფებით არიან შეიარაღებულნი, რაც უშუალოდ თურქების დამსახურებაა. სწორედ მათ შემოაქვთ ქვეყანაში დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-ნამალი. ტყეში ჩასაფრებული აფხაზები ისე მოულოდნელად აუტეხენ ხოლმე სროლას რუსებს, რომ ეს უბედურები, ვიდრე მიხვდებიან, ტყვიები საიდან ცვივა, პანტაპუნტით იხოცებიან. მთავრობამ უთუოდ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა იჩქარა და ამ ხალხს მეტისმეტი ნდობა გამოუცხადა, თავისუფლება მიანიჭა, ნაცვლად იმისა, რომ ჯერ მის განათლებასა და კულტივირებაზე ეზრუნა. შედეგად, ეს ხალხი კვლავაც რუსების დაუძინებელ მტრად რჩება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აფხაზთა მცირე ნაწილი თავს მაჰმადიანად მიიჩნევს, მაშინ, როცა ამ ხალხის დანარჩენი ნაწილი სრულიად არ მიეკუთვნება არცერთ რელიგიას, ურწმუნოა, არც თორა გაუგია, არც ყურანი და არც ბიბლია. ისინი ნებისმიერ ვითარებაში უყოყმანოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იწყებენ ომს.

¹ სტატია გამოქვეყნდა 1877 წლის 23 აგვისტოს, ვენაში, გაზეთ „Neue Freie Presse“-ში, №4667, გვ. 2-3 (მთარგმნ.)
² Die Neue Freie Presse -ყოველდღიური ავსტრიული გაზეთი, გამოდიოდა ვენაში 1864-1939 წწ.-ში (მთარგმნ.)
³ Oklobschii (ავტორ.)
⁴ Marshani (ავტორ.). იგულისხმება ხერიფს მარშანია, აფხაზთა 1877 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური (მთარგმნ.)

თურქეთის მთავრობამ, როგორც უკვე აღვნიშნე, შესანიშნავი საბრძოლო იარაღით აღჭურვა აფხაზები და დაჰპირდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ალაღგენდა აფხაზეთის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ხოლო თუ დამარცხდებოდნენ, სტუმართმოყვრულად გაუღებდა მათ საკუთარი ქვეყნის კარს და თავშესაფარს თურქეთის ტერიტორიაზე შესთავაზებდა.

ფეიქრობ, წარსულში ეს ხალხი უთუოდ ბევრად ცივილიზებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე დღესაა. სავარაუდოდ დამლუპველი რუსული პოლიტიკის სინდისზე უნდა იყოს მათი ამჟამინდელი, გავლურებული მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც მათი ქვეყანა დაიპყრეს, მოსახლეობას, რომელიც მანამდე საკმაოდ ბევრად მისდევდა მინათმოქმედებას, და შეიძლებოდა, მისთვის შეიძლებულიც კი გენოდებინათ, რუსებმა უძველესი, მემკვიდრეობით გადმოცემული ქონება ჩამოართვეს, იმ საბაბით, თითქოს მხოლოდ მისთვის შეიძლებოდა დაეტოვებინათ საკუთრება, ვინც მოახერხებდა, წერილობითი დოკუმენტაცია წარმოედგინა საკუთრების უფლების თაობაზე. ბუნებრივია, არცერთ ოჯახს არ აღმოაჩნდა ნასყიდობის დოკუმენტი ან ანდერძი, ან სხვა რაიმე ოფიციალური ძალის მქონე საბუთი. და შესაბამისად, მათ უბრალოდ ჩამოერთვათ მინის ნაკვეთები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, და სხვა რა დარჩენოდათ ამ საცოდავებს, თუ არა მჩაგვრელებზე შურისძიება? მათი მინის ნაკვეთები „დამსახურების მქონე“ რუს მოხელეებსა და სამხედრო პირებზე გადანაწილდა⁵, ამ უკანასკნელთ კი, სამწუხაროდ, თითი თითზე არ დაუკარებიათ და აქამდე მუდმივად თავს არიდებდნენ, სულ მცირე კაპიტალი მაინც ჩაედოთ თავიანთ ფეოდელებში, რითაც არა მხოლოდ პირად საკუთრებას, არამედ მთელ ქვეყანას ზიანს აყენებენ. შეიძლება გაგვიჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, ხომ არ არის ასეთი დამოკიდებულება ერთგვარი საშუალება საიმისოდ, რომ ხალხი დამოკიდებული და მორჩილი გახადონ. სამწუხაროდ აქამდე აზრად არავის მოსვლია, გადანყვეტილება შეეცვალათ და შედარებით რბილი ზომები გაეტარებინათ. ამგვარად, გასულ წელს ორი ერთმანეთს მიყოლებული მაგალითი გვექონდა, რომელთაც კარგად აჩვენეს, რომ სიტუაცია სწორ გზას ძალიან აცდენილი და დაშორებულია. სამეგრელოში ადგილობრივი მოსახლეობა აჯანყდა თითქმის მსგავსი მიზეზების გამო; და მხოლოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის ჩარევით მოხერხდა წესრიგის დამყარება; ბევრად უფრო სახიფათო იყო გასული წლის შემოდგომაზე სვანების აჯანყება, რომელიც ფაქტობრივად პროვოცირებული იყო

⁵ მინების ასე გულუხვად განაწილება პროვინული დამსახურებების შესატყვისად როდი ხდებოდა, არამედ იმ პოსტის შესაბამისად, რომელიც კონკრეტულ პროვინებას ეკავა: ამგვარად, მაგ. ობერსტს ან მასთან გათანაბრებულ სამოქალაქო მოხელეს გადაეცემოდა 500 დესეტიანი მიწა, ხოლო გენერალს - 100 დესეტიანი (ავტორ.)

და რომელმაც არათუ სარგებელი მოიტანა, არამედ უფრო მეტად ზარალი გამოიწვია. სვანეთში, ოდითგანვე, ყოველი ოჯახი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად ერთგვარ არაყს ხდიდა. - ახლა კი იქ მივლინებულმა მაზრის უფროსმა⁶ თავისი მოწვევების მეშვეობით აღმოაჩინა, რომ თურმე ასეთი გაუგონარი რამ ხდება და გამოაცხადა, რომ დაუშვებელია არყის, თუნდაც მცირე ოდენობით, გამოხდა და შესაბამის გადასახადზე თავის არიდება. ის, რომ ამ, თავისთავად უმნიშვნელო მოსაკრებელით შეგროვილი თანხა არსებულ ფინანსურ მდგომარეობას დიდად ვერ გააუმჯობესებდა (და მხოლოდ მცირე, მაგრამ სასიამოვნო დანამატად შეიძლებოდა გამომდგარიყო რომელიმე კონკრეტული მოხელის საამებლად), თვითონვე უნდა გაეთვალათ წინასწარ. სვანებისთვის კი, რამდენიმე კაპიკიც, რისი გადახდაც თითო სულ მოსახლეს ეკისრებოდა, ძალიან მტკივნეული იყო, და ეს მკაცრი მოთხოვნა მათი საუკუნოვანი თავისუფლების წართმევასთან ერთად ისეთ მძიმე დარტყმად აღიქვას, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა წამოიწყეს. სასჯელის სახით სვანებს საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნა დაუპირეს, მათ კი, გააჩუქებულბმა ერთ მშვენიერ დღეს მჩაგვრელები დახოცეს და თავები მოჰკვეთეს. საპასუხოდ მცირერიცხოვანი ჯარი გამოიგზავნა, რომელმაც სვანებს სხვა ვერაფერი დაუშავა, გარდა იმისა, რომ მიუვალ მთებში მდგარი კოშკები გაუნადგურა. ეს ექსპედიცია რუსებს უამრავი ფული დაუჯდათ. დღეს კი სვანები ისევ ხალისით ხდიან თავიანთ არაყს და ამისთვის კაპიკსაც არ იხდიან. ამჟამად ხალხი ზოგადად მშვიდაა. სხვათა შორის დაიწყო თურქების როგორც მეტად პატივსაცემი მტრის აღქმა. რადგან, გარდა იმისა, რომ ისინი კარგად იბრძვიან, დაჭრილი რუსი ჯარისკაცები ხშირად ჰყვებიან, თურქები არც ისეთი სისხლმონყურებულები ჩანან, როგორც გვიმტკიცებდნენ, და ამასთან, არცთუ იშვიათი ყოფილა შემთხვევა, როცა თურქ ჯარისკაცს დაჭრილ მტრისთვის არათუ თავი არ წაუჭრია ან რაიმე სხვა გზით სიკვდილი მოუსწრაფებია, არამედ ადამიანური სიყვარულითა და თავგანწირვით სავლელ ლაზარეთამდეც კი მიუყვანიაო.

კავკასიაში ცხოვრობს ხალხი, რომელთა რეალური წარმომავლობის დადგენა ნამდვილად ძალიან საინტერესო იქნებოდა. ესენი არიან ხევსურები, რომელთა რიცხოვნება დაახლოებით 8 000 კაცს ითვლის. ისინი კახეთის მთიანეთში სახლობენ და მათ შესახებ სხვადასხვა მოგზაური ასევე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვთ, ტანმაღალნი, ღონიერი აგებულებისანი არიან, ნამდვილი გერმანული ტიპისა. შუა საუკუნეების ჯაჭვის პერანგი აცვიათ, ფარსა და მახვილს (ეს უკანასკნელი იარაღი აღმოსავლური არ არის, ძველგერმანული ხანჯალია) ატარებენ და ტანსაცმელზე წითელი და თეთრი ჯვრები აქვთ

⁶ Districts-Chef (ავტორ.)

ამოქარგული. მათი რელიგია თითქმის თავიდან ბოლომდე ქრისტიანულია.

შედარებით ადრინდელი მოგზაურები ირწმუნებიან, რომ ხევსურები იმ ძველი ჯვაროსნების შთამომავლები არიან, რომელთაგან რამდენიმე შესაძლოა კავკასიაში ჩარჩა და აქ დასახლდა. თუმცა, შედარებით გვიანდელი მოგზაურები, როგორცაა მაგ., ფონ ტილმანი⁷, ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან, და, კერძოდ, იმ მიზეზით, რომ ეს ხალხი ქართულად ლაპარაკობს და მათ სასაუბრო ენაში გერმანული წარმოშობის არცერთი სიტყვა არ გვხვდება. ტილმანი თვლის, რომ გერმანული ენა უეჭველად უნდა შემონახულიყო, რადგან, გამომდინარე იქიდან, რომ ხევსურთა საცხოვრებელი ადგილი ბარისგან ძალიან მონყვეტილი და მიუდგომელია, აქ ჩარჩენილ ჯვაროსნებს იშვიათად ექნებოდათ ადგილობრივებთან ურთიერთობისა და მათი ენის შეთვისების შესაძლებლობა. მე არ ვიცი, რამდენად ურყევია ეს მოსაზრება, რადგან ჩვენ გერმანიაში გვაქვს სანინალმდეგო მტკიცებულებები, ვგულისხმობ ფრანგულ კოლონიებს, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაარსდა, მეოთხე თაობას კი უკვე ისე აქვს დავინყებული საკუთარი ენა, რომ მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობენ, თუმცა, ამავე დროს, თავიანთ ფრანგულ წეს-ჩვეულებებს დღემდე ინარჩუნებენ. აქაც ასეა: ხევსურებს მეტ-ნაკლებად უწევდათ თავიანთ მეზობლებთან ურთიერთობა, საჭიროებიდან გამომდინარე სწავლობდნენ ადგილობრივთა ენას, და ამასობაში დაავიწყდათ საკუთარი, თუმცა, შეინარჩუნეს თავიანთი ძველი წეს-ჩვეულებები და მათზე უარი არ უთქვამთ. ხევსურები იმოსებიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ტანსაცმლით და ატარებენ იარაღს, ზუსტად ისეთივეს, როგორც უკვე ვთქვი, როგორცაა ჯვაროსნები და თავყვანს სცემენ ღმერთ გამბრინუსს. ამავე დროს, თავად ხარშავენ თავიანთ ქერის წვენს, (სხვათაშორის, როგორც ამბობენ, საუკეთესოს) და მთელ ქვეყანაში ცნობილი არიან, როგორც გონიერი, ინტელექტუალი, გამრჯე და პატიოსანი ადამიანები (კიდევ ერთი საბუთი იმის დასტურად, რომ საერთო არაფერი აქვთ ქართულურ⁸ ტომებთან). მოკლედ, გერმანული ხასიათი და ტიპაჟი მათში იმდენად თვალშისაცემია, რომ უფრო ძველ მოგზაურთა მოსაზრებებს დავეთანხმებოდი, და ამ აშკარა მსგავსებას არ მივანერდი შემთხვევითობას, რომელიც დიდად სარწმუნო არც იქნებოდა.

ბოლო დღეებში მიღებული მნიშვნელოვანი დანაკარგების გამო ფიქრობენ ჯარის შევსებას, და გამოვიდა „უკაზი“, რომელიც უახლოეს ხანებში 185 000 კაცის განწვევას ითვალისწინებს. აქაც დაი-



წყო განწვევა, რომელიც არცთუ წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იმერლებმა, ქართველებმა⁹, მეგრელებმა და როგორც ჰქვიათ კიდევ ბარის ამ ხალხებს, ისედაც გაგზავნეს თავიანთი ბრძოლის-უნარიანი მამაკაცების უდიდესი ნაწილი, მთის ხალხები კი, როგორც მაგ. სვანები, ამჯობინებენ თავიანთ მთებში მშვიდობიანად ეწეოდნენ მესაქონლეობასა და ნადირობას, ვიდრე საქმე დაიჭირონ თურქებთან. კარგი საშუალება იქნებოდა, მსხვილი მესაკუთრეები ჩაებათ განწვევის პროცესში და გაეაქტიურებინათ, რადგან ამათ ადვილად გამოუვიდოდათ, საკუთარ ყმათა რაზმები გამოეყვანათ და ამგვარად არცთუ მცირერიცხოვანი ლაშქარი შეეკრიბათ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მიუხედავად ბატონ-ყმობის გაუქმებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს უამრავი სახის ფეოდალური ბეგარა. ისინი ზოგჯერ ძალიან კომიკური ხასიათისაა და ცხადად გვახსენებს „ჯუს ეხუნდი ცალიგას რეგის“-ს. ასე იყო ახლახანს გარდაცვლილი თავადის, ნიკოლოზ ჭავჭავაძის შემთხვევაშიც, რომელსაც უფლება ჰქონდა, ერთ-ერთი თავისი ყმისაგან ყოველ წელს მოეთხოვა, ბატონისთვის მარცხენა ჩექმა მიერთმია. ამ ცალმხრივმა კოლექციამ დროთა განმავლობაში ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომ მოხუც თავადს, ეტყობა, მობეზრდა და მოითხოვა, ამიერიდან უკვე მარჯვენა ჩექმა მიეწოდებინათ. არაფერი გამოუვიდა, რადგან ვასალი ჯიუტად იშველებდა სიგელის ტექსტს და, შესაძლოა, თავისი დახვეწილი სიკერპითაც მიიყვანა საბრალო თავადი სამარის კართან. ყველაზე ჩვეულებრივი ბეგარა აქ ცალკეულ ოჯახებს ავალდებულებს, ბატონს თავიანთი მამაკაცი წვერი მსახურად დაუყენონ, და ეს

⁷ ტილმანი, ფრაიჰერ ფონ: ლაშქრობები კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში („Streifzüge im Kaukasus, Persien und in der asiatischen Türkei“ von Freiherrn v. Thielmann), ლაიპციგი. 1875. გამომცემლობა Duncker und Humblot (ავტორ.)

⁸ Kartilinishe Stämme (ავტორ.)

⁹ Georgier (ავტორ.)

ვალდებულება მამიდან შვილს მემკვიდრეობით გადაეცემა. ისე რომ, როგორც კი ერთი წავა, მისი ადგილი მეორემ უნდა დაიკავოს. ყველაზე პრაქტიკული მსახურებით სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი სარგებლობს: მისი სვანური სამფლობელოების ყმა-გლეხები ვალდებული არიან, თავადის საზაფხულო რეზიდენციაში, გორდში, იმ დროს, როცა თავადი იქ იმყოფება, ყოველ საღამოს მრავალრიცხოვანი პატრულირება გასწიონ და ფხიზლად უდარაჯონ სხვადასხვა პატარა ვილას, რომლებშიც თავადის ოჯახი და მისი სტუმრები ცხოვრობენ. ლამის პატრულირება აქ საუცხოოადაა ორგანიზებული. ყოველი მამაკაცი, რომელიც პატრულირებას ეწევა, აღჭურვილია თოფით, ფიწლითა და ხანჯლით, ასევე, სასიგნალო სასტვენით. ამგვარად, თუ საპატრულო რაზმის უფროსი ლამის ნებისმიერ მომენტში სიგნალს მისცემს, უახლოეს პოსტზე მყოფებმაც სტვენითვე უნდა უპასუხონ. ამიტომაცაა, აქ ყველას შეუძლია სრული სიმშვიდით დატოვოს კარი ღიად და წყნარად იძინოს, რასაც ზოგადად კავკასიაში არავის ვურჩევდი.

აქაური (აშკარად რუსი) პოლიტიკოსები და ომის წინასწარმეტყველები სრულიად მოულოდნელად უჩვეულო და ყოველად გაუმართლებელ ილუზიებს მიეცნენ, ისე რომ ეს ლამის ივლისის მწველ მზეს დავაბრალოთ ან ვიფიქროთ, რომ დუნაისპირეთიდან მიღებულმა უახლესმა ცუდმა ცნობებმა ცოტა არ იყოს გონება აურიათ.

ერთმა რუსულმა გაზეთმა შემდეგი რამ გამოაცხადა როგორც უახლოესი სამომავლო რეალობა: ძალიან მალე რუსეთი სამშვიდობო ზავს დადებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ თურქეთი ომიდან გავა და სანაცვლოდ კომპენსაციის სახით ინდოეთს მიიღებსო! ერთმა ბატონმა (რომელიც, აქვე რომ შევნიშნოთ, იმ პოსტის მიხედვით, რომელსაც იკავებს, წესით უფრო გონივრულ პოლიტიკას უნდა ემხრობოდა), რომელმაც ეს ბრძნული მოსაზრება მამცნო, და რომელსაც მე შევეწინააღმდეგე, ამაზე ნეტავ, ინგლისელები რას იტყვიან-მეთქი, ასე მიპასუხა და თან თავისი გამართლებული რისხვა გამოხატა ბრიტანელი ერის მიმართ: „ინგლისელები? ინგლისელები საერთოდ არაფერს იტყვიან, ეს ყველაზე მცირე სასჯელი იქნება, რასაც ისინი თავიანთი გაუთავებელი ინტრიგების გამო იმსახურებენ. თუ არა და, მათ კოლონიებს ჩამოართმევენ და ფრანგებს გადასცემენ და გიბრალტარს მალტასთან ერთად იტალიელებს უსაჩუქრებენ.“ ამ სრულიად ახალი და ესოდენ მარტივი გეგმის შესახებ გაცუებული ველარაფერი ვთქვი. ან რა უნდა მეთქვა, შემეძლო მხოლოდ, აღფრთოვანებით მომეხარა ქედი იმ ძალის წინაშე, რომელსაც, როგორც ჩანს, ღრუბლებიდან ელიან. ასეთი რამ საკმაოდ ხშირად შეიძლება მოისმინოს კაცმა. აი, გუშინაც ერთმა გენიოსმა განაცხადა, რუსეთი მანამდე ვერ გამოაცხადებს სამშვიდობო ზავს, ვიდრე კონსტანტინოპოლს არ დაიკავებსო, თურქების ამპარტავნება რალაც-

ით მაინც ხომ უნდა დაითრგუნოსო. თუმცა, ჩნდება კითხვა, რომელი მხარე უფრო შეიძლება ჩაითვალოს ამპარტავანად, როცა მსგავსი რამ გესმის? სულ ბოლო მოვლენებმა საკმარისად კარგად აჩვენა, რომ თურქები სიტყვით არ იბრძვიან. ვენასთან მათი დანაკარგების რიცხვი დღეს ზუსტად არავინ იცის, მაგრამ აღიარებენ კი, რომ ის ძალიან დიდია. წითელი ტელეგრამები ამ უბედურების გამართლებას ცდილობენ, აქაოდა გვეგონა, რომ იქ მხოლოდ მტრის 40 000-კაციანი ჯარი იდგა, ამასობაში კი მათი რიცხვი 80 000-ზე ასულაო. ამასთან დაკავშირებით ზედგამოჭრილია ერთი ძველი ანდაზა: „გგონია, ნიშნავს, რომ არაფერი იცი.“

ამ დღეებში აქ გენერალ ოკლობჟის შტაბს ელიან, რომელიც ოზურგეთიდან ქუთაისში უნდა გადმოვიდეს. და თავს იმტვრევენ ამ უახლოესი ცვლილების გამო. მაშინ, როცა მხდელი მოხელეები შიშობენ, ეტყობა, ქუთაისის თავდაცვის მდგომარეობაში გადაყვანა იგეგმებაო, ბოროტი ხმები ამბობენ (როგორც ხედავთ, ძალიან ბოროტი ხმები არიან), რომ ეს მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი, დროებითი მოვლენაა: „როგორც კი საომარ ასპარეზზე რაიმე უბედურება მოხდება, რომელიმე შტაბი მაშინვე აქ ჩამოდის, ცოტა ხნით სულის მოსათქმელად.“

რამდენიმე დღის წინ აქ საფრანგეთის ვიცე-საკონსულომ დაიდო ბინა. დიდი ხანი არაა, რაც ის მარსელის პალატის სასწრაფო მოთხოვნის საფუძველზე გაიხსნა ფოთში, თუმცა, ვიდრე შავი ზღვა ყველა გემისთვის - გარდა თურქულისა - დაკეტილია, იქ საქმე არაფერია, და ვიცე-კონსულიც ქუთაისში რჩება, ხოლო კონსული თბილისში იმყოფება. გარდა ავსტრო-უნგრეთის მონარქიისა, ყველა დიდ ევროპულ ქვეყანას აქვს თავისი წარმომადგენლობა კავკასიაში, მხოლოდ ჩვენი საწყალი თანამოქალაქეები ოხრავენ უიმედოდ, ნატრობენ, ერთი მოხელე მაინც ყოფილიყო აქ, ვინც მათი ინტერესების გამომხატველი იქნებოდა. ჯერ კიდევ წლების წინ ითხოვდნენ საკონსულოს გახსნას ავსტრიის ქვეშევრდომები, რომლებიც მრავლად იყვნენ აქ. ნელსაც კიდევ ერთხელ გაიგზავნა პეტიცია, რომელსაც სამწუხაროდ აქამდე შედეგი არ მოჰყოლია. ადრე საჭიროებაც არ იგრძნობოდა ასე ძალიან, რადგან გერმანიის ადრინდელი კონსული ავსტრიელებსაც ემსახურებოდა, მისი ახლანდელი მემკვიდრე კი ჯიუტად იცილებს თავიდან ჩვენს თანამემამულეებს, მათთვის ხელსაც არ ანძრევს და იმიზეზებს, რომ ბევრი სამუშაო აქვს და შესაბამისი უფლებამოსილებაც არ გააჩნია. ამიტომ, იძულებული ვართ, როცა მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს, ოდესაში ან თეირანში გავეგზავროთ. იქნებ, ეს სტრიქონები მაინც დაგვეხმაროს, ისინი ხომ კავკასიაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების თხოვნით დაიწერა და მათ საერთო სურვილს გამოხატავს.

მ. ა. ლერაი¹⁰

¹⁰ M. A. Lerei - არტურ ფონ ზუტნერის ლიტერატურული ფსევდონიმი (მთარგმნ.)

შალვა ბაკურაძე

ანაქოსის არგონავტიკა

1

სამყაროს სულით მოვაჭრენო
 განძი უღევი ღრმა ზანდუკებში ჩაგრჩენიათ
 და უნებლიეთ მნათობისაკენ ზეანვდილი ხელისგულები
 მარადი
 ანმყოს გოგირდისფრად გაგხუნებიათ.
 და თვალებს თქვენსას - ნავსადგურებს შეჭრილებს
 ზღვაში მზე გასცვენიათ,
 როგორც ეჭვი ბედის ნებიერს, სიკვდილის გემო
 დაუკარგავთ და სწორედ მაშინ, ცის გუმბათიც კი
 გოგირდისფრად გაგხუნებიათ.
 ჰე, მოვაჭრენო, ყური უგდეთ,
 სწორედ ის ხმაა, ჩვენს სიცოცხლეს რომ ეპანივით
 ზურგზე მიჰკვრია,
 ამქვეყნიური ცოდვებიდან მხოლოდ ზღვის ხმაურს
 შემოინახავთ სამოთხეში და რელიკვიად იმღერებთ
 ტალღებს,
 გზას იმღერებთ, ტალღებს და ლოცვას ზღვაში ჩაძირულ
 ზურგისქარზე,
 რადგან ქარიც ხომ ველარასოდეს გაგახსენებთ იმ დღეებს,
 როცა მზე ნავსაბმელთან დიდ თეთრ ქვაზე
 ჩამომჯდარიყო.

2

მეთევზეები თეთრ თოლიებს რომ შენატრიან
 და მუცლისქვეშა ფარფლით გრძნობენ წყლის
 სიახლოვეს,
 ზღვაში გადაიან კანჯოებით დილაადრიან
 და ბრუნდებიან, ბრუნდებიან მხოლოდ საღამოს. ხოლო
 ჩვენ, ვინაც მზეს მივათრევთ დალილი მხრებით,
 ყოველდღიური დამარცხების ვხდებით მომსწრენი,
 და ნელა-ნელა ვემსგავსებით ჩვენივე ნებით მფრინავ
 კაცთევზებს სველ გემბანზე მკვდრადჩამოცვენილთ.
 მივსდევთ ჰორიზონტს გამოუთქმელს,
 ვამბობთ საყვარელ თანავარსკვლავედს,
 გვისმენს ცხრაზღვისიქითა სახლი, რომ წვიმა, ოფლი,
 ცრემლი, სისხლი უკვე დავეღვარეთ,
 დაყვრით ფარ-ხმალსაც, ოღონდ ნიჩბებს არასდროს
 დაყვრით.
 არაფერს მოვთხოვთ კუნძულებს, უბრალოდ
 გავცვლით მესაჭეს კაცზე, ვინც თითუელს ხელის
 ცახცახით ნესტოებიდან ამოგვითხრის ღმერთებს და
 საჭმლის ნარჩენებით აღელვებულ ზღვაში გადაყრის
 ვინც გემბანივით გადაგვიფხეკს თვალისჩინს, ხოლო
 ლოცვიდან სიკვდილს ამოგვაჭრის
 და ვინც ზანზალაკ შემბულ თხებივით მინდვრებიდან
 შინისკენ მხოლოდ თევზების მიერ გაკვალული გზით
 გვანანნალებს.

3

ვინ უნდა შეგვხვდეს?
 მიუწყებთ მდინარეს აღმა, ნაპირზე ვხედავთ

მიტოვებულ ჭებს
 და თევზსაჭერ
 ნავებს, ქოხმასებს,
 ბალახმოვლილ
 საფლავებს, ბალებს...
 "თქვენი სამშობლო
 აქ იწყება", ამბობს
 მესაჭე
 ვინ უნდა გვიცნოს?
 ფრინველებმა, მთებმა
 თუ უწყლო არხებმა,
 ვისვრით ნაპირისკენ
 შორისდებულებს და
 ყველაფერი არის
 ირგვლივ იმდენად უცხო,
 თითქოს ჯერ არც კი გავჩენილვართ, დავბადებულვართ.
 ვინ უნდა მოგვეკლას?
 ვნახეთ მეფე, დავათვრეთ მარად ფხიზელი მხეცი,
 კოლხი ქალი გვადებს სალბუნებს და ახლა ჩვენთვის
 მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს,
 ამ ოქროს სანმისს დავიტოვებთ თუ დავაბრუნებთ.
 ვის გაუზრბივართ?
 ვისი სუნთქვა გვესმის გაღმიდან?
 ჩვენს უკან მხოლოდ შარშანდელი ქარით დაგვილი
 სამხრეთის ღამე მანათობელ ქვირითს დაყრის
 და გემის კიჩოზე დაეშვება მთვარე ბაგირით.



4

პ.ს. ყოვლისშემძლეო, მინის, ზღვის და მზის
 ანგელოზო...
 ჩვენ რიფებს შორის მიცურავდით დღე-ღამე
 ერთი ის ალიონი ღვინისფერი გახსოვს, ანკეოს,
 ანდა დედოფალ ჰიპსიფილეს შიშველი მკერდი?
 ჩვენ ახლა ზღვისგან შორსა ვართ და სიკვდილთან
 ახლოს, ვეძებთ სოლტონ სის უდაბნოში ოქროს ოაზისს,
 მაგრამ ვბედავ და გეკითხები, ტიატი გახსოვს, ან ის
 შავტუხა ქალიშვილი ჰივა-ოაზე?
 გუშინწინ ერთად ვიყავით და გეძებთ სად არ,
 თქვენებთან ომში, სიზმრებში და ფერად რუკებზე,
 ვიხილეთ მთათა ქედები და სილურჯე ცაათა, ვერაფერს
 ნახავს ქვეყნად კაცი მათზე უკეთესს.
 პალოსში გვითხრეს, თითქოს ზღვისთვის ყოველი დათმე,
 რაც იყავ დარჩი, არ მომხდარა შენში ცვლილება,
 ისე, შემთხვევით, ლაპერუზი თუ ნახო სადმე,
 გადაკოცნე და მომიკითხე აუცილებლად.
 ახლა ბლოკნოტში ყველა ზედმეტ ფურცელს ამოვხვე,
 დამრჩება მხოლოდ ამაძინთან შენი სურათი
 და გავისხენებ ჰელესპონტსაც და იმ სამოთხეს, მთელი
 დღე-ღამე რიფებს შორის რომ მიცურავდით.
 მერე კი ვიტყვი:
 „გამოვლილი წუთები ვთვალე, სიცოცხლე ჩვენი
 მინდორია, სადაც გვირილებს გაუდგამთ ფესვი და
 სითეთრე გვიჭრელებს თვალებს
 და მთელი მკვდრეთის გასაგონად მინდა ყვირილი!“
 ყოვლისშემძლეო, მინის, ზღვის და მზის ანგელოზო.

დალი კახიანი

საქართველო ყველასია

დღეს საქართველო განსაცდელშია. არც შინაური, არც გარეშე მტერი მას არ ინდობს, მითა ჟამიდან ასე ყოფილა, მაინც რა ღმერთგამწყრალი ქვეყანა გამოვდექით, რა უღვთო მსჯავრია. განა კიდევ ვის აღმოხდა, ქუდზე კაცი? სწორედ ამ უპირობო თავგანწირვამ გამოგვალწეინა უთანაბრო კაჟხმლების ჯგლეითიდან.

ეს მაშინ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედს ცხელი სისხლი და მკლავის ძალა წყვეტდა, ერთზე ათი რომ მოდიოდა და მაინც ვიგერიებდით და ასე გამოვალწიეთ ყიამეთიდან ამ ცივამტკაველა ერმა. როგორ ვთქვა, ის დრო ჯობნებულა-მეთქი, რუქაზე მაინც ვიყავით მონიშნული, დღეს კი ნახეთ რა ხდება, თითქოსდა ცივილიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ, აგერ ბატონო, „ბოროტების იმპერიად“ სახელდებული საბჭოთა კავშირიც დაამსხვრიეს ოკეანის გაღმელმა დაფარულმა მასონთა ასებმა. ადრე თუ გვიან, ყველა იმპერია აღიგვება პირისაგან მიწისა, ჟამთასვლის უკიდვანო მდინარეა ამის მომსწრეა და ეს კანონზომიერია.

კეთილი და პატიოსანი, ვაჟა მათ ძალისხმევას, ვინაც ხალხების და ერების თვითგამორკვევის უფლებების და თავისუფლების მოპოვებისთვის იღვანა, შექმნა საყოველთაოდ ცნობილი „ჰელსინკის დეკლარაცია“, რომელიც გაისიგრძეგანა ერმა და ბერმა. დიდი ხნის ნანინანატრი თავისუფლება, განა ვისთვის არ შეიქნებოდა მაცდური, ის თეორიული პოსტულატები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შთაგონებდნენ მსოფლიოს საუკეთესო ტვინებს, ეღვანათ ცხოვრებაში მათ გასატარებლად. ეს ყველაფერი კარგი, რომ არა, ის მზაკვრული საფანელი, რომლის ობის სუნი სულ უფრო მეტად საგრძობი და შემანუხებელი ხდება. როგორც ჩანს და იკვეთება, კეთილმოსურნეობის ნიღბით გათამაშებული ფარსი, მსოფლიო კომედიანტების მიღმა, მრავალთათვის ჯერ კიდევ არ არის გაშიფრული. ისევე, როგორც იმპერიულ სივრცეში, დღესაც საყოველთაო სიცრუეში გვაგმყოფებენ. ყველაფერი კარგად არისო, ევრო-საბჭო და ნატო გულში ჩავიხუტებენო, არადა, როგორც სულნაგვემი გალაკტიონი იტყოდა, ყველაფერი არის ძალზედ ცუდად. რამხელა მსხვერპლის ფასად გამოვედით საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, თავისუფლების ბარიკადებზე ფაფარაშლილ ბედაურებივით ყალყზე ვიდექით (მახსენდება ამავე თემაზე შექმნილი ჟენ დელაკრუას ფერწერული ტილო), გამოვიარეთ 9 აპრილის „ბართლომეს ღამე“, გამოვიარეთ ორი სამამულო და ერთიც იმპერიიდან მოსკოვიდან მართული სასტიკი ომი.

ადამიანური ცხოვრების ყველანაირი პირობები დავთმეთ, ოღონდაც ვზიარებოდით გვირაბის ბოლოს მოჭვრითინე იმ ნათელს, რომელსაც ცისქვეშეთში ყველა ერი თუ ადამიანი, ცნობიერად თუ არც მთლად გაცნობიერებულად მიელტვის, რაც ღვთით ბოძებულია ყოველი სულიერი არსისთვის და ადამიანური ღირსების უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს. მოგონებამ 9 აპრილის მისტიკური ღამე და შემდგომი ტრაგიკული მოვლენების კადრები გამიცოცხლა, მაშინ პარლამენტის შენობის

კიბებთან ეროვნული დროშით ხელში იდგნენ სამშობლოს სიყვარულით გაცისკროვნებული და მის მომავალზე ფიქრით გულშეძრული ახალგაზრდები, ვეფხვივით შემართული ყმაწვილები და ამორძალებივით უშიშარი ქალიშვილები. მრავალთა მსგავსად, მეც მათ



რიგებში ვიყავი. არ დამავიწყდება საპროტესტო ტალღის ზვირთები, რომელსაც წინ მოუძღვოდნენ ბაირალით ხელში, ანტიკურ გმირთა დარი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, ქარი თმებს უწენავდათ, სამშობლოს სურნელით და არომატით სავსე იყო ქუჩა, ეს ისეთი განუმეორებელი და მშვენიერი სანახაობა იყო, როგორსაც ათასში ერთხელ თუ შეესწრება ადამიანი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო ეს ყოველი, და რა ასეთი მეტამორფოზა მოხდა ახალი თაობის მენტალურ ფასეულობებში, რამ მოადუნა ეროვნული ცნობიერების მფეთქავი ძარღვი.

ისმის ანალიტიკური აზროვნებისთვის ნიშანდობლივი ბუნებრივი კითხვა – რა იყო ეს ყველაფერი? რას ემსახურებოდა, რისთვის იყო საჭირო? ვართ კი დღეს დამოუკიდებლები და ნამდვილად ჩვენს თავს ვეკუთვინით?... მივიღეთ კი ის, რაზედაც გულმხურვალე მამულიშვილები ოცნებობდნენ? რის სანაცვლოდაც მკერდს ტყვიას უშვერდნენ? ასე გვეგონა, მაგრამ, ვაგლახ, რომ მოგცუებულვართ. განა ეს თავისუფლებაა? ადრე თუ ერთი ბატონი გვყავდა, დღეს მრავალი მოგვევლინა, ჩვენს ბედს კვლავ სხვანი განაგებენ, ვულკანის წამლეკავ მაგმასავით მოგვანყდა და მოგვანვა ათასი ჯურის მომხდური, მთელი ისლამური სამყარო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გვკუნავდა და გვანოკებდა, გვიჩეხავდა ვაზს, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოს, არბევდა და ანადგურებდა ეკლესია-მონასტრებს და კულტურის ძეგლებს. ბედის უკულმართობას დახეთ! დღეს მაჰმადიანთა ნაგრამი (ასევე სხვა ჯურის), ეპატრონება ქართველთა სისხლით გაჯერებულ მიწას, წყალს, მდინარეს, წიაღისეულს. ადრე თუ ხმლის ქნევა ეჭირვებოდა, დღეს ლანგრით მირთმეული ებოძა მსუყე ლუკმა და ნუგბარი. გასხვისებულია ათასობით ჰექტარი მიწა, მიწა, რომელიც ყველაზე დიდი ეროვნული ფასეულობაა და რომლის ხელში ჩასაგდებად და დასაპყრობად ქვეყანა ქვეყანაზე და კაცი კაცზე მიდიოდა. სამშობლო ხომ პირველყოფლისა არის მიწა და არა ჰაერი ან ცა, რომელიც ყველას ერთნაირად გვხურავს, დიდსა თუ მცირერიცხოვან ერს. გამოდის, რომ ჩვენ წამგებიან პოზიციაში აღმოჩენილვართ, სხვა კი – მომგებიანში. ჩვენ, არავის სამშობლოს არ ვეპატრონებით და ასე იყო მუდამ, ზოგი თუ იმას იტყვის, ქართველებიც ხომ ცხოვრობენ საზღვარგარეთო, ეს ცდომილებაა, ქართველების გადინება იმ მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარეა, რომელშიც ქვეყანა

მოაქციეს 90-იანი წლებიდან მოკიდებული და ეს ყოველი, ფარული ძალების მიერ იყო წინასწარ გათვლილი, დაგეგმილი (ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან) და მოულოდენ მხოლოდ იმდენს, რომ სამშობლოში დარჩენილი ოჯახები არჩინონ.

ისინი არ ეპატრონებინან სხვათა მიწას, ან კი ვინ მისცემს მათ ამის შესაძლებლობას.

ყველა ქვეყანა და ყველა მთავრობა უფროსილდება ეროვნულ საუნჯეს — მიწას და ეს კანონმდებლობით არის გამყარებული. რატომღაც მხოლოდ ჩვენი მთავრობები გამოდგნენ, ქვეყნის ხარჯზე გულუხვნი, უპრაგონოდ ყიდიან და ასხვისებენ იმ მცირედს, რაც გადაურჩა რუსეთის იმპერიას თუ ოსმალეთს, რომლის უინი ჯერაც არ დამცხრალა და აჭარა, რომელიც ერთხელ უკვე დავკარგეთ და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის თავგანწირული ბრძოლის წყალობით შემოვიმტკიცეთ, დღეს ამკარა საფრთხის წინაშეა. მოკლედ, საქართველო ყველასია, ყველა ქვეყანა — შორი თუ ახლო მეზობლები, რომელთაც საბჭოეთში მოძმე ხალხებს უწოდებდნენ, დაფარულად თუ ამკარად ამზურებენ თავის მადალძრულ წადილებს, ყველა რაღაცას გვწინკნის და გვათლის, მასხენდება დავით გურამიშვილის — „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის“, ყველამ წაგვკრა თითო ყისტიო, აბა ახლა უნდა, წაგლეჯას რომ იტყვიან. საქართველოს, დასაბამიდან დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობის შესანარჩუნებლად ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და საუკუნეში, ყოველ 19 წელიწადში ერთხელ აღმოსავლელი ტირანების გეზმუცვლელი სამიზნე იყო, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, არ დაუკარგავს იმდენი ტერიტორია, რამდენიც დაკარგა ერთმორწმუნე რუსეთთან ქვეშევრდომობის პირობებში. მეგობარი ქვეყნები არ არსებობენ, ეს ისტორიამ თვალსაჩინოდ დაგვანახა. ყველა ქვეყანა გარკვეულ ეტაპზე მტაცებლურ ინსტინქტებს და ზრახვებს ააშკარავებს. XX საუკუნე ერთობ ტრაგიკული შეიქნა ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რაც ინერციით XXI საუკუნესაც გადაწვდა. პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს ქართული მიწა-წყლის სისხლიანი თუ უსისხლო ოკუპაცია, მითვისება - გასხვისება.

გასაბჭოების პირველივე დღეებიდან, საქართველო შეიქნა სარფიანი სამიზნე არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის (ემისარ ორჯონიკიძის გულუხვი დასაჩუქრებით მიითვალა სოჭის მხარე), არამედ უახლოესმა მეზობელმაც - სომხეთმა წაგვგლიჯა ისტორიული ლორე, ტაშირი, ახპატ-სანაია. აზერბაიჯანმა წაგვგლიჯა ქვემო ყარაია, ფოილო (დავით გარეჯის კომპლექსის ნაწილი), იორ-ალაზნის შესართავი, საინგილო. შეიქმნა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკები.

ქემალისტურმა თურქეთმა მიითვალა ტაო-კლარჯეთი და შავშეთი, რომლებმაც XXI საუკუნეში მსოფლიოს დამოუკიდებელ რესპუბლიკებად წარუდგინეს თავი. ცოტაა? რაღა თქმა უნდა ეს ყოველი, დიდი იმპერიების ფარული ურთიერთშეთახნებების ფონზე ხორციელდებოდა. ყველას ამოძრავებს გეო-პოლიტიკური და კომერციული ინტერესები და რომელი უფრო მაღე გადაგვყალაპავს, ამას დრო გვაჩვენებს. აფხაზეთი აბსურდს, სომხებს და რუსებს, სამაჩაბლო — ოსებს და

რუსებს, სამცხე-ჯავახეთი — სომხებს, ისტორიული ქალაქი მცხეთის მიმართ პრეტენზიები თურმე ებრაელებს ჰქონიათ, — „26 საუკუნის წინ სწორედ აქ ჩამოვიდნენ ებრაელები, აქ მეორე იზრაველი უნდა დავაფუძნოთო!“ შიდა ქართლი — მარნეულის და ნალკის მსუყე სავარგულებით, ჩვენს მოძმე აზერებს და რომ არაფერი ვთქვათ, მათ მიერ მიტაცებულ საინგილოზე, ჩვენს ისტორიულ ძირძველ ჰერეთზე, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა თითო-ოროლადაა, იმათაც გვარები აზერბაიჯანულად გადაუკეთეს და ეროვნების გრაფამი აზერბაიჯანელი ჩაუნერეს. ჩემი ინგილო სტუდენტები მეუბნებოდნენ, უკიდურესად შევიწროვებულ პირობებში გვამყოფებენო. ჰოდა, ეხლა მეტი მოუნდათ, თქმულა, მადა ჭამამი მოდისო და დაინახეს უპატრონო მონასტერი, მთელი საქართველო ხომ უპატრონო მონასტერია და რატომაც არა, გადმოლახეს თავიანთი საზღვარი და გარეჯის უდაბნოს გვედავებინ თავისი სამონასტრო კომპლექსით, რომელიც 1400 წელს ითვლის, ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის სწორუპოვარი ძეგლია. აქ მოღვაწეობდნენ საქართველოს განმანათლებელი ასურელი მამები (თორმეტი ასურელი მამის სახელდებით), ისინი არ იყვნენ ეროვნებით ასურელები, არამედ იყვნენ ქართველი ბერები, განათლების მისაღებად მივლენილნი ასურეთში და კვლავ საქართველოში დაბრუნებულნი, კულტურულ—სამონასტრო ცხოვრების გასაჩაღებლად. გარეჯის კომპლექსში, წარმოდგენილია მონუმენტური მხატვრობის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც თავად ლაღდებენ თავიანთ ქრისტიანულ წარმომავლობაზე. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ერთი გარემოებაც, რომელიც ფასდაუდებელია ზოგადად ქართული კულტურისთვის. კერძოდ ის, რომ ბიბლიური სიუჟეტებით შთაგონებული კედლის მხატვრობა, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი მათგანი (თუ არ ვცდები „მწყემსი კეთილი“) თავისი იკონოგრაფიით, წერის ტექნიკით და მანერით, ფერწერული კოლორიტით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს და ლამის იდენტურია ადრეული ევროპული რენესანსის, ანუ პროტორენესანსის მესაძირკვლის, უდიდესი იტალიელი მხატვრის, ჯოტოს ხელწერისა. როგორც მოგეხსენებათ, აღორძინების ეპოქის ყველა მხატვარს, თავისი ბიოგრაფი ჰყავდა, რაც შეეხება ჯოტოს ბიოგრაფიას, იგი ბურუსით არის მოცული, ერთადერთს, რასაც გვამცნობს მისი ცხოვრების აღმწერი, არის ის, რომ იგი მოსული კაცია, არ არის ადგილობრივი ანუ იტალიელი, ხოლო მისი სახელი და გვარი — ჯოტო დი ბონდონე, (ბონდონე ანუ ბონდოს შვილი) არსად არ გვხვდება საქართველოს გარდა (დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში დღესაც პოპულარულია ეს სახელი). ამგვარი ანალოგიები მრავალ საფიქრალს აღძრავს და სავესებით დასაშვებია, რომ ჯოტო იყო ქართველი. ქართული კულტურისთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, ღრმა მეცნიერულ-ხელოვნებათმცოდნეობით კვლევას საჭიროებს, განმტკიცებულს ძლიერთა ამა სოფლისათა ნებით და ფინანსური მხარდაჭერით. (1940 წელს დაიბეჭდა ცნობილი ხუროთმოძღვრის მიხეილ ჩხიკვაძის სტატია, რომელშიც ჩვენს მიერ ხსენებული საკითხი არის გაშუქებული, სამწუხაროდ, როგორც ჩანს ამ მიმართებით

შემდგომ არავითარი კვლევები არ ჩატარებულა). დიდი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფიის დოქტორის, შალვა ნუცუბიძის კვლევით, დადასტურებულია, რომ ევროპულ რენესანსს, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქართული, ანუ აღმოსავლური რენესანსი, წარმოდგენილი და განსხვავებული ქართველთა ბიბლიად სახელდებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანით“, რომელიც, რენესანსული პოსტულატების, სრულ კრებულს წარმოადგენს და რაოდენ სულისშემძვრელია, თუკი, იმის დამტკიცებასაც შეეძლებოდა, რომ ევროპული რენესანსის მესაძირკვლე, ამჯერად უკვე სახვითი ხელოვნების დარგში, წარმომავლობით ქართველია. ეგებ მაგანს ღიმილიც კი მოჰგვაროს ამგვარმა ჰიპოთეზამ, მაგრამ, ისიც ხომ ვიცით, გამორიცხული არაფერია. შეზღუდული კომუნიკაციების პირობებშიც, ახერხებდნენ ადამიანები დიდი სივრცეების გადალახვას და მიგრირებას. ასე რომ, ეს საკითხი მომავალ მკვლევარს ელოდება. ისიც ხომ უდავოა, რომ სხვა ქვეყანაში, ანალოგიური საკითხი ფართო საზოგადოებრივ და მეცნიერულ ინტერესს გამოიწვევდა. დავუბრუნდეთ მთავარ თემას. მეტად დამაფიქრებელია და განსასჯელი საკითხია — რატომ შეიქნა საქართველო ყველასთვის ესოდენ მსუყე ლუკმად, ათასი ჯურის, ცხრაუცხო გადამთიელთათვის და ასევე „მოძმე“ კარის მეზობელთათვის, რომელთან ერთადაც, ერთიან საბჭოურ სივრცეში 70 წელი „ბედნიერ მომავალს“ ვაშენებდით. ჩვენი ტოლერანტული ბუნებიდან გამომდინარე, ყველას ვეძმეთ და კარი ფართოდ გაგულეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი დასაკლავი დანა ჩვენვე გაგვიღეს (საყურადღებოა იკა ქადაგიძის ამავე თემისადმი მიძღვნილი პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუში სახელწოდებით „მოძმე“ (ეს ლექსი 2017 წელს დაინერა), რომელსაც ინტერნეტის ქსელში ათასზე მეტი გამოხმაურება ჰქონდა). ამასვე შეუწყო ხელი, ჩვენზე თანამემამულე, პარტიული მოღვაწეების მოლაპატურმა სულისკვეთებამ, ოდიოზური ჩანაფიქრით განმტკიცებულმა, თუ ოდესმე თავისუფლების სიო დაჰბერავს და ურჩი ყმანი გამოცალკევებას მოინადინებენ, უმაღლეს „ავტონომიებად“ ჩალაგებული ბომბები ამოქმედდებოდნენ. ასეც მოხდა. მაგრამ, ამას თავი დავანებოთ და სხვა მიმართულებითაც გავიხედოთ, ხომ დაიშალა საბჭოთა კავშირი, როგორც იქნა გამოვედით „ხალხთა საპრობილედან“, დამოუკიდებლები და თავისუფლები ვართ, ასე ვთქვათ (?!), მაგრამ, რატომღაც თავს დაცულებად ვერ ვგრძნობთ. როგორც ჩანს, აღნიშნული ვითარება, მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგი არ გახლავთ, მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, ფარული მასონური ძალების მიერ, მართვის უმძლავრესი ფინანსური ბერკეტები მათ ხელთაა, თეთრი ხელთათმანებით ბინძურ საქმეებს ხლართავენ, აწყობენ ნაირ-ნაირ რევილუციებს, ტრაგიკომიკური ფარსის ელემენტებით. ეგზალტირებული ბრბოს დამყოლ ფსიქოლოგიას, კარგად წვდებიან და ზომბებად ქცეულ ადამიანებს მარიონეტებივით მართავენ. ეს თემა ამომწურავად არის გაშლილი, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ დენიზა სუმბაძის ღია წერილში - „ვინ არის მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისათვის?!“ რომ-

ლის ადრესატი გახლავთ აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 14. XII, 2018, N46. მთელი მსოფლიო დულს და ბორგავს, როგორც უსსოვარ დროს, მიმდინარეობს ხალხების და ადამიანების დიდი გადაადგილებანი და მიგრაციები. ომის ქარცეცხლს გამოირიდეული ადამიანები სხვათა ტერიტორიებზე იჭრებიან, მართავდი ქაოსი არამართავდი ქაოსში გადაიზრდება. და ამ ვითარებაში, მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში, ყველაზე არასახარბილო ვითარებაში მაინც საქართველო აღმოჩნდა, ყველას მიეცა უფლება ჩვენი ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთი, თავისი ქვეყნის ფარგლებში მოაქციოს. ეს არ ხდება არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც ჩანს, ასეთი დამეგებლება არსებობს. და რას აკეთებენ ამ დროს ჩვენი ხელისუფლებები? რას უხვედრებენ წინ წამლეკავ საფრთხეს? — მამულიშვილობას და პატრიოტიზმს? თუ გამჭრიახობას და წინდახედულებას? ან თუ გარჯილობას და შრომის მუყაითობას ქვეყნის საკეთილდღეოდ? ვფიქრობ, რომ არც ერთს, პირიქით, ისინი საქართველოს წველიან, დარჩა კი, საქართველოს რაიმე გასასხვისებელი? ის დრო ჯობნებულა, როცა ხმლით და ფარ-შუბით ვიბრძოდით, უმძიმესი განსაცდელის მიუხედავად, ერი არ გადაშენებულა, დღეს კი, ჩვენს „კეთილის მსურველებს“ ავი მომავლის პროგნოზები უკვე დადებული აქვთ, ოც წელნადში, ქართველი, თავის ქვეყანაში შესაძლოა უმცირესობაში აღმოჩნდეს, ხოლო ორმოცდაათი წლის შემდგომ, ქართველი ერი, როგორც ასეთი, შესაძლებელია გადაშენდეს. ღმერთმა არ მოგვასწროს. მახსენდება, სიმონ ბერეჟიანის ლექსი: „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ნათელი მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ მეყოლა თავისუფალი, დე, მტვრადქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“ ამინ! უახლესი ისტორია ჯერ არ დაწერილა და ის საკითხები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს, ისტორიულ-პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური კუთხით. იგი ელოდება მემატინენს, პირუთენელ და მიუკერძოებელ მკვლევარს, მეცნიერს, რომელიც, ცივი გონით და ცხელი გულით, ანუ, რაციოს და ემოციის მოხმობით, კომპლექსურ ჭრილში წარმოაჩენს სივრცულ — დროით სრულ პანორამას ისტორიული პერიპეტეებისას, რომლებმაც, განაპირობეს ჩვენი ქვეყნის ესოდენ დრამატული რეალობა, ანალიტიკური ნიაღვრების საფუძველზე, დაგვისახავს ჭეშმარიტ გეზს, ანუ, იმ ღვთიურ ლოგოსს, რომელიც, ყოფნა-არყოფნის მასონურ-სიონისტური ყიამეთიდან, ქალდეურ-ხეთური სანყისებიდან გამოღწეულ, იბერიულ-კოლხურ მოდგმას, მისცემს შესაძლებლობას, გამოერკვეს ზომბის ტრანსიდან და სწორი ორიენტირები გაითავისოს. გვინდა გვეუროდეს, რომ ცივილიზაციის კაცობრიული სანყისებიდან გამოღწეული ერი, ტოლი და სწორი, სწორუპოვარ გადაშენებულ ეგვიპტისა, მარად ყოფნა არ ყოფნის ზღვარზე მდგარი, ჟამთასვლას ემედგრა, უფლის ნება და განგებულება, კვლავ მისცემს საშვს, იყოს მონაწილე და ისტორიის განგრძობად შტრიხებში წარმოჩენის ერთ-ერთი შემომქმედი.

ნინო ბაქანიძე

სასიყვართო თაყაშაჰი ნიკოლოზ ჯამბაკურ—
ორბელიანისა

მწარე ფიქრებში ჩაძირულ მოხუცს ვერა და ვერ აეხსნა, რა ქარმა გადმოგადო ნიკოლოზის ქუჩიდან ველიამინოვზე. ქარი კი მართლაც ძალუმად უბერავდა. რისხვით მიერეკებოდა ადამიანებს ქუჩებიდან და გზადაგზა მართლა იმგვარი მონდომებით შლიდა მათ ნაკვალევს, იტყვი, ქალაქის ერთადერთი ბატონ-პატრონი თავად ყოფილიყოს. ჭირვეულობდა მარტი. თითქო ზამთრისა და გაზაფხულის გასაყარზე კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფს, ვერ გადაუწყვეტია, რა გზას დაადგესო.

— ჩემი საქმეც ეგრეა, — ფიქრობს მოხუცი. — აღარც ცოცხლებში ვწერივარ და აღარც მკვდრებში. რა ხანია, მიუსაფარი, მარტოსული დავებტები ამ გამოცარიელებულ ქალაქში, ძე-ხორციელს ვინ დაეძებს, მანანალა ძაღლი რა არის, ისიც კი არ გადამყრია... ან განა მეტის ღირსი კი ვარ?! მართლაც რომ ქარს გავატანე მთელი ჩემი ცხოვრებაცა და შეძლებაც.

— ეგრეა, ეგრე! — შრიალ-ბზრიალით ეხმინებთან მიუსაფარ მოხუცს აქა-იქ შემორჩენილი ხმელი ფოთლები და ქარისაგან რეტდასხმულნი უმისამართოდ იფანტებიან აქეთ-იქით.

— ჩემი ოჯახი, კარიერა, ჩემი სახლ-კარი... არც კი ვიცი, ცხადში ვარ თუ სიზმარში...

— სწორედაც, სწორედაც რომ ტკბილ სიზმრებსა და ოცნებებში გალიე მთელი შენი ცხოვრება და ეხლა კი ცხადი კომპარად გექცა! — დამცინავად ჩასისინებს ყურში ქარი.

ლონემიხდელი მოხუცი იქვე, ხეს მიეყრდნობა. გრძნობს, საცაა შიმშილისა და სიცოცხისაგან თვალთ დაუბნელდება.

— ვატყობ, მალე მოელება ბოლო ჩემს ტანჯვა—ნამებას. ჰო, რაც მალე დამთავრდება ყველაფერი, უკეთესია ჩემთვისაც და ყველასთვისაც...

— ბიძია ნიკოლოზ, ნუთუ ეს თქვენა ხართ? აქ, ასეთ ყიამათ ამინდში...

— დავით, ჩემო ბიჭო, ჰო, მე ვარ, მე... — მოხუცს მოულოდნელი სიხარულისაგან ხმა უკანკალებს და ძლივსლა ამოთქვამს — გაგიკვირდა განა? იქნებ ცოცხალი აღარც გეგონე...

— რას ამბობთ... უბრალოდ, თბილისში თუ იყავით, არ მეგონა. ჩანს, გადაუდებელი საქმე რამ გქონდათ, თორე ისე რა...

— გინდა თქვა, ისე რა ქარმა გადმოგადო აქეთო, არა? — მწარედ ეღიმება ნიკოლოზს. — მართალი გითხრა, მეც არ ვიცი, აქ როგორ აღმოვჩნდი. ჩემს დასთან, მარიამთან მიველ, მაგრამ შინ არავინ დამიხვდა. მოახლემ მითხრა, ამ დღით ნავიდნენო ეგა და ნინა, ჩემი ცოლყოფილი, ლამისყანაში. სასწრაფო შეტყობინება მოუვიდათო.

— მერე, სხვა არავინ იყო შინა? ეგ როგორ?!

— ვერ გეტყვი. იქნებ იყვნენ კიდეც ჩემი ქალები,

რომელიმე მაინც... მაგრამ დაემალნენ მოხუც მამასა, არ მიმიღეს... არც გაემტყუნებათ.

— არა, ეგრე როგორ იზამდნენ, ბიძია. ალბათ მართლა არ იყვნენ შინა. — შეცბუნებულ დავითს სიცოცხისაგან ისედაც აჭარხლებულ სახეზე თითქო აღმური მოედოო. — აქ რას ვუდგავართ. მოდი, სადმე შევაფართოთ თავი. ცოტა შევთბეთ, ვილაპარაკოთ.

— არა, ჩემო ბიჭო, ეგრე ვერ შეგანუხებ. — ჩიფჩიფებს მოხუცი. — პირდაპირ გეტყვი, სულს იქით გრომ—კაპიკი არ მაბადია. მარტო შინ დასაბრუნებელი ფული მაქვს. სწორე გითხრა, მაგისთვის ჩამოვაკითხე დასა. ისევ მარიამი თუ გამიმართავს ხელს. ხომ იცი, ოქროს გული აქვს. — ნიკოლოზი ველარ იკავებს სიმწრის ცრემლებს — ის არ ვაკმარე, ცოლი და შვილები რომ შევატოვე. ეხლა მეც ზედ ჩამოვეკიდე... ნამლები კარგა ხანია გამითავდა... პური რა არის, ხან პურიც კი მენატრება. ახი კია ჩემზე! ყველას თავი მოვაძულე, შევანყინე...

დავითს მწუხარებით გული ეწურება.

— კარგი ძია, რაც იყო, იყო. ამ გრიგალში დგომა არცერთს მოგვცემს ხელსა. ნამო, ნამო, შევეფართოთ სადმე. აგე, აქვეა სტეპკოს დუქანი. ბოლო ხანებში სულ მანდ დავიარებით. კარგი საქმელი აქვთ, ღვინოც უფარგათ.

დავითი მზრუნველობით ხვევს ხელს დაუძღურებულ მოხუცს და ამ ლაპარაკ-ლაპარაკით გაიყოლიებს დუქნისაკენ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ნინა თუმანიშვილი-ორბელიანისა ლამისყანის სასახლის კაბინეტში განმარტოებულან და ძველ საქალაღდეებსა და სიგელ-გურჯებს აშრიალებენ. ერთგული მოურავი ჭერმელმანი ბუხართან ფუსფუსებს, ცეცხლს აღვივებს. მერე კი უხერხულად ჩაახველებს და ქალები-სკენ იხედება.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ქალბატონებო, ამ უამურ ამინდში რომ მომიხდა თქვენი შეწუხება, მაგრამ თქვენვე ხედავთ, საქმე აღარ იცდის და...

— კარგი, აბა, მაგას როგორ ამბობ, ჩემო ვლადიმერ, — მარიამი მჭმუნვარედ ახედავს მოურავს, ცდილობს კია, გაიღიმოს. — ისედაც დამიგვიანდა ჩამოსვლა. ჩემი ალექსანდრეს მერე და მით უფრო ამ უღმერთოების ხელში სულ მივუშვი მამულის საქმეები. რაც არ მეპატიება. თორემ შენ საბოდიშო არაფერი გაქვს. შენი შეტყობინება სწორედ რომ დროული იყო. ისეც ვეშურებოდი ჩამოსვლასა. აგე, ნინამაც მარტო არ გამომიშვა, სახიფათოაო.. მგზავრობაცა და აქ ყოფნაც. ჰოდა, ეხლა ერთად ვნახოთ, რის გაკეთებას



შევძლებო.

— ნინა წლებში მაინც სულ აქ იყავით. — განაგრძობს ჰერშელმანი, — კიდევ თქვენი ძალისხმევით ვიმაგრებდით თავსა აქამომდინ. ეხლა კი სულ აიშვეს თავი ამ ტარტაროზმა ბოლშევიკებმა, ან როგორც თქვენ უწოდებთ, ამ ჩვენმა „მდგმურებმა“. ლამისაა მთელი სასახლე გადარცვონ. დაუკითხავად ეზიდებიან ჭურჭელს, ძვირფას ნივთებს, სარჩო—საბადებელს. თქვენი მეუღლის ბიბლიოთეკა თითქმის სულ გაანადგურეს. თქვენც ხომ ხედავთ, მთელი პირველი სართული დაიკავეს და გასაქანს აღარ გვაძლევენ...

— ვიცი, ვლადიმერ, ყველაფერი ვიცი და ყველაფერსაც ვხედავ. ისიც ვიცი, რომ ეგრე გაგრძელება აღარ შეიძლება. ვიღონებთ რასმე, აი, ნახავ. ჯერ საბუთები მოვიყვანო წესრიგში და გზაც გამოჩნდება.

ვლადიმერი უიმედოდ გადააქნევს თავს,

— აქ რაღას ვუდგავარ?! ნავალ, მოახლეს ვეცყვი, ცხელი ჩაი მაინც მოგართვან. მგონი, ცოტა შაქარიც უნდა მოიძიებოდეს.

— კარგი იქნება, სწორედ.

ჰერშელმანი სასწრაფოდ გადის. მარიამი და ნინა კი ერთმანეთს მწუხარედ გადახედავენ.

— მაინც რა ყველაფერი ერთად დამატყდა თავსა, — ოხრავს მარიამი — კიდევ კარგი, საშიკო არ მოესწრო ამდენ უბედურობასა.

— აბა, აბა, — ოხვრით უდასტურებს ნინა, — მაინც ვერ გადაიტანდა მამულის გავერანებას, აქამომდინ რომც ეცოცხლა. განა მთელი ცხოვრება ლამისყანის აღორძინებას არ შეაღია? სახლ-კარზე რომც არაფერი ვთქვათ.

— არადა, მაინც და მაინც გუშინ შემატყობინა კოტე მარჯანიშვილმა, ერთ კვირაში ვნიშნავ შექსპირის პრემიერასო. — მწარედ ჩაეცინება მარიამს. — ამ დავიდარაბაში ვერც მოვასწარი, მეთქვა შენთვის.

— აა, „უინძორელ კეთილ ქალებზე“ ამბობ, არა? — გამოცოცხლდება ნინა. — ან რა გასაკვირია? ისე ბრწყინვალედ გადმოაქართულე ეგ პიესა, რომ პირდაპირ ფრთები შეასხი მარჯანიშვილს. რეპეტიციები რომ ტარდებოდა, ეგ ვიცოდი; მაგრამ ასე სწრაფად თუ მოაბამდნენ თავსა, არ მეგონა.

— ეეჰ, ამ გაჭირვებულ დროში, ნეტა ვისა სცხელა თეატრისთვის? — ოხრავს მარიამი, — თავზე გვემხოზა ყველაფერი. რაღა გაენყოზა! ორ-სამ დღეში თუ მოვანესრიგებთ საბუთებსა, უნდა გავბრუნდეთ უკან და მერე ისევ ჩამოვიდეთ აქა.

— ნინა წლებში მართლაც სულ აქ იყავი. აქედან გვეხმარებოდი შინაურებსა, პროდუქტი იყო თუ რაც იყო, ბოლო დროს კი...

— ეხლა უკვე მეც ვეღარ ვწვდები ამდენსა, — სინანულით პასუხობს მარიამი, — იქით კიდევ ჩემი ძმის დარდი მკლავს. თვითონაც აღარ მოუნდენია ხმა. ნეტა როგორ არის ეგ საცოდავი?

— რას ვიზამთ, თავის თავს დააბრალოს ყველაფერი. — მკვახედ ეპასუხება ნინა. — ღირსი კი

იყო იმისა, რასაც აქამომდე ეხმარებოდი?!

— რა ექნა, ნინა, მართალი ხარ; მაგრამ მაინც ძმაა და ეგრე ხომ ვერ მოვიწყვეტ გულიდანა?

— განა საბრალო მამაშენიც მაგის დარდს არ გადაჰყვა? — თავისას განაგრძობს ნინა. — ხომ გახსოვს, რა დღეში იყო ვახტანგი, როგორ ერცხვინებოდა შვილის საქციელი. ეგ რომ არა, კიდევ იცოცხლებდა.

— მაგაშიც მართალი ხარ. — მარიამს ხმა უკანკალებს. — კაცს ეგონებოდა, მამაა დამნაშავე და არა შვილიო, მართლა ისე ჯავრობდა.

— მერე, საბოლოოდ რა გამოვიდა? — მწარედ ჩაიციხებს ნინა. — იმ უსინდისო ქალმა ყველაფერი გამოსწოვა, გამოსტყუა და ეგრე მიაგდო ცარიელ—ტარიელი. დღეს არცა კითხულობს, მკვდარია თუ ცოცხალი.

— ეეჰ, სწორედ თავისმა უნებისყოფობამ დაღუპა კოლა. — ცრემლებს იწმენდს მარიამი. — სულ სხვაგვარად შეეძლო თავისი ნიჭის, ქონებისა და გვარიშვილობის გამოყენება... და მაინც, შენ სრული უფლება გაქვს, ასე განსაჯო. მე კი ბოლომდე ხომ ვერ გავუწნევ ჯიბრსა. ვალდებული ვარ, ვუპატრონო, ვიდრე შემიდლიან.

— კარგი ერთი, მარიამ, — სიბრაზისგან სახეაღწილი ნინა ქალაღებს თავს ანებებს და ბოლთას სცემს ოთახში. — შენ ქონება ახსენე და აბა ერთი, მოიგონე, თავისი ბიძაშვილისგან იმოდენა ქონება რომ მიიღო მემკვიდრეობით, შენ რა გარგუნა იქიდან?! ერთი მარგალიტის ყელსაბამი მოგიგდო. თვითონ კი, სულ ზეპირად მახსომს, 285 სხვადასხვა ძვირფასი ნივთი და დიდძალი ფული მიითვალა. შვილები ხომ სულ აინუნშიც არ ჩაუგდია. რაღაც გროშები მიუყარა მაგ უსინდისომ.

— ჰო, ეგრეა. მაგრამ ან მე რა მექნა და ან რა ლიზას ბრალი იყო? მისმა ქმარმა, ალექსანდრე ბარიატინსკიმ სიცოცხლეშივე ეგრე ინება. კარგად მახსოვს, 1871 წელს იყო ეგ ამბავი, რა დასაძალია, საშიკოსაც მეტისმეტად მოუვიდა გული მამინა.

— შენ ოღონდ სხვა გაამართლო და... — არ ცხრება ნინა, — კარგი, ახლა თავად ლიზამ რაღა იკადრა? ბიძაშვილიც ამას ჰქვინან! დარჩენილი ქონება ნინო ერისთავის ქმარს, გენო ქობულაშვილს არ დაუმტკიცა განა? არადა, რა მეგობრობა გქონდათ შენ, ნინოსა და ელისაბედს?

— ჰო, მაგრამ ეგეც რა ნინოს ბრალი იყო? — ჯიუტობს მარიამი — მაგის გამო კი ცოტა აგვერია ურთიერთობა, მაგრამა... ან ელისაბედი რაღა შუაშია? მერე რა, რომ ნინოს დაა? შენც იცი, არაფერი უკადრისი ლაპარაკი ჩვენ შორის არ მომხდარა.

— მაგრამ არც სასიამოვნო ყოფილა რამე. — კვლავ თავისას გაიძახის ნინა. — ბევრი არ დაუხანებიათ. იმ საათში გაემგზავრნენ გენო და ნინო პეტერბურგში და არხეინად დაიმტკიცეს ნასლედსტვო. შენ კი არავის გახსენებინარ, არც ძმასა და არც მაგათ.

— ელისაბედი მეტყოდა ხოლმე, — მწარედ ჩაიციხებს მარიამი. — თითო მსხვერპლი ყველა ოჯახ-

ში არის და შენი ოჯახისთვის ეგეთი შენ გამოდექიო.

— მართალიც უთქვამს, — ბრაზით უდასტურებს ნინა — კოლა, მეც ხომ ვიცი, თავიდანვე დედის ნებიერი ყოფილა, გათამამებული და ყოყლოჩინა. შენ კი ყოველთვისაც ჩრდილში იდექ. მარტო მამას ებრალებოდი. ჰოდა, აქამდეც ასე წარიმართა შენი ცხოვრება. ყველასთან ვალდებული შენა ხარ. მაღლიერი კი არავინ გრჩება.

— კარგი, გეყოს, ნინა; მოდი, მივხედოთ საქმესა. — მოთმინების ფიალა ევსება მარიამს. — ან რალა აზრი აქვს, დღეს, ამ ლაპარაკსა?

ოთახში მოახლე შემოდის ლანგრიტ ხელში.

— უკაცრავად, ქალბატონებო, დამაგვიანდა ჩაის მორთმევა. ძლივს შემეძვეს სამზარეულოში იმ გადამთიელებმა...

— მიირთვით, ძია, კიდევ გადაიღეთ მწვადი, ვიდრე სულ გაცივებულია. — დავითი ლანგარს უმარჯვებს მოხუცს. ის კი, სიტბოთი და კერძების სურნელით გაბრუებული, ძლივსლა ამოდრავებს ყბებს. თვალებიც უნებლიეთ ებლიტება.

— საკმარისია, შვილო. ამდენი კი ველარ შემოიძლიან. სულ გადავეჩვიე ნორმალურ სმა—ჭამას. ცოტა ხანსაც გავითბობ ბებერ ძვლებსა და მერე ჩემ გზას გაუყვები... აღარ მოგაცდენ.

— რატომ? თითო ჭიქაც დაგველია, ძია!

— შენ მიირთვი, შვილო, ღმერთმა შეგარგოს. მე კი ყველაფრისთვისინ მადლობელი ვარ. ეეჰ, შენს ასაკში რაც მე და მამაშენს გვიქეიფნია და დრო გვიტარებია. აფსუს, სადღა არიან დღეს გენო ქობულაშვილის დარი ვაჟკაცები?! ის გმირულად მაინც შეენირა ომსა 1915—ში და მე დღემდე სულ ტყუილად ვამძიმებ დედამინასა.

— ეგრე ნუ იტყვი, ძია—ჩემო... ისე, რალა დაგიმალო და, შენცა და მამაჩემსაც უკეთ შეგეძლოთ თქვენი მდგომარეობის გამოყენება, მეტი მარიფათი რომ გამოგეჩინათ. — დავითი ღვინოს ჩამოისხამს ჭიქაში, თან უხერხულად ჩაახველებს — სხვაგვარად მეც ხომ უკეთესად ვიცხოვრებდი დღესა, თქვენი შვილებისა არ იყოს...

— მართალი ხარ, ჩემო დავით, აბა რა მეთქმის? — დანანებით აქნევს თავს ნიკოლოზი. — მარტო ერთი შემთხვევა რომ გავისხენო მრავალთაგან, გული დარდით მენურება ხოლმე. კარგი, დამისხი, ერთიც ჩამომისხი და ეხლა მაინც გეტყვი ახდილად ჩემი და მამაშენის უნიათობის ამბავსა.

სახემოლუშული დავითი უხმოდ უვსებს ჭიქას.

— აი, თუნდა რა მაგონდება, — განაგრძობს მოხუცი. — მე და მამაშენს ბორჩალოს მაზრაში მემკვიდრეობით გვერგო ოცი ათასი დესეტინა მიწა. ჰოდა, გულახდილად გეტყვი, მეც და გენოსაც იმ დროს თავში გვარიანად გვიქროდა. ორივეს დაგვეზარა მამულების განკარგვა და ეს სიმდიდრე გავუშვით ხელიდან. ხსენებული მიწები შეისყიდეს მანთაშევემა და არამიანცმა. მერე, იცი, რა მოიმოქმედეს? ხელად მოინვიეს სპე-

ციალისტები, აგრონომები, ჰიდრავლიკები და მოსთხოვეს დასკვნა, თუ რისთვის ივარგებდა ეს მიწები. იმათაც გულდასმით შეისწავლეს ნიადაგი და დაასკვნეს, რომ სწორედაც საუცხოო ადგილი იყო ბამბის მოსაყვანად. — ნიკოლოზი ისე ხითხითებს, თითქო კარგი რამ ჩაედინოს — მფლობელებმაც არ დაახანეს. შეიძინეს საჭირო იარაღები და მანქანები. ამოაშრეს ჭაობიანი ადგილები, ურწყავ მიწებზე არხები გაიყვანეს. სომხეთიდან გადმოასახლეს ბამბის მოყვანის მცოდნე გლეხები და საქმეც გაჩაღდა. ჩვენ კი დავრჩით ეგრე, ცარიელები.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ. — მკვახედ პასუხობს დავითი. — რალა დაგიმალო და ეგრე იტყოდნენ შენზე, ძია, თავისი კარიერა და ქონების ნახევარი ჭიდაობას, კრივს, ნადირობასა და კულა გლდანელს გადააყოლაო.

— კულა გლდანელს რა სჭირდა ჩემი სამათხოვრო? — ჩაეცინება მოხუცს და თან ჭიქას ნაეპოტინება, — პირიქით, კულა განთქმული მოჭიდავე იყო. სადღა არ ინვევდნენ, შვილო, რუსეთში, ირანში, თურქეთში, ბულგარეთში. ჰოდა, ეგ კულა გლდანელი, იგივე ივანე ყირიმელაშვილი, ეხლა მაინც იცოდე, მრავალ კეთილ საქმეს სჩადიოდა, ცნობილი ქველმოქმედი იყო. ის მაინც არა გსმენია, რომ ჩვენს სასიქადულო ვაჟა—ფშაველას თავის დროზედ სწორედ კულა დაეხმარა ფინანსურად, პეტერბურგში სწავლა რო გაეგრძელებინა. და რამდენი კიდე ამგვარი კეთილი საქმე ჩაუდენია კულას. ისე, ჩემი არ იყოს, ყური მოვკარი, დღესდღეობით ძალიან უჭირსო, როგორც ყველას, ამ საოხრე დროში. და, მაინც, თუ სიმართლე გინდა, მე უფრო ძმებ ეგნატაშვილებს ვუნვდიდი ხელსა. სამივე კარგი მოჭიდავე იყო, უძლიერესად კი იაკობი ითვლებოდა. გორელები იყვნენ, — მოხუცი ემშბი შედის, ხმას უმაღლებს, თითქო ძალა მოეცაო, — ჰოდა, რამდენჯერმე დავაჭიდე კულასა, კავთისხევიც, თბილისშიც. ყოველგან ჩემმა ფალავანმა ეგნატაშვილმა დაამარცხა კულა. — გახალისებული ნიკოლოზი ღვინოს ერთბაშად გადაჰკრავს და ცარიელ ჭიქას დავითს უწვდის. ისიც ხმამოუღებლივ უსხამს. — კარგი ვაჟკაცები იყვნენ ეგ ძმები. — გატაცებით განაგრძობს მოხუცი — გორში გავიცანი. ხომ იცი, იქ ხშირად მიხდებოდა ყოფნა სუდში. ჩვენებთან ვჩერდებოდი, ელიზბარ ერისთავის ოჯახში. მე და ვანო ძაან მეგობრები ვიყავით, ბიძაშენზე ვამბობ, რა თქმა უნდა.

— ეგ ყველაფერი ვიცი. — ელიმება დავითს. — შენზე იმასაც ამბობენ, ძია, ერთობ განსწავლული ვექილი იყო. პროცესზე რო გამოდიოდი, თურმე ხალხი საგანგებოდ ეშურებოდა სუდში შესვლასა, რომ შენი ლაპარაკი მოესმინა.

— სწორედაც, სწორედაც! — ღიმილით ეთანხმება ნიკოლოზი და კიდევ გადაჰკრავს ღვინოს. — მართლა ეგეთი წყალწაღებული კი არ ვიყავი ყოველთვის. აბა, თუნდა „ჩქოტუას საქმე“ გაიხსენე. მთელ თბილისს ჩემი სახელი ეკერა პირზე იმ დროსა.

— ეგეც მსმენია, ძია, — უდასტურებს დავითი. — საშინელი უსამართლობა იყო თავიდან ბოლომდე, მაგრამ შენ კი, რაც შეგეძლო, გააკეთე.

— და განა მარტო მე?! — რისხვით შეჰყრის ნარბებს ნიკოლოზი — კარგი, მე პირველ ეტაპზე მიმყავდა ეგ საქმე 1861—ში. მერე თვით პროფესორმა სპასოვიჩმა განაგრძო პროცესი. სამედიცინო ექსპერტი პროფესორი სოროკინიც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ქალს ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა, მაგრამ ვინ მოუსმინა?! მართლა, უსამართლობა და ასეთი?!

— აბა, კარგად მიაბზე, ძია, როგორ იყო ეგ ყველაფერი? იმ დროს მაინც ღლაპი ვიყავი. ისეც, სულ მინდოდა მეკითხა შენთვის.

— აი, როგორ, — ენად გაიკრიფება მოხუცი. — დავით ჩქოტუა პეტერბურგში სწავლობდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლა ვერ გაუსრულებია. რომელიღაც საგანი ვერ ჩააბარა და იმიტომ. იქ შეხვედრია გიორგი შერვაშიძეს, რომელსაც შეუთავაზებია სწავლაზე გულაცრუებული ყმანვილისთვის, ნაჰყოლიყო თბილისში და მისი მამულებისთვის მოეწყო. ასე აღმოჩნდა ჩქოტუა კვლავ სამშობლოში. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე 1876 წელს ის საშინელი ტრაგედია არ დატრიალდა. შერვაშიძის ცოლისდა, ელენე ანდრეევსკაია მტკვარში ბანაობისას დაიხრჩო. ეს უბედური შემთხვევა სრულიად უსამართლოდ და უმიზეზოდ დაბრალდა ჩქოტუას. სასამართლომ ყველა ჩვენი მცდელობის მიუხედავად ოცნლიანი კატორღა მიუსაჯა საბრალოს. — აღელვებული ნიკოლოზი ჭიქას ნაეტანება, მაგრამ ხელი უკანკალებს და ღვინო სუფრაზე ეღვრება.

— კარგი, ბიძია, დამშვიდდი, — შეცბუნებული დავითი მიმტანს ანიშნებს, რომ სუფრა განმინდოს, ნიკოლოზი კი ხმას უმაღლებს და რისხვისგან ერთიანად ცახცახებს — ეს განაჩენი არსებითად გიორგი შერვაშიძის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ნიკოლოზის ძეს თავიდანვე არ მოსდიოდა თვალში ეგ ოჯახი. განა მან არ ჩამოართვა გიორგის მამას, მიხეილს, აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს, ყველა ტიტული, უფლება და რუსეთში არ უკრა თავი?! ეს ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო საზოგადოებისათვის და ამიტომაც, პროცესის წაგების მიუხედავად, მაშინ ერთობ ქუხდა ჩემი სახელი.

— თავად ჩქოტუას რა ბედი ეწია? — ინტერესდება დავითი.

— შენ წარმოიდგინე, ჩქოტუა დაბრუნდა გადასახლებიდან. — სინანულით შლის ხელებს ნიკოლოზი, — მაგრამ რალა იქნებოდა მაგისი სიცოცხლე?! ძალზედ ნიჭიერი კაცი ყოფილა თავის დარგშიც და ლიტერატურულ სარბიელზეც. „ვეფხისტყაოსანზეც“ კი დაუნერია საყურადღებო გამოკვლევა, თუ მერნმუნები, ლექსებსაც წერდა, მაგრამ მერე რა?! აი, ასე გააუბედურა მაშინდელმა ცარისტულმა რეჟიმმა საბრალო კაცი... თუმცა არც ეხლა ვართ უკეთეს დღეში... ისე, გიორგი შერვაშიძეც დიდებული პოეტი იყო.

მამაჩემსაც კი უძღვნა ლექსი. მარტო მაგისი „ვარადა“ რად ღირს?! მაგრამ რად გინდა?! დღეს ვისლა ახსოვს?!..

— მე ის მიხარია, რომ დღემდე კარგიც ბევრი აგონდება ხალხს შენზედ. — აღელვებული მოხუცის დამშვიდებას ცდილობს დავითი. — მართლა ბევრი სასარგებლო საქმე გიკეთებია, არც ფული გაკლდა და არც სახელი...

მარიამსა და ნინას ჩაის სმა მოუმთავრებიათ და ახლა სანერი მაგიდის უჯრაში ოდესღაც შენახულ, ძველ საოჯახო ალბომს ათვალთვლებენ.

— დახე, რა კარგი ფოტოა, — მე, ალექსანდრე და კოლა. მგონი, ატენშია გადაღებული. — ღიმილი გადაურბენს სახეზე მარიამს.

— ჰო, რა თქმა უნდა, კოლა და ისევე კოლა. — მკვახედ ეპასუხება ნინა. — რაც გინდა თქვა, მაინც ვერ მომიბრუნებ გულსა.

— განა სულ არაფერი გაგონდება კარგი? — ცოტა არ იყოს, წყრება მარიამი. — ოჯახისთვის თუ არა, საზოგადოებისათვის რამდენი სასიკეთო საქმე უქნია? რამდენი ალალ—მართალი ადამიანი გადაურჩენია ციხიდან? ახლა უნივერსიტეტის ამბავი?! განა ქონების დიდი ნაწილი უნივერსიტეტის ფონდში არ ჩარიცხა? როგორ ედგა გვერდში ჩვენს ვანო ჯავახიშვილს? მაგისი სიძე არ იყო, განა? ესეც ხომ დიდი მამულიშვილური საქმეა?!

— ჰო, ძმას იცავ და მე?... მე როგორ მომეცქა? ჩემთან მაინც როგორ ამბობ მარიამ კარგსა მაგაზე! ხომ ცხადი გახდა მალევე, რომ ცოლად ანგარებით მომიყვანა, აქაოდა მდიდარი მრეწველის შვილი ვიყავ, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს, როცა კოჯრიდან მოდენილი, ეტლიდან გადმოვვარდი და დაგსახიჩრდი, მაშინათვე მომიძულა. ჰო, ჯერ მე და მერე შვილებიც. ღმერთმა იცის, ყველაფერს ვითმენდი, ვიდრე იმ გარენარ მარფა სიდოროვნა იოსელიანზე არ გამცვალა საბოლოოდ. ამხელა ოჯახი მიატოვა, უსახსროდ დაგვყარა, მამის ხვეწნა-მუდარასაც ყური არ უგდო და ეგრე გაგვაუბედურა სულ ყველა. ღმერთმა გაანათლოს შენი სამიკო. ის რომ ეგეთი კეთილშობილი ადამიანი არა ყოფილიყო, ან განა მარტო შენ რას გახდებოდი?! ვინ იცის, რა ყოფაში ვიქნებოდით დღესა მეც და ჩემი შვილებიც? — ნინა თავს ვერ იმაგრებს და მწარედ ქვითინებს.

— კარგი, ნინა, კარგი, ჩემი ბრალია. მართლა აღარ უნდა წამომენყო ეს ლაპარაკი. ეჰ, ან რა დროს ფოტოების თვალთვლება იყო! მოდი, საქმე გავაგრძელო. ანდა, შენ ნადი, მოისვენე, მარტოც მიეხედავ ამ ქალაქებსა.

— რა დამასვენებს, მე, უბედურ დღეზე გაჩენილს? — ნინა ქვითინს უმატებს. — ხან რა წამომავიწყდება და ხან რა... აბა, ერთი თუნდაც მაგისი აღმა—დაღმა ხეტილი გაიხსენე! ხომ გახსოვს, ნიკო ბაგრატიონს რომ გადაეყარა მოსკოვში, სწორედ მაშინ, ბარიატინსკის მემკვიდრეობის საქმეზე რომ ბრძანდებოდა.

– ნიკო ბურზე ამბობ, ხომ? — მოჩვენებითი სიმშვიდით კითხულობს მარიამი. — მერა რა? ეგეც დანაშაულია?

– მერე რაო? — აღშფოთებული ნინა კვლავ ბოლთას სცემს ოთახში. — შენს ბედოვლათ ძმას შეუთავაზებია, აფრიკაში ხომ არ წავსულიყავით ლომებზე სანადიროდო. იტყვი, სხვა სადარდებელი არაფერი ჰქონიყო! იმას კიდევ თავისი შეუთავაზებია, ნიჟნი ნოვგოროდამდე გამომყვიო და ეგრე ქეიფ—ქეიფით იმოგზაურეს ერთად ვოლგაზე. ფულიც ბლომად გაატანეს წყალსა.

– ეჰ, არც ნიკო ბურს დაადგა შემდგომში კარგი დღე. — თავს აქნევს მარიამი. — რა უნდოდა, იმ საშინელ ომში რომ ჩაება ინგლის—ბურებისა? ცოცხალი კი სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ მერე ახლა რამდენ ხანს იყო გადასახლებული წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონივითა? ბოლოს საქართველომდე კი ჩამოაღწია, მაგრამ ამ საოხრე ბოლშევიკურმა მთავრობამ მთელი ქონება ჩამოართვა თურმე. მუხრანის სასახლეც სულ გაუპარტახეს. ჩვენ კიდევ რა გვეთქმის?! დღესდღეობით ეგეც დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, ყური მომიკრავს. პაპიროსს ჰყიდის თურმე ქალაქის ქუჩებში... ღმერთო, ან ენა როგორ მიბრუნდება ამის მთქმელსა!

– ჩვენ მაინც ჩვენი ვივადროთ! — არ ცხრება ნინა. — კარგიც კია, რომ აქ წამოვდით. რამდენი ხანია, ეგრე გულახდილად აღარ გვილაპარაკანია კოლაზე. თბილისში მაგის საშუალება სადა გვექონდა ან კი როდის მოგვეცემოდა, იმოდენა ხალხი ირევა ჩვენს... შენს სახლში.

– ხომ არ წავიდეთ, დავით? ჯერ თითქმის სულ მარტონი ვიყავით, მყუდროდ და თანდათან ეს რამოდენა ხალხი მოგროვდა, მინამ ლაპარაკში ვიყავით გართული. — მორიდებით ამბობს ნიკოლოზი. — თავი ამტკიცდა ამდენი ხმაურითა. ისეც უკვე მეტისმეტად დავილაღე.

– როგორც იტყვი, ძია. ეხლავე გავასწორებ ანგარიშსა. — კვერს უკრავს დავითი. — ეტყობა, სიცოცხესა და ქარიშხალს ყველამ აქეთ შემოაფარა თავი. ერთხანს დამელოდე, აგე, იქით, კუთხეში ძველ მეგობრებს მოვკარი თვალი. გადავიხდი, ხალხს ვნახავ და გაგაცილებ კიდევ.

– არ გინდა, დავით, შვილო, თავადაც გავიგნებ გზასა. ისეც ძაან შეგანუხე.

– რას ამბობ, ძია. აბა, ეგეთ ამინდში მარტო სად გაგიშვებ? — დავითი პასუხს აღარ ელოდება და მაგიდებს შორის უჩინარდება. ნიკოლოზი დროს იხელთებს. ხელსახოცში მარდად ახვევს მაგიდაზე დარჩენილ პურისა და ხორცის ნაჭრებს და ნაჩქარევად იჩურთავს ჯიბეში. მაშინვე სასიამოვნო მოთენთილობა ეუფლება და რომ არ ჩაეძინოს, ხალხის თვალიერებას იწყებს. აგე, მოპირდაპირე მაგიდასთან მამაკაცები მხიარულად მასლაათობენ, იცინიან. ხან შეხმატკბილებულად ღლინებენ სუფრულ სიმღერებს.

– აი, ბედნიერი ხალხი, — ფიქრობს ნიკოლოზი, — აბა, ყველა ჩემსავით გაჭირვებული და წყალნაღებული ხომ არ იქნება?.. — უეცრად მოხუცი ამჩნევს, რომ მამაკაცების ჯგუფიდან ერთ—ერთი დაჟინებით უცქერის. არა, არ ეჩვენება. ახლა, რა უტიფრად მიმტერებია საბრალო მოხუცს. თან თითქო დამცინავი ღმილი უთამაშებს სახეზე. შეცბუნებული ნიკოლოზი აქეთ—იქით აცეცებს თვალებს. სადღა დაიკარგა ეს ბიჭი? აი, ისიც. რამდენიმე მაგიდის იქით თავის თანატოლებს ებაასება მხიარულად. ჩქარა მაინც მოვიდეს! ნიკოლოზი გრძნობს, რომ ძალაც არ შესწევს, ამ საყოველთაო ჟრიალში ხმა გააგონოს დავითს. უცნობი კი კვლავაც დაკვირვებით ათვალთვლებს. ნიკოლოზი მესხიერებას დაბავს, მაგრამ ვერა და ვერ იგონებს ამ სახეს. რომ აღარც ამორებს თვალსა? აგე, წამოიმართა კიდევ, თავის თანამეინახეებს რაღაც უჩურჩულა და არხეინად მოემართება მისკენ. წამიც და...

– უკაცრავად, ბატონო, — უსიამოდ იღიმება უცნობი — განა კოლა ორბელიანი არა ბრძანდებით?

ნიკოლოზი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, რადგან ხმის ამოღებას ვერ ბედავს.

– ასეც ვიცოდი, — ჩაიქირქილებს უცნობი — კარგა ხანია, გაკვირდებით. ეს რა დღეში ჩავარდნილხართ, ბატონო ჩემო?! ძლივსა გიცანით. სად გაქრა თქვენი სილამაზე და ამპარტავნება? — აქ უცნობი მაგიდაზე გადაიხრება და თვალებში აშტერდება შეშინებულ მოხუცს. — ასეც ვიცოდი, ვერ მიცანით. აბა, კარგად გაიხსენეთ, „ბანკობიადას“ ამბები, დაგავინყდათ, განა? არა, ცხადია, გეხსომებათ. თქვენ „მანაბლისტების“ რიგებში ითვლებოდით, მე კი ილიას მხარეზე გახლდით. ღმერთმა აცხონოს ერთიცა და მეორეც! — ნიკოლოზი კვლავ ძალას ატანს თავს. ცდილობს, გაიხსენოს ეს ახირებული კაცი, მაგრამ ამაოდ. დავითი სადღაა?! — დავით, დავით... — უნებლიეთ ჩიფჩიფებს მოხუცი, მაგრამ მხიარულ მასლაათში გამართულ დავითს მისი არ ეყურება.

– რა ბრძანეთ? — კვირობს უცნობი, — მაშ, გამიხსენეთ ხომ? დიახ, ეს მე გახლავართ, დათა მიქელაძე. ისიც მოგაგონდებოდათ, რომ მწერლობაში „მეველეს“ ფსევდონიმით უფრო მიცნობდნენ. შეიძლება ცოტა ხანს ჩამოვჯდე, ვიდრე თქვენი მეგობარი მობრუნდება? — შემოთვებული ნიკოლოზი უხმოდ უქნევს თავს. დათა მიქელაძე არხეინად მიუჯდება მაგიდას, დოქს ნაეტანება და ნიკოლოზს ჩამოუსხამს, თავადაც დავითის ჭიქას შეივსებს.

– მაშ, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — ეშმაკურად უკრავს თვალს დათა ნიკოლოზს. — აბა, შევსვათ. — ის სულმოუთქმელად ცლის ჭიქას და ისევ მოხუცს შეაცქერდება. — როგორც ვატყობ, ჩემი სახელი კი გაიხსენეთ, მაგრამ ბუნდოვნადაა გახსოვთ, ან სულაც არ გახსოვთ ის დავიდარაბა, რომლის ეპიცენტრშიც ერთ დღეს ჩვენ ორივენი აღმოვჩნდით. ეხლავე მოგაგონებთ. — დათა მოხერხებულად კალათდება სკამზე. — ბანკის ერთ—ერთ კრებაზე, როგორც ყოველთვის, დიდი აურზაური და ჩხუბი ატყდა ხსენებულ

ორ ფრთას შორის, კრების თავმჯდომარე მანახლის ანუ თქვენი ფრთის მომხრე გახლდათ და ჭავჭავაძის ხალხს, ცოტა არ იყოს, მიდგომით ეპყრობოდა. მალე თავმჯდომარემ რალაც შენიშვნა იუკადრისა და თავისი მომხრეები წააქეზა, რალას უყურებთო. ჰოდა, ადგილიდან პირველი თქვენ წამოხტით, ბატონო ჩემო და რევოლვერით ხელში გაექანეთ სცენისაკენ, სადაც კომიტეტი იჯდა. ამ დროს სცენაზე გამოჩნდა ჩვენი თავზეხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი და ხანჯალამონვდილი შეგეგებათ თქვენ. უსათუოდ უბედურება დატრიალდებოდა, მე რომ არ ჩავრეულიყავი და შუაში არ ჩადგომოდით.

ნიკოლოზი თვალბგაფართოებული შესცქერის მოსაუბრეს. თანდათან ბურუსიდან ამოტივტივდენ ნარსულის სურათები, ჰო, ასე იყო ნამდვილად. რა სირცხვილი ჭამა მაშინ!

– მართალს ბრძანებთ, ჩემო ბატონო. მოხარული ვარ, რომ გამომეცნაურეთ. მაშინ მადლობაც ვერ გადაგიხადეთ, ისე ვიყავ გაფიცებული. არადა, თქვენ გამამარჩინეთ სიკვდილსა.

– სიკვდილს-კი, მაგრამ შერცხვენას — ვერა! — ნარბებს შეჰყრის დათა, — ზუსტად მახსოვს, რაც მაშინ გითხარით, თან ყველას გასაგონად: ბატონო, მიბრძანდით თქვენს ალაგას, როგორც ვხედავ, იარაღის ხმარება არა გაცოდნიათ-მეთქი. ჰოდა, თქვენც უხმოდ დამემორჩილეთ. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კია, სიტყვა რომ არ შემეძრუნეთ.

დათა მიქელაძე პაპიროსს უკიდებს და სახეში უტიფრად აბოლებს მოხუცს — სიტყვა-პასუხი, რაც მართალია, მართალია, გეხერხებოდათ. თან იურისტი ბრძანდებით და რა გასაკვირია? მაგრამ საქმე ისაა, რომ ბანკის შეკრებებზე, კარგა მახსოვს, თქვენს გამოსვლებში დიდი რიხი კი იგრძნობოდა, მაგრამა თუ კარგად დააკვირდებოდა კაცი, ლამაზი სიტყვების რახა—რუხი ბევრი იყო, შიგ კი ფარსავი ბევრი არაფერი ეყარა.

სასონარკვეთილი ნიკოლოზი ხედავს, რომ მისი მფარველი დავითი, რომელიც თუ ამდენ ხანს მეგობრებთან საუბარში იყო გართული, ახლა მათ სუფრაზე წამომჯდარა ყანით ხელში.

– აბა, რას მეტყვით, თავადო? — ქირქილებს დათა მიქელაძე, — სად გაქრა თქვენი მჭევრმეტყველება? ის თუ გახსოვთ, როგორ იქადნებოდით, როგორ იმუქრებოდით ჩვენი სასიქადულო ილია ჭავჭავაძის მისამართით: მოიცადეთო, მე გიჩვენებთ ილიას სეირს! ნახეთ, თქვენი ილია როგორ ჩავალბო და გაეჭიმო საქალამნო რუმბიელ ტყავივითო! მაჩაბელმა თქვენი ქადილები ოქროდ მიიღო. საბოლოოდ კი ილიას ვერაფერი დააკელით, თქვენ კი თავი შეირცხვინეთ და მაჩაბელიც სასაცილოდ გახადეთ ხალხში. თქვენს ადგილას სირცხვილით თავს ვეღარ გამოვყოფდი ქალაქში, თუმცა ამდენი დრო კი გავიდა. ისე, მართლაც დიდი ხანია, აღარსად სჩანდით...

– ჰო, მე... აქ... შემთხვევით... — ლულულულებს მოხუცი. — მე ქვემო ქართლში ვცხოვრობ, ლუქსემ-

ბურგში. სამსახურიდან იქ მიკრეს თავი უკვე წლებია... ახლა კი, მაპატიეთ, ძალიან მეჩქარება... ნიკოლოზი დავითის მოსვლას აღარ დაეძებს, უკანასკნელი ძალისხმევით წამოიმართება და გასასვლელისაკენ მიინევს, დათა მკვლავზე წაეტანება. სიჩქარეში და ამ განეგ-გამონევაში მოხუცს ჯიბიდან ხელსახოცი უვარდება და იატაკზე პურისა და ხორცის ნაჭრები იფანტება.

– ამას რას ხედავს ჩემი თვალები?! — ხარხარებს დათა. — ეს თქვენ არა ბრძანდებით, თავადი ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანი, ტრახახით რომ იკლებდით მთელს ქალაქსა, თოხმეტი ძალი მყავს და დღეში ოცდარვა გირვანქა ხორცს ვაჭმევო. აა, თქვენი ძალებსთვის თუ მიგქონდათ ეგ საგზალი...

– რა ხდება აქა? — დავითი გაჩქარებით უახლოვდება მაგიდას, მაგრამ ნიკოლოზი უკვე კარში გადის, დავითი ბრაზით გადახედავს დაუპატიუებელ სტუმარს. ის კი კვლავ ხითხითებს და ვითომ გაოცებით შლის ხელებს. ანგარიშსწორების დრო აღარ არის. დავითი მოხუცს გამოუდგება და მალევე შეაჩერებს.

– მოიცა, ძია, დამშვიდდი. შეგანუხა არა მაგ უსინდისო კაცმა! ვიცი, ვინც არის. მერე გაუუსწორდები. ჩემი ბრალია, იმდენ ხანს რომ შევყოვნდი მეგობრებთან.

– თავი დაანებე, დავით, შენი ჭირიმე, — კენესით წარმოთქვამს ნიკოლოზი — ეგ დათა მიქელაძე სწორედ რომ მიქელ-გაბრიელივით გამომეცახადა თვალნინ. ისიც ვიცი, ახლოა ჩემი აღსასრული. აღარაფერს აღარა აქვს მნიშვნელობა. ერთსა გთხოვ, გაანებე თავი, რამე შარს არ გადაეყარო, შვილო. მე კი... მე რა მეთქმის?! ღირსი ვარ ყველაფრისა, უკვე ვთქვი და კიდევაც ვიტყვი. მამ, მშვიდობით, დავით. არ ვიცი, კიდევ ვნახავთ თუ არა ერთმანეთსა. ღმერთი გფარავდეთ შენცა და შენს ოჯახსაც!

– ვერსად გაგიშვებ, ძია, უკვე ძალიან გვიანია. ეხლა რილათი ნახვალ? ამაღამ ჩვენსა დარჩი. დილაზე გაგაცილებ.

– არა, დავით, არ გინდა, წადი მშვიდად შენს ოჯახში. მე კი... აკი, ვთქვი, უკვე გამომიჩნდა გამცილებელი.... მიქელ-გაბრიელი. უკეთესს ვერც ვინატრებ, შვილო...

შეცბუნებული დავითი ადგილზე შეშდება და გულდამძიმებული გაჰყურებს, როგორ იკარგება სიბნელეში მოხუცის სილუეტი. სტეპკოს დუქნიდან მოქიფები გამოიშლებიან. გაისმის მხიარული შეძახილები, ვილაც „მრავალუამიერს“ წამოიწყებს, სხვებიც აჰყვებიან, თუმცა ქარის ყურისწამლებ გმინვაში მათი ხმები სადღაც იკარგება. აგე, დათა მიქელაძე და მისი ამფსონებიც შორიანლო დგანან. დავითის დანახვაზე ის თითქო შეყოყმანდება და უმალ ხალხს შეერევა. მალე ყველანი ბინდში ჩაიკარგებიან. ნიკოლოზ ორბელიანი ხომ დიდი ხანია, თვალს მიეფარა. დავითიც, ღრმად ჩაფიქრებული, ნელ-ნელა შორდება იქაურობას. მარტო ქარიღა დათარეშობს ქუჩებში და ავი ხარხარით დიდის მონდომებით შლის ადამიანთა ნაკვალევს...

რუსუდან ჭანტურიშვილი
გალაკტიონის „ეფემერა“ და „ლურჯა
ცხენები“ პოლა ურუშაძის რუსულ
თარგმანში

„გალაკტიონის ლექსი არ არის სიტყვათა, წინადადებათა, აზრთა, განცდათა, განწყობათა, ხილვათა ჯამი. ეს არის ორგანული მთლიანობა, რომელიც ნაწილთაგან კი არ შედგება, თავად მუდამ წინ უსწრებს ამ ნაწილებს. ამიტომაც, რომ თუ მთელს ვერ მივწვდით, ნაწილთა შესწავლითა და ანალიზით ვერას გავხდებით“- წერს პროფ. რევაზ თვარაძე თავის წიგნში „გალაკტიონი“.


მთარგმნელმაც, პირველ ყოვლისა, სათარგმნი ლექსი მთლიანობაში უნდა გაიაზროს, მისი ემოციით უნდა განიმსჭვალოს და მხოლოდ ამის შემდეგ, მთელთან მიმართებაში უნდა თარგმნოს ყოველი სტროფი, ტაეპი, სიტყვა თუ მხატვრული სახე. ვნახოთ, როგორ გაიაზრა და თარგმნა რუსულ ენაზე გალაკტიონ ტაბიძის ლექსები პოლა ურუშაძემ.

პოლა ურუშაძე ქართველი რუსულენოვანი პოეტია. იგი თბილისში ცხოვრობს, ბავშვობიდანვე ორივე ენაზე საუბრობს, მაგრამ რუსული მისი დედის ენაა და ამიტომ ამ ენას უფრო კარგად ფლობს, თუმცა ქართული ენის ნიუანსებშიც კარგად ერკვევა, უყვარს ქართული ლიტერატურა, წერს და აქვეყნებს ლექსებს საქართველოს თემაზე და თარგმნის ქართულ პოეზიას, განსაკუთრებით- გალაკტიონ ტაბიძეს.

2016 წ. გამომცემლობამ «Русский клуб» გამოსცა გალაკტიონის ორენოვანი კრებული პოლა ურუშაძის თარგმანებით სათაურით «Мой Галактион», переводы. პროექტის ავტორია ნიკოლაი სვეტნიცკი, რედაქტორია ვლადიმირ გოლოვინი, წინასიტყვაობის ავტორია პოეტი და მთარგმნელი კამილა მარიამ კორინთელი, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს წინამდებარე კრებულს, სადაც გალაკტიონის 15 ლექსია დაბეჭდილი პოლა ურუშაძის თარგმანებით. გთავაზობთ ამონარიდს ამ წინასიტყვაობიდან: „ეს თარგმანები ერთ და იმავე დროს ახლოც არის დედანთან და თითქოს დაშორებულია მას. მთარგმნელი თავს ნებას აძლევს და მიდის განსაზღვრულ დაშორებაზე, მაგრამ არამც და არამც არ არღვევს ლექსის ემოციურ სამყაროს. სახეების მისეული ექვივალენტები მეტყველი, სატოვანი და ლექსისთვის ორგანულია.... პოლა ურუშაძეს თავიდანვე აქვს დიდი უპირატესობა- ორიგინალის და თარგმანის ენების ღრმა ცოდნა. ამასთან, ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის მატარებელია“.

სწორედ ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის მატარებელია მთარგმნელი ისეთი პოეტისა, რომელიც წერს: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული“.

პროფ. დალი ფანჯიკიძე თავის სახელმძღვანელოში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ წერს: „კარგი თარგმანის საიდუმლო ის არის, რომ შენს მშობლიურ ენაზე აღადგინო იგივე რიტმი და ინტონაცია, შექმნა იგივე განწყობილება, ოღონდ არა ლექსის თითოეული კომპონენტისათვის ფორმალური შესატყვისის ძიების გზით.... ქართულში ასევე ვერ გაირითმება იგივე სიტყვები, რომლებიც დედანშია გართიმული, მაგრამ ლექსის რიტმული სურათისა და განწყო-



ბილების გადმოცემა მაინც შესაძლებელია“.

განვიხილოთ გალაკტიონის ორი ლექსის პოლ ურუშაძისეული თარგმანი და ვნახოთ, თუ რამდენად გადმოსცა მთარგმნელმა გალაკტიონის ლექსების სული, განწყობილება და რიტმული სურათი.

კრებული იწყება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით – „ეფემერა“. ამ თემაზე პოეტს რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი. საქართველოს მომავალი, ისევე როგორც თავისი ბედიც, ეფემერულად ესახებოდა პოეტს. მას ბარათაშვილის ეპოქის სავალალო შედეგებიც ჰქონდა გააზრებული და მომავალიც სავალალოდ ეხატებოდა. მხოლოდ პოეზია შეიძლებოდა ყოფილიყო მხსნელი. გალაკტიონისათვის პოეზია ყველაფერია, ამიტომაც წერს იგი „ეფემერაში“: „ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.

„ეფემერას“ ტაეპები 14 მარცვლიანია, რითმა- ჯვარედინი, რაც არქარებულ, დაძაბულ განწყობილებას ქმნის. მხოლოდ მე-3 და მე-4 სტროფშია წყვილადი პარალელური რითმები თითო-თითო კონსონანსური (როცა ხმოვანია განსხვავებული) და ასონანსური (როცა თანხმოვანია განსხვავებული) რითმებით, რაც ოდნავ სიმშვიდეს მატებს ლექსს. პოეტმა იცის თავისი ლექსების ფასი; იცის, რომ ნამდვილი შემოქმედება მარადიულია და საუკუნეებს გაუძლებს, ნიაგარასავით მაცოცხლებელი ძალა აქვს:

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
 ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
 იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვისხენები
 გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“.

პოლო ურუშაძის თარგმანიც 14 მარცვლიანია. რითმა აქაც ძირითადად ჯვარედინია. მხოლოდ მე-2, მე-3 და მე-6 სტროფებშია წყვილ-წყვილი პარალელური რითმები, გამორეული ასონანსური და კონსონანსური რითმებით, რაც არ ცვლის ძირითადი ჯვარედინი რითმით შექმნილ აჩქარებულ, დაძაბულ ტონალობას. თარგმანში ზოგჯერ დედნისეული ტაეპების ადგილიც შენაცვლებულია, მაგრამ ეს არ ვნებს ლექსს და ზუსტად გადმოსცემს დედნისეულ ემოციას:

«Неземными вихрями- бешеными, ярыми-
 Кони мои синие мчались на ристалище...
 Я запомнюсь в вечности только Ниагарами,
 Что срывались первыми с гулом нарастающим».

ტაეპთა გადანაცვლებით არც დედნის უკვე ნახსენებ უკუდავ სტრიქონებს დააკლდა რამე თარგმანში:

«В каждой моей клеточке бьет ключом поэзия,
 Каждой капли крови я- лишь грузин и только».

ზოგჯერ, რითმისა და ტონალობის შენარჩუნების

მიზნით, თარგმანში მხატვრული სახეებია ჩანაცვლებული, მაგრამ ეს ჩანაცვლება თითქმის დედნის ანალოგიურია და მხატვრულად ისეთივე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც დედანი. მაგალითად: „ლალის კართავგენების“ მაგივრად არის «звездным инеем», რაც ნიშნავს ვარსკვლავებით მოჭირხლულს. ვნახოთ თარგმანი დედნის გვერდით:

„ვნუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ხალი ლალის კართავგენები, ბედი-ქროლოვის გარეშე ჩემთვის არაფერია, ჩემთვის ყველაფერია ისევე ლურჯა ცხენები“.

«Знаю: я единственный, и судьбой заранее
Было мне начертано в небе звездным инеем-
Жизнь без вдохновения- тлен и умирание,
Для меня вселенная, только кони синие».

გალაკტიონის „ეფემერა“ ემოციურად ერთი სულის მოთქმით არის დანერილი. ემოციურად ინყება და ემოციურად მთავრდება:

„დარჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი, ეფემერა მომეცეს, როგორც ღამეს ენებოს. ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე გასწვთ, ლურჯა ცხენებო!“

ამ ბოლო სტროფის თარგმანში ეფემერას მაგივრად არის ასევე ეფემერული «Грааль неведомый» და ჩამატებულია «и долгой уныние!» რაც კიდევ უფრო ამძაფრებს დედნისეულ მებრძოლ სულისკვეთებას:

«Пусть же вечной тайной ты со мной останешься,
Как Грааль неведомый... и долгой уныние!
Вихрем на ристалище, вихрем на ристалище,
вихрем на ристалище мчитесь, кони синие!»

პროფ. აკაკი ხინიბიძე თავის წიგნში „ქართული ლექსი“ წერს: „1915 წელს გალაკტიონის ფერთა სამყაროში ლურჯი ფერი მკვიდრდება („ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი“), რამაც ამავე წელს პოეტი „ლურჯა ცხენების“ სიმბოლიკამდე მიიყვანა.... არაფერს ვიტყვი „ლურჯა ცხენების“ მოტივზე, რომელიც არა მხოლოდ ორიგინალურია, არამედ განსაკუთრებით ძლიერი და შთაბეჭდავი. მას პოეტი მრავალ ლექსში უბრუნდება და, კერძოდ, მასზეა აგებული პოეტის ერთი უპირველესი შედეგური „ეფემერა“.

„ლურჯა ცხენები“ „ეფემერაზე ადრეა დაწერილი. ტაეპები აქაც 14 მარცვლიანია. პირველ ოთხ სტროფში ჯვარედინი რითმაა, მომდევნო ოთხ სტროფში კი- ინტერვალიანი. ლექსის ფორმა და შინაარსი იმდენად შერწყმულია ერთმანეთს და იმდენად დატვირთულია ემოციურად, რომ მთარგმნელმა- პაოლა ურუმაძემაც შესანიშნავად იგრძნო ეს ერთიანობა და შეძლებისდაგვარად ასევე თარგმნა კიდევ. 14 მარცვლიანი ტაეპები თარგმანში 16 და 15 მარცვლიანი ტაეპებით არის გადმოცემული, რაც არ არღვევს დედნისეულ რიტმს. მით უმეტეს, რომ თარგმანში დედნის კიბური რითმაც დედნისაგან ცოტა განსხვავებით, მაგრამ მაინც არის გადმოტანილი და თითქოს ტალღისებურად გადაადგილებიან კოსმოურ სივრცეში პოეტური ენერგიითა და ზღაპრული ხილვებით აღსავსე ლურჯა ცხენები. ვნახოთ როგორ ჟღერს პირველი ორი სტროფი დედანსა და თარგმანში:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,

ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალბეში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“.
«Весь, как облака громада, он сверкал в лучах заката-
Этот берег безымянный, тайной издали меня.
А сбылось,- душа не рада, не таким он был загадан,
Лишь безмолвием и хладом Вечность встретила меня.
Лишь безмолвие застыло в бесконечности унылой,
А душе давно постыло ждать спасение извне.
Обескровлен, обессилен- ты лежишь в сырой могиле.-
Ты лежишь в сырой могиле в неприступной глубине».

გალაკტიონ ტაბიძის მთელი ცხოვრება დანის პირზე, ან უფსკრულის პირას სიარულს ჰგავდა. იმ დროსაც, როცა „ლურჯა ცხენები“ და „ეფემერა“ ინერებოდა, გალაკტიონი მატერიალურ სიდუხჭირესაც განიცდიდა და დედამისის წერილიდან გამომდინარე, ვერც ოჯახს შეელოდა და ვერც საკუთარ თავს. ბ-ნი რევაზ თვარაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ირგვლივ გამოუვალობაა და ქაოსი. და ყოველსავე ამას დაერთო კიდევ უფრო ქაოტური რამ, გრანდიოზული უაზრობა-მსოფლიო ომი. მარტო მისი ოჯახის კი არა, მთელი კაცობრიობის ბედილბალი თავშეუდებლად არის შეგდებული სასწორზე“./მგრძნობიარე პოეტის სული სულ თავისი და სხვების სიკვდილის მოლოდინშია და თავისი ლურჯა ცხენებით სამარეშიც ჩაესვენება, სადაც

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულგულო დღეები რბიან, მიიქარან!“

ჩონჩხიანი ტყეების ეს შემზარავი სურათი ვერ გადმოვიდა თარგმანში, მაგრამ მხატვრული ჩანაცვლებით უსულგულო დღეების სწრაფი სრბოლა მაინც გამოიხატა:

«В редких всполохах зарницы дней безлицых вереница,
Не оглядываясь, мчится, как на свой последний Суд».

შევადაროთ/ერთმანეთს დედნისა და თარგმანის ბოლო სტროფი:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!“

«Мгла все вкрадчивей, все глуше, все безжалостнее стужа.
И в могиле, и снаружи, наяву и в зыбком сне
Словно рок неумолимый, вдаль проклятием гонимы,
Кони синие незримо мчатся с ветром наравне».

თარგმანის თეორიაში ცნობილია, რომ ადეკვატური თარგმანი არის „თარგმანი, რომელიც ყოველმხრივ შეესაბამება დედანს, ესე იგი თარგმანში შენარჩუნებულია დედნის ყველა კომპონენტი და მკითხველზე ახდენს ისეთივე შთაბეჭდილებას, როგორც დედანი“ - (პროფ. გიორგი წიბახაშვილი, „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“).

ვფიქრობ, ეჭვგარეშეა, რომ პაოლა ურუმაძის განხილული თარგმანები ნამდვილად დედნის ადეკვატურია და მკითხველზე მძლავრ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს. თვითონ მთარგმნელს კი მიაჩნია, რომ იგი მხოლოდ მიუახლოვდა გენიალური გალაკტიონის პოეზიას.

ვახტანგ ბახტაძე

ჟურნალისტი, პუბლიცისტი

სპეციალურად შურნალი „ინინდისათვის“

გთავაზობთ ნაწყვეტს ვახტანგ ბახტაძის ახალი წიგნიდან „სიკვდილი... ზოგჯერ ის გვირგვინია - მერაბ კოსტავას მოღვაწეობის ცხოვრების ქრონიკები“, რომელიც მალე გამოიცემა და წარსდგება ქართული საზოგადოების წინაშე.


ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ვახტანგ ბახტაძის წერილი (ვრცელი ვერსია) „მერაბ კოსტავა-ქართველთა გაუტეხელი სინდისი“.

1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებისა (კრიმინალური პუტჩი) და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენების გააზრების მცდელობა.

(საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას გარდაცვალების სამი წლისთავის გამო, 1992 წლის 13 ოქტომბერი)

მეუ ისევ ქმარტანული
სახსოვნოებმსკენ მოკუნოღოთ
ქნიათ სქმითველს, იოზუმ
უფტრიათმს მსკეუზქს, ღილი
იღოა რომ აზ ღონდქს, მსქ
სქმითველს ხეყოვანუ
აუკარკაღღმბა ხელი.

მერაბ კოსტავა



მერაბ კოსტავა-ქართველთა გაუტეხელი სინდისი

1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებისა (კრიმინალური პუტჩი) და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენების გააზრების მცდელობა.

(საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გახსენება გარდაცვალების სამი წლისთავის გამო, ქრისტეშობისთვის, 1992 წ.)

„დიდხანს და დიდხანს იქნებან საქმენი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა სანრთენელად. ყოველივე ეს დიდხანს, კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სოქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: „მოკვდა და თვისის ანდერძით ან ისევ საქმობს მკვდარიო“.

სიტყვები, რითაც თავადი ილია ჭავჭავაძე გამოეთხოვა გაბრიელ ეპისკოპოსს

წინა საუკუნეებში არაერთი თავდადებული მამულიშვილის მსგავსად, სამშობლოს თვითმყოფადობის დაცვის, თავისუფლებისა და სიყვარულისთვის ვრცელ რუსეთში დიდი ხნით გაციმბირებული (განგების ნებით გადარჩენილი) და საქართველოში ღირსეულად დაბრუნებული, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული მერაბ კოსტავა სრულიად საქართველოსთვის უმძიმეს დღეებში (1989 წლის 13 - 21 ოქტომბერი), მისმა უდიდებულესობა ქართველმა ერმა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხა.

მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან ორი (არასრული) წლის თავზე (1991წ. 21 მაისი) რადიოგადაცემაში მიწვეულმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „მერაბი ძალიან დააკლდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა... საქართველო, ალბათ, სხვა იქნებოდა დღეს, რომ მერაბი გვყოლოდა გვერდით. დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა, დიდი გოდოლი, რომელიც მართლაც დიდი ბურჯი და იმედი იყო ჩვენი!“

ასეც ხდება, რომ ერის ქვეშარტი რაინდი მისი ნაოცნებარი დედა-იდეის - „ქართლის ცხოვრებისეული“ „ყოველთა ქართველთა“ ერთობის (ვაგლახ, რომ გაელეგებასავით ცოტახნით) საკუთრება ხდება - „ხმა ღვთისა-ხმა ერისა“.

1939 წლის 26 მაისს თბილისში მოეწვინა მერაბი ქვეყნიერებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და თავისუფლების მოპოვების აღმნიშვნელი უძვირფასესი თარიღი 1918 წლის 26 მაისი მთელი თავისი სიდიადით სიმბოლურად, შარავანდედად დაადგა თავზე ბორკილდადებულ ჩვენს დიდ მამულიშვილს. ასე ისურვა უფალმა, ამადაც ინება მოვლინებოდა იგი, წუთისოფელს სწორედ ამ დღეს! (საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების დღეს), რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „ნითელ ურჩხულს“, პლანეტარული გველეშაპის განსაგმირად.

„მერაბ, შენ რეფერენდუმი არ გჭირდება, დღეს მთელმა საქართველომ გალიარა შენ დამოუკიდებელი საქართველო“

ლოს რაინდად, საქართველოს ეროვნულ გმირად!..“ (ზვიად გამსახურდია).

ამ დღეს, ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ააფრიალა სამფეროვანი დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. როგორც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმადგენელი პრეზიდენტი, დევნილობისას წერს: „კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკლვას, ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურებას, მან ქრისტეს ჯვრის ნაცვლად ... კომუნისტური წითელი ვარსკვლავი დაუსახა იდეალად ქართველ ერს, ქრისტეს გზა, კაცთმოყვარეობის გზა შეიცვალა ანტიქრისტეს, ბარაბას დამლუპველი გზით. მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, კვლავ აჟღერდა ჰიმნი „დიდება“.

ერთი იმპერია დაემხო, მეორე კი განაგრძობს დათრგუნვას ერთა უფლებებისა... კვლავ აბორგდა კანის სული“.¹

ახლო ნათესაების თქმით, მერაბი ყმანვილობიდანვე უცნაური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან იმ პერიოდის საბჭოთა სტანდარტებიდან სრულიად ამოვარდნილი იყო. იგი, გარეშემყოფების მიერ არანორმალურად შერაცხული, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დადის, ლოცულობს, სანთლებს ანთებს, სახლში არაერთი ხატი უკიდია, ქართული საგალობლების შესწავლას ენაფება, ბევრს კითხულობს, ძირითადად ეკლესიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ღამის საათებში, სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრობს. და, ალბათ, მაინც უმთავრესი: კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, ზვიადს, გიჟურად გადაეკიდაო (შემდგომში ისინი, უკვე ორივენი დიდ თავსატეხს გაუჩენენ სუკისტებს). ცოტა ხანში, უკვე თავად დიდი კონსტანტინესგან მადლიერების გრძნობით მოისმენს და მიიღებს ღირებულ გაკვეთილებს და საჭირო რჩევა-დარიგებებს.

სამწუხაროდ, საბჭოთა ათეისტური პროპაგანდით დაბანგული ადამიანებისგან ამგვარი აზრი არც იყო გასაკვირი, მერაბის რელიგიური და ეროვნული ცნობიერების გაღვიძება და ყმანვილის არასაბჭოური ცხოვრების წესი მათ იმთავითვე აფრთხობდათ.

ქრისტიანობა ის ქვაკუთხედი და ხერხემალია, რომელსაც საუკუნეებია ეფუძნება, და, მომავალშიც დაეფუძნება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართველი ერის ისტორია სამშობლოს თავგანწირული სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოებდა. ქრისტიანობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, ისტორიული ბედ-იღბლის, მისი ჭირ-ვარამის განმსაზღვრელი ფაქტორია.

მერაბ კოსტავა მთელი არსებით ქრისტიანი კაცი იყო. იგი ძალიან ცოტას ითხოვდა ცხოვრებისგან. ყმანვილკაცო-

ბიდან მოყოლებული, ყველაფრის მიუხედავად თამამად ამბობდა სიმართლეს. ბოლომდე შეინარჩუნა გაუზარავი მსოფლხედვა, გამბედაობა, ზომიერების გრძნობა, მოყვასის გაგებისა და მიტევების უზადო ნიჭი, სულის სინმინდე და სინრფელე.

მერაბ კოსტავა ლმობიერი და სამართლიანი კაცი იყო, როგორც დიდი ძველბერძენი მოაზროვნე ადამიანი ამბობდა: „სამართლიანი კაცის ზნეობრივი თვისებები სავსებით ცვლიან კანონებს“. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ესწრაფოდა ჭეშმარიტების შეცნობას, ებრძოდა უსამართლობას და ამკვიდრებდა ამ ბრძნული აზრის უტყუარობას. რადგანაც სრულიად გააზრებული ჰქონდა, კანტიანური ჭვრეტით რომ ვთქვათ, „როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს რაიმე ღირებულება მისცეს.“

სიმართლემ მისცა მას ყოველივე ამის უშრეტი ძალა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მოღვაწე ადამიანის უფლებების დაცვის და ყოფილი სინდისის ტუსალი აქტივისტების და ყოფილი პოლიტპატიმარებისგან არაერთხელ მსმენია, რომ მერაბ კოსტავა კომუნისტური „სიკვდილის ბანაკებში“ და შორეულ გადასახლებებში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნისას ყველასგან გამორჩეული და გაუტყეხელი ქართველი კაცი იყო, „უშიში ვითარცა უხორცო“, დინჯი და აუქქარებელი. თითქმის ყველა პატიმარს სურდა მასთან საუბარი და, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ერთმანეთთან საერთო ენას პოულობდნენ. მისგან რალაც არაჩვეულებრივად გადამდები, ჭეშმარიტად ქრისტიანული იმპულსი მოდიოდა. ჩვენ მას მეტსახელად „სინდისს“ ვეძახდითო.

„სინდისი სიმართლის ხმა“ — იტყვის შემდგომ აზვირთებულ ეროვნული მოძრაობის ხალხმრავალ მიტინგზე მერაბ კოსტავა.

ცოტა ხნის შემდეგ კი, უკვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების ჟამს (1988 წ.), ქართველი ხალხი მას „ერის გაუტყეხელ სინდისს“ უწოდებს.

როგორი გვახსოვს მერაბი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამებრძოლთ? იგი მუდამაჟამს „ყოველთა ქართველთა“ ერთობის სულისჩამდგმელი თავკაცი გახლდათ. თავს არ გახვევდა საკუთარ თვალსაზრისს, მაგრამ იმთავითვე მისი თვალთახედვა უჩინრად გიპყრობდათ. მოკამათეში თითქმის არ ეძებდა მონინალმდეგეს; თუ ეროვნული გრძნობის გამოვლენას შენიშნავდა, არასოდეს მალავდა აღფრთოვანებას. თუ რაიმე მოენონებოდა, დიდი სითბო ჩაუდგებოდა თვალებში. ციური ღიმილით გაშუქებული სახე ჰქონდა, მისი ეს გამოხედვა, ვფიქრობ, დაუფინყარი დარჩება ყველასთვის. მეგობართა წრეში უკმაყოფილებას ხშირად ღუმლით გამოხატავდა.

მერაბ კოსტავას საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან და გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდეგ, თავის წრეში უყვარდა ქართული ისტორიოგრაფიის მშვენიერებაზე, ჩვენი წერილობითი ძეგლის საისტორიო თხზულების — „ქართლის ცხოვრების“ შესახებ საუბარი. იგი გატაცებით ჰყვებოდა რომ, ცხრა საუკუნეზე მეტია, ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ

საუნჯეს – „ქართლის ცხოვრებას“. ზოგჯერ მას უყვარდა ამ სიტყვების განმეორებით თქმა: „ესე არს წმინდა და პატიოსანი წიგნიო“, – ამბობდნენ ძველ საქართველოში და ამით მისადმი უდიდეს მონივნებას გამოხატავდნენ“-ო.

გთავაზობთ ერთ ამონარიდს ჩემი ჩანაწერებიდან „ჩემი დღიურები“, სადაც მერაბ კოსტავას აზრებია დოკუმენტურებული (1988 წელი, 29 დეკემბერი, თბილისი).

„XI საუკუნეში, როცა ქვეყანა გაერთიანდა, საჭირო გახდა ისეთი საისტორიო თხზულების შექმნა, რომელშიც ნაჩვენებია იქნებოდა არა ცალკეული მხარეების, არამედ მთლიანი საქართველოს წარსული, ხაზგასმული იქნებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი ერთი დედის – ქართველი ერის უბიდან არიან გამოსული და ქვეყნის ერთიანობა, ქართველთა ეს დიდი ისტორიული მონაპოვარი, უცხო და შინაურ მტრებთან ხანგრძლივი ბრძოლით იქნება მიღწეული“.

„იცოდეთ, ძებო“, – ამბობდა იგი – „ქართლი“ აქ ნიშნავს საქართველოს, ხოლო „ცხოვრება“ ისტორიას“. დასასრულ, მერაბი მისთვის სანუკვარი სიტყვებით ამთავრებს საკუთარ სახლში ვიწრო წრის შეხვედრას:

„მამულიშვილო! დანო და ძმანო! უცილობლად საჭიროა ეროვნული ერთიანობის გაფრთხილება, იცოდეთ, იგი ხელშეუხებელი და წმინდაა!“

ზოგჯერ მოულოდნელად ჩაფიქრდებოდა და ერთგვარი გულდანყევით, მოჭრილად იცოდა თქმა: „აქ უფრო ძნელი ყოფილა, ძმაო, ცხოვრება, ვიდრე იქ... მერჩივნა, ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავ!“

როგორი მძიმე უნდა ყოფილიყო მისთვის აქაურობა, რომ იქ, „კომუნისტური გულაგის“ „სიკვდილის ბანაკებში“ ყოფნა ერჩია.

დღესაც გაუსაძლისია ამ გარემოში ცხოვრება, მერაბ! ამას წინათ ახალგაზრდა ქალმა გულდათუთქულმა მითხრა: „როგორ გვჭირდება მერაბი! ჩვენი მერაბი ცოცხალი რომ იყოს!...“

ძალზე ძნელია ადამიანი გაპარტახებულ ქვეყანას უმზერდე და ვერას შევლოდე. მყისიერად არ შეიძლება არ გაგახსენდეს აკაკის სიტყვები: „უღირსი აქებს უღირსებს, ქურდი ქურდს მონიშნავს ფიცითა, ვინ სტყუა, ვინ მართალია? ვიბნევი, აღარ ვიცითა!...“

მძიმე ასატანია, როცა მწუხარე ადამიანის მზერას იარაღის ცივ ლულას შეაგებებენ. იქ სადაც კრიმინალური ბანდების თარეშია, რომელნიც მხოლოდ იარაღის ენაზე მეტყველებენ და რასაც ყოვლისმომცველი ანარქია, ქაოსი და საყოველთაო განუკითხაობა მოაქვს (რომელიც ხასიათდება მასიური უმძიმესი პოლიტიკური რეპრესიებით და ადამიანის უფლებების ყველა ნორმათა უხეში დარღვევებით), იქ ცოტა სიმართლე თუ ითქმის.

არავითარი მიკბო-მოკბოვა -- პირდაპირ უნდა ითქვას, ეს ფარული და მზაკვრული გარიგება (ფაქტობრივად შეთქმულება) ჩვენს ზურგს უკან, იმდროინდელ ორ ზესახელმწიფო ლიდერს შორის და მსოფლიოს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურების მხრიდან სამარცხვინო წაყრუებით ხდებოდა.

ყველაფერი სრულად და ობიექტურად უნდა წარმოჩინდეს, მსოფლიოს ჭეშმარიტად კეთილი ნების საზოგა-

დობის წინაშე.

სხვაგვარად ავი დროება არ დაცხრება, არ დამშვიდება.

და რაოდენ სამარცხვინოა და სავალალო, თუ როგორ გამოაყენებინა თავი მოლაღატურ ანტიქართულ საქმეში არალეგიტიმურმა ორგანომ „სამხედრო საბჭოს“ ტრიუმფირატმა, შემდეგ კი იმ „ერთი კაცის“ გარშემო გაერთიანებულმა „სახელმწიფო საბჭომ“ და მისმა პოლიტიკურმა „ბომონდმა“, ასევე ე.წ. „არჩევნებით“ მოსულმა „იმედის“ არალეგიტიმურმა პარლამენტმა, რომელი ერთი ჩამოვთვალეთ...

ყოველი ჩვენთაგანი (ერიც და ბერიც -- ცხადია, აქ არ იგულისხმება აბსოლუტურად ყველა), ასე თუ ისე დამნაშავეა, თუნდაც სულ მცირე ძალისხმევის დაკლებისათვის.

ცხადია, ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციის ფლობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ და მიიღეთ ეს როგორც ჩემი გულწრფელი გულისტკივილი. მთელი იმდროინდელი პროცესების დროს, კრიტიკულ მომენტში მრავალთაგან (ვისაც ევალბოდა კიდეც) უპატიებელმა უმოქმედობამ, სრულმა წაყრუებამ, როგორც სამოციქულო მართლმადიდებელი დედა-ეკლესიის საჭეთმპყრობელი მწყემსმთავრის, ისევე წმინდა სინოდის მაღალი იერარქების მხრიდან. ფაქტიური უარის თქმა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების შემაკავებელ, ერთადერთ შესაძლო მცდელობაზე, ფაქტობრივად კრიმინალიზებულ-გასამხედროებულ „ოპოზიციასთან“ ერთად ქართული სახელმწიფოებრიობის შტურმს ნიშნავდა; თანაც კრიმინალური ხუნტის ბანდფორმირებების გამოყენებით.³

ვფიქრობ, ეს იყო უპატიებელი დანაშაული ღვთისა და ქართველი ერის წინაშე!

როგორც XVIII საუკუნის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, კათალიკოსი ანტონ პირველი იტყოდა: „სანუხ არს ესე“.

ვერ დავიცავით ბოლომდე ბრძოლით მოპოვებული უდიდესი მონაპოვარი – ახლადშემდგარი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ლეგიტიმური საფუძვლები!⁴ ვერ დავიცავით გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია!..

ვიდრე ჩვენს წილ დანაშაულს გულწრფელად არ მოვინანიებთ, ვერც მიტვეებას ველირსებით და ვერც სულიერ სიმშვიდეს.

უკეთურება, რომელიც დღეს ქართველებმა (მისმა მებრძოლ უმეცართა და უპასუხისმგებლო პასიურმა ნაწილთან ერთად) საკუთარ თავს დავმართეთ, მართლაც რომ უმძიმესია! (ყოველი ჩვენთაგანის საკუთარი წილი მორალური ნესიერებიდან მათი უპასუხისმგებლობიდან გამომდინარე).

აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს გენიალური ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილი „მღვდლების ვინაობა“ (1906), სადაც ის დასაწყისშივე ასე მიმართავს რუსეთის იმპერიაში მყოფ სამღვდლოებს: „მღვდლებო-სოციალისტებო!... მე პირადად მწყინს, როცა ჰმღვდლობთ“, ან „გაიძროთ ანაფორები, შეიკრიჭოთ თმები და გამოენყოთ „პიჯაკებში“, „შტაცკურად“, მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას მიცემთ თქვენს რევოლუციონერობას“-ო. ეს მომენტი ძალიან ნააგავს საბჭოთა სივრციდან მოწყვე-

ტის მსურველთა სანინალმდგომდ მიმართულ დღევანდელ სამღველოებაში ჩაბუდებულ „ნითელ სამღველოებას“, რბილად რომ ვთქვათ, მათ უღირს საქციელს და კონიუნქტურულ დაუოკებელ მისწრაფებებს რუსული იმპერიის სასარგებლოდ. როდესაც „დემოკრატიული რევოლუციის“ ნილაბქვეშ საერო და საეკლესიო „ელიტების“ კოორდინირებული მოქმედებით ცეცხლით და მახვილით უპირისპირდებიან ახლადშექმნილი ჯერ კიდევ სრულიად ჩვილ მდგომარეობაში მყოფ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩანასახს და მის მთავარ შემოქმედს! ...და რომელიც ამ დროისათვის, უახლოესი მომავლისათვის შესაბამის „პლაცდარმს“ უმზადებენ „ცენტრიდან“ ჩამოსასვლელად გამზადებულ იმ „ერთ კაცს“!

სწორედ ამგვარი უღირსი საქციელისა თუ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, ვაჟა-ფშაველა სასტიკად ილაშქრებდა და არ იშურებდა მათდამი მიმართულ მწარედ მოსასმენ სიტყვებს: „მღვლეობ-სოციალისტებო! ...გაიძროთ ანაფორები, შეიკრიჭოთ თმებიო...“ იგი ასევე მათ მიმართავს, რომელთაც განუზრახავთ (უწინარესად იდეოლოგიური მოსაზრებების გამო), საღვთო წერილის „თავისებურად“ ინტერპრეტაცია „...ვიდრე საღვთო წერილის მცნებათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიშლით მეჭურჭლის ხელობას, რომელიც ქოთანს საითაც ჰნებავს, ყურს იქით მოაბამს... ვსტყუი?“ - და აგრძელებს: „პირადად მწყინს, როცა ჰმღვლეობთ, ანაფორები გაცვიათ და ჰრევოლუციონერობთ“-ო. ვაჟა-ფშაველა აგრძელებს: „...გაიხადეთ ან ანაფორები, ან სთქვით შეუბღალავად, განურყენელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეტელმა. არც არაფერი იმით დაშავდება... თქვენი გავლენა ხალხზე, გეუბნებით გამოცხადებით, აშკარად, საბოლოოდ მავნებელი გამოდგება, არ არი მოსანონი თქვენი გავლენა, ვინაიდან იგი სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს და მხოლოდ მონებს ალუზრდის ქვეყანას და არა ნამდვილ მამულიშვილებს და მოქალაქეებს.“

წერილის დასასრულს იგი მისთვის ჩვეული პირდაპირობით და ქრისტიანული მართლმწილებით ამთავრებს თავის ნაზრევს: „უეჭველია, რომ საქართველოს ისტორია არ დაივინყებს თქვენს ღვანლს, როგორც მსოფლიო ისტორიამ არ დაივინყა ღვანლი გეროსტრატისა, რომელმაც დანვა მშვენიერი დიანას ტაძარი.“

ჩემი მხრივ კი დავეხედი, ვფიქრობ, „საქართველოს ისტორია“ არ დაივინყებს დღევანდელი თანამედროვე გეროსტრატების „ღვანლს“.

მომხდარი - პირდაპირი შედეგია საქართველოს უახლესი ისტორიის 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების (კრიმინალური პუტჩის) და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიგეგმა და განხორციელდა „იმპორტირებული ომით“, თავიანთი მართვადი „პოლიტიკური დესანტების“ ადგილებზე დასმით, კანონიერი ხელისუფლების მიტაცებით და მითვისებით. მისი მთავარი „შემოქმედნი“ იყვნენ ერთი მხრივ, „ერთმონრწმუნე“ მეზობელი ჩრდილოელი ქვეყნის კრემლის „პოლიტიკური კაბინეტი“ თავისი ლიდერიურთ, და, მეორე მხრივ კი, ვაგლახ, რომ ისინი ამ შემთხვევაში სამართლიანად იმსახ-

ურებენ მოვისხენით, როგორც ეგრეთ წოდებული „თავისუფლების მეზარახტრე“, ოკეანის გაღმა ზესანელმწიფო ქვეყნის დედაქალაქის ვაშინგტონის თეთრი სახლის (ასევე კონგრესის, - ზედა და ქვედა პალატის ლიბერალი დემოკრატების და ნეოკონ-რესპუბლიკელების ცრუ იდეურობის მხარდამჭერთა „ლიბერალური კონსენსუსი“) „პოლიტიკური კაბინეტის“ ადმინისტრაცია - თავისი მეთაურით. მათ დაგვემეს და სისრულეში მოიყვანეს ვერაგული და ბოროტისეული გლობალისტური მეგა-პროექტი (პირობითი სახელდებით „ახალი სახელმწიფო-საქართველო“ და მისი გაგრძელება გეოეკონომიკური პროექტი - „ახალი საქართველო-ორმხრივი დერეფნი“). ცხადია, არც ორმხრივი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები დავინყებიათ. მეგა-პროექტი განხორციელდა ნამდვილად ავაზაკ-ავანტიურისტთა მიერ ფარული შეთქმულების გზით, მზაკვრული გარიგებითა და გვარიანი ხელისმობით. იგი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან შავბნელი ძალების მიერ იყო ინსპირირებული და იმპორტირებული ე.წ. „დემოკრატიული რევოლუციის“ ნილაბქვეშ. შემსრულებლებად მოგვევლინენ კანონნიერების და სამართლიანობის მოძულე ნეოკომუნისტური კლანების მიერ დაფინანსებული, უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებები და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების (სუკ-ის, გრუ-ს და სხვ) მიერ ჩანერგილი აგენტურა. მათ გარდამავალი პერიოდის კანონიერი კონსტიტუციური ხელისუფლება სასტიკი ძალადობის გამოყენებით დაამხეს. შეთქმულების მიზანი იყო ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ახლადშემდგარი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები: ლეგიტიმიზმი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ერისა და სახელმწიფოს გამყიდველმა პუტჩისტმა კრიმინალებმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის უკეთური დღეები გაუთენეს, რათა მეტროპოლიისთვის გაეადვილებინათ მიზნის მიღწევა. ამგვარი ვერაგული ქმედება აუცილებელი შეიქნა, რადგან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებმა თავისი სუვერენული ნების გამოხატვით, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დაუკავშირეს საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წ.წ.) და მოახდინეს მასთან იდენტიფიცირება სახელმწიფო განგრძობადობის საფუძველზე. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, შემდეგ კი ფაქტობრივი ანექსია. საინტერესოა, რომ ამ მომენტისთვის (1921 წლის თებერვალი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები. 1991 წლის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, აღადგინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. ეს უდიდესი აქტი განხორციელდა ხალხის თვითგამორკვევისა (1921წ.წ.) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების საფუძველზე (1990-1991 წ.წ.).5.

შენიშვნები

1 გაზ. „აღდგომა“, № 4 მაისი, 1992წ.

2მენანდრე – დიდი ძველბერძენი დრამატურგი და კომედიანტი, მოღვაწეობდა ძვ.წ/ად. 342 –251 წ.წ.-ში.

3ამგვარი ქმედება (მთელი ამ სამარცხვინო პროცესების დასასრულ, ისევე როგორც ლეგიტიმური პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას და ეროვნული ხელისუფლების საქართველოდან განდევნის აღწერილობა) გამართული „ტრაპეზის“ თუ ღრეობის მოწყობა) ყოველად აღმაშფოთებელი და დასაგმობი ფაქტია ყოველი ქართველის, ყველა ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი ადამიანისგან, რომელიც დიდი ეროვნული ტრაგედიის მიზეზი შეიქმნა.

4 სამწუხაროდ, ქართველი ხალხის ერთ ნაწილს (ეგრეთ ნოდებული პასიურები, ნეიტრალური, როგორც ყოველთვის სხვების მომლოდინე ობივალური, არსებითად არაპოლიტიკურად მოტივირებული, ასეთები მათში შედარებით ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ) კრიტიკულ მომენტში, არ აღმოაჩნდა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის შესაბამისი სვედომა და პოლიტიკური ალლო. ცენტრმა (კრემლმა) საქართველოსთვის მეტად დრამატულ მომენტში, საკუთრ დაქმნულ შავნულ ძალებთან ფარული ალიანსით, პროფესიონალ პროფკატორთა მიერ ბინძური ჭორების გავრცელებით და ცრუ პროპაგანდით, შეიძლება ითქვას დახვეწილი დემაგოგიით, ე.წ. „წყალქვეშა ნაების“ და ე.წ. „ტროას ცხენების“ გამოყენებით ასევე ადგილობრივი პოლიტ-სექსოტა დახმარებით, ათასგვარი ინსინუაციით, ე.წ. „ეროვნული პარტიების“ ხელშეწყობით შეძლეს „დაბნეული“ ხალხის შედარებით მცირე ნაწილის დარწმუნება, იმ ერთი ცრუმაფიციარი „დიდპოლიტიკოსი“ შევას (შეგარდნაძისათვის დასავლეთში ჟურნალისტების მიერ ასე შემოკლებულად შერქმეული სახელი) უძღვევლობაში. მათაც დაიჯერეს! მსოფლიოს „დიდ პოლიტიკოსებთან“ ნაცნობობა-ჩამძაკების გამო. მანაც, მისთვის ჩვეული სიცრუით დააჯერა ისინი, რომ: სულ რაღაც რამოდენიმე (ორ-სამ) წელში, ქართველებს ევროპა-ამერიკულად კარგად „დავარცხნის“ ქვეყანას „ჩაბარება“. მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს ალორმინებისათვის დაბმურალ და ღვანლმობილ მოხუც შევას თითქოსდა მორალური უფლება ექნებოდა გასულიყო ღირსეულ პერსონალურ პენსიაზე.

სამწუხაროდ, ვერ დავიკავით „ოფიციალური თბილისის“ პოლიტიკური ეპიციენტრი - რუსთაველის გამზირი! ვერ ვიხილეთ ქალთველი ხალხით გადაჭყდილი გამზირები, მოედნები, ქუჩები. ვერა და ვერ ვეღირსეთ სამშობლოს გასაჭირის ფაშა ერისა და ბერის ერთობას! სანწყისოს მწყემსმთავარი და წმინდა სინოდის მაღალი იერარქები, ბერ-მონაზვნები - წინა ხაზზე ანთებული კელაპტრები, სანთლებით და ჯვრებით ხელში! ვერა და ვერ მოვისმინეთ და ნაყიკითხეთ ეკლესიებსა და ღია ცის ქვეშ (ისე როგორც 80-იან წლებში პოლინეთში თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობის“ საყოველთაო აღზევების ფაშა) საჯარო ლოცვა-კურთხევა, საყოველთაო ეროვნული თანხმობის და ხანგძლივი სამოქალაქო მშვიდობისთვის განუფული მუდმივი ზრუნვა-გარჯა (თუნდაც ისე, როგორც ეს ლიტვაში ვილნიუსის ცნობილი მოვლენებისას, წელიწადი და ექვსი თვის განმავლობაში თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ლიტველმა ხალხმა გმირული თავგანწირვის ფასად შეძლო).

სამწუხაროდ, ზემოთქმული (ე.წ. პასიურების) „დაბნეული“ ხალხის ეს ნაწილიდაილა და იოლად გატყდა (თითქოს ამისთვის მზად იყვნენ კიდევ). კრემლის დეზინფორმაციულმა მანქანამ თავის უგვან მიზანს მიაღწია - თავი იჩინა კრიმინალისადმი გულგრილობა და დამოკიდებულებამ, თანდათან იძვლაჯრა თანამედროვე ქართველებისათვის დამახასიათებელმა ჩვეულმა სენმა - უღარებლობამ და უშინშენლოვანესი საკითხების მიმართ ზერელე დამოკიდებულებამ, სამართლის და კანონიერებისადმი დიდმა უპატივცემულობამ. საპირისპიროდ იქცეოდა ხალხის მეორე, დიდი ნაწილი, რომელიც არნახული სიმტკიცით და გასაოცარი სიმამაცით გამოირჩეოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან „ძალა აღმართს ხნავსო“ - (რაც თავის მხრივ, ცალკე ობიექტური ნაშრომის დაწერას გვაავალდებულებს).

ასევე საგულისხმოა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 25 დეკემბრის განცხადების („მიმართვა ქართველ ერს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N252, 25.12.1991 წ.), მიუტევებელმა ნაყრუებამ და ე.წ. „პასიურების“ შესაბამისმა უპასუხისმგებლობამ (მისი სიტყვით რომ ვთქვათ „...მაგი დღე დაუდგა საქართველოს“ - ზვიად გამსახურდია) სავალალო შედეგები გამოიღო, რაც თავგანწირვის, გმირობის ფასად უცილობლად უნდა დაგვეცვა, ვგავლას, რომ ჯეროვანად ვერა და ვერ გადავარჩინეთ!

5 აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ხელისუფლების ორგანობა 1991 წლის 25 დეკემბერს არსებობა შეწყვიტეს (ეგზისტენ-

ციალურად რომ ვთქვათ, როგორი ძალადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართლებრივი გზითაც იგი შეიქმნა, ისეთივე ძალადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართლებრივი გზითაც იგი ბუნებრივად დაიშალა). საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის დაშლის გაფორმების პროცესსა და ისევე „დსთ“-ს (კრემლის მხრიდან იგივე მეთოდოლოგიის გამოყენების გამო). ეს კი ნიშნავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა გაემიჯნა საბჭოთა კავშირის დემონტაჟის პროცესს (რაც აღნიშნული საკითხის ცრუ ინტერპრეტაციას წარმოადგენდა, ჩვენი მიზანი ყოველთვის ყველგან გაცხადებული იყო: დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ესეიგი სრული დამოუკიდებლობა, ჭეშმარიტი სუვერენული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ამის მოუღებლობის გამო გადაწყვიტეს ჩვენი დასჯა!) ყოველივე ზემოთ თქმული, პირდაპირ უკავშირდება 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში გახსოვრცილებულ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებას (კრიმინალურ პუტჩს), იგი აგრეთვე უშუალო კავშირშია „დსთ“-ს (მანამდე სხვა მსგავსი საგარეო გაერთიანებებზე უარის თქმა) შექმნასთან (1991წ. 21. XII), რომლის შემადგენლობაშიც შესვლაზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა და ეროვნულმა ხელისუფლებამ, რუსეთის ვედენურალი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. ელკინის თხოვნის მოუხდავად, კატეგორიული უარი განაცხადა (პრეზიდენტ გამსახურდიას პასუხი მოკლედ ასე გამოიყურებოდა: ჯერ სცანით ჩვენი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მერე მივუხსნდეთ მოლაპარაკების მაგიდასო).

სახელმწიფოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების და მისი ლიდერის ზ. გამსახურდიას (1990წ.) პოლიტიკური და სამართლებრივი პოზიცია, როგორც მანამდე ისე მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეუცვალად შეტკიცე და თანმიმდევრული იყო. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე ზ. გამსახურდია აღნიშნავდა: „ვიზიანად საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია უკვე გააკეთა 1918 წელს. იურიდიულად ეს დეკლარაცია აღესაქცა ძალაშია და განმეორებით დეკლარაცია ჩვენ აღარ გვჭირდება. საქართველო იურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და დღესაც დამოუკიდებელია. ოღონდ სხვა საქმეა დეფაქტო - ე.ი. ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. ეს არის ჩვენი მიზანი-ფაქტობრივი აღდგენა სახელმწიფოებრიობის, რომელიც ჩვენ ანექსიის შედეგად დაგვარგეთ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1(21) 1991 წ.).

საქართველოს „ურჩი“ რესპუბლიკის ლიდერი ზ. გამსახურდია სსრკ კავშირის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის 1991 წლის 12 იანვარს წერს: „ჩვენ 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება მიგვანია უკანონოდ საქართველოს მიმართ, რადგან იგი დაიღო საქართველოს ოკუპაციის პირობებში. ქართველი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად... - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა აღმაშენებელმა და დააკანონა გარდამავალი პერიოდი სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ თავს ვცნობთ სსრკ-ს შემადგენლობაში იმ პირობით, რომ სსრკ აღიარებს ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებას მთლიანად აღიგინოს ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობა... სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით...“

დარწმუნებული ვართ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 10, 1991.).

1991 წლის 25 დეკემბერს მოსკოვში, კრემლში უკანასკნელად შეიკრიბა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი პალატა - რესპუბლიკების საბჭო. ამ სხდომაზე (სხვა დოკუმენტებთან ერთად) მიღებული იქნა „დეკლარაცია საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაუქმების შესახებ“ (142-3)... 1991 წლის 12 დეკემბერს რუსის პარლამენტმა მოახდინა სსრკ შექმნის შესახებ, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსაცია რსფსრ გამოვიდა სსრკ შემადგენლობიდან. ხოლო 1991 წლის წლის 25 დეკემბერს სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა ხელი მოაწერა თავისი უფლებამოსილების შესახებ განკარგულებას და გადადგა(VI-3162). ამით სსრკ-მ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

სსრკ დაშლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკა იქნა ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი და მათ შორის აშშ-მა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებამდე ე.ი. კანონიერი ხელისუფლების არსებობის დროს. 1991 წლის 22 დეკემბერს უკანონო შეიარაღებულმა ბანდოფორმირებებმა დაიწყეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტსა და პრეზიდენტზე შტურმი. დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება (პუტჩი). (შენიშვნა მომზადებულია გელა ჩორგოლაშვილის ნივთის - „სინანულის გადასახედი“ (თბ., 2011 წ.) წერილის „სადაც არ არის კანონი, არ არის სახელმწიფო“-ს მიხედვით).

ჯემალ მებრიშვილი

რუბრიკა — ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა

ჟურნალ „ისინდის“ მთავარ რედაქტორს, ქ-ნ იკა ქადაგიძეს

კამეჩო, წყნარო, მიყვარხართ, გიქებენ უღლის წევასა, თან მოთმინებაც დიდი გაქვს, იტან სახრისა ქნევასა!

ხალხური

ქალბატონო იკა, სინდისი არ მიშვრება, ეს კრიტიკული წერილი „მაკოსა და მაკინეს ანალოგია“ ისე შემოგთავაზოთ, ჯერ მისი ისტორია ახდილად არ გაუწყოთ. იგი 2017 წლის 3 დეკემბერს დაინერა და რამდენიმე რედაქციას წარვუდგინე კიდევ, თუმც ყველგან უარით გამომისტუმრეს!

გული კი მწყდებოდა, მაგრამ გაკვირვებით არ მიკვირდა, ვინაიდან ჩემისთანა უმნიშვნელო მწერალს, თანაც ამ უანრში ისეთი რა უნდა დაენერა, ოდნავ მაინც მიახლოებოდა თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ქურუმებს, მამამთავრებს... მამინაცვლებსა თუ გრანდებს, რომელთა მსჯელობის სითამამე, თხრობის სიმწყობრე და მხატვრული აზროვნების ელვარება ასერიგად ატყვევებს მკითხველებს! თან...

ვგუმანობ, გამოცდილი მკითხველები უმალ შემანყვეტინებენ: თუკი მაგასაც ხვდები, მაშ, მაინც რატომ ცდილობ მის გამოქვეყნებას ან აქამდე სად იყავიო?!

ყველასაგან გზაგადალობილი, დიდხანს ვიყავი განაბრუები, ბოლოს კი, რუსთაველის 346-ე სტროფის მეორე სტრიქონისა არ იყოს: „მერმე ცნობა მომივიდა, მივხვდი რასმე მიუძხვდარი“ — ეს წერილი რაკი დაინერა, გინდა, არ გინდა, იგი დღევანდელი ლიტერატურული კრიტიკის ბუნებრივი ნაწილია. მთელი კი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი, თუ მისი რომელიმე ნაწილი სადმე უქმად უგდია!..


ქ-ნო იკა, მაშ, თქვენ მაინც ნუ გამწირავთ, უცვლელად დამიბეჭდეთ ეს წერილი და ჩათვალეთ — ვითომ ყველასაგან ხელნაკრავი და განუკითხავი მორიდებული მათხოვრისთვის სამადლოდ ერთი ნატეხი პური გადმოგიწოდებიათ!

მკითხველები?! მწამს, მკითხველები ადვილად მიხვდებიან ჩემს გულისტკივილს — მე მხოლოდ ლიტერატურულ იდეალებთან მსურს შეხება და არა პიროვნებებთან ანდა კრიტიკის სფეროში მავანთა და მავანთა მიერ ოდესლაც დაძლეულ სიმაღლეებზე ჩაჟანგულ ლარტყებთან უკადრისი ძიძგილი.

კეთილი სურვილებით

ჯემალ მებრიშვილი
19. 09. 19

რედაქტორის მინანერი: შეუძლებელია, გულგრილად მოეკიდო მწერლის ამგვარ აღსარებას, სადაც



სტრიქონებშია უფრო მეტი იკითხება, ვიდრე თვით სტრიქონებში!..

ჩვენი ჟურნალი განუხრელად ხელმძღვანელობს რა მშობლიური ლიტერატურის უანგარო მსახურების შეგნებით, ჯემალ მებრიშვილის ამ სტატიას უცვლელად ვებეჭდავთ, ოღონდ, ცხადია, უკომენტარებოდ, ვინაიდან აქ გადაწყვეტი იქნება მკითხველი საზოგადოების შეუმცდარობა.

ჟურნალის მთავარი რედაქტორი:
იკა ქადაგიძე

მაკოსა და მაკინეს ანალოგია

მაკომ უთხრა მაკინეს,
შენი საქმე მაკვირვებს:
შარშან ქმარი მოგიკვდა,
ახლა რაღა გატირებს?!

ხალხური

2017 წლის ნოემბერს პირდაპირ საქრესტომათიო მოვლენა მოხდა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში! 9 ნოემბერს ჯანსუღ ჩარკვიანი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს, მეორე დღესვე (!!!) კი, 10 ნოემბერს, პუბლიცისტმა არმაზ სანებლიძემ „ლიტერატურული საქართველოს“ სრულ ორ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, თანაც ერთობ ბუნდოვანი სათაურით „სიბრძნე-სიცრუისას საკითხისთვის ქართულ ლენინიანაში“, სადაც ავტორი ახალაა (!) ცდილობს არამკითხველ „კრიტიკოსებისგან“ დაიცვას როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი, ისე ლენინისადმი მიძღვნილი მისი ორი ლექსიც, რომელთა გამო 1966 წელს (!!!) „ლექსების მწერალმა ახალგაზრდამ და ერთმა „პაგონებთანა“ რედაქტორმა“ თურმე საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში იჩივლეს — ჯ. ჩარკვიანი ამ ლექსებით ლენინს შეურაცხყოფსო!

აღტაცებას იმსახურებს ა. სანებლიძის ჭეშმარიტად ბიბლიური მოთმინება, მასსოვრობა და სიცოცხლის ხანგრძლივობის იმედი — თავისი გულისტკივილი ნახევარი საუკუნის მანძილზე (!!!) მონამებრივი თავდადებით ეტარებინა და მკითხველი საზოგადოებისთვის მხოლოდ პოეტის დაკრძალვის მეორე დღეს გაეზიარებინა!!! არ ვიცი, ამგვარი მონაცემებით ავტორი იქნებ გინესის რეკორდების დავთარში შეყვანასაც იმსახურებდეს!

აქ თავისთავად ჩნდება დაუძლეველი კითხვები: ა. სანებლიძის ამ სტატიის ხელნაწერი თვით ჯანსუღ ჩარკვიანისთვის რომ წაეკითხვინებინათ, ისურვებდა თუ არა მის გამოქვეყნებას, ხოლო თუ პოეტის უკითხავად დაიბეჭდებოდა, ნეტავი რანაირი რეაქცია ექნებოდა?!

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ამას ვეღარასოდეს შეიტყობს!

მართალია, ა. სანებლიძე თავგამოდებით ცდილობს, დაიცვას ჯ. ჩარკვიანი, მაგრამ ისე, რომ, ჩემი აზრით, ჯ. ჩარკვიანი ახლა თვით... არამზ სანებლიძისგან ხდება დასაცავი!

სტატიის ავტორი თავისი შეხედულების საძირკვლის გამყარებას აი, რანაირად იწყებს.

„ჯერ რუსულით დავიწყოთ. თანამედროვე რუსულ პუბლიცისტიკაში, მით უმეტეს ლიტერატურულ კრიტიკაში... ვერსად წაიკითხავთ გენიალური რუსი პოეტების ძაგების ელემენტებსაც კი იმის გამო, რომ ისინი ოდესღაც ოსანას უმღეროდნენ პროლეტარულ რევოლუციას, ლენინს ლამის აღმერთებდნენ.“

პირდაპირ შიშის მომგვრელი გაბედული განაცხადია: ავტორს ნუთუ მართლა ასე ზედმინეწით აქვს გადამუშავებული მის მიერ მითითებული ჟანრები?! არადა, 2005 წელს მოსკოვის გამომცემლობამ „Посев“ საგანგებოდ დასტამბა „Чёрная книга имен, которым не место на карте России,“ სადაც მინასთან არიან გასწორებულნი მაქსიმ გორკი, დემიან ბედნი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლოზ ოსტროვსკი, დიმიტრი ფურმანოვი, ალექსანდრე ფადეევი და სხვები, როგორც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა და იდეოლოგიის გამოჩენილი აპოლოგეტები!

მოსალოდნელი ოპონენტების დასამუნჯებლად ა. სანებლიძეს გულდაგულ მოჰყავს დიდი რუსი პოეტის, ალ. ბლოკის (1880-1920) შეფასება რევოლუციისა და ლენინისადმი. მოუსმინეთ!

„Он (ვ. ი. ლენინი. ჯ. მ.) стал великим учителем человечества и нравственным примером. Как и Иисуса из Галилеи, у Ленина были ученики – рабочие, крестьяне, пастухи и рыбаки! Он боролся за Свободу и Равенство жителей земли! Ленин познал истину и стал Свободным... Большевики были свободными, мудрыми и сильными людьми! Это пришли на землю вновь родившиеся первые христиане! Коммунистами были первые христиане. Большевики тоже!..“

Ленин был великий учитель справедливости и нравственности... Давайте вернем Социализм и Дружбу народов! И станем достойными наших великих отцов и дедов!“

სტატიის ავტორი თან იქვე გვასწავლის.

„ამას კონფორმიზმით ვერ ახსნი. ეს არის პოზიცია,

შეხედულება, რომელიც რწმენაზეა დაფუძნებული“.

სანებლიძეს აქ მხედველობიდან ეპარება ერთი „პატარა“ მომენტი: ამ შემთხვევაში მთავარი იმდენად ის კი არ არის, ლენინზე ამას ვინ წერს, არამედ როდის წერს!!!

მაშ, რანაირად შეიძლება ალ. ბლოკისა და როგორც ჯანსუღ ჩარკვიანის, ისე მისი თანამედროვე პოეტების, ქართული ლენინიანას ძალნატანი ავტორების ერთ სიბრტყეზე მოთავსება?!

როგორც მალე მკაცრმა სინამდვილემ ცხადყო, ოქტომბრის რევოლუციისთანავე ალ. ბლოკის ეს ნებაყოფლობითი პოეტურ-პატრიოტული აღფრთოვანება თურმე გულუბრყვილო რწმენით ყოფილიყო ნაკარნახევი! მაგრამ რომ დასცლოდა და შეეგნო თავისი ამ შეხედულების საზარელი მცდარობა, ღმერთო, შემინდე და, თვალახელილი ვლ. მაიაკოვსკისთვის იქნებ დაესწრო ანდა მისებური თვითგანაჩენი გაემეორებინა!

ალ. ბლოკის, ვლ. მაიაკოვსკისა თუ მსოფლიოში ბევრი სახელოვანი პიროვნების მიერ ნაჩქარევად ხოტბაშესხმულმა ე. წ. ოქტომბრის რევოლუციამ რაც მოიყოლა, ეს უკვე ყველამ იცის! ხოლო როგორც მოგვიანებით საყოველთაოდ გახდა ცნობილი, თვით ლენინი მართლა რევოლუციის ბელადი კი არა, თურმე ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული და უზგად დაფინანსებული აგენტი ყოფილა, რათა გადატრიალების გზით რუსეთის იმპერია ჯერ პირველი მსოფლიო ომიდან გამოეთიშათ, სამომავლოდ კი...

უფრო მეტიც! წელან ნახსენებ იმ რუსულ წიგნში ისეთი დადასტურებული ფაქტებია მოყვანილი, მოულოდნელობისაგან მკითხველს შეიძლება სისხლი გაეყინოს!

გერმანელმა ემიგრანტებმა შვეიცარიაში ორჯერ — 1859 და 1871 წელს — მოურიდებლად ამხილეს მარქსი (1818-1883) და ენგელსი (1820-1895), როგორც პრუსიის საიდუმლო პოლიციის აგენტები! ეს სენსაციური ცნობები ფრანგულმა პრესამ აიტაცა და საქმე ლამის სასამართლომდე მივიდა!... მუშათა ინტერნაციონალის ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებას მარქსი ბუნებურად გადაურჩა!

უკვე გამომზეურებულია პროლეტარიატის ბელადების საიდუმლო მიმონერაც. 1867 წლის 24 აპრილს მარქსი აი, რას სწერს ენგელსს.

„Вчера Бисмарк прислал ко мне адвоката Варньбольда (это между нами). Он хотел бы использовать меня и мои большие таланты на пользу немецкому народу. Фон Беннигсен засвидетельствует мне свое почтение завтра. Историю с Бисмарком ты должен держать в полном секрете. Я дал слово никому об этом не говорить.“

ენგელსი აღფრთოვანებით პასუხობს.

„Я так и думал, что Бисмарк постучится к тебе, хотя и не ожидал, что так скоро.“

ბისმარკი (1815-1898) კარგად ხედებოდა, რომ გერმანიის მომავალი იმპერია (1871) ფრთებს მთელი სილალით ვერასოდეს გაშლიდა, სანამ დასავლეთში მეტოქედ დიდი ბრიტანეთის იმპერია ეყოლებოდა, აღმოსავლეთით — რუსეთის! ამიტომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უმუშევარი, თანაც დაცოლშვილიანებული და ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალე მარქსის უზრუნველი ცხოვრებისთვის სუბსიდიებს არ იშურებდა, რათა შეექმნა რაიმე ისეთი

სატანური პოლიტიკური მოძღვრება, რაც რევოლუციების „მსოფლიო ხანძარს“, საყოველთაო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ქაოსს გამოიწვევდა, ბისმარკის იმპერია კი მტკიცე ბასტიონად დარჩებოდა!!!

მართლაც, მეცნიერული კომუნიზმისა და პროლეტარული დიქტატურის ფუძემდებელი მარქსი და მისი თანამებრძოლი ენგელსი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს საეჭვო დაჟინებით სულ ამგვარი „კანონზომიერების“ გარდაუვლობაზე უჩიჩინებდნენ: პროლეტარული რევოლუცია ვერ უნდა მომხდარიყო ისეთ ყველაზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორც ინგლისი იყო (რაზეც ბისმარკი ოცნებობდა!)! თუმცა, მათივე გამოთვლით, არც ეს იყო გამორიცხული, სოციალისტურ რევოლუციას ვერ რუსეთში ეფეთქა, როგორც იმპერიალიზმის ჯაჭვის ყველაზე სუსტ რგოლში (ამგვარი „უპირატესობით“ მერე ო, როგორ ამაცობდნენ რუსები, ინგლისელებს რომ დაასწრეს და „გაუსწრეს“)!)

როგორც მომავალმა აჩვენა, სატანური მოძღვრების ამ ორმა მოციქულმა ვერ შეძლო ინგლისის განათლებული, კეთილგონიერი საზოგადოებისა და მუშათა კლასის გაბრიყვება, აი, თვალგადაუწვდენელი რუსეთის ბარბაროსული იმპერიის სხვადასხვა ერის ბევრმა ტვინჩაჟანგებულმა შეიღმა კი დედის რძესავით შეირგო მარქსიზმის დამლუპველი იდეები და!..

მოკლედ, როცა ეს ყველაფერი საბჭოთა ფართო საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი იყო, მაშ, რანაირადღა შეიძლება, გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლენინიანას პოეტებს ბლოკის რწმენა — თანაც მცდარი რწმენა! — მაგალითად მოუყვანო და მით უმეტეს, სავალდებულოდ დაუსახო?!

თვით პირსისხლიანი რეჟიმის იდეოლოგებმაც იგრძნეს: რევოლუციითა და ლენინით გამოწვეული სტიქიურ-გულუბრყვილო პირვანდელი აღფრთოვანება რაკი შემოქმედებითი ინტელიგენციის მცირე ნაწილშიც კი მალევე ჩაქრა, აქ რწმენა იდეოლოგიური წნეხით უნდა შეცვლილიყო!!!

ახლა თვალი გადავავლოთ ჯ. ჩარკვიანის მიერ 1966 წელს დაწერილ ლექსს „უსმინეთ ლენინს!“

უსმინეთ ლენინს

მოდის აპრილი ულამაზეს
ფერთა სიმღერით,
მოდის დიადი, დიდებული
და მოლხენილი.
ჩვენ ვდგავართ ძეგლთან,
დღეთა რწმენით,
დღეთა სიმხნევით, ჩვენ,
ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
მღერიან მთანი და
ჩვენსავით ილხენენ ხენი.
ბუნება სუნთქავს ლამაზი
და ყელმოღერილი.
ჩვენ სიყვარულით
დიდ თვალელებში
ვუყურებთ ლენინს,

ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ამ გაზაფხულის დაბადებას
დიდება ჩვენი,
გდია სიკვდილი
მოთენთილი და
მოცელილი.
ჩვენ სიცოცხლეში,
სიმღერებში ვუყურებთ
ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ქვეყანა მიჰყავს
ლაჟვარდებში იმედით,
რწმენით
და მხარში გვიდგას
მზესთან ერთად
გამოჩენილი.
ჩვენ საოცარი
გაკვირვებით ვუყურებთ
ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ჰქვია ბელადი, კიდე? —
მამა და კიდე? — ბრძენი
და გამარჯვება
გრიგალებში
გამოვლენილი...
ჩვენ ამ სიტყვებით
გვასწავლიან
ვლადიმერ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
გესმოდეთ ყველას
გაზაფხულის
სიმღერა წრფელი,
ვინცა ხართ ქვეყნად
ცრემლიანი და
მონყენილი...
ლენინი მოჩანს
ყველა მხრიდან,
უსმინეთ ლენინს,
დგას ტრიბუნაზე
და ვრცელ სიტყვას
ამბობს ლენინი.

ეს ვრცელი ლექციც უღმობელი იდეოლოგიური წნეხის კლასიკური ნაწარმია! მართალია, ა. სანებლიძე მკითხველების გადასაბირებლად ვერ ორჭოფულად აღიარებს — შეიძლება არც დაეჭვდეთ, რომ სახოტბო ლექსიაო, რათა ბოლოს მისი მცდარი ახსნა-გამართლება შემოგვაპაროს! მაგრამ ჯ. ჩარკვიანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს ლექსი არის ნაიძულევი ვალმოხდა, თითიდან გამოწოვილი, არაფრის მთქმელი და არაფრის მომტანი ტრაფარეტული ხოტბა! აქ ჯვარცმული ავტორისადმი თანაგრძნობით იმსჭვალეები, რაკი ამ უსახურ სტრიქონებშია

ამკარად იგრძნობა, საძულველ, მაგრამ სავალდებულო თემასთან ვახიროსგან შთაგონებაჩაკლული პოეტი როგორ იტანჯება, რათა ლენინისადმი დაწესებული სავალდებულო ლექსი რაც შეიძლება მალე მოაცოდვილოს და ისევ თავის ყველაზე პოეზიას მიუბრუნდეს, რომლის კლასიკურ ნიმუშებს მერე და მერე მთელი საქართველო სიმღერებად მოისმენს და დაიმასსოვრებს!!! ამიტომ გეჩვენებათ, სისხლგამშრალი ქართველი გლეხიც მრავალი საუკუნის მანძილზე ამგვარადვე იტანჯებოდა, რათა როგორმე გაესტუმრებინა არაბების, მონღოლების, თურქების, სპარსელებისა თუ რომანოვების მიერ დაწესებული მძიმე ბეგარა, თორემ...

იდეოლოგიური წნეხით ძალნატანი ვ. ჩარკვიანიც, ბევრი თავისი თანამოკალმის მსგავსად, ამ ყურით მოთრეული, უთავბოლო ლექსით ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დაწესებულ იდეოლოგიურ ბეგარას იხდის!!! მაგრამ შეუძლებელი რომ მომხდარიყო და ლენინის დაბადების 100 წლისთავის კარზე მომდგარ იუბილესთან დაკავშირებით გენიალური ნაწარმოები შეექმნა, მნამს, მაშინ უფრო გააკრიტიკებდნენ — ქართული ლენინიანას დანარჩენმა ავტორებმა რალაც ვალმოსახდელი აბდაუბდა მიჩმამს-მოჩმამხეს, ვ. ჩარკვიანმა კი თავისი შედეგური ქმნილებით საზოგადოებრივი აზრი შეცდომამი შეიყვანა და ლენინისკენ ისევ კეთილი თვალთ მიახედაო!

ლენინისადმი მიძღვნილი ვ. ჩარკვიანისა და სხვა ქართველი პოეტების ამგვარმა უსახურმა ლექსებმა ფარდა ახადა ეპოქალურ სივალაღეს: საბჭოთა ტოტალიტარული წყობილების პრესტიჟი და იდეოლოგია უკვე იმზომ არის დევაღვირებული და გადაქანცული, ლენინისადმი მიძღვნილ სახელოვანი პოეტების ლექსებში აღარ დაეძებენ რწმენიდან აღმოცენებულ მაღალმხატვრობას! ლენინთან დაკავშირებულ ლექსებში რალა დროს მაღალმხატვრობაა, თუ ღმერთი გნამთ! წარსულს ჩაბარდა ბლოკის, მაიაკოვსკისა და მათ მსგავსთა ნაწერებში ლენინისადმი გამოხატული აღფრთოვანება, რწმენა, ომახიანობა, მხატვრობა!... ახლა უკვე სხვა დროა!..

ვ. ჩარკვიანს ეს ლექსი „უსმინეთ ლენინს!“ იმ შორეულ 1966 წელს დაუნერია. რალაც სამიოდე წლის შემდეგ კი გაუგონარი ზარზეიმით აღნიშნავენ ლენინის დაბადების 100 წლისთავს!!! ამიტომ დაფაცურებული ოფიცოზი იძულებული იყო ხარისხისა და მხატვრობის სანაცვლოდ რაოდენობის კონვეიურულ უსახურობას შერიგებოდა, ოღონდ გაფხიზლებული საზოგადოებისთვის თვალში ნაცურის შესაყრელად იქ ლენინი რამეგვარად შენაქები ჰყოლოდათ! თუმც ლენინის იუბილემდე წლინახევრით ადრე, 1968 წელს საბჭოთა ტანკები ვერ სისხლში ჩახშობენ პრალის გამოსვლას, მერე კი იწყება და რა იწყება: ლენინის 100 წლისთავი... ავლანეთი... ცხრა აპრილი... აფხაზეთი და სამაჩაბლო... ჩეჩნეთი... ბაქო და სუმგაითი... უზბეკეთში თურქი მესხების ანიოკება... მთიანი ყარაბაღი... ბალტიისპირეთი... 1991 წელს კი ზუბრების საუფლო ბელოვეჟის ტყის უღრანებიდან მსოფლიოს ბოროტების იმპერიის გარდაცვალება ეუნწყება!..

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ და ამის ფონზე მკითხველებისთვის სრულებით გაუგებარი რჩება: ა. სანებლიძე ასე რატომ წვალობს რუსული ხალხური შაირების,

Перевертыши-ების (ანუ ყირამალები, როგორც თვითონ უთარგმნია!), ლენინისადმი მიძღვნილი ანა კალანდაძის ტრაფარეტული სტროფისა და თვით რაბლეს (!!) თვითმიზნური მოშველებით ვ. ჩარკვიანის ამ ლექსს ვითომ გარკვეული მოსაზრებით გამოყენებული ანტილოგია და ყირამალა გადატრიალებული საბჭოთა სინამდვილის მხილების პრეტენზია მიანებოს, როცა ამგვარი ნაძალადევი ინტერპრეტაცია, ალბათ, არავის არ სჭირდება, მაგრამ, სულო ცოდვილო, ა. სანებლიძე იქნებ მართალია, მე კიდევ ვცდები!

დაე, განგვსაჯონ, ვისაც ამისი დრო და სურვილი ექნება!

* * *

ვ. ჩარკვიანის მეორე ლექსიც „მოსკოვი, იანვრის 21“ იმ პირველი ლექსის ტყუპისცალია! აი, ისიც!

მოსკოვი, იანვრის 21

ახლა მოსკოვში ყინავს და ოცდაათი გრადუსია ცა ფეხად ჩამოდის და უხარიათ ნაძვებს... გარეთ გამოსულა, ქვეყანაზე რაც რუსია, რუსი, ყინვის ამტანი და ჭირის გამძლე. ნითელ მოედნამდე რიგია უსაშველო, კრემლის საათი თორმეტჯერ რეკავს, მაღალ მილიციელს შეჰყინვია უღვაშები, ხელებს იორთქლავს და ადგილზე ცეკვავს. დრო მიდის ნელა და რიგიც მიდის, მდუმარედ დგანან კაცნი და ხენი. გაციებულ მზეს ფერი აქვს შინდის და შინდისფერი მზე მოედანს შვენის. დგანან და ელიან იმ წუთს ბედნიერს, როცა პირადად შეხვდებიან ვლადიმერ ლენინს... იხდიან ქუდებს, მავზოლეუმში ჭმუნვით შედიან და ჩურჩულევენ: „ილიჩი ჩვენი“. გარეთ კი დადის ბრძენი კაცივით იანვრის სუსხი... და ხალხი ამბობს: „ქვეყანაზე თუ ვინმეა, მხოლოდ შენ ერთი...“

„და მოუწოდებს
ხალხებს ბრძენი
და დიდი რუსი:
„პროლეტარებო
ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!“

როგორც ხედავთ, მასში ასახულია „ამაღლელებელი“ მომენტი: ოცდაათგრადუსიანი ცინვაში ლენინის მავზოლეუმთან როგორი უდრტივინელობით მიიწევს რუსების გრძელი რიგი, რათა აიხდინონ დიდი ხნის ნაოცნებარი — საკუთარი თვალით იხილონ „ილიჩი ჩენი!“

ჯ. ჩარკვიანს აქ მართლა ლენინისადმი რწმენა, მისი მნახველებისადმი პატივისცემა ან თუგინდ პოეტური თავგამოჩენა რომ ამოდრავებდეს, იცოცხლეთ, არ გაუჭირდებოდა თემა სულ სხვანაირი, საინტერესო კუთხიდან წარმოეჩინა! მაგრამ ლექსის შინაარსი და მხატვრული ფაქტურა აშკარად ამხელს პოეტურ „ემშაკობას!“ მან კარგად იცის, რომ ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დაწესებული საძულველი ლალა თუ ბეგარა აქვს მოსაშორებელი, მისი სრულფასოვანი სახით გასტუმრებისათვის კი არა და არ ემეტება პოეტური პოტენცია! ამიტომ სწამს, ინტელექტის მინიმალური დანახარჯებით შეხანხლული ლექსი მხატვრულად როგორი უსუსურიც უნდა გამოუვიდეს, გაფეტიშებული თემა მაინც გაათრევს, მოუშადებელი სტუდენტით ჩათვლას მიიღებს და აქამდე შებოჭილი მისი პოეტური შთაგონება ახლა კი გალიიდან გამოშვებული მტრედით ქართული პოეზიის სივრცეებში თავისუფლად შეინავარდებს!!!

ალბათ, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ამ საბეგრო ლექსში არამცთუ ჯ. ჩარკვიანის ნიჭის ნატამალი, არამედ საერთოდ არ იგრძნობა პოეტი! აქ პოეტს ცვლის რუსეთის შორეული პროვინციის უღრანიდან მოსკოვში პირველად ჩამოსული ყმაწვილი ფოტოგრაფი, რომელიც სტახანოველი პაპის ნაქონი დანჯღრეული ფოტოაპარატით „ზენიტი“ ადგილიდან ფეხმოუცვლელად, თანაც პირდაპირი მიშვერით კადრს კადრზე იღებს, რათა მთელ საბჭოთა ხალხს თავისებურად წარუდგინოს უკვე თავმოებზრებული სურათები: მოსკოვი... წითელი მოედანი... კრემლის საათი... ყიამეთის შესაფერისად დაჩუღული ხალხი... ნაძვები... უღვაშებშეთოშილი მილიციელი... ლენინის მავზოლეუმის მოსანახულებლად ტყვიამფრქვევის ვაზნებივით რიგში ჩარაზმული რუსობა...

სანებლიძე კი ამ მოგრო ლექსის ნამკითხველებს ყვედრებით ეკითხება.

„არის ეს ლექსი ლენინისადმი მიძღვნილი ოდა?“

აქ უეჭველად გაგეცინებათ, ვინაიდან შეუძლებელია, არ გაგეცინოთ!

ეს ლექსი მარტო ლენინისადმი კი არა, თვით რუსებისადმიც მიძღვნილი იმისთანა ოდაა, უკეთესს ვერც ინატრებდნენ! აბა, მოუსმინეთ!

გარეთ გამოსულა
ქვეყანაზე რაც რუსია,
რუსი, ცინვის ამტანი და
ჭირის გამძლე!

რუსებს ოლონდაც ამგვარი ქება კი შეასხი და ღმერთად მიგიჩნევენ!..

რუსეთის ყველა დროის მტერი, მოკეთე, სტუმარი, მოგზაური თუ სამხედრო ოპონენტი პირველ რიგში სწორედ მათ ამ ჯოგურ-მონოლოურ ერთსულოვნებას, სანამყენე ხეხილის საძირესავით ყინვაგამძლეობასა და მონურ ჭირთათმენას ასახელებდა, რაც საუკუნეთა მანძილზე რუსის ცნობიერებაში უპირველეს ეროვნულ ღირსებად და ხოტბად გამოიჩარხა!

ჯ. ჩარკვიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსების ამგვარი „ღირსების“ მოულოდნელი აღმოჩენა მას არ ეკუთვნის! მან რეჟიმის მოსალორებლად მოსკოვის სამხედრო-ისტორიული მუზეუმიდან სტუდენტური გაბედულებით გამოარბენინა ეს უჟანგავ-უცვეთელი ოდა-კლიშე და თავისი ლექსის ფასადს ცხენის გაცვეთილი ნალივით თავდაჯერებით მიალურსმა, „ჩათვლა“ რომ მიეღო!

ა. სანებლიძე შეუპოვრად განაგრძობს ჯ. ჩარკვიანის ამ ლექსის თავისებური ინტერპრეტაციის დასრულებას.

„ეგებ პოეტი პირდაპირ, მიკბ-მოკიბვის, ალეგორიისა და ქვეტექსტების გარეშე... ამხელს ლენინის მუმიის გაფეტიშების პროპაგანდისტულ ხასიათს?“

აქ ოპონენტი აღარ უკვირდება უმთავრესს: მსგავს რამეს ცენზურა გაუშვებდა ანდა რეჟიმი ამას აპატიებდა — ამის გულისთვის პოეტს ხომ ზნეობრივ-მორალურად გაანადგურებდნენ და სამოღვაწეო ასპარეზსაც სამუდამოდ გადაუხერგავდნენ! ჯ. ჩარკვიანისთანა შემოქმედი კი ამას არ ჩაიდენდა.

ცალმხრივობა რომ არ დამენამოს, კენს ახლა ა. სანებლიძის სასარგებლოდ შევატრიალებ.

კეთილი, დავუშვათ და პოეტს მართლაც სურდა ემხილა ლენინის მუმიის გაფეტიშება და რეჟიმის სიბეცე, მაგრამ ჯ. ჩარკვიანს — სიყვარულის, ბუნების, სამშობლოს მინა-წყლის დაულალავ მომღერალს ყოველივე ამასთან ერთად რანაირად შეეძლო თვით უფლისგან დაწესებული ბუნებრივ-კლიმატური მოვლენებიც ყირამალა გადაეტრიალებინა?!

აი, როგორ იწყება ლექსი.

ახლა მოსკოვში ყინავს
და ოცდაათი გრადუსია.
ცა ფეხად ჩამოდის და
უხარიათ ნაძვებს!

რას ნიშნავს ხატოვანი გამოთქმა: ცა ფეხად ჩამოდის?! კოკისპირულად წვიმს — თავსხმავა.

სამყაროს არსებობის ჟამულრანებიდან, ცხადია, ველ-არაფერს შევიტყობთ, მაგრამ მთელი მსოფლიოს მეტეოროლოგიური სამსახურების საარქივო დავთრებში ნეტავი სადმე თუ იქნება აღრიცხული ამგვარი კლიმატური კურიოზი — ყინვა ქვას ხეთქავდეს და იმავდროულად თან... კოკისპირულადც წვიმდეს?!

ანდა, რალა ახარებდათ იმ უბედურ ნაძვებს?! ასეთ ყიამეთში კოკისპირულად დანაწიმი ხომ ზედვე შეეყინებოდა, თანდათან შესქელდებოდა და ჯოჯოხეთური სიმძიმისგან ერთმანეთის მიყოლებით მინაზე დაენარცხებოდა ან წელში გადატყდებოდა, არადა ზეზურად ჩამოხმობას ვერც ერთი მათგანი ვერ გადაურჩებოდა!!!

ბ-ნი სანებლიძე ყოველივე ამასაც ნუთუ „Перевертыши“-ებით ასხნის?!

ცისქვეშეთში უამბოდ არაფერი ხდება: ჯ. ჩარკვიანი ამ

ლექსს რომ წერდა, ეტყობა, მის კალამზე ლმერთსაც ევლო უხილავი ხელი და განზრახ დაანერინა ამგვარი სტრიქონები, რათა ფარდა ახდოდა საშინელ სინამდვილეს -- ნამდვილი ღვთის გამობაა ნებისმიერი მოქალაქე და მით უმეტეს შემოქმედი ჯალათურად მოაქციო იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ თუ ნებისმიერი სახის წნეხში, რათა მერე ისეთი რამეების გაკეთება აიძულო, რაც მის მრწამსს, ბუნებას, გულსა და გონებას არ ესაღბუნება!..

სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, იდეოლოგიური წნეხის ძალდატანებით ღირსებადაკეცილი და შთაგონებაამღვრეული ნებისმიერი შემოქმედის ნახელავი მუდამ ამკარად რომ დაიჩნევს ხოლმე თვალში საცემ ნაირგვარ ხინჯსა და ნაკლს...

ჯ. ჩარკვიანის ამ ორ ლექსს — როგორც იდეოლოგიური წნეხის ამკარა შედეგს! — მის პოეზიასთან არაფერი აკავშირებს. ამაში ისეთ ლიტერატურულ გრანდს დავიმონებ, რომლის გემოვნებაში ეჭვი ვერ შეგივათ! რაოდენ გასაკვირდაც უნდა მოგეჩვენოთ, ის თვითონ... ჯანსუღ ჩარკვიანია!

ბოლომდე პირდაპირი თუ არ ვიქნები, მაშინ ამ წერილის აზრი და მიზანი მისსავე სტრიქონებში ჩადნება.

ჰოდა, კრიტიკოსებიც ასე ნაგვიანედად ჯ. ჩარკვიანის მიერ ნახევარი საუკუნის უკან ლენინზე დაწერილმა ამ ორმა ლექსმა კი არა, არამედ მოულოდნელმა მისმა საჯარო პასუხმა გაანინმატა! ერთ-ერთი ტელეარხის წამყვანის მახსიებურად დანაგებ კითხვისთვის — ლენინზე ოდესმე ლექსი თუ დაგინერიათო, პოეტს გადაჭრით რომ უარუყვია!

აბა, ჩასაფრებული კრიტიკოსებიც ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! ლიტერატურული არქივიდან პოეტს ფიცხლავ ამოუქექეს ეს ორი ლექსი და პირდაპირ ნემსის ყუნწში გაძვრომას ლამობენ, რათა ჯ. ჩარკვიანის პოეზია და მისი პიროვნული ღირსებაც ამ ორ მართლა უფერულ ლექსს ისე გადააყოლონ, როგორც ნაბანს — ბავშვი!

ჯ. ჩარკვიანის პასუხს — ლენინზე ლექსი არასოდეს დამინერიაო, ჩემი აზრით, უნდა მიუდგეთ არა მანინცდამანინც იურიდიულ-პროტოკოლური, არამედ ზნეობრივი მხრიდან!

აბა, დაუფიქრდით: ვის ვისა და ჯ. ჩარკვიანს რანაირად შეიძლება ასე ჰგონებოდა — მის ამგვარ სატელევიზიო განაცხადს ყველა სახარებასავით ინამებდა და თუკი მოიგუნებებდნენ, მისი ოპონენტები 1966 წელს ლენინზე დაწერილ ლექსებს ხელახლა ვერ გაუხსენებდნენ! მაგრამ, როგორცა ჩანს, პოეტს დაუდგრომელი მოშუღრების მიერ ყბადაღებული „მხილება“ კი არ აშინებდა, არამედ თავისი გადახალასებული მრწამსის გამოშუღრებას ეშურებოდა!

ლენინზე დაწერილი ამ ნაიძულევი ორი ლექსის სახალხოოდ უარყოფით პოეტი თავისებურ თვითშთაგონებას მიმართავს, რათა სიცოცხლის მიწურულს ილუზიურად მანინც გათავისუფლებულიყო შემოქმედის სულში დაჩნეული ტოტალიტარული წნეხის მტკივნეული ნაჭდევისა და მისი დასანანი შედეგისაგან!

როგორ, ნებისმიერ მოქალაქეს და მით უმეტეს, შემოქმედს ნუთუ არ უნდა ჰქონდეს ამგვარი თვითგანმნენდისა და სახალხოვად გამონატვის უფლება?! ეს ხომ უფრო ამა-

ღლებს მის პიროვნულ ღირსებას!

მაშ, რაღა აზრი შეიძლება ჰქონოდა თვით პოეტის მიერ საჯაროდ უარყოფილი საკუთარი ამ ორი ლექსისა და მათი ავტორის სანებლიძისეულ დაცვას?! თუმცა ა. სანებლიძის კეთილშობილური მიზანი გასაგებია: კრიტიკოსებისგან ალაღგულად დაეცვა ნახევარი საუკუნის უკან (!) ლენინზე დაწერილი ორი ლექსის მოსაბაბებით შეურაცხყოფილი ჯანსუღ ჩარკვიანი!

ამაში თავისთავად არაფერია მიუღებელი, პირიქით! მაგრამ აი, აქ სად იმალება ხიფათი და უბედურება: ოქტომბრის რევოლუციაზე, პროლეტარიატის ბელადებზე, კომუნისტურ პარტიასა თუ საერთოდ, საბჭოთა წეს-წყობილებასთან დაკავშირებულ „სავალდებულო“ თემებზე თითო-ორი ტრაგიკული გამონაკლისის გარდა (ნიკო სამადაშვილი...) რომელ ნაიძულევე ქართველ შემოქმედს არ მიუძღვნია თავისი ნაწარმოები!

ჰოდა, ახლა მოცლილმა თუ ახირებულმა „კრიტიკოსებმა“ ამგვარ თემებზე ოდესღაც შექმნილი ნაწარმოების თითოეულ ავტორს — ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც — თავშესაქცევი კირკიმალი რომ დაუწყონ, ამგვარი უსამართლობით აღშფოთებული შემოქმედებითი ინტელიგენცია კი მათ თანამიმდევრულ დაცვას შეუდგეს, მაშინ გამოდის, რომ სულ ფუჭად უნდა დაიშრიტოს ამოდენა დრო და ინტელექტუალური პოტენციალი, პერიოდული პრესის ძვირფასი ფართი, გზაკვალარეული საზოგადოების მოთმინება და მოლოდინი!.. არადა, სამშობლოა გადასარჩენი!

მაშ, როგორ მოვიქცეთ?

აქ უნებლიეთ თავს მახსენებს საფრანგეთის მაგალითი. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საფრანგეთიდან გერმანელების განდევნისთანავე გატანჯულ-განამებულ საზოგადოება ურთიერთმხილების საშინელმა ეპიდემიამ მოიცვა: ეგ სამშობლოს მოლაღატა!.. ამან სახელმწიფოს საიდუმლოება გასცა!.. ის გერმანელებთან თანამშრომლობდა!.. ეს...

ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის სასამართლოები ვეღარ აუდიოდა ამგვარი სარჩელების მიღება-გარჩევას!.. გაავებულ მოქალაქეებს მოლაღატეების ძებნა-დაზუსტების მეტი აღარაფერი აგონდებოდათ!.. ამან მოსახლეობა ორ მტრულ ბანაკად გაყო!.. დრო გადიოდა, საზოგადოება კი ვეღარ ვითარდებოდა!.. მთელი ქვეყანა ზნეობრივი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა!..

მაშინ მთავრობამ ასეთი დადგენილება გამოცხა: ის ფრანგები, რომლებმაც ვერ გაუძლეს გესტაპოს წამების ჯოჯოხეთურ მეთოდებს და სახელმწიფო საიდუმლო გასცეს ანდა გერმანელებთან თანამშრომლობას დასთანხმდნენ, სამშობლოს მოლაღატეებად არ ჩაითვლებიან!

ამგვარმა დადგენილებამ მოლაღატეების მხილების ექსტაზით გონებადაბინდულ საზოგადოებაზე ისე იმოქმედა, როგორც გულშელონებულის პირისახეზე ცივი წყლის პკურებამ!.. გამწარებული მოსახლეობა ახლა კი გონს მოეგო და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა!.. მძიმე წარსული დავიწყებას მისცეს, სიყვარულით გაერთიანდნენ და სამაგალითო ერთსულოვნებით შეუდგნენ ნაომარი სამშობლოს განახლებას!..

აქედან ზოგი რამ იქნებ ჩვენც გაგვეთვალისწინებინა?!

შორენა გაბელაშვილი

„მჯეროდა! მნამდა!“

(ქეთევან დედოფალს)

რა უჩვეულო ღამეა ახლა
თვალებსაც როგორ ეცვალათ ფერი,
სადღაც გაჰყვირის შორს მოლა გაღმა
და მიკანკალებს ფურცლებზე ხელი..

შემომეხვია დარდი, უფალო
მძიმეა იგი, სუსტ მხრებზე მდგარი,
ნეტავ, ოდესმე ისევ მანახა
როგორ ჩაივლის მეტეხთან მტკვარი..

დედა ქართველთა და დედოფალი,
ცრემლით ნამავდა სევდიან ფურცლებს,
და უკოცნიდა ქვის ფილაქნები
ლოცვით ჩამომდნარ, იმ ღამეზე მუხლებს..

ამ სახსე მთვარის და ამ ცის მიღმა,
იქ, სადაც ჩემი სამშობლო არის,
გებარებოდეს შენ, ღვთისმშობელო,
მიიღე ლოცვა ქართველი ქალის!

ამაღამ, თორემ, თენდება დილა
დილა კი მართლაც გოლგოთას ჰგავდა,
და დაშანთული მისი სხეული
თითქოს, ჩვენს ცოდვებს ხელახლა ჰბანდა..

სიკვდილს უფლისთვის შეხვდა და დასცა,
ჯვარცმული მაინც არაფრით გასცა!
ცოფებს ჰყრიდაო შაჰი ვერაგი,
შემოიგლიჯა ღამის პერანგი...

რადგან, ქეთევან სამშობლოს ჰგავდა:
ქრისტესთვის კლავდნენ და მაინც სნამდა!
ჩამოიღრუბლა, მზის გაჰქრა სხივი,
თითქოს, შეიკრა ლურჯი ცისპირი..

იქ, გოლგოთაზე, იხუვლა ქარმა,
მშვიდი დინება შეწყვიტა მტკვარმა..
მეტეხშიც გლოვის შემოჰკრეს ზარი,
დედებმა მყისვე ჩაიცვეს შავი..

და ის დღე, სხვა დღეს რაღაცით ჰგავდა,
რომ გაუძღვებდი, მჯეროდა! მნამდა!..



„ადამიანად ყოფნის წყურვილი“

იქნებ ამბობენ,
რომ სიმარტოვე
ხვედრი არისო სულით ეულთა..
მე კი გეტყვით:
რომ იგი უფრო არჩევანია..
ანდა სურვილი..
მოიკლას ფიქრით
ბრბოსგან დაღლილმა,
ადამიანად ყოფნის წყურვილი!..

მაგრამ, ბეზრდება
ეს სიმარტოვე,
ორი კარების არის მძევალი..

ზოგჯერ სიმშვიდეს
მიაპყრო მზერა,
ზოგჯერ, ხმაურის
გაზღამხევალი...

ვერ შეეგუა,
ვერ შეითვისა,
ყალბი დროების
ცივი გრძნობები!

იქ, სადაც ნიჭზე
მეტად ფასობენ
უემოციო,
მაგრამ მოდურად
ფრთებ მიკერებულ
ანგელოზები!..

იტყვიან რამდენს,
ცრუსა თუ მართალს,
განა სიმართლე ერთი როდია (!?)
თუ არ ღვთის სიტყვა!

სხვა ყველაფერი
ლამაზად თქმული,
არის საკითხი გემოვნებისა..
ვით მელოდია..

გემოვნებაზეც რამდენი ითქვა..

იცოდე, ჩემო,
ეგ გემოვნება
არაფერია..
მხოლოდ ლამაზი
და ქარაფშუტა
ერთი ფერია..

მის ხასიათზე გინდა იარო?
ხვიარასავით შემოივლო
მისი ხლართები?
და ნუ გგონია,
რაიმეს შექმნი
სამარადისოდ,
და მერე მისით
ხელმეორედ დაიბადები!

არაფერია
უსარგებლო ეგ ამბიცია!
ნაილებს მტკვარი,
ნაილებს ქცია..
თუ არ გაქვს გული..
და ვერ გაუგე
სიყვარულს გემო..
თუ არ წარმოსთქვი გაჟრჟოლებით:
“უფალო, ჩემო”!.

„შინდისის გმირებს“

ირგვლივ ხმაური,
დუღილი სუნთქვის,
და მეომართა ჩუმი განცდები:

ჩემი სამშობლოს
მინას ვიცავდა
უფალო, ნუთუ,
მანაც ვმარცხდები?!

ზენამოიჭრა
დაჭრილი ლომი
ენანებოდა მინაც და ზეცაც

ომნაგებულები
არ ყრიდა ფარ-ხმალს,
და ვაჟკაცობა
ბოლომდე ეცვა..

ძირს, სისხლიანი
ინვინენ ბიჭები

და არემარეს
კვლავ მზე ათბობდა,

დაჭრილთ,
თვალეში ედგათ ნისლეები
ახსენდებოდათ
თანაც ბავშვობა..

და დედა ტკბილი..
ის ჩახუტება,
რომ უშუშებდათ ყველა იარებს...

მერე კი ფიქრი:
ჩემო სამშობლოვ,
ეს გზა სულ შენთვის გამოვიარე...

და თუნდაც, მოკვდე
ჩემი ქვეყნისთვის
მე ვარ ქართველი!
ჩემი ვალია!

დარდადმიყვება
დედის თვალები
თორემ, სიცოცხლე
ერთი ნამია...

უფალო..

გეძებდა მუდამ გელი
როგორც მზის სხივებს ღამე..
უშენოდ - ხევარ ხმელი
სხვა არარსებობს რამე..

ირგვლივ ხიბლთა თუ ცრემლთა
ბუმერანგები ჰქრიან,
ფიქრი კვლავ ფიქრებს ბადებს
როგორც ჭრილობა ღია..

უჩვეულოა გრძნობა,
როცა შეიგრძნობ გამჩენს,
ვიდრე არ მოვა თოვა
ნაკვალევს ვერვინ ამჩნევს!

იქნებ, გეტკინოს გულში
იმ ნალურსმნევის კვალი
და შეიძულო სრულად
უმისო-ყველა წამი!

ჯერაც ღამეა ისევ,
და დროა დღესაც ომის
უფალო, რამდენს იცნობ
ნამდვილს, მლოცველთა შორის?

ჟიგმონდ მორიცი
(1879-1942)

33030

კაპოლნის ცხენის ქარხანა იმ დროს სახელგანთქმული იყო. გრაფ კაროის წმინდა სისხლის ინგლისური კვიციები ერთნაირად იზიდავდა ბატონკაცებსაც – ცხენების მოყვარულებს, გლეხებსაც – ცხენის ქურდებს. ერთნიც და მეორენიც ჩამოდიოდნენ აქ ქვეყნის უშორესი კუთხეებიდან.

ზემო ტისის დაბლობზე იმ დროს ყველას შიშის ზარს სცემდა ძურკა შოში. ხანდახან ამ ყაჩაღზე წლობით არაფერი ისმოდა. ყველამ ასე იცოდა, რომ მას აქვს ნაკვეთი კიშარში და დაკავებულია თავისი მეურნეობით, მაგრამ ხანდახან ისე დააშინებდა ხოლმე იგი სამ რაიონს, რომ ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე და ამის შესახებ რამდენიმე წელიწადს ლაპარაკობდნენ.

ერთხელაც ძურკა შოში ჩაიფიქრა გრაფის კვიცი მოეპარა.

პირველი მცდელობა არც ისე წარმატებული იყო, მაგრამ მან მაინც მოახერხა და მოიპარა შესანიშნავი ერთი წლის კვიცი, ანუ როგორც კიშარში ეძახიან – „ბაჩა კვიცი“.

შოში შინ კარგ ხასიათზე ბრუნდებოდა. გრაფის მამულებიდან ტისას პირას მყოფ სოფლამდე შორია და იქაური მაცხოვრებლები თუკი სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაივლიან ამ გზას, სიკვდილამდე ახსოვთ. ოღონდ ძურკა შოშისთვის ეს არაფერს ნიშნავდა.

უკვე თენდებოდა, როცა ნამიან მინდორზე ყაჩაღს კვალში ჩაუდგა ორი ჟანდარმი წითელი ღილაკებით საყელოზე. ყმანვილები მაშინვე მიხვდნენ, რომ კვიცი არ იყო გლეხური ფეხმრუდი ცხენის ნაშიერი და ძური შოშის გამოუკიდნენ. ამანაც აღარ დააყოვნა და მეზობლად მყოფი ჭაობისაკენ გაუხვია.

მაგრამ ჟანდარმები მას ჩქარა დაენივნენ. შოში დიდხანს წვალობდა, რომ გაეღნია ლერწმებში, ჭანჭრობში, წყალმცენარეებში, ჭილში და წყლის კაკლებში. კვიცი ეცოდებოდა! ასეთი გზისათვის ის ჯერ ძალიან სუსტი იყო. უკვე ნანობდა შოში, რომ ამხელა გზა ერთი ამოსუნთქვით გაიარეს. ბოლოსდაბოლოს, კვიცი დასალუბად ხომ არ უნდოდა!

შოში მდელიზე გავიდა, გაჩერდა, ცხენიდან ჩამოხტა და მიბრუნდა თავისი მდევერების დასახვედრად, რაც იქნება, იქნება!

ის იყო მოათავა აკანკალებული კვიცის განმენდა, რომ ჟანდარმებიც მიადგნენ, ორივეს ხელში ჩახმასხმემართული პისტოლეტი ეჭირა.

– გამარჯობათ! – მეგობრულად მიესალმა შოში ჭაობიდან გამოსულ ჟანდარმებს.

– გაგიმარჯოს! – უპასუხეს მათ და უცებ



მოისაზრეს, რომ აქ საჭიროა ჭკუით მოქმედება. ხედავენ, ყაჩაღს ჩხუბი არ უნდა.

– აქ რა გინდათ? – ჰკითხა მათ ყაჩაღმა.

– აი, კვიცს მოვდევეთ! – მკაცრი ტონით უპასუხა ჟანდარმმა, იმან, რომელიც უფრო მაღალი იყო.

– ამას მოსდევთ? ნამდვილად ღირს! ძალიან ჯიშიათ!

– საიდან გყავს?

– ეს? განთქმული ადგილებიდან. გრაფ კაროის ჯოგიდან. – უპასუხა ყაჩაღმა.

– ხომ გეუბნებოდი! – უყვირა ტანმორჩილმა ჟანდარმმა მაღალს – კოჩარდის ქარხანაში ასეთები არ ჰყავთ. ჯერ კიდევ შორიდან შევნიშნე.

მაღალმა ჟანდარმმა თოფი მხარზე გადაიკიდა, ამოიღო თუთუნი, ჩიბუხი და სანამ ჩიბუხს თუთუნით დატენიდა, კვიცი აათვალიერა-ჩაათვალიერა.

– კოჩარდში? – ჩაეკითხა ყაჩაღი – იქაც კარგი რემაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ეს იქიდან არ არის. თვითონ ნახეთ.

მაღალ ჟანდარმს შერცხვა თავისი გაუნათლებლობისა და გაჩუმდა. მეორე კი, ჩამოხტა რა ცხენიდან, მოხდენილი კვიცის თვალიერებას შეუდგა, აიძულა ის გაეველ-გამოეველო.

– მაღალია, სამოცდაოთხი დუიმი მაინც იქნება, – შენიშნა მან.

– მეც ასე ვფიქრობ, – თვითკმაყოფილი ტონით დაეთანხმა ყაჩაღი – კვიცის „პატრონი“.

– ერთ წელიწადში სამასი ელირება, – თქვა ჟანდარმმა.

– ათასსაც არ დაინანებენ. – კბილებში გამოსცრა „პატრონმა“.

ყველანი გაჩუმდნენ. კვიცს აკვირდებოდნენ.

დაბალი ჟანდარმი აქეთ-იქით იყურებოდა და უცებ დაინტერესდა:

– თქვენ საიდან იცით ამდენი ცხენების შესახებ?

ყაჩაღმა ჩაიცინა:

– უამრავი ცხენი მინახავს ჩემს ცხოვრებაში.
– კარგი, რაც არის არის, მე კი ვიტყვი, თქვენ ვინც ბრძანდებით!

– ნუთუ იტყვი?

– ვიტყვი... მინა გამისკდეს, თუ ძურკა შოში არ ბრძანდებოდეთ.

სახელგანთქმულმა ყაჩაღმა მოკრძალებით გაიღიმა.

– რა, უარის თქმას აპირებ?

– მე? რატომ უნდა ვიუარო?

ორივე ჟანდარმი უსიტყვოდ მიაჩერდა მას – საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

აი, ღმერთმა ინება და შეახვედრა მათ პირისპირ ცნობილი ყაჩაღი, რომლის ახლოს ნახვაც დღემდე არც ერთ ჟანდარმს არ ღირსებია. ორივე ჟანდარმს თვალები გაუბრწყინდა, როგორც მგლებს მინდორში. შოშის დაჭერაზე ხომ თანხა იყო დანიშნული, თანაც – რამხელა! ეჰ, ნეტავ შეეძლოთ მისი დაჭერა და დიარმატში მიყვანა!

მაგრამ დაბალი ჟანდარმი მსწრაფლ დაწყნარდა და შლიაპასთან ხელის მიტანით წარუდგა ყაჩაღს:

– მე კი ერჟის ქმარი ვარ.

ყაჩაღმა წარბები შეიჭმუნა, თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. ერჟი მისი უფროსი დის ქალიშვილი იყო.

– მაშ ეს შენა ხარ დისშვილი? რა დამპლური ხელობა აგირჩევია.

– დიახ, რას ვიზამთ? – სახე შეეფაკლა ჟანდარმს და სიტყვა მყისვე სხვა რალაცაზე გადაიტანა, – ჩემი ერჟი ხშირად გახსენებთ, ბიძაჩემო.

– ჩემი და მარი კიდეც ცოცხალია?

– ამ გაზაფხულზე ჭლექით გარდაიცვალა. გასულ შემოდგომაზე უკვე მაგრად ახველებდა, იხრჩობოდა და სულ იმეორებდა – ღმერთმა ქნას, კიდე ვნახო მშობლიური მხარე, ძალიან მინდა ჩემი ძმის ნახვა, მე ხომ ძმის გარდა არავინ აღარ მყავსო. რომ მოკვდა დაისვენა საწყალმა, მე კი არასოდეს მინდოდა მისი სიკვდილი, მიძიმე ცხოვრება ჰქონდა ცხოვრებულს.

– შვილები თუ გყავთ?

– ორი ბიჭი და ერთი ცოცხალი გოგონა.

ყაჩაღმა თავი გადააქნია.

– რას ვიზამთ, მაშ არც თუ ისე ცუდ გზას დასდგომიხარ, – უთხრა მან, დაუბრუნდა რა თავის პირვანდელ ნათქვამს.

– დიახ, ეს ნამდვილად სჯობს ბატონის ღორების მწყემსვას, – დაეთანხმა ჟანდარმი და ხმამაღლა ამოიოხრა, თუ ამოიკვნესა. – სიზარმაცე არ მჩვევია, მე ასეთი ხასიათი არა მაქვს. როცა ცოლი მოვიყვანე და გავიგე, რომ თქვენ, ბიძია ძური, ერჟის ნათესავად ეკუთვნით, მყისვე გადავწყვიტე: „რა მოხდება, რომ მეც ყაჩაღად გავვარდე!“ ოღონდ სად მექებნეთ, არ ვიცოდი. კარგი, რას ვიზამთ! მერე კი ჟანდარმი გავხდი.

– ნურაფერს ინანებ, – მიუგო ჩაფიქრებულმა, მოღუშულმა, ჭლარაულვაშებიანმა ყაჩაღმა, – იქნებ ასეც ჯობდეს!

ცხენზე მჯდომი მაღალი ჟანდარმი ჩაფიქრდა. ახლა რა ექნათ? ჩანს, მეგობარი ყაჩაღის ნათესავია! მათ ჩხუბს ხომ არ აუტეხავს, თანაც ორივეს ხომ ვერ მოერევა. სახუმარო საქმე არ არის. ჯანდაბა! სულ ერთია, ასე ნაშოვნი ფული არ შეერგება, ვერც ვერაფერს მოიგებს. ჯერ ერთი, მას დაპირებული ფულის ნახევარსაც არ მისცემენ. ესე იგი გზირისთვის უნდა ინვალოს? მეორეც – თანხის მეორე ნახევარი კი ხომ უნდა დაამლეროს დუქანში. ესე იგი მედუქნის მოსამადლიერებლად უნდა ჩაიღინოს სამარცხვინო საქციელი? – და მაღალმა ჟანდარმმა მეგობარს ანიშნა – აბა, წავედით!

დაბალი ჟანდარმი ცხენს მოახტა.

– მიდიხართ? – იკითხა ყაჩაღმა.

– აბა, რა ვქნათ! – თავის მართლების ტონით მიუგო სიძემ. – შუადღისთვის უკვე დიარმატში უნდა ვიყვნეთ.

– მაშ, იჩქარეთ!

– ღმერთი გფარავდეთ, ბიძია ძური! – და დამპვიდობების ნიშნად მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

შოშმა უბეში ხელი შეიყო და იქიდან წითელ ნაჭერში შეხვეული რალაცა გამოიღო. ეს იყო ჭრელი, წითელი, თეთრი და მწვანე ფერებით მოხატული თუნუქის ჩხრიალა. იმ ხანებში ასეთი ჩხრიალები არ იშოვებოდა და დიდი იშვიათობა იყო.

ჟანდარმმა სათამაშო ისე ფრთხილად გამოართვა, თითქოს საპნის ბუშტი სჭეროდეს ხელში. შეანჯღრია სათამაშო და მხიარულად გაიცინა:

– ოჰ, ჩემი გოგო როგორ გაიხარებს, როგორ ითამაშებს ამით! როგორ ჩაგივარდათ ხელში?

– ჩემი ნათლულისთვის მიმქონდა, მაგრამ ახლა შენ გაძღვე, ნაილე, ჩემი ნათლულისთვის კი კაკლებისგან გავაკეთებ ჩხრიალას.

– ღმერთმა დაგლოცოს, ბიძაჩემო! როცა ერჟი გაიგებს, რომ შეგხვდით, სიხარულით ადგილს ვერ იპოვის.

– აბა, სიკეთე და ჯანმრთელობა!

ჟანდარმმა კიდეც ერთხელ მოიხედა უკან.

– ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროთ ეგ კვიცი! ცხოველი კი არა, ღვთის წყალობაა!

მეორე ჟანდარმი უკვე ჭაობში მიაბოტებდა და მანაც უკან მოიხედა და როგორც კეთილმა ნაცნობმა, მხიარული ხმით გამოსძახა:

– დიახ, კვიცი ნამდვილად კარგია! ყველანაირად კარგი! ვერაფერს იტყვი!

ყაჩაღმა თვითკმაყოფილებით გაიღიმა. კვიცს დრუნჩზე ხელი მოუტყაპუნა და ჯიუტად გაიმეორა:

– დიახ, კვიცი ნამდვილად კარგია!

1912 წ.

უნგრულიდან თარგმნა დალილა ბუდიანიძემ

ნინო მარგველაშვილი

აკანკალებული ხელით გახსნა პაკეტი და როგორც მშვიერი ჩვილი დაენაფება დედის ძუძუს, ისეთი ნეტარებით შეისუნთქა მორიგი ექსპერიმენტი. ყნოსვა დაქვეითებული ჰქონდა, ამიტომ სუნი ვერ შეიგრძნო. სამაგიეროდ, იგრძნო ფხვნილი როგორ ამოეფინა ცხვირის ეპითელიუმს.. როგორ გაიარა მთელი სასუნთქი სისტემა - ცხვირ-ნახა, ხორხი, ტრაქეა და როგორ მივიდა ფილტვებამდე, საიდანაც სისხლის საშუალებით თავის ტვინამდე მიიღწია.

სასიამოვნო სითბო ჩაეღვარა მთელ სხეულში. ისე გააჟრიალა, თითქოს, საყვარელი ქალის თბილი სხეული შეეხო. თვალები უნებურად დახუჭა და ფიქრებში წავიდა. ფიქრები, სიტყვამ მოიტანა, თორემ ლამაზ, ფერად სამყაროში წავიდა. იქ, სადაც, არავინ ეჩხუბებოდა, არ აძალბებდნენ სამუშაოდ წასვლას.

- აი, რატომ მსიამოვნებს აქაურობა! - გაიფიქრა მოთენთილმა.

- განა შემიძლია, ამაზე უარის თქმა? ეს მდგომარეობა, ყველაზე მეტად მიყვარს. საკუთარ თავზე მეტადაც კი.

არ ახსოვს, რამდენი ხანი ტკბებოდა სამყაროს მშვენიერებით.

ნელ-ნელა, ნაცრისფერი გახდა ყველაფერი. უფრო სწორად, შავ-თეთრი. ვერ მიხვდა, ასე უცებ, როგორ გაქრა ცისარტყელა. ჩიტების ჭიკჭიკი, როგორ შეცვალა ღამურების ფრთების შრიალმა. ერთი ღამურა თმებში ჩააფრინდა და იმდენად ძლიერად ცდილობდა თმების დაგლეჯვას, ლამის თავის ქალაც ააცალა. ბიჭი, ხელით შეეცადა მის მოგერიებას, მაგრამ უშედეგოდ.

- დეე, მიშველე რა, მიშველე! ისეთი განწირული ხმით იყვირა, როგორც ბავშვობაში, როცა ლატუნის გილზი აუფეთქდა და ლამის დაბრმავდა.

- არ შემანუხოო, კი დამიბარა, მაგრამ როგორ არ შევიდე ოთახში, მით უმეტეს რომ თავად მეძახის.

გაიფიქრა მოხუცმა და ნატკენი ფეხი ძლივს გადადგა.

ოთახში შესული, ლამის ცუდად გახდა. სავარძელში მისვენებული შვილი, მთელი ძალით ირტყამდა თავში ხელებს.

- რა გჭირს შვილო, რა დაგემართა? არაადამიანური ხმით იყვირა ქალმა და შეეცადა, შვილის ხელები დაეჭირა.

- გაიღვიძე დე, მე ვარ, დე.. უყვირა შვილს, მერე კი, გამეტებით ჩაიკრა გულში.

ღამურები გაფრინდნენ.

ბიჭმა თვალები გაახილა. მის წინ ღვთისმშობელი ტიროდა.

- „ნაბიჭვარი“ რას ნიშნავს, დე? სახლში არც შესულა, კარებიდან ჰკითხა ბიჭმა.



ქალს, ლამის ხელიდან გაუვარდა ქვაბი, რომელშიც საგულდაგულოდ გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი ჰქონდა, რომლითაც ფაფა უნდა მოემზადებინა პატარა ავთოსთვის.

- ეს, რა კითხვაა, შვილო, საიდან მოგდის ასეთი აზრები?

სიტყვებს ძლივს მოუყარა თავი, დედამ.

- დე, ბავშვები არ მეთამაშებიან. „ნაბიჭვართან“ ყოფნა აგვიკრძალებს მშობლებმაო. ეზოს მეორე ბოლოში გააკეთეს თოვლის ბაბუა. მე კი, ახლოსაც არ მიკარებენ. შენი თავი დავიფიცე, რომ ავად აღარ ვარ, რომ არც სიცხე მაქვს და სურდოც არ გადაედებათ ჩემგან, მაგრამ მაინც გაიქცნენ და მარტო დამტოვეს.

ბიჭს, ცრემლები ასწრებდა და ძლივს ამბობდა სათქმელს.

- შემოდი შვილო, სახლში, როგორ აგნითლებია ლოყები, ისევ არ გამიცვიფდე.

ქვაბი, შემის ლუმელზე შემოდგა ქალმა და შვილს შეეგება.

- შენი დაბადების დღისთვის მზად მექნება ქუდიც და ხელთათმანებიც. მერე, ასე აღარ შეგცივდება, ჩემო თვალისჩინო.

ამ სიტყვებით, გულში ჩაიკრა შვილი

- დე, შენ, მაინც არ მიპასუხე, რა არის „ნაბიჭვარი“? ან, რატომ არ მეთამაშებიან ბავშვები, პატარამ, ცრემლები ვეღარ შეიკავა

- არ გრცხვენია, შვილო? შენ, ხომ დიდი ბიჭი ხარ, როგორ შეიძლება იტირო. ვაჟკაცს, ცრემლები არ შემშვენის. შენთვის ტკბილეული მაქვს, ახლავე მოგიტან. ქალს, ოღონდაც თავი აერიდებინა შვილის კითხვებზე და, საახალწლოდ გადანახული ორად ორი ჩურჩხელა გამოუტანა შვილს.

- როგორ ავუხსნა, როგორ ვუთხრა სიმართლე. ჯერ ხომ სულ პატარაა. რატომ არიან ადამიანები, ასეთი უფულოები. ნუთუ, აუცილებელი იყო, ბავშვებისათვის სიმართლის თქმა.

ქალს, საკუთარ თავთან საუბარში ჩაეძინა. გვიან ღამით, შვილის ხმამ გამოაფხიზლა:

- რატომ არ მეთამაშებით, არაფერი მჭირს! დედა-საც ვკითხე, „ნაბიჭვარი“ არ გადაგედებათ.

დედამ, გულში ჩაიკრა მძინარი შვილი და თვალები დიდი სიფრთხილით დაუკოცნა.. ისე, რომ არ გაღვიძებოდა პატარას.

ჟინი რომ მოუვლიდა, საღად აზროვნების უნარს კარგავდა. დიდი ალბათობით, ტვინის უჯრედები ეხშობოდა. თავში, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში აღმოჩენილიყო და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიეღო საყვარელი საქმიანობისგან. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენს ნააგებდა, მთავარი იყო, თამაშისგან მიღებული სიამოვნება შეეგრძნო. აპარატთან დადგებოდა თუ არა, სხეულში ჟრუანტელი დაუვლიდა, აღრენალინის მოჭარბებას გრძნობდა. საყვარელი ქალივით მიმზიდველი იყო, ის ოხერი. გამომწვევ ფერებში გამოწყობილი, თითქოს, ვნების დასაკმაყოფილებლად უხმობდა. სხვა, ყველას და ყველაფერს გაურბოდა. აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის შეასრულა ცოლქმრული მოვალეობა. ბავშვი, როდის წაიყვანა სასეირნოდ. მამის საფლავზე როდის აიტანა ყვავილები და ა. შ.

მეზობლის ნაჩუქარი პალტოსავით გახუნდა, გაიცრიცა, დაძველდა. სპეციფიკური სუნი ასდიოდა. არა, ეს არ იყო სიბინძურის სუნი, მარტოობის თუ შიშის სურნელს ჰგავდა.

- კაცია და დროს ატარებს! რას შემეყარე კუთხე-მეზობელი?! დედამთილმა, ასე „დაამშვიდა“ მოთმინებადაკარგული და სიგჟის ზღვარს მისული რძალი, რომელიც ღვთისმშობლის ხატის წინ, მუხლმოდრეკილი ტიროდა და შევლას ითხოვდა.

- კაცია და დლოს ატალებს. ბებიას ნათქვამი გაიმეორა პატარამ.

.....ვინმე, ან რამე შემოგრჩა, შე საცოდავო, როგორ შეგიძლია ვალის დაბრუნება? კითხვა, იმდენად დამცინავად იყო დასმული, ყველაზე ზნედაცემული ადამიანიც კი, შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, მაგრამ მხრებში მოხრილი, დაპატარავებულ-გასაცოდავებული კაცი, სულაც ვერ გრძნობდა „მეგობრების“ ირონიას.

თავზე, ჭიანჭველები შეესია, აზრები აერია. გონების თვალი გადაავლო საკუთარ ავლადიდებას. შავი კედლები და ცარიელი ოთახები, ბევრს ვერაფერს პირდებოდა. მხოლოდ საძინებელში იდგა ერთი სანოლი, რომელზეც მეუღლესთან ერთად ეძინა.

- ცოლი!
აღმოხდა გახარებულს.

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ,

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება უკან დაბრუნებულს ყველა გაუცხოებული დაგხვდეთ. ბევრი ეძებოდეთ, მაგრამ ველარ იპოვოთ თქვენი ადგილი. უფრო მეტიც, საკუთარი თავიც ველარ იცნოთ. როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ, იცოდეთ, ძველებურად აღარაფერი იქნება...

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ, არსად არ ნახვიდეთ, ღმერთს გაფიცებთ. ეს, რასაც ახლა ვწერ, არ არის ერთი ადამიანის ტრაგედია. ამ ამბავს, არ ჰყავს ერთი კონკრეტული ადრესატი. გმირი, მითუმეტეს.

გარდაიცვალა! თავი მოიკლა! უკურნებელი სენი შეეყარა! იარაღი გაუვარდა! შემოაკვდა! ათასში ერთხელ გაიხვებებს შემდეგი სიტყვები - გაბედნიერდა! დაიბადა!

შენ, დედამიწის მეორე ბოლოში ხარ და ისე ისმენ, თუ უყურებ ამ ამბებს, როგორც საინფორმაციო გამოშვებას, რომელიც გინდა მალე დამთავრდეს. იხსენებ, რომ ოდესღაც შენც იყავი იმ საზოგადოების ნაწილი, საიდანაც ხორცმეტივით მოგიკვეთეს. იშვიათ შემთხვევაში, შენ მოიკვეთე საკუთარი თავი, ნებით, ან უნებლივით.

ნწ.. ნწ.. დამწუხრებული გადააქნევ თავს მარჯვნივ და მარცხნივ. თვალები ცრემლით გვესება. საკუთარი უუნარობა გგუდავს. გინდა, იქ, იყო. იმ ცეცხლსა და წვეკარამში იტრიალო. გინდა, სხეული გეტკინოს. ჰო, გეტკინოს, რომ მიხვდე ცოცხალი ხარ.

რა ბედენაა სიცოცხლე. ენატრები - გენატრება! სჭირდები - გჭირდება! უყვარხარ - გიყვარს! უმჯობესია, ასე ვთქვა - გიყვარს?

ჯანდაბას სიყვარული. ვილაც, სისხლმონყურებული კოლოსავით ჩაგწუის - სიყვარული კი არა, მოკვდა! თავი მოიკლა! შემოაკვდა! უკურნებელი სენი შეეყარა! და შენ, რა გესიყვარულება, თუ ღმერთი გწამს.

ბედნიერიც იყავი და უბედურიც. სიხარულის და მწუხარების გემოც იცი. მოგკვდომია, კიდეც, მაგრამ იქ იყავი, მათ გვერდით. ხორცმეტივით გიფრთხილდებოდნენ, არ დაზიანებულიყავი, რათა უფრო არ სტკენოდათ, შენი ცუდად ყოფნა. ეს, თავიდან, თორემ მერე ხომ იცი, აუცილებლად იშორებენ ხორცმეტს.

ბრძოლის ველზე მარტო ხართ, შენ და უფალი. „ყველაფერი, კარგად იქნება!“ ყალბად იმეორებ გაზეპირებულ სიტყვებს, უფრო, მოვალეობის მოხდის მიზნით.

არაფერიც არ იქნება კარგად! ისევ მოგიკვდება, ისევ დასჭირდები, ისევ ეყვარები, მაგრამ შენ, ახლოს არ იქნები. საერთოდ, არსად არ იქნები. როგორც ვიცი, „ხალხი“ კრებითი სახელია. შენ, არც აქ მოიაზრები. „ვინ“ კითხვაც არ დაგესმის.

წლების მანძილზე აშენებ ოცნების კოშკს. აშენებ რომ ნანგრევებში მოყვე, რადგან დამარხვაზე არავინ შეაწუხო.

ტრაგედია მოხდა-ო! ნწ.. ნწ.. (იტყვიან და) გადააქნევენ თავს მარჯვნივ და მარცხნივ.

მარსიანი

პოეზიის დიდი ღვენილობა

დღეს პოეტობა ყველას უნდა.
 და დღეს პოეზია ყველას სძულს.
 ვინ არ პოეტობს დღეს ჩვენში (აბა როგორ, საქართველო ხომ პოეტების ქვეყანაა!) ვის არა ჰყავს ლექსის წერის ჭია შემჯდარი... ლექსის წერა კი თითქმის აღარავინ იცის.

არ იცის და არც უნდა რომ იცოდეს (რაც გძულს, იმას როგორ ისწავლი!)

არც „განათლებულმა ვერლიბრისტებმა“ იციან ლექსის წერა და არც „გაუნათლებელმა რითმისტებმა“.

რა თქმა უნდა, ერთსაც და მეორესაც ჰგონია, რომ ლექსის წერა იცის: განათლებულს არ შველის თავისი განათლება, რომ მიხვდეს - ნებისმიერი უსახური ტექსტი, რომელიც „დატეხილი“ გრაფიკითაა წარმოდგენილი, ლექსი ვერ იქნება; გაუნათლებელი კი, მითუმეტეს, როგორ უნდა მიხვდეს, რომ, რომ „ეო-მეო“-ს დონეზე გართიმული პრიმიტივი ნამდვილ პოეზიად ვერ შეირაცხება.

საიდან მოდის ამგვარი თავგზააბნეულობა?
 ვთქვათ, გაუნათლებელ პრიმიტივს გემოვნება არა აქვს, მაგრამ განათლებულს და თითქოს კარგი გემოვნების მქონეს რაღა ჭირს?

ერთი მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, სწორედ პოზიის სიძულვილია; და ეს სიძულვილი ეპოქისმიერი სენი გახლავთ: უკიდურესმა და უკონტროლო ტექნიზაციამ კაცობრიობა მეტისმეტად დააშორა ღვთაებრივ სანყისებს და სულიერი ბნელეთისკენ მიაბრუნა ჩვენი ხედვის ფოკუსი. პოეზია (არა მხოლოდ ვინრო გაგებით, როგორც ლექსათმთხველობა, არამედ ზოგადად, როგორც საგნებსა თუ მოვლენებში ამალღებულ - მშვენიერის წარმოჩენა) ზედმეტი და არასაჭირობოროტო აღმორჩნდა ჩვენი გაუხმოებულის გრძნობა - გონებისათვის...


დღეს პოეზია ყველას სძულს, თვით პოეტებსაც კი...
 ეგ კი არა, პოეტებს მგონი სხვებზე უფრო მეტად და სხვებზე უფრო გაბოროტობით სძულთ პოზია!

პოეზია ადამიანის სულიერ აქტივობათაგან ერთ - ერთი ყველაზე ფაქიზი, ყველაზე დაუცველი რამ გახლავთ: „როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები სდუმან!“,

და დღეს ხომ ზარბაზნებზედაც უარესი არაერთი სატანური მექანიზმი „ქუსს“ ჩვენს რეალობაში: ინტერნეტი, მაგალითად.

ჯერ კინომ და შემდეგ ტელევიზიამ შეავინროვა სიტყვიერი ხელოვნების ასპარეზი, ახლა კი ორივეს გადააჭარბა ინტერნეტმა; ლიტერატურულმა ცენტრმა ინტერნეტში გადაინაცვლა, სადაც მარგინალების არნახული მოზღვავება: უნიჭობის, უმეცრების, არაპროფესიონალიზმის, მდაბიურობისა და, რაც ყველაზე სავალალოა, უზნეობის გამოვლინებებმა კატასტროფული მასშტაბი შეიძინა.

ყველაფერზე საკვირველი მაინც ისაა, რომ ამ პოეზიის მოძულეთა ლეგიონებს ჯიუტად სურთ პოეტობა. პოეზიის „სიყვარული“ ხომ მათთვის, როგორც წესი, საკუთარი ნაკალმევით ბრიყვულ ალტ-



აცებას არა სცდება: როგორც დედას უყვარს მახინჯი შვილი და ვერც კი ამჩნევს მის სიმახინჯეს, ასევე ვერ ამჩნევს ეს ხალხიც - გინდ გაუნათლებელი და გინდ განათლებული - რაოდენ უსახური, არსებითად მკვდრად-შობილია მათი „პოეტური“ ნაღვანი...

წლების წინათ ერთ სტატიაში ვწერდი, საქართველოში დღესაც არაერთი მაღალნიჭიერი (და თუნდაც დიდი) პოეტია და საქართველო მართლაც პოეტების ქვეყანაა მეთქი.

ეს წლებისწინანდელი განაცხადი რამდენად ეთანხმება იმას, რასაც წინამდებარე სტატიაში ვაცხადებ?

უცნაური ჩანდეს იქნებ, მაგრამ აქ წინამდვილემი არაფერია წინააღმდეგობრივი: ლიტერატურულ ასპარეზზე მეტწილად ჩანან სწორედ ისინი, რომელთაც არა ნიჭიერების, არამედ რაღაც კლანური ურთიერთობების წყალობით ხვდათ წარმოჩენა (იმდენადაც კი, რომ არამარტო ხშირ-ხშირად იღებენ ლიტერატურ პრემიებს, არამედ საზღვარგარეთაც, იქ გამართულ ლიტერატურ ფესტივალებზე ქართული ლიტერატურის სახეებად წარსდგებიან), ხოლო ნამდვილად ნიჭიერი (და, გნებავთ, დიდი) შემოქმედნი მეტწილად ჩრდილში დგანან, რაკი რომელიმე კლანს არ ეკუთვნიან. ასეთები მართლაც საკმაოდ ბევრია, მაგრამ დასახელებას მოვერიდებ, ვაითუ ჩამოთვლისას ვინმე გამომჩრეს.

მე შეძლებისდაგვარად ვცდილობდი ამ ჩრდილში მდგომი ტალანტების წარმოჩენას, მაგრამ რაკი ავტორიტეტული პიროვნება და რომელიმე კლანის წევრი არ ვიყავი, ჩემი ხმა დარჩა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა... უმეტეს შემთხვევაში ჩემი ალბათ მხოლოდ იმ ავტორებს სჯეროდათ, ვის შემოქმედებასაც განვიხილავდი და მაღალ შეფასებას ვაძლევდი...

აქ კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა წლების წინათ უკვე არაერთგზის გამოთქმული გულისტკივილი: ცუდი სამსახური გამინია ჩემმა კრიტიკოსობამ. ვინც თავიდან კრიტიკოსად გამიცნო, იმათგან უმეტესობას დღემდე გავგონებაც არ უნდა ჩემი პოეტობის თუ პროზაიკოსობის. სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელი - სწორედ ისე დამემართა. ლიტერატურული სამყარო მე პირადად დუმილით მებრძვის: ეს საუკეთესო ხერხია

მწერლის გასარიყავად - როცა არც დადებითად და არც უარყოფითად მოიხსენიებენ შენს შემოქმედებას, უნდა ჩათვალო, რომ განწირული ხარ არარსებობისათვის!

პოეზიის დევნილობას იმდენად პირადულ დონეზე განვიცდი, რომ ეს იგივე ჩემი დევნილობაა. კონკრეტული მაგალითებით მინდა გაჩვენოთ, რა მაქვს მხედველობაში:

მას შემდეგ, რაც არაერთგზის დავწერე (და კიდევ უფრო მეტჯერ სიტყვიერად განვაცხადე) კრიტიკოსობა პირადად ჩემთვის არ არის მთავარი საქმე, მე, პირველ რიგში, პოეტი და პროზაიკოსი ვარ მეტი, და მაინც ეს ჩემი განაცხადი რომ ცალ ყურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს ჩემმა კოლეგებმა, გადავწყვიტე, ამიერიდან ამა თუ იმ ლიტერატურულ ჟურნალში არა კრიტიკულ წერილებს, არამედ ლექსებსა და მოთხრობებს წარვადგენ-მეთქი (წერილებს სიამოვნებით მიბეჭდავენ, საკმაოდ ხშირად მიკვეთავენ კიდევ). მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი ჟურნალის უმცროსმა რედაქტორმა (არსებობს უფროსი რედაქტორიც) მითხრა, რომ წერილი მოგიტანე ახალი ნომრისთვისო. მე ცოტა არ იყოს მკვახედ ვუპასუხე - ან ლექსი დამიბეჭდე, ან მოთხრობა, მეყოფა სულ სხვებზე წერილების წერა და სხვების ქება-დიდება-მეთქი; ალბათ გულში გაიფიქრა, „შენ გიჩვენებ სეირსო“, თუმცა გარეგნულად არაფერი დასტყობია. მიგუტანე ლექსები და ერთიც მოთხრობა, ჩემი აზრით საუკეთესოები, რაც კი გამაჩნდა. გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ამ ტექსტების ლიტერატურული ღირებულება რედაქტორებისათვის (უმცროსისთვისაც და უფროსისთვისაც) იმდენად ცხადი გახდებოდა ნაკითხვისთანავე, რომ მათ დაბეჭდვას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მეტიც, მეგონა, ალტაცებულებიც კი დარჩებოდნენ: მე მათ გემოვნებას ვენდობოდი...

რა ცუდად მცნობია ჩემი კოლეგები: როცა ხანი გამოხდა და კორექტურის წაკითხვამ მომიწია (მოთხრობის კორექტურაზეა ლაპარაკი), სახტად დავჩი: ტექსტი თავიდან ბოლომდე აჭრელებული იყო ე.წ. „ჩასწორებებით“. სტილისტი ქალბატონი ჰყავდათ ერთი, რომელიც სხვათაშორის მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა და იმ თავის თარგმანებში ზოგან ისეთი უმეცრული შეცდომები ჰქონდა დაშვებული, ნამდვილად არ გამოდგებოდა ჩემი ტექსტის ჩამსწორებლად. მე თვითონ ოცი წელი რედაქციაში ვარ ნამუშევარი სტილის საკითხებში ერთობ მკაცრ რედაქტორებთან და, ბუნებრივია, საკუთარ ტექსტში იშვიათად თუ გამეპარება სტილური შეცდომა. ეს სტილისტი კი ისეთ რამებს მისწორებდა, გაკვირვებისაგან მხრების აჩქრის მეტი არაფერი დამრჩენოდა: მაგალითად, „იპოვა“ გადამიკეთა „იპოვნა“-დ და ეს „ჩასწორება“ უფროსმა რედაქტორმაც სამართლიანდ სცნო: ამ სიტყვის საწყისი ფორმა „პოვნა“ არის და არა „პოვა“-ო, გამანათლა; ბარემ ბარათაშვილისთვისაც გაენიათ მსგავსი სამსახური და „ვპოვე ტაძარი“ „ვპოვნე ტაძარით“ შეეცვალათ... სხვა „ჩასწორებებიც“ დაახლოებით მსგავსი ღირებულებისა იყო, ერთი კი მთლად გამორჩეული და „ხელისხელსაგომანები“ რამ გახლდათ და უთუოდ უნდა გაგაცნოთ: იმ ჩემს მოთხრობაში საკმაოდაა ფანტასტიკური ელემენტები და მისი

ერთ-ერთი პერსონაჟია კატა. რამდენიმე ადგილას მიწერია: „თქვა კატამ“, „გაიფიქრა კატამ“, „ამბობდა კატა“,... ჩემმა სტილისტმა ყველგან ჩამისწოა ასე - „დაიკრუტუნა კატამ“. მეც ვიცი, ბატონო, რომ კატა ზოგჯერ კრუტუნებს; ზოგჯერ კნავის; ზოგჯერ ჩხავის; ზოგჯერ ბლუის კიდევ; საინტერესო, ეს დანარჩენი ფორმებიც კატის ხმიანობისა რატომ არ შემომთავაზა ჩემმა სტილისტმა, მარტო „კრუტუნებს“ რატომ დამაჯერა...

არ მინდა ამგვარად ჩასწორებულ-ჩამოსწორებული მოთხრობის დაბეჭდვა -მეთქი, მოვასხენე უმცროს რედაქტორს და დავინტერესდი ლექსების საქმე როგორლა იქნებოდა. მიპასუხა: „უფროსი რედაქტორი ამ ტიპის ლექსებს არ ბეჭდავსო“.

„რას ნიშნავს „ამ ტიპის ლექსები“? მე სტილის საკითხებში გვარიანი ეკლექტიკოსი ვარ და მრავლად მაქვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც არაფრით გვანან ერთმანეთს. ვერც კი მიხვდები, ერთი კაცის დაწერილი თუა. რედაქციაში წარდგენილი ლექსებიც ერთობ ურთიერთგანსხვავებული გახლდათ. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ რედაქტორებს, უბრალოდ, არ უნდოდათ არც ამ ლექსების და არც მოთხრობის დაბეჭდვა (ის სტილისტიც ამიტომ მომისიეს). უფრო რომ დავრწმუნებულიყავი ამაში, მივაკითხე ქალბატონ უფროსს რედაქტორს და ვკითხე, რაში იყო საქმე-გადაფურცლა ჩემი ლექსები და მომცა შენიშვნები: ერთ ლექსში „დედა ეკლესია“ მქონდა ნახსენები და „ეს რამ დაგანერინაო!“ ისე კატეგორიული აღშფოთებით მითხრა, რომ მივხდი, ჩვენებურ მორწმუნეთა მიერ ერთობ ხშირდ ხმარებული და ამის გამო გარკვეულწილად პროფანირებული ეს გამოთქმა ათვალუნებული ჰქონდა. მაინც შევედავე - „რა მოხდა, ეს ისეთივე გამოთქმაა, როგორც დედამინა, დედასამშობლო, დედაენა, დედაბოძი, დედასამყარო-მეთქი... „არა, ეს სულ სხვა რამააო“, მიპასუხა. ენაზე მადგა სათქმელი-შენ რომ ჩვენი ე.წ. მართლმადიდებლობის ჯავრი გჭირდეს, ამ გამოთქმის („დედა ეკლესიის“) რა ბრალია-მეთქი, მაგრამ აღარ შევეკამათე, მის განწყობას ვერანაირი არგუმენტით ვერ შევეცვლიდი... იმავე ლექსში ასეთი ფრაზა მქონდა კიდევ - „ბუღბუღლთა ქოროს პრიმადონა, პრიმა-ბუღბუღლო ელორა (ეკლესიის მაგლობელთა გუნდის სოლისტი იგულისხმებოდა). „ეს უგემონობააო“-ბრძანა უფ.რედაქტორმა. არ მიკითხავს, რატომ იყო ეს უგემონება: გემონება ყველას საკუთარი, ინდივიდუალური გვაქვს და რას გაწყობ, ძალად ხომ ვერავის მოაწონებ, რაც არ მოსწონს; მერე სხვა ლექსზე გადავიდა და მითხრა, აქ გიორგი კორნაპელის გავლენა გვაქვს და, საერთოდ, ეს არ არის თანამედროვე სტილიო...

ჯერ „გავლენაზე“ ვთქვათ: არ ვიცი, ჩვენში რატომ არის ასეთი შეუწყნარებელი და შიშნეული დამოკიდებულება ლიტერატურული გავლენებისადმი. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას უკვირდა ეს და დაახლოებით ამგვარ რამეს ამბობდა - „ჩვენში რალაც დიდად სათაკილოდ მიაჩნიათ გავლენა, არადა, ეს არის კანონი თანდათანობისა და წინამორბედთა გავლენა პოეტისათვის აუცილებელიც კი არისო“; მერე თვითონვე მიუთითებდა თვის კონკრეტულ ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძის კონკ-

რეტული ნაწარმოების გავლენაზე. პუშკინსაც ისხენებდა, რომელიც თურმე ხალხური პოეზიის შემკრებ მავან პიროვნებას უბნებოდა - „იცით, მე თქვენს ლექსებს ვიპარავო“. ბოლოს ვაჟა დასძენდა - „ეს რომ ჩვენში გაიგონ, ერთ ამბავს ასტეხენ - არიქა, თურმე პუშკინი ქურდი ყოფილა, ხალხისათვის უპარნია ლექსებიო!... საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი პოლ ვალერი, მოგესხენებათ, პოეზიაში თავის-თავს მაღარმეს მიმდევარად აცხადებდა; ფოლკნერი კიდევ უფრო რადიკალური შეხედულებისა იყო ამ საკითხში და ამბობდა-„ყველა მწერალი ქურდი და მძარცველია და დარწმუნებული ვარ, თუკი ოდესმე ვინმეს ნაწარმოები წამიკითხავს და მომწონებია, უთუოდ ყოველ მათგანს გავძარცვავდიო“...

არ ეშინოდა ამ ხალხს გავლენების; არც მე მშინებია არასოდეს: ზოგჯერ საგანგებოდაც კი მიმიბაძავს ამა თუ იმ ავტორისათვის, მაგრამ არა მგონია, ამით ჩემს ტექსტებს რაიმე დაკლებოდეს, პირიქით, ვფიქრობ, რომ შეემატა...

რაც შეეხება სტილის „თანამედროვეობას“, აქაც სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ბევრს „თანამედროვეობა“ ის ჰგონია, დღეისათვის მწვავე პრობლემებსა და დღევანდლობისათვის დამახასიათებელ აქსესუარებს თუ ჩატენის ლექსში და ამით „აქტუალურობას“ შესძენს მას; თანაც ერთგვარი გაუცნობიერებელი სწობური სიმბდალე მოქმედებს აქ-დროს არ ჩამოვრჩე და ძველმოდური არ გამოვჩნდეთ...

ის ჩემი რედაქტორები (უფროსიცა და უმცროსიც) დიდად ნიჭიერი და ფართო განათლების მქონე მწერლები არიან, უგემოვნობასა და ჩამორჩენილობას ნამდვილად ვერ დავნამებ (აი, თვითონ კი დამნამეს). საკუთარი შემოქმედების გარდა შესანიშნავი თარგმანებიც მრავლად აქვთ. მე, როგორც კრიტიკოსს, მათი შემოქმედებისათვის სათანადო პატივი მიმიგია კრიტიკული წერილებით და მადლობაც მიმიღია მათგან. მით უფრო გასაკვირია ჩემი შემოქმედებისადმი მათი ამგვარი დამოკიდებულება, წინასწარი უარყოფითი განწყობა, არაკოლეგიალობა. შეიძლება ესა თუ ის ნაწარმოები (ამ შემთხვევაში მარსიანის ლექსი) არ მოგეწონოს, ვერ გაითავისო მიზეზთა და მიზეზთა გამო, მაგრამ ავტორის პროფესიონალიზმი და ოსტატობა ხომ მაინც უნდა დაინახო და ანგარიში გაუწიო...

და პირდაპირ, დაურიდებლად ვიტყვი: ეს ჩემი პოეზიის დამწუნებელი რედაქტორები მე, როგორც ლექსის ოსტატს, მხარს ვერ გამისწორებენ!

თუმცა დღეისათვის ოსტატობაც „მოძველებულად“ მიიჩნევა და „თანამედროვეობის“ სტატუსი ამორფულ, პოეტურობისაგან დაცლილ „პოეზიას“ მიუსაკუთრებია...

მაინც არა მგონია, სტილის საკითხში რაიმე მესწავლებოდეს მათგან: ჩემი პოეტური პრაქტიკა პოეტიკის თვალსაზრისით მთელ გამას მოიცავს უკიდურესი ავანგარდნიზმიდან ნეოკლასიციზმამდე. ჩემგან განსხვავებით ისინი ძირითადად „მონოფონიური“, უცვლელი ხელწერით თხზავენ და მაინდამაინც განსაკუთრებული ორგინალობით არც ეს, მათი აზრით „თანამედროვე“ ხელწერა გამოირჩევა. გავლენები მართლაც არ ეტყობა მათ

შემოქმედებას (ყოველ შემთხვევაში მე არ შემომჩნევია), მაგრამ არა მგონია ეს მაინდამაინც დიდ ღირსებად ჩაეთვალოთ...

მე გალაკტიონის გავლენაც განმიცდია, ედგარ პოსიც, ერედისაც, პოლ ვალერისაც, აპოლინერისაც, ელიოტისაც, პაუნდისაც... ჯერაც ნაკლებად ცნობილი პოეტი გიორგი კორნაპელიც ზემოთჩამოთვლილი პოეზიის გრანდების ტოლ-სწორად მიმაჩნია და ვითომ რატომ არ უნდა განმეცადა მისი გავლენაც... გავლენა მაშინ არის არასასურველი, როცა ვერ მართავ მას და იმდენად ხარ შეპყრობილი-შეპოჭილი სხვისი შემოქმედების რიტმებით, სახეებით, ინტონაციებით, რომ საკუთარ ინდივიდუალობას კარგავ დასხვისეული? რიტმების, სახეების, ინტონაციების გაუარესებულ დუბლიკატებს აკეთებ; ნურას უკაცრავად და ამის მსგავსს ჩემს შემოქმედებაში ვერაფერს ნახავთ. მე რომ იმის ძალა არ შემწევდეს, ჩემს შთამაგონებლებს მხარი გავუხსნო, არც გამოვაჩენდი მათი გავლენით შექმნილ პროდუქტს; მკითხველის სამსჯავროზე სუროგატსა და პლაგიატს ნამდვილად არ გამოვიტან...

ჰოდა, იმას გიყვებოდით: როცა ქალბატონ უფროსს რედაქტორს კამათში მეტისმეტად შეეყვევი, თავგაბზრებულმა და გალიზიანებულმა ასეთი რამ მომხალა: „კი, ბატონი, გენიალურია შენი ლექსები, მაგრამ მე არ მესმის და არ მომწონსო“ (და თავისთავად იგულისხმებოდა-„არც დაგიბეჭდავო“).

თუ ეს გამოთქმა „გენიალური“ ირონიით იყო ნათქვამი, ირონიას ნამდვილად არ ვიმსახურებდი მისგან-მსგავსი გამოთქმები მე, იქნებ ცოტა გადარჩაბებულად, მაგრამ გულწრფელი სერიოზულობით გამომიყენებია მისი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებების მიმართ; სხვათაშორის ის პირველ რიგში პროზაიკოსია და არაერთხელ უთქვამს, თავს პოეტად არა ვთვლიო (თუმცა ლექსებისა და პოემების არცთუ მცირე კრებული აქვს გამოცემული). რა თქმა უნდა, მე რომ შედეგებად ვალიარე ზოგი მისი პროზაული და პოეტური ნაწარმოები (თანაც არა ესეისტური პათეტიკით, არამედ ანალიტიკური კრიტიკის საფუძველზე), ეს სრულიადაც არ ავალდებულებდა მას, აუცილებლად მოსწონებოდა ჩემი ლექსები, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რალაცნაირი ადამიანური განცდა იმისა, რომ შენი კოლეგა წლების განმავლობაში დაკავებულია შენი შემოქმედების შესწავლით, ღრმად სწვდება მის ავ-კარგს და შემდეგ კრიტიკულ წერილებში გულწრფელად აფიქსირებს თავის ერთობ მაღალ შეხედულებას შენს ნაღვანზე; იმსახურებს ასეთი კოლეგა ესოდენ არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას?

ზოგიერთი ჩემს ადგილას იტყოდა, „ჩემი შურთო“. რალა მიჭირდა, ამ ხალხს რომ ჩემი შურდეს! ისინი ხომ ფაქტობრივად არ იცნობენ ჩემს შემოქმედებას (აქა-იქ ზერელე გადაკითხვა საამისოდ ნამდვილად არ კმარა). ჰოდა, რასაც არ იცნობ, ის როგორ შეგშურდება! სხვათაშორის, ამ უფროსმა რედაქტორმა სხვა დროს, სხვა სიტუაციაში, როცა ვაგრძნობინე, რომ ჩემი რომანების წაუკითხაობა მისგან არ იყო კოლეგიალური საქციელი, რალაც უცნაური განინმატებით მომხალა-„მე შენ

არასოდეს გალიარებ დიდ მწერლადო!“ ღმერთმანი, არც მომითხოვია, გინდა თუ არა, მაღიარე-მეთქი, ის კი მართლა გულით მინდოდა, ამ ჩემგან დიდ მწერლად აღიარებულ კოლეგას, თან ფართო განათლების ერუდიტს ჩემი რომანები წაეკითხა და თავისი აზრი გამოეთქვა. ჩემი ერთადერთი, ძალიან ადრეული პერიოდის პატარა მოთხრობა ჰქონდა წაკითხული (და, მისი თქმით, მოსწონდა კიდევ): არ ვიცი, რატომ ჩათვალა, რომ იმ მოთხრობაზე უკეთესი არაფერი გამოვიდოდა ჩემი ხელიდან...

გეკითხებით: არაა ეს პოეზიის (და პირადად ჩემი) დევნილობა? არაა ეს პოეზიისადმი სიძულვილი?

რასაკვირველია, ამ ჩემს რედაქტორებსაც უყვართ და მოსწონთ ამა თუ იმ ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსის, ასევე ზოგიერთი თავიანთი თანამედროვის თუ ახლობლის შემოქმედება: სხვანაირად შეუძლებელია- მწერლები, პოეტები არიან და ლიტერატურით სუნთქავენ, ლიტერატურაა მათი მშობლიური სფერო, მათი სულის სავანე... და მაინც, მიუხედავად ამისა, მათ სძულთ პოეზია! ეს განცდა მკაფიოდ, ნათლად, შემზარავი სიძნადით შემოდის ჩემში და იმასაც მშვენივრად ვაცნობიერებ, რომ ეს მხოლოდ პირადად ჩემი შემოქმედების იგნორირებით გამოწვეული განცდა არ არის!

ზემოთ ვთქვი, არა მგონია, ვინმეს ჩემი შემოქმედება შურდეს- მეთქი, მაგრამ ერთი კია - მათ ჩემი პრეტენზიები აღიზანებთ! როცა ჩემი პოეტური თუ პროზაული ნაკალმევის მიმართ კოლეგების ჯიუტი ღუმული ყელში ამომივიდა, თვითონვე დავენერე რამდენიმე წერილი ჩემს ნაწარმოებებზე და ეს ნაწარმოებები იმგვარადვე გავანალიზე და შევაფასე, როგორც სხვათა შემოქმედებას ვანალიზებდი და ვაფასებდი - გულწრფელად, თამამად და ვფიქრობ, ობიექტურადაც. მაგრამ ჩვენი ქართული ლიტერატურული საზოგადოებისათვის ამგვარი საქციელი ლამის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა - როგორ თუ საკუთარ თავზე წერ, ეს თვითგანდიდებაა! ერთმა ლიტერატორმა მიჩნია-რასაც შენი რომანის წინასიტყვაობაში წერ, ჯობს, სხვამ დაწეროსო; მეც ვიცი, ბატონო, რომ ეგრე სჯობს, მაგრამ რომ არავინ წერს-მეთქი?

რატომღაც ჩვენში არავის ახსენდება, რომ, მაგალითად, თომას მანი საკუთარ ნაწარმოებებს პროფესიონალურად აანალიზებდა და განმარტავდა, ელიოტი ვრცელ კომენტარებს ურთავდა თავის პოემებს, უფრო გასაგები რომ გაეხადა მკითხველისათვის, ტოლსტოი პირდაპირ აცხადებდა - „ომი და მშვიდობა“- ეს „ილიადასავითაო“, გალაკტიონი პოეზიის მეფედ თვლიდა თავს...

ამაზე, ვიცი, ზოგ-ზოგები იტყვიან-ისინი თომას მანი, ელიოტი, ტოლსტოი და გალაკტიონი არიანო!

მე კიდევ მარსიანი გახლავართ, ბატონო ჩემო!

არ მეეჭვება, რომ თქვენ იცნობთ თომას მანსაც, ელიოტსაც, ტოლსტოისაც და გალაკტიონსაც, მაგრამ არ იცნობთ და არც გსურთ იცნობდეთ თქვენს გვერდით მყოფ მარსიანს! აქედან გამომდინარე, მორალური უფლებაც არ გაქვთ განმიკითხოთ!

თქვენ ჩემი ამბიცია გშურთ! (რალაც ხომ მაინც მქონია შესაშური)

ეს ალბათ იმიტომ, რომ იცით (ან ქვეცნობიერად გრძნობთ), მიუხედავად თქვენი უდავო ნიჭიერებისა, მაინც არსებობს ხელოვნებაში თქვენთვის მიუწვდომელი სიმაღლეები!

ეს კომპლექსი გიღრღნით გულს!

და ვერ აგიტანიათ, რომ თქვენს გვერდით აღმოჩნდა კაცი, რომელსაც ამგვარი დამრთგუნველი კომპლექსი არ გააჩნია!

ამ კომპლექსის გამოც გძულთ პოეზია!

სხვათაშორის, „ჩიტმა ენა მომიტანა,-“ იმ უმცროსს რედაქტორს უთქვამს-„ამათმა გენიოსობამ ხომ მომკლავაო!“ ისეთ სიტუაციაში თუ კონტექსტში უთქვამს ეს, რომ დიდი ალბათობით მე გეულისხმობდა თურმე...

აქამდე მხოლოდ ორ პიროვნებაზე გიყვებოდით, მაგრამ სხვაც არაერთი მაგალითი მასსოვს არაკოლეგიალობის, უმადურობის, ეგოიზმისა და მისთანების, ჩვენს ძვირფას კოლეგებს რომ გამოუმჯავებიათ:

ერთი ჩემი მეგობარი, მართლაც უნიჭიერესი პოეტი, რომელსაც ჩემგან არანაირი აღიარება და დაფასება არ დაჰკლებია- გინდ ზეპირი სიტყვით, გინდ დაბეჭდილით, ისეა შეპყრობილი ზემოთხსენებული კომპლექსით, რომ მძინვარედ სურს, მის გარდა სხვა არავინ იყოს ნიჭიერი, სიკვდილივით არ უნდა მის გვერდით მყოფთა ნიჭის დანახვა და საბას იგავის მორიელივით მტერსა თუ მოყვარეს დაუნდობლად გესლავს. სხვების უნიჭობაზე ლაპარაკი რალაცნაირ მუდმივ აკვიტებად, მანიად აქვს ქცეული; ერთხელაც იყო, მან დაუნდობლობისა და აბუჩად აგდების რეკორდი დაამყარა- ინტერნეტში საქვეყნოდ, გვარ-სახელების მოხსენიებით გამოლანძღა და გააბიაბურა რამდენიმე ჩვენი კოლეგა-მეგობარი ქალი (ჩემი რწმენით, უნიჭიერესი პოეტები) და მეც ზედ არ მიმაცოლა! ისეთი რამეები იკადრა, ვერც კი გავიმეორებ... ამას ნამდვილად არ მოველოდი მისგან, სახტად დავრჩი, გული ჩამწყდა... თავშეკავებულად, კეთილმოსურნედ და დელიკატურად ვუსაყვედურე და დავანაბრე ინტერნეტისავე საშუალებით (მე თვითონ ინტერნეტში არ ვიყავი, სხვისი დახმარებით გავცეანი მის ტექსტს და ჩემი ტექსტიც სხვას დავადებინე). მოგვიანებით, ჩვენი საერთო მეგობრისაგან გავიგე, რომ იმ ჩემს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ხუმრობად თვლიდა და თავის დანაშაულს ვერ გრძნობდა... კარგახანს ვემდუროდი, ხმას არ ვცემდი. მერე მოვიდა და პატიება მთხოვა. მეგობარი იყო და ყოველგვარი „საქმის გარჩევის“ გარეშე ვაპატიე, ვითომ არაფერი მომხდარა. მეგონა, ამის შემდეგ მაინც მოეგებოდა გონს და შემდგომ ურთიერთობაში გამოისყიდდა თავის დანაშაულს. ორიოდ წელსაც არ გაუვლია და მამცნეს, რომ ამ ვაჟბატონს ინტერნეტში დაუდევს რალაც ტექსტი, ისევ იმ ჩვენი პოეტი ქალბატონების მისამართით და მეც კვლავ მოუხსენებიათ არასაკდრისად. სამწუხაროდ, ამ ტექსტის წაკითხვა არ მომიხერხდა, ვერ მივაკვლიე, თორემ ამჯერად ინტერნეტისავე საშუალებით გავცემდი საკდრის პასუხს, მისი გვარ-სახელის მოხსენიებით გაუშვიფრავდი მთელ საზოგადოებას მის სულიერ პორტრეტს. ამჯერად კი

ვტოვებ მასაც ინკოგნიტოდ (როგორც ამ წერილში მოხსენიებულ სხვა კოლეგებს), მაგრამ ის კი ცხადი უნდა გავხადო მკითხველისათვის, რატომაც ასე გაბოროტებული საერთოდ მთელ სამყაროზე და პირადად ჩემზეც.

ჯერ ვიკითხავ: არ სძულს ამ კაცს პოეზია?

დიახაც სძულს, რადგანაც პოეზიის ღმერთმა თუმცა საკმაოდ უხვი წყალობა გაიღო მის მიმართ, მაინც მთლად მისი ამბიციის შესატყვისი შესაძლებლობებით არ დააჯილდოვა... სწორედ ა ამიტომაცაა ასე გაავებული და წონასწორობადაკარგული.

რაც შეეხება იმას, თუ პირადად ჩემზე ასე რატომ უნდა დაბოლმილიყო მეგობარი პოეტი, რომლის შემოქმედებასაც არა მგონია ჩემზე ერთგული და უშურველი დამფასებელი ჰყავდეს, ამაზე ჩემი ვარაუდი მაქვს: საქმე ისაა, რომ რაკი თავისი ამბიციის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ლექსის წერამ ვერ უშველა, ფილოსოფოსობა თუ რაღაც „მოძღვრების“ შექმნა მოინდომა; როცა ამ მხრივ არაფერი გამოუვიდა, კვლავ პოეზიის საშუალებით ეცადა სხვა პოეტებზე მაღლა დამდგარიყო და რაღაც განსაკუთრებული ტიპის ლექსები შეექმნა. თვითგანმტკიცების მიზნით მან პოეზიის შესახებ ესეების წერა დაიწყო, თეორიული საფუძველი განიმზადა: მშვენიერი ესეებია, არანაკლებ ღირებული მისსავე ლექსებზე, თუმცა ის, რასაც ამ ესეებში გვიმტკიცებდა (და პირველ რიგში საკუთარ თავს უმტკიცებდა) არც თუ მთლად შეეფერებოდა ჭეშმარიტებას. მაგალითად, ერთ ესეში ავითარებდა აზრს, რომ მესამე ათასწლეულამდე პოეტთა შემოქმედება, კერძოდ ლირიკა „მთვარის შუქის თვისება იყო“ ანუ იგი (პოეზია) თვითონ კი არ გამოასხივებდა, არამედ მხოლოდ ირეკლავდა (თუ ადიდებდა) ღვთიურ ნათელს, როგორც მთვარე-მზის შუქს, ხოლო იმ ნათელის უშუალოდ გამომსხივებელ წყაროდ მხოლოდ დიდ რელიგიურ გამომცხადებელთა მოძღვრებებს მიიჩნევდა; მესამე ათასწლეულის პოეზია კი, მისი თქმით, სწორედ რელიგიურ მოძღვრებას უნდა დამსგავსებოდა და იმ ღვთიური ნათლის უშუალოდ გამომსხივებელ წყაროდ უნდა ქცეულიყო... ვგონებ დიდი გამჭრიახობა არაა საქირო იმის მისახვედრად, რომ ამგვარი ახალი ლირიკის ერთ უპირველეს ადებტად ჩვენი პოეტი-თეორეტიკოსი თავისთავს გულისხმობდა. როცა ამ მეტად საინტერესო, მაგრამ მისივე გვიანდელი აღიარებით, არცთუ მთლად ჭეშმარიტმა თეორიამ საბოლოოდ მაინც იმედი გაუცრუა, სხვა თეორია შეიმუშავა, რომელში ამტკიცებდა- დიდი პოეზია ლექსში მიმოხვეული შიგა რითმების, ალიტერაციების ანუ სიტყვებს შორის მჭიდრო ბმების, კავშირების მეშვეობით იქმნებაო. ესეც, იმ ზემოთხსენებული თეორიის მსგავსად, საინტერესო, მაგრამ არც თუ მთლად ჭეშმარიტი მტკიცება იყო (ვაჟა-ფშაველასთან, მაგალითად, შიგა რითმებსა და ალიტერაციებს იშვიათად იპოვნით); ყოველ შემთხვევაში, ამ თეორიებმა მის პოეტურ პრაქტიკაში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო და ბევრი შესანიშნავი ლექსი დაანერჩა. მე მის ყოველ ახალ ნაწარმოებს სათანადო ყურადღებით ვეპყრობოდი და თვითონაც მშვენივრად იფერებდა ამ ყურადღებას. აი, ჩემს ლექსებზე კი თითქმის ყოველთვის ჯიუტად დუმდა. მე ამას დიდხანს, წლების განმავლობაში ვით-

მენდი, თუმცა, რა თქმა უნდა, გული კი მწყდებოდა მისი ამგვარი არაკოლეგიალობის გამო... და აი, ერთ მშვენიერ დღესაც მომინდა „ჭკუა მესწავლებინა“ ამ კაცი-სათვის, რომელიც უკვე საკმაოდ აშკარად ყოყორებდა თავისი მიღწევებით; დავიწყე ლექსების წერა სწორედ იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რა მოთხოვნებიც მან თავის თეორიულ ესეში რითმა - ალიტერაციების, სიტყვებს შორის კავშირის შესახებ წამოაყენა ანუ „მის საკუთარ მოედანზე ჩავედი“ და მისგანვე დადგინილი წესების ფარგლებში გავმართე შემოქმედებითი პაექრობა. უნდა გენახათ, როგორ უჭირდა რეალობისათვის თვალის გასწორება - ჩემი ლექსები ყველა მის თეორიულ მოთხოვნას აკმაყოფილებდა! როცა ის ჯიუტი დუმილი მაინც არა და არ მოიშალა, კიდევ ერთ „ხერხს“ მივმართე - ახალი ლექსი რომ დანერა და წამაკითხა, მეც მისებური დუმილით ვუპასუხე; არადა, მიჩვეული იყო ყოველი ახალი ლექსის შეფასებას და შექებას ჩემგან: ვერ მოითმინა და მკითხა, რა აზრისა ხარო. აი, მაშინ კი ვუთხარი სათქმელი - იქნებ მეც მაინტერესებს შენი აზრი, არასოდეს ხმა რომ არ ამოგიღია ჩემს ლექსებზე-მეთქი. მივყვივით, მოვყვივით და საკმაოდ ცხარე შელაპარაკება გამოგვივიდა, ბოლოს გამოტყდა - „პოეტად არ გთვლიდი, შენ ხომ კრიტიკოსის იმიჯი გქონდაო“. გავიკვირე - „კი, მაგრამ, შენ კაი კაცო, განა არ იცოდი, ლექსებსაც რომ ვწერდი, რომანებსაც, მოთხრობებსაც, გარდა ამისა, ვხატავ და მუსიკასაც ვთხზავ-მეთქი...“ ამაზე ისე ბოლმიანი კილოთი მომიგო - „ყველაფერი შენ როგორ ხარო!“ მივხვდი, თურმე გულზე ეკლად ესობოდა ჩემი შემოქმედებითი მრავალმხრივობა... მაინც იძულებული გახდა, ჩემი ზოგი ლექსის ღირებულება ელიარებინა (ძალიან კი გაუჭირდა), რადგან ამ ლექსებმა არავითარი შანსი არ დაუტოვა იმისა, რომ ეფიქრა, მისგან კულტივირებული პოეტური ტექნოლოგიების ერთადერთი ნამდვილი ოსტატი მხოლოდ თვითონ იყო... მეტსაც გეტყვით - იმ ტექნოლოგიების გამოყენებაშიც მასზე გაცილებით მაღალი „კლასი ვაჩვენე“ (რა თქმა უნდა, თვითონ ვერასოდეს შესძლებს, ეს აღიაროს)... სწორედ ამის გამო გულში ბოღმა ჩარჩა, უაღრესად დაკომპლექსდა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ინტერნეტში დადებული იმ ტექსტით ერთობ პლემბურად და სულმდალურად ამოიყარა ჯავრი...

სხვებზეც მოგახსენებთ, კოლეგებზე:

ერთმა ასევე დიდად ნიჭიერმა და ჩემგან მრავალგის ნაქებმა მეგობარმა პოეტესამ ჩემი რომანის „ანამაისი“ ნაკითხვის შემდეგ თურმე ზურგს უკან განაცხადა - „ასე ხომ ჯოისმა დანერა უკვეო“... ჯოისს გარდა იმ რომანში ფოლკნერის, თომას მანის, ჰემინგუეის და იქნებ კიდევ სხვათა და სხვათა გავლენებიც დაენახა, თუ მხოლოდ გავლენის აღმოჩენა იყო მისთვის თვითმიზანი და თუ სხვა არაფერი აინტერესებდა... სხვათაშორის, მანვე „აღმოაჩინა“ ჩემს ლექსში „ნამი“ გ.კორნაპელის გავლენა, მსგავსად იმ ჩემი ზემოთხსენებული „უფროსი რედაქტორისა“ (ეტყობა მართლა არსებობს ეს გავლენა, რაკი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორმა მკითხველმა დაინახა)...არც ჩემს მეორე რომანს „პეპლობის თვის“ აყარა კარგი დღე; იმ რომანში ერთი სცენაა ასე-

თი - გამტაცებლების ხელიდან გამოსხნილ გოგოს ბიძა გაეხუმრა - „ძან გბურჯგნეს, გოგო?“ ბიძა ასეთ რამეს როგორ ეტყოდა ძმისწულსო! - ატეხა ერთი ამბავი, სხვა ვერაფერი დაინახა იმ რომანში საყურადღებო...მერე, ერთხელ, სხვა დროს ვუთხარი - „რა მკითხველიც ყოფილხარ, დავინახე და შენი აზრი უკვე აღარ მაინტერესებს-მეთქი“, ცინიკური კილოთი მიპასუხა: „რა ვქნა, რომ შენი რომანები შედეგებად ვერ ვალიარეო“... სხვისი შემოქმედება, რომ აღიარო ან არ აღიარო, საამისოდ ერთი წინაპირობა ხომ მაინც უნდა დაიცვა - ჯერ ყურადღებით, საფუძვლიანად უნდა გაეცნო ამ შემოქმედებას და ზერელე პირველი შთაბეჭდილების დონეზე არ უნდა დარჩე, მიუხედავად, თუ ეს ავტორი შენი საკუთარი შემოქმედების საუკეთესო მცოდნე და შემფასებელია... უნდა შეგეძლოს მეგობრული თანადგომა, უნდა გაგაჩნდეს კოლეგიალობის გრძნობა და, საერთოდ, კეთილმოსურნეობა; როცა არცერთი არ გაგაჩნია, როცა უმადური და თავგერძა, თან პროვინციული სნობიზმით შეპყრობილი ხარ, რა თქმა უნდა, ისე მოიქცევი, როგორც ამგვარი „ლირსებებით“ აღჭურვილს ეკადრება...

გვინებ ამასაც გვარიანად სძულს პოეზია, რას იტყვი?

ერთმა კიდეც, ჩემგან ლამის გენიალურ პოეტესად აღიარებულმა, რომანი „ანამაისი“, რომ წაიკითხა, შესაშური პირდაპირობით მომახალა: „არა, სულაც არ მომწონს თქვენი ანამაისი!“ (რომანის მთავარ პერსონაჟს, ოცი წლის გოგონას გულისხმობდა). „რატომ-მეთქი?“ ვკითხე. „ეგეც მანანა დეიდას მსგავსი გახდებო!“ მიპასუხა (მანანა დეიდაც პერსონაჟია, ჩვენებური ქართულ-პროვინციული სტანდარტების მიხედვით ცოტა ზედმეტად თავისუფალი ქცევის ქალი), ხოლო მეორე რომანზე „პეპლობის თეზე“ კიდეც უფრო შესაშური პირდაპირობით მკითხა - „ეს საერთოდ რატომ დანერეთო?“ ამ რომანში ჭარბადაა ეროტიკული ელემენტი და მისი მორალური კრედოსათვის, ქალური კდემამოსილებისათვის ალბათ ეს ელემენტი პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა...

მგონი ამასაც სძულს პოეზია... არადა რა მშვენიერი, კოსმიური გაქანების პოეტური ხილვები აქვს!

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, თითქოს მხოლოდ ჩემი შემოქმედების იგნორირების გამო პირადულმა გულისწყვეტამ დამანერინა წინამდებარე ოპუსი, ამიტომ სხვა მაგალითებსაც გავიხსენებ, რომლებიც არა ჩემს, არამედ სხვათა შემოქმედებას ეხება:

დღეს ბევრსა სჭირს თავისებური „გალაკტიონის კომპლექსი“ და ვინ მოთვლის, რა და რა საშუალებით არ ცდილობენ გადააფასონ თუ შეარყიონ ერთგვარად „დაკანონებული“ შეხედულება თუ მითი გალაკტიონის „ერთადერთობასა“ თუ „პოეზიის მეფობაზე“: ზოგ-ზოგები საკუთარ თავს აცხადებენ „პოეზიის (ან იქნებ სხვა რამისაც) მეფეებად და იმპერატორებად“, ზოგს ის ვერ აუტანია, ჩვენში ვინმემ გალაკტიონი სხვა, არაქართველ პოეტებზე მაღლა რომ დააყენოს (ასეთი შეხედულება თურმე პროვინციალიზმია!), ზოგი კიდეც გიორგი ლეონიძეს ან ტერენტი გრანელს უტოლებს (ეგ კი არა, ამჯობინებს კიდეც) მას; ერთმა ე.წ. „შერეკილის“

იმიჯით აღჭურვილმა „პოეტმა“ ასეთნაირად „დაგვაპატაჟა“ ჩვენ, ქართველები: „გალაკტიონი ფრანგ და რუს პოეტებთან შედარებით ნულიაო“ (ისე აშენდა ამის მთქმელი!). ერთმა კიდეც, მართლაც უნიჭიერესმა პოეტმა, პირად საუბარში მითხრა - „რუსებს მეოცე საუკუნეში ათი მაინც ეყოლებათ გალაკტიონის ტოლი პოეტიო“,... მე ჩემს თავს ნამდვილად ვერ ჩავთვლი რუსული პოეზიის კარგ მცოდნედ, მხოლოდ თარგმანებით ვიცნობ პუშკინს, ლერმონტოვს, მაიაკოვსკის, ახმატოვას, ბროდსკის და ერთ-ორ სხვასაც, მაგრამ რატომღაც მაინც მგონია, გალაკტიონის ტოლი პოეტი ათი კია არა, ერთიც არ ეყოლებათ რუსებს...რუსოფობი ნამდვილად არა ვარ და პროზაში რუსების უპირატესობას კიდეც ვალიარებ (ჩვენ ჯერჯერობით არა გვყავს ჩვენი დოსტოვესკები და ტოლსტოები), მაგრამ რუსთაველთან, ვაჟასთან და გალაკტიონთან - ქართული პოეზიის ამ ტიტანებთან შედარებას ალბათ თვით რუსული პოეზიის მამამთავარი პუშკინიც ვერ გაუძლებს... ჰოდა, რატომ ვცდილობთ ასე ადვილად მისი თანამედროვე ათი რუსი პოეტი გავეუტოლოთ ქართული პოეზიის მეფეს? ამით ილუზიას ხომ არ ვიქმნით, რომ პირადად ჩვენთვისაც უფრო ადვილი გახდება გალაკტიონის დაძლევა?

ერთ ახალგაზრდა პოეტს ვუთხარი „გიორგი კორნაპელი უდიდესი პოეტია-მეთქი“ (მგონი აქამდე ამ პოეტის შესახებ არაფერი სმენოდა), რალაც სულსწრაფად და თითქოს შვებითაც კი მითხრა - „ჯობია ხომ გალაკტიონსო?!“ მე ასეთი რამ არ მითქვამს და არც მიგულისხმია, გალაკტიონის აღმატებულად მხოლოდ ცაში მყოფი ღმერთი მიმჩნია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ ახალგაზრდა პოეტსაც ეტყობა სულს უხუთავდა გალაკტიონის „ერთადერთობის“ ფაქტი თუ მითი და მისთვის სულერთი იყო, ეს „ერთადერთობა“ ვისი მეშვეობით შეირყეოდა - კორპანელი იქნებოდა თუ ვინმე სხვა...

რა ვქნა, გალაკტიონის მიმართ იმგვარი დამოკიდებულებები, ზემოთ რომ განვიხილე, ჩემს თვალში პოეზიისადმი სიძულვილის იერს დაიკრავს...

თორემ სხვაგვარად, განა ღმერთს მადლობას არ უნდა ვწირავდეთ, რომ მან გალაკტიონი - პოეტური სიტვის ეს სუპერჯადოქარი - ჩვენ, ქართველებს გვაჩუქა, გვინყალობა? პოეზიის სიყვარული ეს იქნებოდა...

„ეფემერა“ რა ლექსიაო, ერთმა პოეტმა მითხრა: მაგარი აი ესააო - „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“.

კი, ბატონო, მაგ ლექსიც შესანიშნავია, მაგრამ „ეფემერა“ ქართული ლირიკის ჯომოლუნგმა გახლავთ („მერანთან“ და „ლურჯა ცხენებთან“ ერთად)...

იმ ათი რუსი პოეტის გალაკტიონთან გამტოლებელმაც მითხრა - „ეფემერა“ ტრაბახი და თვითგანდიდებააო!

ჯომოლუნგმაზე ამსვლელმა რომ თქვას, ჯომოლუნგმაზე ავედიო, ეს ტრაბახი კი რა, ფაქტის კონსტანსტაციაა!

„ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“ - აი ლექსიო!

კი, ბატონო, აქაც თანახმა ვარ, ეს ლექსიც მართლაც საოცარი გამონათებაა ბოლო პერიოდის გალაკტიონისა,

მაგრამ „ეფემერას“ მაინც სხვა მასშტაბი, სხვა მონუმენტურობა გააჩნია... „ჯომოლუნგებს“ ასე ჰაი-ჰარალედ ნუ წამოკრავთ ხელს, კარგად გავაკონტროლოთ ჩვენი ქვეცნობიერი და დავინახოთ - უმაღლეს მწვერვალებს იქნებ იმიტომ „ვადაბლებთ“, რომ მათზე აფოფხება გავგვიადვილდეს!..

ჯერ კარგად გაუსწორე თვალი რეალურად არსებულ სიმაღლეს და მერე სცადე იმ სიმაღლეზე ასვლა!

საერთოდ გალაკტიონის გალაკტიონთავე დაპირისპირებაშიც კი ვამჩნევ პოეზიისადმი სიძულვილს...ოლონდ ახლა აქეთ არ გადმომპარალოს ვინმემ, რომ თვითონ მეც ვენევი გალაკტიონის დაპირისპირებას!...

ყველას სძულს პოეზია - ნიჭიერსაც, უნიჭოსაც, ოსტატსაც, პროფანსაც, განათლებულსაც, გაუნათლებელსაც!...

როცა გიორგი კორპანელის შემოქმედების დაუცხრომელ პროპაგანდას ვენეოდი, უნდა გენახათ, როგორ მენიანალმდეგობოდნენ სწორედ პოეტები, რომელთაც წესით უნდა გახარებოდათ, რომ კიდევ ერთი გენიოსი გვყოლია ქართველებს; პირიქით, სიკვდილივით არ უნდოდათ ვილაც კორპანელის განდიდებაში მართალი აღმოვჩენილიყავი: თითქოს ამით პირადად მათ აკლებოდათ რალაც!

ჩემს პირველ წერილს კორპანელის შესახებ „ჩრდილში მდგარი ტალანტი“ ჰქონდა სათაური და ეს წერილი ერთი ყურნალის რედაქციაში რომ მივიტანე, რედაქტორმა, ცნობილმა პოეტმა ეგრევე მომხალა: „ჩვენ რა, სინათლეში მდგარი არატალენტები ვართო?!“

არაა ახლა ეს პოეზიის სიძულვილი?!

ზემოთ რომ „უმცროსს რედაქტორს“ ვახსენებდი ერთხელ იმანაც ისე ცივი, მტრული გამომეტყველებით მკითხა - „მაინც რითაა დიდი კორპანელი?“ თითქოს პირადად მას ვაყენებდი შეურაცხყოფას კორპანელის ქებით! კონტრკითხვა მივაგებე: „ესა და ეს პოეტები (მის მიერ ქართულად თარგმნილნი) რითი არიან დიდები - მეთქი?“ მიპასუხა: „მათ სიახლე შემოიტანეს პოეზიაში!..“

მერედა, იქნებ ამ ჩემმა კორპანელმაც შემოიტანა რაიმე სიახლე, სანამ უარყოფდე, ხომ უნდა ნაიკითხო მაინც, შენ ოჯახაშენებულო!

ბევრჯერ მითქვამს და დამინერია კიდევ: ჩემო ძვირფასო კოლეგებო, მაშინ ხომ ძალიან გჯერათ ჩემი, როდესაც პირადად თქვენს შემოქმედებას ვაქებ: იქნებ სცადოთ და მაშინაც ენდოთ ჩემს ლიტერატურულ გემოვნებას, როცა სხვებს ვაქებ!

ასე ძნელია!

დიახაც ძნელია, იმიტომ, რომ პოეზია გძულთ, პოეტებო!

და არის პოეზია ასე ყველასგან დევნილ-მოძულეული, პროფანთაგან დაკნინებული და სახელგატყვილი, თვით ლექსის ოსტატთაგან გამეტებული... პოეზიის სიძულვილი რალაც საშინელი, ყველგანშემღმწევი ვირუსია, პანდემია... და ამ დროს (ღმერთო შეგვიწყალე) ყველას პოეტობა უნდა: პოლიტიკურ დემონსტრაცია-მიტინგებზეც კი ქუხს უგვანი, პროფანული ლექსები, მათ ავტორთა სიბრყველსა და ცალტვინობის უტყუ-

არი დასაბუთება...მეტწილ შემთხვევაში პროფანული სასულიერო პირთა, ეკლესიის მსახურთა პოეტური ნაღვანიც, ერთობ ცუდად გაგებული მართლმადიდებლური დოგმატიკის პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსებული... და ამ დროს ეკლესიის წარმომადგენელნი დიდის მონდომებით უტყვენ ე.წ. „საერო“ პოეზიას, თვით გოეთესა და ბაირონსაც კი და „სულითხორცამდე გარყვნილ“ პიროვნებებად მოიხსენიებენ... ბევრს გალაკტიონი „სატანისტად“ ესახება, რაკი მის პოეზიაში ხშირად არიან მოხსენიებული სატანა, დემონი და მისთანები... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სასულიერო წოდების დიდი ნაწილი პოეზიას (და, საერთოდ, ხელოვნებას) თავის კონკურენტად სახავს და მხოლოდ დიდი შერჩევით თუ აღიარებს ზოგიერთ პოეტს „თავისიანად“ (მაგალითად, უკვე წმინდანებად შერაცხულ დავით აღმაშენებელსა და ილია ჭავჭავაძეს).

რა თქმა უნდა, არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აპოლოგეტები, ტექნოკრატიული ცნობიერების მქონენი სწყალობენ პოეზიას, ხელოვნებას... ჩანს, მათაც კონკურენტად ესახებათ იგი და თავის წილ ლოდს უშურველად ესვრიან: მათი აზრით, პოეზია დიდი ვერაფერი ფასეულობაა, რადგან ამ მატერიალურ სამყაროში არსობის პური მეცნიერულ აღმოჩენებზე დამყარებული ტექნოლოგიებით მოიპოვება და არა პოეზიისაგან მოგვრილი ილუზორული განცდა-შეგრძნებებით...რას იზამ, მართლებიც არიან, თუკი არსობის პურია მთავარი... თუმცა ალბათ მაინც არ იქნებოდა ზედმეტი, პოეტის სიტყვებს თუ გავისხენებთ: „ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ“.

რელიგია და მეცნიერება ხომ მეტწილ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ პოეზია რატომღაც ორივე მხარეს ძვალავით ეჩხირება ყელში და მის სანაღმდეგოდ ლამის მხარი მხარს მისცენ...

სხავათამორის, არამარტო ჩვენებურ მამაოებს, არამედ მეცნიერების ენთუზიასტებსაც არაიშვიათად წაუცდებათ ხელი ლექსის წერაზე...რალაც ჭია არც მათ ასვენებს...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია.

და არის პოეზია ამგვარ პარადოქსალურ რეალობაში გახლართული, რალაც ყოვლად უცნაური სულიერი მასტურბაციისა თუ ავტოეროტიზმის ინსტრუმენტად ქცეული - ყველასაგან განკიცხულ-მოძულეული და მაინც ყველასათვის რალაც პათოლოგიური მიმზიდველობის მქონე...

მეგობარმა პოეტმა რამაზ ბერეკაშვილმა დიდი ხნის წინათ ლექსი მომიძღვნა, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: „არვის უნდისარ, არვინ გიკარებს, და მაინც ყველა შენსკენ გამორბის..“

ზუსტად იგივე სჭირს დღეს პოეზიას - ის არავის უნდა, მას არვინ იკარებს და მაინც ყველა მისკენ გარბის...

ამიტომაც განვიციდი პოეზიის დევნილობას ჩემს პირადულ დევნილობად...

იკა ქადაგიძე

თემურ ქორიძის მოსაგონარი

ჩემმა უფროსთაობელმა მეგობარმა და კოლეგამ თემურ ქორიძის გარდაცვალების ამბავი ტელეფონით რომ შემაცყო ბინა, ქალაქის მოხმაურე რიტმიდან ისე ამოვვარდი, მრავალფეროვანი მოგონებების ნაკადის შეკავება ძალიან გამიჭირდა. თემურ ქორიძის, როგორც თვალშისაცემად გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწის, უებრო ორატორისა და ლიტერატორის სახელი ვერ კიდევ მაშინ ქუხდა, სამწერლო ასპარეზს სანამ შევბედავდი. მისი, როგორც შეუვალი და პრინციპული კრიტიკოსის გაბედულ გამოსვლებზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. თავისი თაობის ინტელექტუალებს შორის უნივერსიტეტელი მოაზროვნეების შესანიშნავი პლეადის ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრებოდა. მოგვიანებით, ეროვნული ხელისუფლების სათავეებთან მყოფი, მონამე პრეზიდენტის-ზვიად გამსახურდიას გარემოცვის უახლოეს წევრად იქცა, რის გამოც არც ხიფათი აკლდა და არც დევნა. -ოთხჯერ შემომიბრუნა გულმა, მეც მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩიო, ერთხელ, ღრმამინაარსიანი საუბრის დროს გაკვირით აღნიშნა და ამ საკითხს აღარ ჩაღრმავებია. თავს გადახდენილ განსაცდელს სპეკულირების საგნად არ მიმართავდა. სხვებისგან გავიგე, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რომ დანიშნეს და ქალაქის ცენტრში ოთხთახიანი ბინა შესთავაზეს, კეთილმოწყობილი სახლი მრავალშვილიან ქართველ მამას დაუთმო, მას უფრო გამოადგებო. ეს „დეტალი“ პიროვნების მრწამსის გასაგებად იმდენად მრავალსმეტყველია, განვრცობას არ საჭიროებს. და მაინც, ახლანდელ პოლიტიკოსებს, რომელთა უმრავლესობა ამგვარ საქციელს სიზმრადაც ვერ წარმოადგენს, ანალოგიური მაგალითებით ხელმძღვანელობა შეურაცხყოფად მოეჩვენებათ, რადგან ეს ძველქართული ყესტი თანამედროვე საქართველოში კომუნისტური უტოპიის ტოლფასია. ფულის დიქტატურის ხანაში უმოწყალო პრაგმატიზმის ფარზე აზიდვა დაკანონებული, რასაც ბ-ნი თემური თავის ბრწყინვალე ანალიტიკურ წერილებში მიუკერძოებლად ამხელდა და ამართახებდა. მისი უკანასკნელი წიგნი “არა ყველა კაცი სწორია” ყველა ჯურის ისაკიჩ მეჯღანაუშვილის წინააღმდეგ მიმართული სამართლიანი და გაბედული პროტესტია. ზვიად გამსახურდიას გვერდით მყოფი კაცი ზვარდაუდებელ სიხარბეს რომ ვერ შეეგუებოდა, ამას მისი ცხოვრების უბრალო და სადა წესი მიუთითებდა. მოკრძალებული ბინის ინტერიერი ესთეტიკა მოაზროვნის მსოფლმხედველობას ჭრამდე დაზინული წიგნების მეშვეობით ააშკარავებდა. სადაც არ გაიხედავდი, წიგნის პირამიდების უკიდვანობა ერთიანად გითრევდა. ერუდიტის საბრძანებელი უხმოდ გაფრთხილებდა, რომ აქ იდეალისტი ბინადრობდა და მის სამფლობელოში შეღწევა ყველას არ ხელეწიფებოდა. პირადი ნაცნობობა ახალი გაბმული იყო, როდესაც ჩემი პუბლიცისტური კრებულ “ძირს ომერტა!” წაიკითხა და აღმატებულ შეფასებას გულისხმიერად დაურთო: მოვალე ვარ, სიმართლეს მხარი დავუჭირო, ამიერიდან თქვენს გვერდით მიგულეთ! მას შემდეგ თავისთან ხშირად მპატიჟებდა, ჩვენი საუბრები უპირველესად ავბედით 90-

აინ წლებს ეხებოდა, მონამე პრეზიდენტის განუზომელ ღვანღზე მსჯელობა არასდროს ბეზრდებოდა. მისი ყურადღებითა და კეთილგანწყობით გათამამებულმა რამდენჯერმე თამამად (გადაჭრითაც) კი გავუმეორე, ჩანაწერებში ყველაფერი უცვლელად გადაეტანა. შეულამაზებლად, ფაქტებით; გამიძნელებო, გულახდილად მომიგო და შემდეგ მოაყოლა: ისეთი ჩანაწერიც მაქვს, ვერავის ვაჩვენებ, მაგრამ შენი წიგნების ნაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, შენ ეს უნდა იცოდე, ამას მხოლოდ შენ დანერ... აკაკი განერელიას-თავისი ღვანღმოსილი პედაგოგისა და უფროსი მეგობრის შესახებ რომ საუბრობდა, მისი მოსმენა ერთ რამედ ღირდა. ერთხელაც ვუთხარი, ეგებ ხსოვნის საღამო გამართოთ-მეთქი. ორი დღის შემდეგ შემომხშიმანა და მითხრა, ამ საქმეს უშენოდ არ დავინწყებ, სცენარი შევადგინოთო. მართლაც საოცარი თავყრილობა გამოვიდა, ვახტანგ ბახტაძესა და ბესო გვაზავასთან ერთად ნამყვანობა შევითავსე. ბ-ნი თემური იმდენად ალელდა, საღამოს გაძლოლა აღარ მოიხურვა, ღრმამაზროვანი სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა. ცეცხლოვანი და არტიტული ნატურის პატრონის თავდაჭერილი მღელვარება სხვაგვარი აღსაწერია და ხშირად სიტყვიერ ქსოვილს ნაკლებად ემორჩილება... საოცარი ესთეტიზმი ყველასგან გამოარჩევდა. შინაგანი დახვეწილობა მიგანიშნებდა, მას იოლად ვერ გაუშინაურდებოდი. ფამილარობის საყოველთაო სენი სამინლად სდაგდა და ამას უსიტყვოდ, მხოლოდ მისთვის ნიშნული ტაქტით გამოხატავდა. რა დასამალია და ჩვენს სამწერლო სივრცეს დიდი ხანია დახვეწილი მოდგმის უკანასკნელი მოპიკანები ერთეულების სახითა შემორჩნენ. თემურ ქორიძის რაფინირება იმდენად თვალშისაცემი იყო, ეს უბრალო მსმენელებსაც ძალდაუტანებლად ესმოდათ. ამიტომ მისი ორატორული ნიაღვრეები და მსჯელობები დაუწინყარია. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წიგნების განხილვას თავისი შეუდარებელი გამოსვლებით ამშვენებდა; როდესაც ასეთი დონის ლიტერატორი აღმატებულად გაფასებს, ხვდები, წმინდა ლიტერატურული სული და გემოვნება ვერ კიდევ არსებობს და მასობრივი კულტურის მოძალების მიუხედავად ნამდვილი სუროგატისგან შეუმცდარად განირჩევა. ცნობილი კოლეგებისგან იმითაც განსხვავდებოდა, სხვისი ნიჭის შემწნევისა და დროული დაფასების უნარით იყო დაჯილდოებული, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდი. ზუსტად იმ მწერლებსა და კოლეგებს შეჰყურებდა იმედით და სათანადოდაც ამხნევებდა, ვინც ამას იმასხურებდა. არასდროს დამავინყდებდა ანაზღეული „მოგზაურო-



ბა“ მთანმინდაზე გალაკტიონის საიუბილეოდ 17 ნოემბერს- მისი ახლობლების გარემოცვაში, სადაც მთანმინდაზე დაკრძალვის მოსურნე მწერლების უსაფუძვლო ამბიციებზე იმდენად მახვილგონივრულად ხუმრობდა, სიცილის შეკავება გვიჭირდა. მის მყუდრო ბინაში უკანასკნელი სტუმრობის ხიბლი- გასული ზაფხულის ერთი მშვენიერი დღე, ხანგრძლივი დიალოგის თანდევნი ალტაცება, 90-იანი წლების მტკივნეული მოგონებებით გამოწვეული სინანულის ფერწერული სიცხადე, საბედისწეროდ გამეტებული სამშობლოს დაუსრულებელი უიღბლობით აღძრული ნაღველის მოუგერიებელი სიმყარე. მძიმე საუბარში გართულებს ბინდის დადგომა იმ ადამიანმა შეგვასხენა, ვინც მსჯელობისა და აზრთა გაზიარების დროს ყურადღებიანი მსმენელის როლი აირჩია. ამ დონის ორატორთან შესიტყვება იოლი არ იყო.. ისე მოხდა, ბოლო წიგნის განხილვაზე უსაფუძვლო შეტევის დროს მხარი რომ დავუჭირე, დანარჩენების პასიურობამ გააოგნა, თუმცა გულისტკივილი არ შეიმჩნია, არისტოკრატიულად დადუმდა, ოპონენტისთვის ზედმეტი არაფერი უკადრებია. თავყრილობის დასრულებისთანავე მადლობა გადამიხადა და იქაურობას სწრაფად გაეცალა. აგრესიულად მოკინკლავე მწერლების გაუთავებელი პროვოკაციების ფონზე ამგვარი თავშეკავება იმდენადაა გაიშვიათებული, შესაძლოა უმრავლესობას ეს შესტი სათანადოდ ვერც აღეჭვა. როცა ძალადობა ყველგან გაფეთქებულია, საზოგადოებისთვის პროტესტის დახვეწილი ფორმა გაუგებარია და უკანასკნელ მოჰიკანს ისლა დარჩენია ღირსება იმგვარად დაიცვას, ირგვლივ გამეფებულ აგრესიაში არ გაითქვიფოს. ეს ყველაზე რთული მოცემულობაა და დაუსრულებელი განუკითხაობით გაბეზრებული ინდივიდისგან იმგვარ კლასს მოითხოვს, ჯილდოებითა და პრემიებით რომ ვერასგზით შეიძენ. საამისოდ სხვაგვარი სულიერი ნყოფაა საჭირო... ეს მხოლოდ შინაგანი არისტოკრატიზმით გამორჩეული ინდივიდების სტილია. ესთეტის გამოწვევა, რომელიც მდაბიო ჟამის მიერ დაწესებულ სტერეოტიპს დახვეწილად აქარწყლებს. - „ისინდის“ მომდევნო ნომრისთვის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე დაწერილ ახალ სტატიას შემოგთავაზებთო, შემპირდა. ჩემი ახალი კრიტიკული წიგნის რედაქტორობა რომ მოინადინა, ვეზუმრე, ესოდენ გაცხადებული მხარდაჭერით გავლენიან კონფორმისტებს ოფიციალურად გადაიმტერებდა. ჩვენ ხომ სწორედ მათ წინააღმდეგ შეურიგებლად ვიბრძვით და დაე, მუდამ ასე გაგრძელდეს, ამით არასდროს დავიღვებითო, თბილი ღიმილით გამამხნევა. ქართულ საზოგადოებას სივრცეს თემურ ქორიძის სახით „გამოუსწორებელი“ ერუდიტი და ღრმაზოგადი ლიტერატორი ნამდვილად დააკლდება. უსამართლობაა ესთეტებს გულმა უმტყუნოთ მაშინ, როდესაც უსულო მოდგმას გულის არსებობაზე წარმოდგენაც არ გააჩნია...

28.09.2017

აღონებდა, რომ ენის დაცემას ერის დაცემა უნდა მოყვოლოდა.

აღონებდა, რომ საქართველოს ტერიტორია გახდა ის საცდელი პოლიგონი,

სადაც ძალმომრე სახელმწიფოები თავის ძალას ცდიან.

აღონებდა სულიერ და ეროვნულ ფასეულობათა შერყევა და გაუკუღმართება.

აღონებდა, ქართველურ მოდგმათა წესი და რიგი ჩვენს თვალწინ რომ ლაფავდა

სულს და ხელისციცებით გზას ბნელეთში მიიკვლევდა.

ის იყო მოაზროვნე ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო ორატორი, რომელიც სიტყვაში ღრმა რელიგიურ ქვეტექსტს ხედავდა.

აი, ასეთია ჩემს მიერ დახატული თემური ქორიძის პორტრეტი!

ის იყო ლიტერატურული საღამოების მშვენიერება. ყოველ სამშაბათობით უნივერსიტეტის I კორპუსის 93 აუდიტორიაში სტუდენტი ახალგაზრდობა თავშეყრას მოუთმენლად მოელოდა, რასაც თან ახლდა ჭეშმარიტ პოეზიასთან ზიარება. ხშირად ცნობილი პოეტებიც სტუმრობდნენ ამ ღონისძიებას, მათ ალტაცებას ინვევდა ის მაღალი დონე, სტუდენტები რომ ამჟღავნებდნენ.

გამომსვლელს გამომსვლელი ცვლიდა. „უკდავი სამეული“, აი, ასე მონათლეს იმ დროს თემური ნუცუბიძის, მიხეილ ქურდიანისა და თემური ქორიძის ნიჭი და შესაძლებლობა სტუდენტებმა.

პიროვნება მარტო იმით არ ფასდება თუ რას აკეთებს, არამედ იმითაც, თუ როგორ აკეთებს.

თემური ქორიძე იყო ღრმად განსწავლული პიროვნება. მას გააჩნდა მაღალი გემოვნება, რომელიც სიტყვაში ჰპოვებდა სიცოცხლის აზრსა და მნიშვნელობას.

ის „ფსევდოგლობალისტების“ მიერ დახატულ „ნანატრ სამოთხეს“ უწოდებდა „მომაკვინებელ ერთფეროვნებას“.

ჭეშმარიტების ძიებასა და სამსახურში დაილია ეს კაცი. სტუდენტობის დროს დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსი იყო მისივე მრწამსი და ცხოვრებისეული კრედი:

„დე, თუნდაც შეშლილ ღარიბს მადარონ,

დამეცეს ფერი უღიმამოსი,

მაინც ბოლომდე უნდა ვატარო

ეს დაფლეთილი ბერის სამოსი“.

დიდი მოძღვრისადმი გრიგოლ ხანთქელისადმი მიძღვნილი ეს ნაწარმოები აიტაცა იმდროინდელმა სტუდენტობამ.

თემური ქორიძისა და უშანგი გაბიაშვილის წყალობით გავიცანი ჩვენ მაშინ რილკეს, ელიოტის, ეზრა პაუნდის, ოდენის, ელუარის, სერ ჯორ პენსის შემოქმედება.

ის ქართულ კულტურას განიხილავდა, როგორც მსოფლიო კულტურის განუყოფელ ნაწილს. საბედნიეროდ, ჩემს არქივში შემოინახა ის უნიკალური ჩანაწერები, სადაც თემურ ქორიძე საუბრობს დიდ კლასიკოსებზე - დავით გურამიშვილზე და ვაჟა-ფშაველაზე. მტკივნეული იყო მეტად მისი სიკვდილი. ასე მგონია, მის მიერ მრავალი წლის წინ წარმოთქმული სიტყვები დღესაც გუგუნებენ 93 აუდიტორიის კედლებში, გადიან და სერავენ ქართულ სივრცეს.

თემური ქორიძე... პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.

რა მცირეა დაბადებასა და სიკვდილს შორის ჩანწეილი დრო!

ეს კაცი იყო მაჩვენებელი იმისა, რომ „ესთეტიკური თავისუფლება ნიშნავს არა ვნებებზე ხელის ალებას და სტოიკურ გულგრილობას, არამედ გრძობადი ფორმების გარდასახვას“

ერეკლე საღლიანი

2019

თეიმურაზ ნადარეიშვილი

სულის ფოტოგრაფიები

ხშირად ის ჩანანური გამომდის კარგი, რომელსაც შინაგანად ვგრძნობ, გარკვეული პერიოდი „მტკივა“, „ღულს“ ჩემში და შემდეგ უცბად, სპონტანურად ვწერ! (ამ „ტკივილისაგან“ მხოლოდ ამ ჩანანურების, ჩემი „სულის ფოტოგრაფიების“ საშუალებით ვთავისუფლდები!)

მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ინგლის – საფრანგეთის ასნლიანი ომის (უფრო ზუსტად, 116 წლიანი კონფლიქტის!) შეჩერება მხოლოდ 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემამ „შეძლო“, რადგანაც ოსმალეთის გამარჯვებამ უძლეველ ბიზანტიის იმპერიაზე, საფრთხე შეუქმნა დანარჩენ ევროპას!

* * *

18-19-ე საუკუნეებში რუსეთს ევროპის „ჟანდარმს“ უწოდებდნენ, ხოლო თურქეთს კი ევროპის „ავადმყოფს“. უკეთეს მეზობლებს ვერც კი ინატრებს ადამიანი!!! თუმცა მოგვიანებით თურქეთი „განიკურნა“ – შედარებით ცივილიზირებულ ქვეყანად ჩამოყალიბდა (ნატოს კარი ხომ დაკეტილია არაცივილიზირებული ქვეყნებისათვის!), რუსეთი კი მიუხედავად გარეგნული კოსმეტიკური ცვლილებებისა და დემოკრატიულობის „თამაშისა“, მაინც ჟანდარმად დარჩა, თანაც უკვე მთელი მსოფლიოსი!

* * *

ნათურის გამომგონებელ ამერიკელ ედისონს სიბნელის ემინოდა. ნეტავ სხვა მსგავსი „შიშები“, მათი „დამარცხების“ საშუალებების გამოგონებით გვირგვინდებოდეს!

* * *


ხშირად ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანი, სხვა ადამიანს ასწავლის თუ როგორ მოიწყოს ცხოვრება. ამ უცნაური ფენომენის ერთ-ერთი ასხნა ის შეიძლება იყოს, რომ ხელმოცარულ ადამიანს არ უნდა სხვა ადამიანმაც დაუშვას ის შეცდომები, რამაც იგი თავად ამ მდგომარეობამდე მიიყვანა და ალბათ, ამ ფაქტის ერთ-ერთი გამოვლინებაა ცნობილი რუსული გამონათქვამი „Печальная мудрость неудачника!“

* * *

ზოგიერთი ადამიანისათვის „შეურაცხყოფელი“ და მოსაწყენია ერთი და იგივე საქმის კეთება და ამიტომ სხვა საქმიანობასაც ეწევა იგი. მე, მგონი, კარგი „შეურაცხყოფის“ მაგალითთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში!

* * *

გულწრფელი ადამიანი სინამდვილეში ძლიერი ადამიანია, რადგანაც მას არ ჭირდება რაღაც დამალოს (სწორედ ეს არის არაგულწრფელობა!). და არ ეშინია იმ შედეგებისა, რაც „კარტების გახსნამ“ შეიძლება გამოიწვიოს! ერთადერთი იგი „არაგულწრფელია“ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ ძალას „მაღავს!“ (სუსტი ადამიანი კი არაგულწრფელობით საკუთარ უსუსურობას ნიღბავს!)



მაჟურეზლის სოლიდარობა

მსოფლიო პრიმა-ბალერინამ მაია პლისეტკა-აიამ, მიუხედავად „გარეგნული“ აღიარებისა, საოცრად ეკლიანი გზა განვლო დიდების ოლიმპამდე (ეს თითქოს თავიდანვე „დაპროგრამებული“ იყო მის ცხოვრებაში). კერძოდ, მამა სტალინური რეპრესიების მსხვერპლი იყო, დედაც ვერ გადაურჩა გადასახლებას და მაია დეიდამისთან იზრდებოდა. ამიტომ გასაგები ხდება მართლაც რართული გზის გავლა მოუხდებოდა „ხალხის მტრის“ შვილს!). როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი შენიშნავდა ბალერინა მუდმივ ბრძოლაში იყო „განუვითარებელი“ თუ „განვითარებული“ სოციალიზმის კულტურის ჩინოვნიკებთან და მხოლოდ სცენაზე ცეკვისას „ისვენებდა“! (ასე მაგალითად, მას გარკვეული პერიოდი აკრძალული ჰქონდა „კარმენისა“ და „ბოლეროს“ ცეკვა, რადგანაც ჩინოვნიკების აზრით ეს დადგმები ეროტიულ ელემენტებს შეიცავდნენ(!)). ამ ბრძოლამ კი ბალერინას საოცარი ამტანობა და პროფესიისადმი სიყვარული შესძინა. ალბათ ამ ფაქტის გამოხატულებაა უნიკალური შემთხვევა, როდესაც პლისეტკაია ღია ცის ქვეშ რუსეთის ერთ-ერთ „მიკარგულ“ რაიონში ასრულებდა პ.ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ მომავლად გედის პარტიას. ცუდი ამინდის გამო მაჟურეზლები ქოლგებით იყვნენ „შეიარაღებულები“. უცაბედად კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ ბალერინამ არ შეწყვიტა ცეკვა და ბოლომდე მიიყვანა გამოსვლა- მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პლასტიკით (ხელების გასაოცარი მოძრაობით) გედმა „მიიძინა“! სწორედ ბალერინას ეს პროფე-

სიონალიზმი, გამბედაობა, ბუნებასთან შერკინება მაყურებელმა სათანადოდ დააფასა- სოლიდარობის და აღტაცების ნიშნად ყველამ დაკეცა ქოლგა და დიდ ბალერინასთან ერთად „გაილუმპა“. მე მგონი, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია - თავად ფაქტი „ლაპარაკობს“ ყველაფერს!

* * *

საოპერო ლიბრეტო იმის მაგალითია, რომ ოპერაში სიუჟეტს არა აქვს დიდი მნიშვნელობა; მთავარია სხვა რამ - საოპერო ხელოვნება!(რომელმაც „შთანთქა“ ლიბრეტო!)

* * *

მხოლოდ სიკვდილს ხელენიფება ადამიანი სამუდამოდ მარტოდ დატოვოს!

* * *

კინომ შეძლო თეატრის პირობითობების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა და ამით ბევრი რამ მოიგო, მაგრამ თეატრს საკუთარი უპირატესობები მაინც რჩება. მართლაც, ჯერ ერთი, თეატრი ნიგნის მსგავსად „აღვივებს“ მაყურებლის ფანტაზიის უნარს სწორედ საკუთარი პირობითობების გამო და მეორეც, თეატრის მსახიობს სპექტაკლში მრავალჯერადი თამაშის გამო ხელენიფება დროში დახვეწოს როლი, განსხვავებით კინომსახიობის მიერ ერთჯერადი როლის შესრულებისას!

* * *

ცოცხალის და არაცოცხალის სხვადასხვა სირთულის კიდევ ერთი კონკრეტული გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ შეგვიძლია ძალიან დიდი სიზუსტით ვინინასწარმეტყველოდ თუ როდის მოხდება ესა თუ ის ასტრონომიული მოვლენა (მაგალითად მზისა და მთვარის დაბნელებები, კომეტების და ასტეროიდების გამოჩენის პერიოდულობა და ა.შ.),რა სიცოცხლის ხანგრძლივობა გააჩნია ამა თუ იმ ვარსკვლავს, ხოლო კონკრეტული ადამიანი რამდენს ხანს იცხოვრებს, ამის თქმა შეუძლებელია!

* * *

როდესაც ყველას და ყველაფერს ირონიით უყურებ, მაშინ „გეკარგება“ შენი ნამდვილი პოზიცია ამა თუ იმ მოვლენის მიმართ!

* * *

როდესაც კარგი მოსწავლე ან სტუდენტი ადვილად ითვისებს ამა თუ იმ მასალას (ადვილად

„იჭრება სიბრძნით“!),რა თქმა უნდა, დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე ცოდნის შეძენის თვალსაზრისით, მაგრამ ხიფათის შემცველიც შეიძლება იყოს ეს ყველაფერი, რადგანაც მომავალში, იგი შესაძლოა ადვილად მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ (ადვილად „დაიჭრას“ სხვისი სიბრძნით!)

„გამარჯვებული მუღამ მჭუნვარაა!“

ლაო ძი. „დაო ღე ძინი“

არ შეიძლება მტერზე გამარჯვებამაც კი, ადამიანს ნამდვილი სიხარული მიანიჭოს, რადგანაც მაინც სხვა ადამიანის (თუნდაც მტრის!) დათრგუნვა მოხდა! ნამდვილ სიხარულს კი ჩვენ სხვადასხვა “ჯურის“ სიყვარული, სტიქიასთან გამკლავება ან შემოქმედებითი წარმატებანი (ახლის შექმნა!) გვანიჭებს!

* * *

ძალიან მომწონს ის, რომ ნინო და ილიკო სუბივილები ანსამბლის გამოსვლებს ქართულ ბალეტს უწოდებენ! ქართული ფოლკლორული ცეკვები მართლაც ბალეტად შეიძლება შევრაცხოთ - უბრალოდ კლასიკური ბალეტისიგან ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ცალკეული ნომრებისაგან შედგებიან და უმეტესად ხალხურია ანუ არ ჰყავს ერთი ავტორი!

* * *

ქართულ ენაში რამდენიმე ასო აშკარად ბუნებიდან არის აღებული. მაგალითად, ბაყაყი ყიყინისას აშკარად „ყ“ ბგერას გამოსცემს და ეს ეფექტი სხვა ენებში დაკარგულია, რის გამოც უცხოელებს უჭირთ ამ ასოს წარმოთქმა. სწორედ ამიტომაც ქართული მდიდარი, დედა ბუნებასთან მაქსიმალურად მიახლოებული ენაა!

* * *

შემოქმედი ადამიანისათვის საუკეთესო „დასვენება“ ისევ და ისევ ახლის შექმნა ანუ შემოქმედებაა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მარადიული „მოუსვენრებით“ მხოლოდ ერთეულები არიან „დაავადებულნი“!

* * *

უკვე დაყრუებული ბეთჰოვენი მეცხრე სიმფონიის პირველად შესრულების შემდეგ დარბაზისაკენ მოაბრუნეს — იქ კი ოვაციებისაგან ყველაფერი “ინგრეოდა” (იმპერატორის ყოფნამაც კი ვერ “მოთოკა” ღვთაებრივი სიმფონიის მოსმენის შედეგად “დამუხტული” აღფრთოვანებული პუბლიკა!). საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიციის

ჩარევა გახდა საჭირო! მე მგონი, ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც პოლიცია ჭეშმარიტი ხალხისით, სიამოვნების შეგრძნებით აღასრულებს საკუთარ არც თუ ისე ადვილ (საკმაოდ რთულ) მოვალეობას! აი როგორ "მატერიალიზდება" ხოლმე (რაც ძალა გააჩნია!) ნამდვილი, დიდი ხელოვნება!

* * *

ისევე როგორც კინომ ვერ „დაამარცხა“ თეატრი, ასევე მობილური ტელეფონიც ვერ „დაამარცხებს“ წიგნს!

* * *

არ შეიძლება ადამიანს არ გააჩნდეს გარკვეული პოზიცია ამა თუ იმ მოვლენის მიმართ და ამიტომ მისი ნეიტრალიტეტი (მოჩვენებითი „კეკლუტობა“) იმას ნიშნავს, რომ იგი სინამდვილეში ნიღბავს საკუთარ პოზიციას, რაც ძალზე სახიფათო მოვლენაა! ბუნებაში კი ელექტრულად ნეიტრალური ნაწილაკები არსებობენ (ნეიტრინო, ნეიტრონი, ფოტონი და ა.შ), მაგრამ ეს ხომ მკვდარი ბუნებაა...!

* * *

რატომ არსებობს ბოროტება?! სიკეთეს არ შეუძლია „გაძლოს“ ბოროტის გარეშე?! მრავალი პასუხი არსებობს ამ მარადიულ კითხვებზე, რომელთა შორის ყველაზე უფრო მეტად მომწონს გოეთეს შემდეგი გამონათქვამი: „ბოროტი კეთილის დადგენის საშუალებაა!“, რაც ჩემი აზრით იმას ნიშნავს, რომ როგორც ჩანს, ყველაფერი მართლაც ფარდობითია ანუ ჩვენ გვიჭირს „შიშველი“, „წმინდა“ სიკეთის აღქმა!

„შამღომო დუმილი, სხვა არაფერი!“

თარგმანი თემურ ნადარეიშვილის

ეს მონამულე დაშნით დაჭრილი ჰამლეტის ბოლო სიტყვებია ანუ ჰამლეტი სიკვდილს დუმილთან აიგივებს!!! თუმცა დიამეტრალურად სხვა რამეს ბრძანებს ლაო -ძი „დაო დე ძინში“: „ჭეშმარიტი ბრძენი მუდამ მდუმარეა!“ ასე, რომ დუმილის ფენომენი რთული ფენომენია, რაც ასეთ ტიტანთა აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევი მიზეზია!

* * *

ადამიანი უნდა გიყვარდეს, რომ შეძლო მისი ობიექტური გაკრიტიკება!

* * *

ხშირად ცხოვრების „უკუღმართობას“ არაკეთილსინდისიერი ადამიანი, საკუთარი ბოროტი

ზრახვების იდეოლოგიურ „სარჩულად“ იყენებს ხოლმე!

* * *

დრო „იყინება“ ხოლმე, როცა კლასიკას ეზიარები, რადგანაც კლასიკოსი სწორედ იმიტომაც კლასიკოსი, რომ იგი ხედავს იმას, რაც დროს უძლებს!

* * *

საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მიმზიდველი მითი იყო ხალხთა მეგობრობის მითი. ახლა კი ვხვდებით თუ სინამდვილეში რასთან გვექონდა საქმე! კერძოდ, საბჭოთა კავშირში ყველა სხვა ხალხი ემორჩილებოდა „დიდ“ რუს ხალხს, რაც სახელმწიფო ჰიმნშიც კი იყო დაფიქსირებული, რის გამოც სხვა „მოდმე“ ხალხებს საკუთარი ეროვნული ინტერესები დათრგუნული, „მიძინებული“ ჰქონდათ. ახლა კი ეს ინტერესები ცხადად გამოჩნდა და ნაქები „ძმობა“ უკვალოდ გაქრა, უფრო მეტიც, კონფლიქტების მიზეზიც კი გახდა!

* * *

მე როგორც ფიზიკოსს ხშირად „მალიზიანებს“ ზოგიერთი აფორიზმი, გამონათქვამი, მაქსიმა, რადგანაც მათში ყოველგვარი „დამტკიცების“ (ლოგიკური ახსნის) გარეშე გამოთქმულია ესა თუ ის შეგონება ანუ მკითხველი „ბრმად“ უნდა ენდოს მათ! თუმცა არსებობებენ აშკარად ცხადი აფორიზმები (ისინი შეიძლება აქსიომებთან გავაიგივოთ!), რომელთაც მართლა არ უნდათ არავითარი „დამტკიცება“ და „გულზე ხვდება“ ხოლმე ადამიანს საკუთარი დამაჯერებლობის გამო!

„დიდი“ და „პატარა“ კაცი

“დიდ“ და „პატარა“ კაცს, ორივეს დიდი „წნეხის“ ქვეშ უხდება არსებობა! მართლაც „დიდი“ კაცი უფრთხილდება იმ პრივილეგიებს, რაც მას „დიდმა“ კაცობამ მოუტანა (განსაკუთრებით თუ ის ზემოთ დაუმსახურებლად ან საეჭვო გზებით აღზევდა!) და შიშობს კვლავ „პატარა“ კაცი არ გახდეს, „პატარა“ კაცს კი „ჭამს“ ყოფითი, ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები და ცდილობს, მათ მოსაგვარებლად, „დიდ“ კაცად იქცეს!

* * *

მე მგონი, კანდიდატების წინასაარჩევნო გამოსვლები საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ სხვა „ჯურის“ არჩევნებზე თანდათანობით ემსგავსება სადღეგრძელოებს და ამიტომ ამას სერიოზულად არავინ აღიქვამს, რადგანაც წინასაარჩევნო დაპირებანი (სადღეგრძელოების “ რეჩიტატივების”

მსგავსად(!) უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სურვილებია და სხვა არაფერი!

* * *

არ უნდა იყო სხვის ხარჯზე პატიოსანი — ბევრი ადამიანი უპატიოსნო სწორედ იმის გამო ხდება, რომ არ ყავს ეს "სხვა"!

* * *

არ მიყვარს დაუმთავრებელი ლექსი, მოთხრობა და ა.შ., რადგანაც სწორედ დაუმთავრებლობა გულისხმობს, რომ ნაკითხვის შემდეგ შენ სრულად ვერ აღიქვამ ავტორის ჩანაფიქრს! (დამთავრებული ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ, ხომ ეს ჩანაფიქრი აშკარად იკვეთება!)

* * *

მეფეების, ხალიფების, პრეზიდენტების და ა.შ. აპარტამენტები, სამუშაო ოთახები (გარდა ზღვარგადასული ფუფუნებისა!) მაინც შეიძლება აღვიქვათ, როგორც კარგი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები, რომელიც აუცილებლად ქირდება მმართველს სალი აზრების, იდეების "დაბადებისათვის", თორემ როგორც თეოდორ დოსტოვესკი თავის ცნობილ "მწერლის დღიურებში" შენიშნავდა: "В тесной комнате тесные мысли рождаются!"

* * *

ადრე ვიმახსოვრები ამა თუ იმ ადგილს, რომელიც მომეწონებოდა და შემდეგ ვხატავდი მას. ახლა კი, რაც მომეწონება, მის შესახებ ვწერ. ასე, რომ სახატავი ფანქარი საწერი კალმით შევცვალე! მე მგონი დიდი "დანაშაული" არ ჩამიდენია — მთავარია სათქმელი გქონდეს და ის ამა თუ იმ ფორმით საინტერესოდ "ამოთქვა"!

* * *

საპარლამენტო სხდომებზე "ორთქლის გამოშვება" დეპუტატების მიერ და ზოგიერთი ზღაპრის გმირის მიერ საკუთარი სატიკვარის ჩაძახება ქვევრში, თავისი შინაარსით, მე მგონი, ერთი რანგის მოვლენაა — ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის მცდელობასთან!

* * *

კრიტიკოსი შედარებით თავისუფალია იმ ცდუნებისაგან, რომელიც ხშირად დამახასიათებელია მწერლისათვის — მწერალი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად წარმატებაზე ოცნებობს და ამიტომ ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას იგი იმდენად მის

შინაგან არსზე კი არ ფიქრობს, არამედ ცდილობს რაღაც "სარგებელი" მიიღოს ამ აღწერისაგან! კრიტიკოსის ვალი ისიც არის, რომ ამხილოს მწერალი ამ შემთხვევაში!

* * *

როგორც ცნობილია არსებობს შემოქმედთა ორი ტიპი: ზოგიერთ შემოქმედს ყველაფერი წინასწარ აქვს განსაზღვრული, იგი თითქმის არ გადაუხვევს ხოლმე თავდაპირველ ჩანაფიქრს (მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი რუსი მხატვარი ვრუბელი), მეორე ტიპის შემოქმედთა კი თავიდანვე არ გააჩნიათ ზუსტი მონახაზი და უშუალოდ შემოქმედებით პროცესში მრავალი გადახვევის, გადაკეთების მოყვარულნი არიან — შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები თვითონ „ქმნის“ შემოქმედს!

შექსპირი, ჩემი აზრით, საკუთარ თავში აერთიანებს ორივე ამ "ჯურის" შემოქმედს. მართლაც, უმეტესწილად დიდი ინგლისელი არ "ფლანგავდა" საკუთარ გენიას სიუჟეტების დაწერაზე, ეყრდნობოდა რა ისტორიულ ქრონიკებს (ამ გაგებით შექსპირი პირველი ტიპის შემოქმედთა განეკუთვნება), მაგრამ უბადლო შედარებების, დეტალების დამატებით ანუ მოკლედ თუ ვიტყვით შემოქმედებით "სამზარეულოში" გატარების შემდეგ იგი აღწევს იმას, რომ სხვების მიერ შექმნილი სიუჟეტები შექსპირისეული ხდება (ამიტომ ხშირად კრიტიკოსები ხატოვნად აღნიშნავენ ხოლმე: "მის პიესებში შექსპირისეული ვნებები ბოზოქრობენ!") ამ დროს კი შექსპირი, რა თქმა უნდა, მეორე ტიპის შემოქმედი!

მუსიკალური თერაპია ("სიზრქნე სიცრუისა").

ძალზედ დამაინტერესა და იმოქმედა ჩემზე ტელევიზორიდან მიღებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ჩვენს ფსიქიატრიულ კლინიკებში გარდა ტრადიციული მედიკამენტოზური მკურნალობისა (რაც საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს და უფრო ხშირად პაციენტის ახლობელს — ეს ფაქტორი ხომ გადამწყვეტია ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში!) უკვე რამდენიმე წელია წარმატებით გამოიყენება ე.წ. მუსიკალური თერაპია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტი თვითონ ირჩევს სიმღერას და ექიმის დირიჟორობით თავად ასრულებს მას... თუ საჭიროა ცეკვავს კიდევ ექიმთან ან სხვა პაციენტთან ერთად! მე მგონი, აქ მთავარია ის, რომ ადამიანს (პაციენტს) საშუალება ეძლევა თვითგამოხატვისა — იგი ხომ იმ სიმღერას არჩევს, რომელიც მოსწონს და ასრულებს მას, რაც თავის მხრივ პირველი ეტაპია თვითგამოხატვისა. შესაძლოა ეს შესრულება (და უმეტესწილად ეს ასეც იქნება!) ძალზედ დაბალი

ესეისტიკა

დონის იყოს პაციენტის არაპროფესიონალიზმის ან სულაც სულიერი აშლილობის გამო, მაგრამ მას ექიმები სიმღერას უწონებენ (ამ შემთხვევაში ტყუილს დადებითი ფუნქცია გააჩნია — სიცრუე სიბრძნედ იქცევა!) და როგორც შედეგი პაციენტი საკუთარი თავის პატივისცემას იწყებს ანუ მას კვლავ თვითგამოხატვის საშუალება ეძლევა უფრო მაღალ დონეზე. ასე გრძელდება “სიბრძნე-სიცრუის” სეანსები გარკვეული დროის განმავლობაში და ამ კეთილგანწყობის პროცესმა, საკუთარი ძალებისადმი რწმენის აღდგენამ, თვითგამოხატვამ (შეიძლება პაციენტის სულიერად დაავადების მიზეზი სწორედ თვითგამოხატვის შეუძლებლობა იყო ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებს გარეთ!) შესაძლოა ავადმყოფობასაც კი აჯობოს! სიუჟეტის ბოლოს კი განკურნებული ავადმყოფი აჩვენეს, რომელიც ახლა თავად უტარებს მკურნალობის მუსიკალურ სეანსებს სხვა პაციენტებს!

ასე, რომ “ზოგი ჭირი მართლაც მარგებელია” - შეჭირვებულმა ყოფამ ფანტაზიის უნარი “გააცხოველა” ჩვენს ექიმებში, რამაც თავის მხრივ დადებითი შედეგები მოგვცა! (დანამდვილებით არ ვიცი მდიდარ ქვეყნებშიც ტარდება თუ არა ანალოგიური სეანსები)

* * *

ზოგი ადამიანი დასაწყისში შენთან გულწრფელია, ხოლო მოგვიანებით კი ზღარბივით იკეტება და მისგან ველარაფერს ველარ გაიგებ! მას ეშინია “ბოროტად” არ გამოიყენო მისი გულწრფელობა, ინფორმაცია; ამ დროს კი შენ საერთოდ არ გაქვს ამგვარი განზრახვა! სწორედ ამაზე აქვთ კარგად ნათქვამი რუსებს: “Каждый понимает по мере своей испорченности!”

* * *

ზოგჯერ არაპროფესიონალი უკეთ წერს, ვიდრე პროფესიონალი მწერალი. მიზეზი ამ “უცნაური” მოვლენისა შეიძლება ის იყოს, რომ “მოხალისე” მწერალი სხვა ძირითადი საქმიანობით არის დაკავებული და მხოლოდ მაშინ იღებს ხელში კალამს, როცა რაიმე მნიშვნელოვანი მოხდება მის ცხოვრებაში, ხოლო მწერლისათვის ეს “ხელობა” ძირითადია ანუ მან სულ უნდა წეროს! ამიტომ ამ “იძულების” გამო, მისი ზოგიერთი ნაწარმოები შედარებით სუსტი გამოდის!

* * *

რუსთაველის გამზირზე დიდხანს მიმდინარეობდა ტროტუარის რემონტი. ძალზე სიურეალისტური სურათი იყო და არ მეგონა თუ რაიმე მოანერგებდა ამ ქაოსს! რემონტის დამამთავრებელ

ეტაპზე მთელი ეს ქაოსი (აყრილი მიწა, სხვადასხვა სახეობის მავთულების ნარჩენები თუ “აპრეხილი” სადენები, ქვის ნატეხები და ა.შ) “დატყვევებული” იყო სწორი გეომეტრიული ფორმის ფიგურებში — მართკუთხედებში (მომავალ გაზონებში), სავალი ნაწილი კი დამთავრებული იყო.

ასე, რომ ქაოსი უფრო ადვილი ასატანია (შეიძლება მასთან თანაარსებობა!) თუ იგი “მოთვინიერებულია” შენთვის ცნობილ საზღვრებში!

P.S. შარშან ვისვენებდი ურეკში. იქ “გადავეყარე” კიდევ ერთი ნაირსახეობის ქაოსს. კერძოდ, ყოველ საღამოს მრავალრიცხოვანი “ჯუჯა” რესტორნიდან ერთდროულად ისმოდა ქართული, რუსული თუ სომხური “საეჭვო ღირებულების” სიმღერები. ერთადერთი შეღავათი ის იყო, რომ ეს მუსიკალური “აგრესია” ზუსტად ღამის 12 საათზე მთავრდებოდა (მე კიდევ გამიმართლა — ქობულეთში ანალოგიური კაკაფონია ღამის 2 საათამდე გრძელდებოდა თურმე!) ანუ ამ შემთხვევაში ქაოსი “გამოკეტილი” იყო დროში!

* * *

თუშეთში სალოცავებში არ დაიშვებიან ქალები, გარდა ბავშვისა და მოხუცი ქალისა! მე შემდეგნაირი ახსნა მოვუძებნე აღნიშნულ წესს (არ ვიცი სიმართლესთან რამდენად ახლოს არის იგი!): ბავშვი ჯერ არ არის “უმინდური”, ხოლო მოხუცი ქალს უკვე ყველაფერი ნანახი აქვს — ცოდვებით „გაჯერებულია” და ამიტომ ახალი ცოდვის ჩადენა მას არ ძალუძს! (როგორც სერგეი ესენინი ერთ — ერთ ლექსში შენიშნავს: “Сожженного не сожжешь!”)

* * *

არ შემიძლია იმ ოთახში დაძინება, სადაც კედელზე მექანიკური საათი არის ჩამოკიდებული, რადგანაც გარდა მონოტონური ხმაურისა (ამ ხმაურთან კიდევ შეიძლება “მორიგება”!), ღამის სიჩუმეში ცხადად შევიგრძნობ თუ რა დაუნდობლად გარბის დრო და არ მაძინებს იმის შეგრძნება, რომ უძლური ვარ რაიმე შევცვალო ამ მარადიულ სრბოლაში!

„უცხო” პროფესია

ჩემი ანკა თავის პირველ დაბადების დღეს “რუსთაველის მაკდონალდსში” შეხვდა. იმ დღეს საზეიმო, ამაღლებულ განწყობასთან ერთად გარკვეული სევდაც დამეუფლა, რაც განაპირობა შეხვედრის დასასრულს დიჯეი გოგონას რეაქციამ ჩემს კეთილგანწყობილ რეპლიკაზე: “ძალიან კარგი პროფესია გაქვთ — ბავშვებს ამდენ სიხარულს ანიჭებთ!” პასუხი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ

ღიმილი სახეზე გამეყინა: „ეს ხომ ჩემი პროფესია არ არის!“. უნებურად დამაფიქრა ამ ქალიშვილის მდგომარეობამ და ვიგრძენი, რომ თითქოსდა სრულიად შემთხვევით შევეჯახე ზოგად გლობალურ პრობლემას, რაც ჩვენი ყოფისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ამჟამად მრავალი ადამიანი იძულებულია თავის ძირითად პროფესიაზე უარი თქვას და თვითგადარჩენის მიზნით ამა თუ იმ დროებით პროფესიას „შეაფაროს თავი!“ (მე აღარ შევეკითხე ქალიშვილს თუ რა იყო მისი ნამდვილი მონოდება).

გარდა ამისა, როდესაც ანკა და მისი სტუმრები სამზარეულოში ჩაიყვანეს (სადაც რატომღაც კატეგორიულად იკრძალება ფოტო და ვიდეო გადაღებები!), მე უკვე დამაფიქრა იქ მომუშავე ახალგაზრდა გოგონებისა და ყმაწვილების ბედმა. ისინი მაკდონალდსის მაღალტექნოლოგიური აპარატების საშუალებით ძალიან სწრაფად ამზადებენ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჰამბურგერებს, ჩისბურგერებს და ა.შ. უმაღლესი ხარისხის გენიალური ჩარლი ჩაპლინის ცნობილი ფილმი, რომელშიც ჩარლის გმირი კონვეიერზე ქანჩების მომჭერად მუშაობს და ეს პროფესია მას გარკვეულ დაღსაც ასვამს. კერძოდ, მუშაობის დამთავრების შემდეგ იგი ხელს ვეღარ აჩერებს — მექანიკურად თითქოსდა კვლავ ქანჩებს უჭერს! ეს ახალგაზრდებიც დიდი კონვეიერის შემადგენელი „უბრალო ჭანჭიკების“ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ! ერთი ნუთით წარმოვიდგინე თავი მათ ადგილას და შემეშინდა — მთელი დღე, ასე ფეხზე დამდგარი, თითქმის „სირბილის რეჟიმში“ მიმდინარე მუშაობა ადამიანს მთლიანად ფიტავს და სხვა უფრო „ამალღებელი“ საქმიანობისათვის მას უკვე ძალები აღარ ეყოფა! ამიტომ კარგად უნდა გავიაზროთ თუ რისკენ ვუბძვებით ჩვენს ახალგაზრდობას, საითკენ „მივექანებით“ და საერთოდ რა გვინდა?! მე მგონი აუცილებელია (სანამ გვიან არ არის!) ამ „აბეზარ“ კითხვებზე დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა!

* * *

ყოველთვის ჩემს ყურადღებას იმსახურებდა შემდეგი (ერთი შეხედვით „გაუგებარი“) ხალხური გამონათქვამები: „დედალი მამალს გაურბის და თან იმაზე ფიქრობს, ძალიან სწრაფად ხომ არ გავრბივარო!“ და „ქალი უარს ამბობს, თვალი კი სანოლისაკენ უჭირავსო!“ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?! ჩემი აზრით, ქალის ეს „ალოგიკური“ საქციელი ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას. პირველი უფრო „მსუბუქი“ მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ეს მხოლოდ უბრალო ფლირტია, არმყოფა,


ხოლო მეორე უფრო სერიოზული მიზეზი ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ ქალს ამბივალენტური გრძნობა ეუფლება — კი უნდა მამაკაცს დამორჩილდეს, მაგრამ ვერ ეგუება დამოუკიდებლობის დაკარგვას!

* * *

ძალიან მიყვარს ტიცციან ტაბიძის ცნობილი „ლექსი მენყერი“: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს! ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვწვრივებ მოვარდნილ მენყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს!..“ გარდა გარეგნული სილამაზისა, ამ ლექსში ძალზედ ღრმა აზრიც დავინახე (როგორც ჩანს, ღრმა აზრი „ავტომატურად“ საინტერესო, მიმზიდველ ფორმას იძენს!): ტიცციანს „ლექსი“ თვითონ წერს ანუ ირიბად ნათქვამია, რომ შემოქმედისთვის მთავარია მოვლენა, ფაქტი და მისგან მიღებული შთაბეჭდილებები, რომლებიც შემდგომ „ამოიფრქვევა“ ლექსის ფორმით (პოეტის ნიჭის — რითმებით აზროვნების უნარის შესაბამისად!) ლექსის ფენომენის ამგვარი გააზრება, გაგება ძალიან კარგია, რადგანაც ხშირად არსებობს ცდუნება იმისა, რომ პოეტი დარჩეს სიტყვების სამყაროში, მათ ტყვეობაში (პოეტი ივინყებს, რომ საკუთრივ ეს სიტყვები მოვლენის ასახვაა და სხვა არაფერი!) და სხვადასხვა ოპერაციები ჩაატაროს სიტყვებზე ლექსის „გამოსაცხოხვად!“ კიდევ უფრო დიდი ცდუნებისა, საშიშროების წინაშე დგას მთარგმნელი. ორიგინალში მოვლენა უკვე დაფიქსირებულია პოეტის მიერ და მთარგმნელისათვის შედარებით ადვილია ამ დაფიქსირებულ, „გაყინულ“ აზრზე (სიტყვებზე!) გარკვეული მანიპულაციების ჩატარება, რაც თავისთავად არასასურველი მოვლენაა! უმჯობესია მთარგმნელმა მის მიერ ნანახი, განცდილი მოვლენების, საკუთარი გამოცდილების შესაბამისად (პოეტის მიერ „გადატანილი“ მოვლენების ანალოგიურად!) მიაგნოს მთარგმნისათვის საჭირო სიტყვებს!.. (ერთი და იგივე აზრი ხომ შეიძლება სხვადასხვა ანალოგებით გადმოცემა!).

* * *

ერთგვარი ირონია გამოიწვია ჩემში ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ახალი სპორტული სახეობის — პლაჟის ფრენბურთის ხილვამ. აქ პლაჟისაგან დარჩენილია მხოლოდ ქვიშა და საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი მომხიბლავი გოგონები, თავად თამაში კი მიმდინარეობს ჩვეულებრივი ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრული ტრიბუნების წინ. ნეტავ სად „გაიპარა“ ზღვა?!



ტერენტი ბრანელს

პეტრე-პავლეს სასაფლაო პოეტის თავდაპირველი განსასვენებელი იყო, სადაც დღეს სიმბოლურად არის შემორჩენილი პატარა, მოკრძალებული ნასაფლაოვარი.

შენ აქ გეძინა,
სადაც წინათ, დიდი ხნის წინათ
შეიყვარე უთვისტომო ქარი და წვიმა,
ჩაგესმოდა როიალის შორეული გლოვის მუსიკა!
შენ აქ გეძინა...

აქ გინდოდა სამუდამო დაგედო ბინა,
სხვაგან სხვაგვარი მოგაკითხავს ქარიც და წვიმაც,
სამრეკლოს ზარმა გულდამწვარმა ამოიგმინა;
შენ აქ გეძინა...

იქნებ გესმის ანგელოზის ფრთების ხმა ციდან?
მე მატარებლის ჩაკვილება გავიგონე შორს... რკინიგზიდან, -
სად არის მიწა?!

გიორგი შიშნიაშვილი
03.06.2019 წელი